საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის კათედრა

ბორის ურიდია

ჰაფეგორიის თეორიის პრობლემები

„მეცნიერება"
თბილისი
1986

შრომაში განხილულია კატეგორიის ცნების, მისი განსაზღვრების წესისა და კატეგორიათა სისტემის აგების საკითხები.

კატეგორიები ლოგიკური ცნებებია. კატეგორიის ბუნება განხილულია ლოგიკური ასპექტით.

უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ლოგიკური ნიშანი, რომლის საფუძველზედაც უნდა შესრულდეს მათი განსაზღვრება, არის მათი პოლარულობა, წყვილად კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირებულობა.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემა უნდა აიგოს ლოგიკურის ნიშნით.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები ერთიმეორეს არ ექვემდებარებიან არც მოცულობით და არც შინაარსობრივად.

კატეგორიის კატეგორიაში გადასვლის, მოძრაობის ის თვალსაზრისი, რომელიც აღიარებულად ითვლება (ცნებათა დიალექტიკა ყველა ცნების, კატეგორიის, გამონაკლისის გარეშე, ურთიერთგადასვლაში, მოძრაობაში მდგომარეობს), მიუღებელია მეცნიერული ფილოსოფიისათვის, ვინაიდან იგი ლოგიკურის რეალურთან გაიგივებას ემყარება.

რეცენზენტები: პროფ. ვ. ერქომაიშვილი
დოც. ბ. ბაშელეიშვილი

რედაქტორი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
ვ. კალანდარიშვილი

У $\frac{0302030200}{М\ 607(06)-86}$ 215—86

© «მეცნიერება», 1986

წინასიტყვაობა

კატეგორიის თეორიის პრობლემა მრავალია, რომელთა შორის ძირითადია: უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების, განსაზღვრების წესის, შემეცნებითი ღირებულების, ურთიერთკავშირისა (დიალექტიკური ხასიათის) და კატეგორიათა სისტემის აგების პრობლემები.

ჩამოთვლილ ძირითად პრობლემებს აქვთ მრავალი არაძირითადი პრობლემა, რომელთაგან ზოგიერთი კატეგორიის თეორიის სისტემაში არანაკლები მნიშვნელობის მქონეა. ამგვარი პრობლემებიდან ძირითადია ცნებისა და კატეგორიის დამოკიდებულების, კატეგორიისა და მსჯელობის დამოკიდებულების, კატეგორიისა და კანონის დამოკიდებულების, კატეგორიათა წარმოშობისა და განვითარების სოციალურ-პრაქტიკული საფუძვლის, კატეგორიათა ურთიერთში გადასვლის, კატეგორიათა სუბორდინაციის, ფილოსოფიური კატეგორიებისა და კონკრეტულ მეცნიერებათა კატეგორიების დამოკიდებულების საკითხი და სხვ.

ბევრი ამ პრობლემათაგანი დღეისათვის გადაწყვეტილია. მაგალითად, დღეს სადავო არ არის ის, რომ კატეგორიათა ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველია საზოგადოებრივი პრაქტიკა; რომ კატეგორიების მნიშვნელობა მეტად დიდია შემეცნებაში; რომ კატეგორიები შემეცნების განვითარების საკვანძო საფეხურებია; რომ კატეგორიები ურთიერთკავშირში არიან და ეს კავშირი დიალექტიკური ხასიათისაა და ა. შ. თუმცა ამ გადაწყვეტილ პრობლემათა მრავალი საკითხის გარშემო არის აზრთა სხვადასხვაობა და იგი სულ იქნება მეცნიერებათა განვითარების შესაბამისად.

კატეგორიის თეორიის ძირითადი პრობლემებიდან დღემდე გადაუწყვეტელია უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესისა და ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების პრობლემები. რაც შეეხება კატეგორიისა და ცნების დამოკიდებულების საკითხს; იგი ერთგვარად დადგენილია, თუმცა დიდია აზრთა განსხვავებულობა იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული მათი დამოკიდებულება, რომელიც თავისი არსებით კატეგორიის თეორიის არაძირითად პრობლემათა

რიგს მიეკუთვნება. არაძირითადი პრობლემებიდან ასევე დღემდე გადაუწყვეტელია ფილოსოფიურ კატეგორიათა ურთიერთში გადასვლისა და სუბორდინაციის საკითხებიც, თუკი არსებობს ასეთი რამ.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია: პირველი, უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების, მეორე, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესის განხილვა, მესამე, ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების პრობლემატიკაში არსებულ სიძნელეთა ჩვენება და აქედან მხოლოდ უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგებაზე მითითება. ამასთან განხილულია კატეგორიათა გამოყვანისა და სუბორდინაციის საკითხებიც და სხვ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ შრომაში საკვლევად დასმული პრობლემები ადვილად ვერ გადაწყდება. ისინი ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში დღემდე გადაუწყვეტელია. ფილოსოფიის ისტორიის ასპექტით უზოგადესი კატეგორიის ცნების, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესისა და ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპი არც იმ დიდ ფილოსოფოსებს გადაუწყვეტიათ დამაკმაყოფილებლად, თუნდაც თავიანთი ეპოქის შესატყვისად, რომლებმაც სპეციალურად სცადეს იგი. ფაქტია, რომ არისტოტელეს, კანტსა და ჰეგელს არ აკლდათ არც თავიანთი ეპოქის მეცნიერულ მოთხოვნილებათა დონეზე დგომა და არც ფილოსოფიური გენიალობა, რომ აღნიშნული პრობლემები შედარებით სრულყოფილად წარმოედგინათ, მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს. მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რადგან დასახელებული პრობლემები დღემდე გადაუწყვეტელია, მეცნიერებამ ხელი აიღოს მათს კვლევაზე. ფაქტია, რომ ისინი ცრუ პრობლემები არ არიან, ამიტომ აუცილებელია მათი კვლევა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შესახებ არსებული განსხვავებული მოსაზრებანი და ვარიანტები უდავო პირობა იქნება კატეგორიის თეორიის პრობლემების შემდგომი გადაწყვეტისათვის.

შრომაში ჩანს ავტორის თვალსაზრისი საკვლევ პრობლემათა ირგვლივ, თუ როგორ არის იგი შესრულებული, ამას განსჯის ობიექტური მკითხველი. ავტორი ყოველ საქმიან შენიშვნას მადლობით მიიღებს.

შესავალი

ცნებისა და კატეგორიის საერთო გვარია ცნება. ყოველი კატეგორია არის ცნება, მაგრამ არა ყოველი ცნება, არამედ მხოლოდ ზოგიერთი ცნებაა კატეგორია. აქედან მხოლოდ ზოგიერთი ცნებაა ფილოსოფიური კატეგორია. კიდევ უფრო ზუსტად — მხოლოდ ზოგიერთი ფილოსოფიური კატეგორიაა უზოგადესი.

ცნება და უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია ერთიმეორისაგან განსხვავებულია ასასახი ობიექტით, ზოგადობით, ზოგადობის შინაარსით, მოცულობით დამოკიდებულებით, განსაზღვრების წესით.

ყოველი კატეგორია ზოგადია. არ არსებობს არაზოგადი ცნება, კატეგორია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კატეგორიები ზოგადობის მიხედვით ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან. ზოგადობისა და მოქმედების სფეროს მიხედვით კატეგორიები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: 1. უზოგადესი; 2. ზოგადი; 3. კერძო ანუ სპეციფიკური.

უზოგადესი კატეგორია სინამდვილის ერთ რომელიმე ისეთ უზოგადეს მხარეს ასახავს, რომლის გარეშე სინამდვილის არც ერთი საგანი, არც ერთი მოვლენა არ არსებობს. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების: შინაარსის, ფორმის, მიზეზის, შედეგის, აუცილებლობის, შემთხვევითობის, შესაძლებლობის, სინამდვილის და სხვ., მოქმედების სფერო განუსაზღვრელია.

უზოგადესი კატეგორიებისაგან განსხვავებით, რომლებიც ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების, როგორც მთლიანის, უზოგადეს მხარეებს ასახავენ და რომელთა მოქმედების სფერო განუსაზღვრელია, ზოგადი კატეგორიები სინამდვილის გარკვეულ უზოგადეს მხარეებს ასახავენ და ამდენად მათი ასასახი სინამდვილის სფერო განსაზღვრულია; მაგალითად, საზოგადოებას, როგორც სინამდვილის გარკვეულ მოვლენას, თავისი საკუთარი ზოგადი კატეგორიები აქვს, რომლებიც საზოგადოებისათვის, როგორც ერთი მთლიანისათვის, ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში საერთონი არიან. კატეგორიები, რომლებიც საზოგადოების არსებობის მთელ მანძილზე მოქმედებენ და მისი, როგორც ერთი მთლიანის, განვითარების უზოგადეს მხარეებს ასახავენ, შემდეგია: საზოგადოებრივი ყოფიერე-

ბის, საზოგადოებრივი ცნობიერების, საწარმოო ძალების, წარმოებითი ურთიერთობების, ბაზისის, ზედნაშენისა და სხვ. კატეგორიები. აღნიშნულთა გარეშე არ არსებობს არცერთი საზოგადოება. ისინი საზოგადოების განვითარების ყველა ფორმაციისათვის სავალდებულონი არიან. რამდენადაც აღნიშნული კატეგორიები საზოგადოების უზოგადესი მხარის გამომხატველია, ამდენად ისინი საზოგადოების უზოგადესი კატეგორიებიც არიან. მაგრამ უზოგადესი საზოგადოების მიმართ და არა საერთოდ ბუნების, საზოგადოების და აზროვნების, როგორც მთლიანის, მიმართ.

გარდა უზოგადესი კატეგორიებისა, არსებობს კერძო ანუ სპეციფიკური კატეგორიებიც, რომლებიც ასახავენ გარკვეული კლასის, ჯგუფის, მოვლენათა ან მათი განვითარების უზოგადეს მხარეს, ისინი ბუნების, ან საზოგადოების, ან აზროვნების რომელიმე უზოგადეს მხარეს ასახავენ. მაგ. საზოგადოებას, გარდა იმ ზოგადი კატეგორიებისა, რომლებიც საზოგადოების განვითარების მთელ მანძილზე მოქმედებენ და მის უზოგადეს მხარეს ასახავენ, აქვს კერძო ანუ სპეციფიკური კატეგორიებიც. სპეციფიკურია საზოგადოების ისეთი კატეგორიები, რომლებიც რამდენიმე ფორმაციისათვის დამახასიათებელ უზოგადეს მხარეს ასახავენ და მოქმედებენ ამ ფორმაციებში. მაგ. ღირებულების, საქონლის, კლასის, სახელმწიფოსა და ა. შ. კატეგორიები. სპეციფიკურია აგრეთვე კატეგორიები, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ ამა თუ იმ ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში ამ უკანასკნელის არსებობის მთელ მანძილზე; მაგალითად, სამუშაო ძალა, როგორც საქონელი, კაპიტალი, ზედმეტი ღირებულება, მოგების საშუალო ფორმა, რომლებიც გამოხატავენ მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის წარმოებითს ურთიერთობას და სხვ.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ კატეგორიების, როგორც ცნებების, ობიექტურობა და ამ ცნებათა შესაბამისი სინამდვილის ობიექტურად არსებობა. მაგალითად, მიზეზი, შედეგი, ფორმა, შინაარსი, შემთხვევითობა. აუცილებლობა და ა. შ. ობიექტურად, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ხოლო მიზეზის, შედეგის, ფორმის, შინაარსის, შემთხვევითობის, აუცილებლობის და ა. შ. კატეგორიები მათ ასახავენ და ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად კი არ არსებობენ როგორც ამ ცნებათა შესაბამისი სინამდვილე. კატეგორიები ობიექტურია. მაგრამ ამ შემთხვევაში ობიექტურობა ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობას არ ნიშნავს, კატეგორიათა ობიექტურობა მათი შინაარსის ჩვენი ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლობას ნიშნავს. კატეგორიათა ობიექტურობა მათი შესაბამისი ასასახი სინამდვილითაა განპირობებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს

ომას, რომ რეალურად არსებული მიზეზი და მიზეზის კატეგორია იგივეობრივია. მიზეზი, შედეგი, ფორმა, შინაარსი... არ არის კატეგორია. ისინი სინამდვილის უზოგადესი მხარეებია. სინამდვილის ამ უზოგადესი მხარის ამსახველი ცნება არის უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია. სინამდვილის უზოგადესი მხარეები გამოითქმებიან უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიებით.

ზოგადობით უზოგადესობა აბსოლუტური მნიშვნელობით ყველა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიას განასხვავებს სხვა კატეგორიათა უზოგადესობისაგან. ცნებისა და უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ზოგადობას ერთმანეთისაგან განასხვავებს ასასახი სინამდვილის განსხვავებული ზოგადობა და ზოგადობის შინაარსი. მეცნიერებათა კატეგორიებს ერთმანეთისაგან განასხვავებს თვით მეცნიერებათა საგანი. განსხვავებულ მეცნიერებათა საგანი განსხვავებულ მეცნიერებათა კატეგორიებს ქმნის.

უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია სინამდვილის უზოგადესი მხარე. ამისაგან განსხვავებით ყოველი ერთეული, სახე-გვარობით დამოკიდებულებაში მყოფი ცნება, კატეგორია არის საგნის არსებითი, სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნების ასახვა.

უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების განსაზღვრება, როგორც მატერიალური სამყაროს არსებითი კავშირების ასახვა, ლოგიკურ შეცდომას ემყარება, რადგანაც ამ შემთხვევაში უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების განსაზღვრების ნაცვლად უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნებაა განსაზღვრული. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიისა და კატეგორიათა კავშირის ცნებები კი ორი, ერთიმეორისაგან განსხვავებული ცნებაა.

მტკიცება, რომ დიალექტიკის კატეგორია (კატეგორიები), როგორც ცნება, ასახავს სინამდვილის არსებით მიმართებას, დიალექტიკის კატეგორიის ცნებას, ცალკეულ კატეგორიას არ ეხება. იგი მხოლოდ დიალექტიკის წყვილად კატეგორიათა კავშირზე შეიძლება ითქვას. დიალექტიკის არცერთი კატეგორია მიმართებას არ ასახავს. თვით მიმართების კატეგორიაშიც კი მიმართება, როგორც სინამდვილის ერთ-ერთი მხარეა ფიქსირებული და არა რაიმეს რაიმესთან მიმართება. ამიტომაც აღნიშნულ განსაზღვრებაშიც დაშვებულია ლოგიკური შეცდომა, სახელდობრ, უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების განსაზღვრების ნაცვლად მოცემულია ცდა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის (მიმართების) განსაზღვრებისა.

განსაზღვრება — კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია მატერიალური სამყაროს უზოგადესი კავშირის კანონები —

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებს, როგორც ცნებებს, არ ეხება. დიალექტიკის არცერთი წყვილადი კატეგორია, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს კავშირის კანონს. სამყაროს კავშირები, კანონები, კატეგორია როგორც ცნებაში კი არა, კატეგორიათა კავშირშია ასახული, რომელიც მსჯელობითაა გამოთქმული. წყვილად კატეგორიათა შესაბამისი მხარეების აუცილებელი კავშირების კანონები მსჯელობით გამოითქმება.

რაც შეეხება კანონის, ზომის, მიზეზობრიობის კატეგორიებს, მართალია, ასახავენ კავშირებს, რის გამოც შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ფილოსოფიური კატეგორია ასახავს კავშირს, მაგრამ ისინი არ არიან წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები. ამიტომ უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიების შესახებ ძალაში რჩება დებულება, რომ ისინი არ ასახავენ კავშირებს, კანონებს. ეს მკვეთრად ჩანს შემთხვევითობის, მოვლენის კატეგორიებში, რომლებიც სინამდვილის უზოგადეს მხარეს ასახავენ, მაგრამ თვითონ კანონის ასახვას და არც კანონს არ წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე მცდარადაა მიჩნეული ის შეხედულება, რომლის მიხედვით არავითარი განსხვავება არ არის კანონსა და კატეგორიას შორის.

უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიებისათვის დამახასიათებელი ლოგიკური ნიშანი, რითაც უნდა შესრულდეს მათი განსაზღვრება, არის ამ კატეგორიათა პოლარულობა (ურთიერთდაპირისპირებულობა), წყვილადი კატეგორიების პოლარული დაპირისპირებულობა. პოლარული დაპირისპირებულობით ხასიათდება წყვილი კატეგორია და არა საერთოდ ყოველი ორი კატეგორია. წყვილად კატეგორიათა პოლარული დაპირისპირებულობა, როგორც წესი, უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა ლოგიკური ნიშანია. განსაზღვრების წესი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრება სრულდება წყვილად კატეგორიათა დაპირისპირებულობის საშუალებით. თითოეული კატეგორია უზოგადესი წყვილად ფილოსოფიური კატეგორიებიდან განისაზღვრება მეორე, მის შესაბამის წყვილად კატეგორიასთან პოლარული დაპირისპირებულობის საშუალებით.

არსებობს შეხედულება, რომ კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში. ეს არის მიჩნეული კატეგორიის განსაზღვრების წესად, რასაც მრავალი ნაკლი აქვს: პირველი, იგი გამართლებას პოულობს მხოლოდ დასრულებულ, დახშულ სისტემაში, სადაც დასაწყისი და დასასრული კატეგორიები მოცემულია. ამის გამოც თითოეული კატეგორიის შინაარსი განსაზღვრულია იმ ადგილის მიხედვით, რომელიც მას უკავია კატეგორიათა სისტემის დასაწყის და ბოლო კატეგორიებს შორის. კატეგორიათა მხოლოდ და მხოლოდ ასეთი დახშული სისტემის საფუძველზე ხდება

შესაძლებელი კატეგორიის განსაზღვრება, მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში (ასეთი იყო ჰეგელის სისტემა). ჰეგელთან მტკიცება — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში, — ნიშნავს თითოეული კატეგორიის მნიშვნელობის, შემეცნებითი ღირებულების თუ კიდევ სხვა მხარეების განსაზღვრებას მისი ადგილით კატეგორიათა სისტემაში. მაგრამ ეს სრულიად არ არის კატეგორიის, როგორც ცნების, შინაარსის განსაზღვრების წესი. მეორე, მტკიცება — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში — ემყარება ლოგიკურ შეცდომას. კატეგორიათა სისტემაში კატეგორიათა ადგილის დადგენით კი არ ხდება კატეგორიის განსაზღვრება, არამედ პირიქით, განვსაზღვრავთ რა კატეგორიას რაიმე წესით, ამით დგინდება კატეგორიის შინაარსი; ეს კი ამავე დროს არის განსაზღვრული კატეგორიის ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში. მესამე, კატეგორიის განსაზღვრების აღნიშნული წესით არცერთი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრება არ არის მოცემული. იგი არაფერს ამბობს, თუ რა არის მიზეზის, შედეგის, არსების, შინაარსის, ფორმის და სხვა კატეგორიების შინაარსი. მართალია, კატეგორიის განსაზღვრების წესს არ ევალება კატეგორიის შინაარსის დადგენა, იგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს კატეგორია (კატეგორიები), მაგრამ განსაზღვრების დასახელებული წესი თვითონ მოითხოვს თითოეული კატეგორიის ადგილის მონახვას კატეგორიათა სისტემაში და ამით მისი შინაარსის განსაზღვრებას, თუმცა ამ თავის მოთხოვნას ვერ ასრულებს, რის გამოც ამ ლოგიკური ასპექტითაც ნაკლოვანია.

მიმართების, როგორც კატეგორიის, განსაზღვრების წესის ორი ძირითადი ვარიანტია ცნობილი: ერთის მიხედვით, მიმართებით განსაზღვრება არის განსაზღვრების წესებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ზოგიერთი უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრების წესი; მეორე ვარიანტის მიხედვით მიმართებით განსაზღვრება ყველა ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრების წესია. ამ უკანასკნელი მოსაზრებიდან გამოდის: პირველი, რომ ყოველი ფილოსოფიური კატეგორია განისაზღვრება მიმართებით, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. მეორე, ვინც მიმართებას ყოველი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრების წესად მიიჩნევს, მან თვით მიმართება, როგორც დამოუკიდებელი კატეგორია უნდა უარყოს, რადგან პირველ რიგში იგი მიმართებას უშვებს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესად. ხოლო თუ იმას დავუშვებთ, რომ მიმართება დამოუკიდებელი კატეგორიაა და ამავე დროს მიმართება არის ყოველი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრების წესი, მაშინ თვით მიმართების კატეგორიის განსაზღვრება ისევ მიმართებით იქნება განსაზღვრული, რაც წმინდა ტავტოლოგიაა.

არსებობს შეხედულება, რომელიც ამტკიცებს ფილოსოფიური კატეგორიების სისტემაში სხვა სისტემის ცნებათა შემოყვანის წესით კატეგორიათა განსაზღვრებას, რომლებიც ფილოსოფიურ სისტემაში განუსაზღვრელნი იქნებიან. ასეთ მოსაზრებას, განსხვავებით კონკრეტული მეცნიერებებისაგან, ფილოსოფია ვერ მიიღებს თვით ფილოსოფიის, მისი საგნისა და კატეგორიების ბუნების გამო. პირველი, ფილოსოფიური კატეგორიები აბსოლუტურად უზოგადესია, ამიტომ ისინი ვერ დაემყარებიან მათზე ნაკლები ზოგადობის მქონე კატეგორიებს, რომლებიც სხვა სისტემიდან იქნებიან შემოყვანილი. მეორე, ფილოსოფია თავის სისტემაში მყოფი კატეგორიების განსაზღვრებისათვის სხვა სისტემიდან ვერ შემოიყვანს ისეთ კატეგორიებს, რომლებიც თვით ფილოსოფიის სისტემაში არ იქნებიან განსაზღვრული. ფილოსოფიის ყოველი კატეგორია თვით ფილოსოფიური სისტემის შიგნით მოითხოვს განსაზღვრებას, რისთვისაც ფილოსოფია არა თუ რომელიმე სხვა მეცნიერების სისტემიდან მიიღებს კატეგორიებს, არამედ ერთ ფილოსოფიურ თეორიაში, სისტემაში გამოყენებული კატეგორიების შინაარსიც კი შეუთავსებელია სხვა ფილოსოფიური სისტემისათვის.

რაც შეეხება ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრებაში ტავტოლოგიის არსებობის მტკიცებას იმ არგუმენტით, რომ ყოველი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრებისათვის ყოველთვის აუცილებელია რომელიმე მეორე ფილოსოფიური კატეგორიის გამოყენება, ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების ტავტოლოგიურობას ვერ ასაბუთებს. ტავტოლოგია იმ შემთხვევაში გვექნებოდა, რომ განსაზღვრებაში ურთიერთდაპირისპირებული ორი ფილოსოფიური კატეგორიის შინაარსი იგივეობრივი იყოს. მაგრამ ყოველი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრებაში განსხვავებული შინაარსის კატეგორიებია ურთიერთდაპირისპირებული, რის გამოც ტავტოლოგია გამორიცხულია.

რაც შეეხება საერთოდ ცნებისა და მათ შორის ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების შესახებ გამოთქმულ აზრს, რომ განსაზღვრებაში განმსაზღვრელი ნაკლებად ზოგადია, ვიდრე განსასაზღვრი, ანუ განმსაზღვრელი განსასაზღვრში აუცილებლად იგულისხმება და ამიტომ ყოველი განსაზღვრება ტავტოლოგიურია, ანალიზურია, ფაქტიური ვითარების მართებული ახსნა არ არის. მართალია, ყოველი განსასაზღვრი შეიცავს განმსაზღვრელს, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს განსაზღვრების ტავტოლოგიურობა. განსასაზღვრისა და განმსაზღვრელის ნიშანთა მოცულობა განსხვავებულია. განსაზღვრებაში განმსაზღვრელი ვერასოდეს გამოხატავს განსასაზღვრი ცნების ყველა ნიშანს, ამიტომაც ტავტოლოგია გამორიცხულია.

არსებობს შეხედულება, რომ განსაზღვრების დიალექტიკურ-ლოგიკური წესი განსაზღვრების ყველა სხვა წესისაგან განსხვავებულია. ასეთი მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება. განსაზღვრება არის ლოგიკური ოპერაცია, ლოგიკური კი ერთია, არ არსებობს ორგვარი ლოგიკური, იგი არც ლოგიკურად მართლდება. ასევე არ არსებობს არც ფორმალური და დიალექტიკური ცნებები, კატეგორიები. ამგვარადვე არ არსებობს განსაზღვრების ფორმალურ-ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგიკური წესები. როგორც არ არის სწორი ცნების, კატეგორიის ობიექტის დაყოფა განსაზღვრების ფორმალურ და დიალექტიკურ ლოგიკურ სფეროებად, ორგვარ ლოგიკურად, ფორმალურ და დიალექტიკურ ლოგიკურ ცნებებად, კატეგორიებად, ასევე არ არის სწორი განსაზღვრების წესების დაყოფა ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკური განსაზღვრების წესებად.

გარდა მეცნიერთა მცირედი გამონაკლისისა, კატეგორიათა სისტემის აგების აუცილებლობას ყველა მკვლევარი მიუთითებს, თუმცა დღემდე არ შექმნილა ფილოსოფიურ კატეგორიათა სრულყოფილი სისტემა. კატეგორიათა სისტემის აგება დამთავრებული სახით პრინციპულად შეუძლებელიცაა. როგორი სრულყოფილი და ორიგინალური უნდა ჩანდეს კატეგორიათა სისტემა, იგი არასდროს არ არის დამთავრებული ხასიათის, რომელიც ყოველ ეპოქას, შემეცნების განვითარების ყოველ პერიოდს, კატეგორიათა ჩამოყალიბების მთელს ისტორიულ პროცესს ერთნაირად გამოადგეს. ამიტომაც არსებობს კატეგორიათა მრავალი სისტემა, რომელთა არსებობა ფაქტია და დასაშვებიც. თუმცა ეს სისტემები უნდა იყოს ლოგიკური და არა თავისთავისადმი წინააღმდეგობრივი. როგორც აუცილებელია კატეგორიათა სისტემის აგება, ასევე აუცილებელია კატეგორიათა ყოველი სისტემა იყოს ლოგიკური. სისტემატურობა და ლოგიკურობა ყოველი კატეგორიათა სისტემის აუცილებელი ნიშანია.

სხვა ფილოსოფიურ სისტემებიდან რომ არაფერი ვთქვათ, თვით დიალექტიკურ მატერიალიზმში კატეგორიათა განსხვავებული სისტემები არსებობს, რომლებიც ემყარებიან კატეგორიათა განსხვავებულ საშუალებებით აგებას; სახელდობრ, ონტოლოგიურს, გნოსეოლოგიურს, ლოგიკურს. სინამდვილეში კატეგორიათა სისტემის აგების დროს ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ კატეგორიის, როგორც ლოგიკური ცნების ბუნება. კატეგორიათა სისტემის აგების ძიება ობიექტურ სინამდვილეში, ონტოლოგიურში გაუმართლებელია, რადგან იგი კატეგორიათა ონტოლოგიზებამდე მიდის. კატეგორიათა სისტემა უნდა აიგოს ლოგიკური პრინციპით. კატეგორიები ცნებებია, ამიტომაც მათ შორის დამოკიდებულება ცნებების დამოკიდებულებას ნიშნავს. რეალური სინამდვილის, ონტოლოგიურის კავშირი რეალური

კავშირია, კატეგორიათა კავშირი კი ლოგიკური კავშირი, ამიტომაც მათი კანონზომიერება განსხვავებულია. ლოგიკური კავშირის გაიგივება რეალურ კავშირთან ონტოლოგიზმია.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა ლოგიკური პრინციპია მათი პოლარულობა, ურთიერთდამოკიდებულება. ამ ჯგუფის კატეგორიათა სისტემის აგებაც პოლარულობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის არ არის არც მოცულობითი და არც შინაარსეული დაქვემდებარება. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების, როგორც ცნებების, ფეროში უმართებულოა მტკიცება, რომ ერთი კატეგორია შინაარსით იქვემდებარებს მეორეს. ფილოსოფიურ ლიტერატურაში კატეგორიათა სისტემის აგებისათვის აუცილებლად თვლიან კატეგორიათა ერთიმეორისადმი შინაარსისეულ დაქვემდებარებას. ამ პრინციპით კატეგორიათა განსხვავებული ვარიანტებია აგებული. ერთი ნაწილი კატეგორიათა სუბორდინაციას აფუძნებს სუბსტანციურობაზე, ატრიბუტულობაზე; მეორე — სპირალური სუბორდინაციის პრინციპზე; მესამე — შემეცნების განვითარების პრინციპზე. ყველა ვარიანტი არსებითად ერთ პრინციპს ემყარება — სახელდობრ, ფილოსოფიური კატეგორიების ერთიმეორისადმი დაქვემდებარებულობას და ამის საფუძველზე კატეგორიათა სისტემის შექმნას. აღნიშნული პრინციპით კატეგორიათა სისტემის აგება მრავალი ნაკლის მქონეა, მათ შორის — ლოგიკურის.

დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით სინამდვილეს არ შეესაბამება მტკიცება, რომ ესა თუ ის კატეგორია პოტენციურად თავისთავში მრავალ კატეგორიას მოიცავს ჩანასახოვან მდგომარეობაში; ეს საკითხის გაუგებრობაა. არცერთი კატეგორია მეორე კატეგორიას პოტენციურად არ მოიცავს და არც ჩანასახოვან მდგომარეობაშია. კატეგორიებს კი არა აქვთ ჩანასახოვანი და პოტენციური მდგომარეობა, არამედ ამა თუ იმ კატეგორიის შესაბამის სინამდვილეს აქვს შესაძლებლობა სხვაგვარი პოტენციისა და ჩანასახოვანი მდგომარეობისა. მაგალითად, რეალურ სინამდვილეში არსებულ აუცილებლობას აქვს პოტენციური და ჩანასახოვანი მდგომარეობა შემთხვევითობისა, ხოლო რეალურად არსებულ შემთხვევითობას — აუცილებლობად გადაქცევისა. ცნების, კატეგორიის სფეროში ასეთი რამ აზრს მოკლებულია. აუცილებლობის კატეგორია, როგორც ცნება, მხოლოდ აუცილებლობის ასახვაა და მხოლოდ მას მოიცავს თავისთავში. ვინც ასაბუთებს, რომ ესა თუ ის კატეგორია თავისთავში მრავალ სხვა კატეგორიას მოიცავს პოტენციურ, ჩანასახოვან მდგომარეობაშიო, მას კატეგორიის ბუნება ზუსტად იმ მნიშვნელობით ესმის, როგორც იგი არის მოცემული ჰეგელის ონტოლოგიზებული კატეგორიის სისტემაში. მხოლოდ

ონტოლოგიზებულ კატეგორიათა სისტემის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე კატეგორია თავისთავში მოიცავს პოტენციური, ჩანასახოვანი სახით სხვა კატეგორიებს.

არც ის თვალსაზრისია მართებული, რომელიც ამტკიცებს, კატეგორიები ურთიერთში არიან შეჭრილნი და ხასიათდებიან სხვადასხვა კატეგორიების ნიშნებით. არცერთი კატეგორია არ არის მეორეში შეჭრილი. ასეთი ნიშნით ხასიათდება არა კატეგორიები, არამედ მათი შესაბამისი სინამდვილე. რეალურ სინამდვილეში საგნები, მოვლენები ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა მიმართებაში ხასიათდებიან შემთხვევითობით, აუცილებლობით, მიზეზით, შედეგით, შინაარსით, ფორმით და ა. შ. ამდენად ისინი ურთიერთში არიან შეჭრილნი და ერთად არსებობენ. მაგრამ კატეგორიის სფეროში ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ შემთხვევითობის კატეგორია, რომელიც შემთხვევითობას ასახავს, იმავე დროს ხასიათდებოდეს აუცილებლობის, მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმის და სხვა კატეგორიათა ნიშნებით, ან კიდევ მეტი — კატეგორიები იყოს ერთიმეორეში შეჭრილი. ცნების, კატეგორიის სფეროში შემთხვევითობის კატეგორია მხოლოდ შემთხვევითობას გამოთქვამს და მთლიანად გამორიცხავს აუცილებლობას; აუცილებლობის კატეგორიაც მხოლოდ აუცილებლობას გამოთქვამს და მთლიანად გამორიცხავს შემთხვევითობის კატეგორიას. ამიტომაც კატეგორიის სფეროში კატეგორიები არ არიან ურთიერთში შეჭრილი, როგორც ეს დამახასიათებელია მათი შესაბამისი სინამდვილისათვის.

საკითხის გაუგებრობაა მტკიცება, რომ კატეგორიები ერთმანეთთან მკაცრ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არიან. ასეთი რამ გამორიცხულია ცნების, კატეგორიის სფეროში, სადაც არის მხოლოდ ლოგიკური კავშირი, საფუძველ-შედეგის კავშირი; მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მხოლოდ რეალურ სინამდვილეში არსებობს. სხვა კატეგორიებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით მიზეზისა და შედეგის კატეგორიებიც კი ერთმანეთთან მიმართებაში არ არიან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, ვინაიდან ლოგიკურის სფერო ასეთ კავშირს გამორიცხავს. კატეგორიებს შორის მკაცრ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დასაბუთების ცდა არის ლოგიკური კავშირის გაიგივება რეალურ კავშირთან, რაც მრავალი მცდარი მოსაზრების საფუძველია და პრინციპულად მიუღებელი მეცნიერული ფილოსოფიისათვის.

საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში აღიარებულად ითვლება კატეგორიათა ურთიერთში გადასვლა და გამოყვანა. ამ საკითხზე ზოგადი დებულების სახით მოცემულია მტკიცება: ცნებათა დიალექტიკა ყველა ცნების, კატეგორიის, გამონაკლისის გარეშე, ურთიერთგადასვლაში მდგომარეობს. კატეგორიათა სისტემაში კატეგორიათა

ურთიერთგადასვლა წარმოადგენს ძირითადს, არსებითს. კატეგორიათა გამოყვანის შესახებ კი ზოგადი დებულების სახით მოცემულია მტკიცება: დიალექტიკის თვალსაზრისით კატეგორიათა გამოყვანა აუცილებელია, იგი დიალექტიკური ლოგიკის ძირითადი კანონია.

კატეგორიის კატეგორიაში გადასვლა გაგებულია იმ აზრით, რომ ერთი კატეგორია გარკვეულ პირობაში, კავშირში, მიმართებაში გადავა მეორეში; ის, რაც ერთ პირობაში, კავშირში, მიმართებაში არის აუცილებლობა, სხვაში არის შემთხვევითობა და ა. შ. ასეთი რამ კატეგორიის, როგორც ცნების, სფეროში ნამდვილად არასდროს ხდება. აღნიშნული სახის გადასვლები დამახასიათებელია არა კატეგორიის, როგორც ცნების, სფეროში, არამედ რეალურ სინამდვილეში, როცა შემთხვევითობა გადადის აუცილებლობაში და აუცილებლობა შემთხვევითობაში. ზემოაღნიშნული გაგებით კატეგორიის კატეგორიაში გადასვლის მტკიცება მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, რომ ადრე არსებული შემთხვევითობის კატეგორია აუცილებლობის კატეგორია გამხდარიყო და აუცილებლობისა — შემთხვევითობის კატეგორია. მაგრამ სინამდვილეში შემთხვევითობის კატეგორია ყველა მიმართებაში შემთხვევითობის კატეგორიად რჩება და აუცილებლობისა — აუცილებლობის კატეგორიად.

სხვაგვარად — ის, რაც ერთ დროს იყოს შემთხვევითობის კატეგორია, შემდეგში შეუძლებელია გადავიდეს აუცილებლობის კატეგორიაში. შემთხვევითი მოვლენის (რომელიც აუცილებელი გახდა) შესახებ აუცილებლობის კატეგორია არასოდეს გადავა შემთხვევითობის კატეგორიაში. რეალურ სინამდვილეში აუცილებლობა გადადის შემთხვევითობაში, მაგრამ აუცილებლობის კატეგორია, რომელიც არსებულ აუცილებლობაზე იყო გამოთქმული, შემთხვევითობის კატეგორია არ გახდება. აუცილებლობის ცნება აუცილებლობის გამომთქმელია და ის შემთხვევითობის ცნებაში არასოდეს გადავა; ასევე — შემთხვევითობის ცნება შემთხვევითობის გამომთქმელია და ის აუცილებლობის ცნებად არასოდეს იქცევა. შემთხვევითი მოვლენა შემთხვევითობის კატეგორიით გამოითქვა, შემდეგ კი, როცა იგივე მოვლენა აუცილებლობაში გადავიდა, შემთხვევითობის კატეგორია აღარ გამოიყენება, ვინაიდან შემთხვევითი მოვლენა აუცილებლობადაა ქცეული და ამიტომ მას აუცილებლობის კატეგორია გამოთქვამს. ხოლო აუცილებელი მოვლენის მიმართ, რომელიც გარკვეულ პირობებში, მიმართებაში შემთხვევითი გახდა, აუცილებლობის კატეგორია გამოუსადეგარია, ვინაიდან აუცილებელი მოვლენა შემთხვევითადაა გადაქცეული და იგი გამოითქმება არა აუცილებლობის, არამედ შემთხვევითობის კატეგორიით. ამდენად ზემოთ აღნიშნული გაგებით კატეგორიებს შორის ერთიანი გადასვლა არ ხდება. რეალურ სინამდვილეში წყალი გარ-

კვეული პირობის — ტემპერატურის ცვლილების შემდეგ გადადის ორთქლის ან ყინულის მდგომარეობაში, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ წყლის ცნება გადადის ორთქლის ან ყინულის ცნებაში. ასეთივე მდგომარეობაა კატეგორიათა სფეროშიც.

კიდევ მეტი გაუგებრობაა მტკიცება — ყველა ცნება, კატეგორია, გამონაკლისის გარეშე, ერთიმეორეში გადადის. დავუშვათ, რომ სიცოცხლის ცნება გადადის სიკვდილის ცნებაში, მაგრამ სიკვდილის ცნება გადადის სიცოცხლის ცნებაში?! ნუთუ დროის კატეგორია გადადის სივრცის კატეგორიაში და სივრცისა — დროის კატეგორიაში?! კატეგორიები კი არ გადადიან ერთიმეორეში, არამედ მათს შესაბამის რეალურ სინამდვილეში ხდება ურთიერთგადასვლები. კატეგორია რეალურად არ არსებობს, იგი ცნებაა, ამდენად სინამდვილის ასახვა, და ამიტომაც ლოგიკურის კუთვნილებაა. ლოგიკური განსხვავებულია რეალურისაგან, თუმცა, ორივე სინამდვილეა. რეალური მიმართება სხვაა და ლოგიკური მიმართება სხვა. ამიტომაც, ჩვენი აზრით, დიალექტიკური მატერიალიზმისათვის მიუღებელია კატეგორიის კატეგორიაში გადასვლის ზემოაღნიშნული გაგება, ვინაიდან იგი ემყარება ლოგიკურის რეალურთან გაიგივებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვიტყვით, რომ კატეგორიის კატეგორიაში გადასვლის აღნიშნული გაგება ჰეგელის ფილოსოფიაში დასაშვებია და განხორციელებული კიდევაც. ჰეგელისათვის ცნება, კატეგორია ონტოლოგიზებულია, იგი თვითონ არის საგანი და ამდენად მოძრავი და მეტიც — თვითმოძრავი. ლოგიკური გაიგივებულია რეალურთან ონტოლოგიზებული აზრის პრინციპით. ცნებათა, კატეგორიათა ერთიმეორეში გადასვლა ნიშნავს ან მხოლოდ მათი შინაარსის განვითარებას პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებისაკენ და ა. შ., ან მხოლოდ იმას, რომ სინამდვილის უზოგადესი მხარეების გადასვლებს მათი შესაბამისი კატეგორიები გამოთქვამენ.

ასეთია წინამდებარე შესავლის ძირითადი აზრი, რომელიც გაშლილი და დასაბუთებული სახით თვით შრომაშია წარმოდგენილი.

ნაშრომში არსებითად ყურადღება გამახვილებულია კატეგორიის ცნების, კატეგორიათა განსაზღვრების წესისა და კატეგორიათა სისტემის ხგების პრობლემებზე. პირველ ორ საკითხზე ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინ გამოვთქვით გარკვეული მოსაზრება, რომელიც ზოგიერთმა მკვლევარმა გაიზიარა, ხოლო ზოგიერთმა საკამათოდ მიიჩნია იგი.

თავი პირველი

ცნებისა და კატეგორიის ცნების შესახებ

ცნება და კატეგორია — ორივე ცნებაა; ორივეს საერთო გვარია ცნება. ყოველი კატეგორია არის ცნება. ცნებასა და კატეგორიას აქვთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნებიც, რომელთა დადგენით გარკვეული იქნება ცნების ცნებისა და კატეგორიის ცნების შინაარსი, რაც ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამას ადასტურებს მათ შესახებ ისტორიული და დღევანდელი განსხვავებული მოსაზრებანიც.

ცნება და უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია ერთიმეორისაგან განსხვავებულია ასასახი ობიექტით, ზოგადობით, ზოგადობის შინაარსით, მოცულობითი დამოკიდებულებით, განსაზღვრების წესითა და სხვ. მართალია, ორივე ცნებაა, ზოგადობაც ორივესათვის საერთო ატრიბუტული ნიშანია და ზოგიერთი სხვა თვისებაც საერთოა, მაგრამ განსხვავებაც ფაქტია. პირველ რიგში ისინი განსხვავებული არიან ასასახი ობიექტით; ცნებაში ყოველთვის ასახულია ცალკეული საგანი ან საგანთა კლასი, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიაში კი ყოველთვის ასახულია სინამდვილის უზოგადესი მხარე ანუ მატერიალური სამყარო, როგორც მთლიანის უზოგადესი მხარე, როგორიცაა აუცილებლობა, შინაარსი, ფორმა და ა. შ. ასასახი ობიექტის სხვადასხვაობა არის ცნებისა და კატეგორიის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი. მეორე, კატეგორიის ზოგადობა უფრო ზოგადია ვიდრე ცნების ზოგადობა; უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ზოგადობა აბსოლუტური უზოგადესობაა. მესამე, ცნებისა და კატეგორიის ზოგადობისათვის მთავარია არა მხოლოდ ის, თუ რომელია უფრო ზოგადი მათ შორის, არამედ ისიც, რომ ცნებისა და უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ზოგადობა განსხვავებულია. ცნების ზოგადობა არის არსებითი, სპეციფიკური, განმასხვავებელი ნიშნის თუ ნიშანთა ზოგადობა. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ზოგადობა კი არის მასში ასახული სინამდვილის ერთი უზოგადესი მხარის ზოგადობა. მეოთხე, ცნებისა და უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის განმასხვავებელი ნიშანია ისიც, რომ ყოველი ცნება, გარდა ერთეული ცნებებისა, ერთიმეორესთან მოცულობითს დამოკიდებულებაშია,

მაშინ როცა არცერთი უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია ერთიმეორესთან მიმართებაში არ არის მოცულობითს დამოკიდებულებაში. მეხუთე, ცნება და უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია ერთიმეორისაგან განსხვავებულია იმითაც, რომ ყოველი მოცულობითს დამოკიდებულებაში მყოფი ცნების განსაზღვრების წესი და უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესი ერთიმეორისაგან განსხვავებულია. ასეთია ცნებისა და უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებანი. ახლა კი თითოეული მათგანის, ე. ი. ცნებისა და უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ბუნება განვიხილოთ დაწვრილებით.

§ 1. ცნების ცნების შესახებ

ცნების ცნების გარკვევა არის გაგება იმისა, თუ რა არის თვით ცნება, რაც ცნების შინაარსის გაშლა-დადგენით გაიგება. ცნების ძირითადი ნიშნების დადგენით დადგინდება ცნების ცნება. ეს კი საფუძველია ცნებისა და კატეგორიის ცნების ნათლად დადგენისა.

ცნება მრავალი ნიშნით ხასიათდება, მაგრამ ყოველი ცნებისათვის ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანია — ზოგადობა, რომლის გარეშე არ არსებობს ცნება. არ არსებობს არაზოგადი ცნება; ყოველი ცნება ზოგადია; ამ დებულების შებრუნება არ შეიძლება — არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ზოგადი არის ცნება, ისევე, როგორც ყოველი ცნება არის ასახვა, მაგრამ ყოველი ასახვა კი არ არის ცნება. ასახვა არის წარმოდგენაც, მაგრამ იგი არ არის ცნება. ცნების ზოგადობა ისეთი თავისებურების მქონეა, რომელიც მას თვისებრივად განასხვავებს აღქმისა და წარმოდგენისაგან. მართალია, ზოგადობის ნიშანი ახასიათებს აღქმასა და წარმოდგენასაც, მაგრამ მათში ასახული საგნის ზოგადი ნიშანი სრულიად სხვაგვარი ნიშან-თვისების მქონეა, ვიდრე ცნებით ასახული ზოგადი. ცნების ზოგადობა თვისებრივად განსხვავდება აღქმის, წარმოდგენის ზოგადობისაგან.

ცნების აუცილებელი ნიშნები: განსხვავებულობა, სპეციფიკურობა, არსებითობა ხასიათდება ზოგადობით. ყოველი სპეციფიკური, არსებითი ზოგადია; პირიქით კი არ შეიძლება ითქვას — ე. ი. ყოველი ზოგადი არ არის სპეციფიკური, არსებითი. ზოგადია ყოველი ცნება, იქნება იგი ერთეული თუ სხვა სახისა. თვით ცნებაში ასახული ნიშნებია ზოგადი. ზოგადობის ბუნებას მოკლებული ცნება არ არის ცნება, თუნდაც ერთეული, ზოგადია.

ერთეულ ცნებათა არსებობა ხშირად კითხვის ქვეშაა დაყენებული: არის თუ არა ერთეული ცნებები, არსებობენ თუ არა ისინი ნამდვილად, როგორც ცნებები? ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუ-

ხოთ. ერთეულ ცნებათა არსებობის უარყოფა, ანუ არარსებობის აღიარება, — იქნებოდა ცნებათა უდიდესი ნაწილის არსებობის უარყოფა. ცნებათა თეორია, რომელიც უარყოფს ერთეულ ცნებათა არსებობას, უდავოდ, მცდარ მოსაზრებებს ემყარება; მაგალითად, არისტოტელე, ჰეგელი ერთეულ ცნებათა არსებობის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ თეორიისათვის ფაქტის იგნორირება თეორიის სისუსტეზე ლაპარაკობს და არა „მით უარესი ფაქტებისათვის". ამჟამადაც ხშირად უარყოფენ ერთეულ ცნებათა არსებობას, მაგრამ ნუთუ ისეთი ერთეული ცნებები, როგორიცაა: დედამიწის ღერძი, მზის სისტემის ცენტრი, ლოგიკის შემქმნელი და ა. შ. არ არიან ცნებები?! თუ ეს მართლაც ასეა, ე. ი. არ არიან ერთეული ცნებები, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ მხოლოდ ზოგადი ცნებები არსებობენ და არა ერთეული. აქვს რა ეს ზოგიერთს მხედველობაში, წერს, რომ ცნება არის მხოლოდ ის, რაშიც ასახულია ზოგადი, არსებითი ნიშნები; ცნება არ შეიძლება იყოს ის, რომელშიც ასახულია თვისება, რაც ერთ საგანს მიეწერება; არ არსებობენ ცნებები, რომლებშიც ფიქსირებული შინაარსი მხოლოდ ერთ საგანს მიეწერებოდეს.

მტკიცება იმისა, რომ ზოგადი ცნება არის ზოგადობის მქონე, ხოლო ერთეულ ცნებას ზოგადობა აკლია, არ არის მართებული. ერთეული ცნება, რამდენადაც იგი საგნის განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშნების ასახვაა, ზოგადია. თვით ეს განსხვავებულობა, სპეციფიკურობა აძლევს მას ზოგადობასა და საყოველთაობას. ამიტომაც ყოველი ერთეული ცნება ზოგადია. ერთეულ ცნებას ზოგადობის ნიშანი რომ არ ჰქონდეს, ის მართლაც, დაკარგავდა ცნებითს ბუნებრიობას. რა თქმა უნდა, ზოგადობას მოკლებული ცნება არ არის ცნება და ასევე არ იქნება ცნება ერთეული საგნების ამსახველი ცნებებიც, რომ მათ ზოგადობა არ ჰქონდეთ. სხვა საკითხია, თუ როგორია ეს ზოგადობა. არის მეტად ზოგადი და ნაკლებად ზოგადი ცნებები. ამიტომაც მცდარია ერთეულ ცნებათა საწინააღმდეგოდ წამოყენებული ის არგუმენტები, რომლებიც ერთეულ ცნებათა ზოგადობას უარყოფენ. მცდარია ის მოსაზრებაც, რომელიც ერთეული ცნების ზოგადი ბუნების აღიარებას შეუძლებლად თვლის იმიტომ, რომ თითქოს იგი იწვევდეს ზოგადისა და ერთეულის ერთმანეთზე მექანიკურ დაყვანას. აქედან კი ერთ-ერთი მათგანის — ან ზოგადის, ან ერთეულის გაუქმებას. ერთეული ცნება ზოგადია თავისი ბუნებით, მაგრამ თავისი ზოგადობის თავისებურებებით განსხვავებულია ზოგადი ცნების ზოგადობისაგან.

გარდა ზოგადობისა, ყოველი ცნების, იქნება იგი ზოგადი თუ ერთეული, დამახასიათებელი ნიშანი არის ობიექტურობა. არ არსებობს ცნება, თუ იგი ცნებაა და არა წარმოდგენა ან სხვა რამ, რომ არ იყოს ობიექტური. არაობიექტური ცნება არ არსებობს. მაგრამ, მეორე

მხრივ, ეს არ ნიშნავს, თითქოს რაც ობიექტურია, იყოს ცნება. ობიექ-ტურობა ისევე, როგორც ზოგადობა გარდა ცნებისა სხვა რამესაც ახასიათებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ობიექტურობა“ ორი განსხ-ვავებული მნიშვნელობით უნდა იქნეს მოხმარებული, რომელთაგან ცნების ობიექტურობისათვის ერთი გამოდგება. დრო, სივრცე, მიზეზი, შედეგი, მემკვიდრეობა, მიზიდულობა — ობიექტურია, რეალურად არსებული სინამდვილეში, ხოლო დროის, სივრცის, მიზეზის, შედეგის, მემკვიდრეობის, მიზიდულობის ცნებები მათი ასახვაა. როგორც ობი-ექტურია დრო, სივრცე, მიზეზი, შედეგი, მემკვიდრეობა, მიზიდუ-ლობა, ასევე ობიექტურია მათი ამსახველი ცნებები. მაგრამ მათი ეს ობიექტურობა განსხვავდება ერთიმეორისაგან. ის, რომ დრო, სივრცე და ა. შ. ობიექტურად, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არ-სებობს, იქნება „ობიექტურის“ ერთი მნიშვნელობით გაგება. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მათ ამსახველ ცნებებზე, კატეგორიებზე. მართა-ლია, დროის, სივრცის, მიზეზის, შედეგის, მემკვიდრეობის, მიზიდუ-ლობის ცნებები ობიექტურია, ვინაიდან მათი შინაარსი ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ მათი ობიექტურობა არ ნიშნავს ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად მათს არსებობას. ასეთი გაგება ქმნის „ობიექტურის“ მეორე მნიშვნელობას. ამ გაგებით „ობიექტურია“ ყოველი ცნება. ასეთი მნიშვნელობით გაგებული ობიექტურობის ნიშანი ახასიათებს ცნებას, რითაც იგი არსებითად განსხვავდება წარმოდგენისაგან.

ახლა ისმება კითხვა: არის თუ არა აუცილებელი ცნების განსა-ზღვრებაში იყოს ცნების ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, როგორი-ცაა: ზოგადობა, ობიექტურობა. ერთი შეხედვით, უდავოდ აუცილე-ბელია, ისინი იყვნენ ცნების განსაზღვრებაში, ვინაიდან მათ გარეშე არ არსებობს არცერთი ცნება; მაგრამ, მეორე მხრივ, არ არის აუცილებე-ლი განსაზღვრებაში მითითებული იყოს იმაზე, რის გარეშეც არ არსე-ბობს რაიმე განსასაზღვრი. მართალია, ზოგადობა და ობიექტურობა ცნებისათვის ისეთი ნიშანი არ არის, რომ იგი შეიძლება ახასიათებ-დეს ცნებას და შეიძლება არა. უკეთ — იგი არ არის შემთხვევითი ნიშა-ნი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს და შეიძლება არც ჰქონდეს ცნებას. ისინი, როგორც აღვნიშნეთ, ცნების აუცილებელი, დამახასიათებელი ნიშნებია, რომელთა გარეშე ნამდვილად არ არის ცნება. მაგრამ ამავე დროს ობიექტურობა და ზოგადობა ისეთი ნიშნებია, რომლებიც ახა-სიათებს არა მარტო ცნებას, არამედ სხვა მოვლენებსაც, მაგალითად კანონს. კანონის აუცილებელ დამახასიათებელ ნიშნებს, სხვა ნიშნებ-თან ერთად, წარმოადგენს ობიექტურობა და ზოგადობა, რომლებიც კანონის განსაზღვრებაშიც არიან წარმოდგენილი. ასევე ამ ნიშნებით ხასიათდება სხვა მოვლენებიც; ამდენად, ისინი მხოლოდ ცნებისათვის

არ არიან დამახასიათებელი და ამიტომაც მხოლოდ ცნების სპეციფიკურობას ვერ აჩვენებენ. ამიტომაც ცნების განსაზღვრებაში მათი შემოტანა აუცილებელი არ არის. ისე კი ცნების დახასიათებისას საჭიროა ცნება ზოგადობითა და ობიექტურობით, როგორც აუცილებელი ნიშნებით, დახასიათდეს, მაგრამ მათი მითითება ცნების განსაზღვრებაში არ არის საჭირო. ვინაიდან, როგორც ვთქვით, ეს ნიშნები სხვა მოვლენებსაც ახასიათებს და ზოგიერთი სხვა ცნებათა განსაზღვრებისათვის წარმოადგენს უფრო სპეციფიკურს, ვიდრე ცნების განსაზღვრებისათვის.

ცნებები ერთიმეორისაგან განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა ნიშანია მათში ასახული — განმასხვავებელი, სპეციფიკური თუ არსებითი, რადგან იგი არის არა მხოლოდ არსებით ნიშანთა ასახვა, არამედ განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშნების ასახვაც. ცნება ცნებითი ბუნებისაა მაშინაც, როცა იგი არსებითი ნიშნის ასახვას არ წარმოადგენს; უკეთ, მასში არ არის არსებითი ნიშანი, მაგრამ იგი არის სპეციფიკური, განმასხვავებელი ნიშნის ასახვა. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ერთეულ ცნებათა უდიდეს ნაწილში და არა წარმოდგენებში ასახულია განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშნები, რაც მხოლოდ ერთეულ საგანს, მის თვისებას ახასიათებს და არა საერთოდ არსებითი ნიშნები. ცნებაში და არა წარმოდგენაში, ვამბობთ იმიტომ, რომ წარმოდგენაც, უდავოდ, ერთეულის გამომხატველია, რითაც გარეგნულად ძალიან ჰგავს ერთეულ ცნებათა უმრავლესობას, რომლებშიც ასახულია განმასხვავებელი ნიშნები. როგორც ცნობილია, წარმოდგენებიც ასახავენ საგნის თვისებებს, განმასხვავებელ ნიშნებს, მაგრამ წარმოდგენით ასახული ყოველთვის ინდივიდუალური, სუბიექტური და ნებისმიერია; თითოეულ ადამიანს ერთსა და იმავე საგანზე შეიძლება ჰქონდეს უამრავი განსხვავებული წარმოდგენა, რომლებიც არასდროს არ ემთხვევიან მთლიანად ერთიმეორეს. ერთეულ ცნებებში ასახული განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშნები კი წარმოდგენის ასეთი თავისებურებებისაგან არსებითად განსხვავებულია. ერთეული ცნებები, რომლებშიც ასახულია საგნის ერთეული ანუ ინდივიდუალური სპეციფიკურობა, რითაც ერთი საგანი განსხვავდება ყველა სხვა საგნისაგან, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა მეცნიერებისათვის. ერთეულ ცნებაში — „რუსეთის 1905 წლის ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუცია“ ამ საგნის ისეთი ნიშანია ასახული, რითაც იგი განსხვავდება ცნებისაგან — „ბურჟუაზიული რევოლუცია“. ნიშანი „ლოგიკის შემქმნელი“ ეკუთვნის არისტოტელეს — იგი არის სპეციფიკური ნიშანი, რითაც არისტოტელე განსხვავდება ყველა სხვა ადამიანისაგან.

არა მხოლოდ ერთეულ ცნებაშია ასახული განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშანი, არამედ უამრავი ცნება, რომლებიც საგანთა გარკვეულ ჯგუფს ასახავს, დასახელებული ნიშნებით არსებობს როგორც ცნება. მაგალითად, „ადამიანი არის ყურის ბიბილოიანი ცხოველი", როგორც ცნება არსებობს განმასხვავებელი ნიშნის საფუძველზე.

ამგვარად, ჯერ ერთი, ერთეული საგნები ხასიათდებიან ისეთი თვისებებით, რომლითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ერთეული საგნებისაგან. ერთეული საგნის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც ერთეულ ცნებაში არიან ასახული, უდავოდ გათვალისწინებული უნდა იქნენ ცნების განსაზღვრების დროს. მათი უგულვებელყოფა, გამორიცხვა ვიწროს ხდის განსაზღვრებას. მაშასადამე, ერთეული ცნებები განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდებიან. ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ მხოლოდ ერთეული ცნებები ხასიათდებიან ამ ნიშნით; მაგალითად, როგორც ვთქვით, ადამიანი ცხოველისაგან შეიძლება განვასხვავოთ ისეთი ნიშნით, როგორიცაა ყურის ბიბილო, ტუჩის ღარი. ეს ნიშნები განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშნებია. მაგრამ იგი არ არის ერთეული საგნის ნიშნები და ცნება. ერთეულ ცნებაში ასახული განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშანი მას აძლევს ცნებითი ბუნების ხასიათს, ამ ნიშნებით არიან ისინი ცნება და არა წარმოდგენა. შეიძლება თქვან — წარმოდგენაც ასახავს განმასხვავებელ ნიშანსო, და ეს ასეც არის ხშირად, მაგრამ წარმოდგენაში ასახული განმასხვავებელი ნიშანი, როგორიც უნდა იყოს იგი, ყოველთვის სუბიექტური ხასიათისაა; წარმოდგენა, როგორი ზოგადიც უნდა იყოს, ინდივიდუალურია, ვიღაცის წარმოდგენაა, სადაც წარმოდგენილი ყოველთვის სუბიექტური ნიშნითაა აღბეჭდილი.

თუ ცნებათა ერთ ნაწილში ასახულია სპეციფიკური, განმასხვავებელი ნიშნები, ამათგან განსხვავებით არის ისეთი ცნებებიც, რომლებშიაც ასახულია არსებითი ნიშანი ან ნიშნები. ამ შემთხვევაში ცნებას ცნებითი ბუნება აქვს მისი არსებითი ნიშნით ან ნიშნებით. მაგ. ადამიანის ცნებაში „ადამიანი არის ირაღის მკეთებელი ცხოველი" არსებითი ნიშანია ასახული. ცნება აქ ამ არსებით ნიშანთა ცნებაა. ვ. ი. ლენინის მიერ განსაზღვრულ კლასების ცნებაში კლასების ოთხი არსებითი ნიშანია ასახული, რომელთა ერთობლიობაც იძლევა ცნებას. მაშასადამე, კლასების ცნებაში რომელიმე ერთი არსებითი ნიშანი კი არ გვაძლევს კლასების ცნებას, არამედ ოთხივე არსებითი ნიშნის ერთობლიობა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ყოველი ცნება არ ასახავს არსებით ნიშანს, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი მაინც არიან ცნებები. ცნებას ცნებითს ბუნებას აძლევს განმასხვავებელი, სპეციფიკური, არსებითი ნიშანი ან ნიშნები. ცნება მაშინ არის ცნება, თუ მასში ასა-

ზულია ან განმასხვავებელი, ან სპეციფიკური, ან არსებითი ნიშანი ან ნიშნები, სხვაგვარად ის არ იქნება ცნება.

ზემოთ მოკლედ დავახასიათეთ ცნების ნიშნები. ამის შემდეგ კანონზომიერად დაისმის კითხვა: რა არის ცნება? ამ კითხვაზე შეიძლება პასუხი იქნეს გაცემული ცნების განსაზღვრაში ცნებისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშანთა ჩვენებით. მაგრამ სანამ ეს შესრულდებოდეს, უნდა განვიხილოთ ის ძირითადი განსაზღვრანიც, რომელნიც არსებობენ ცნებაზე. თუ რა არის ცნება, როგორ უნდა იქნეს იგი განსაზღვრული, განსხვავებული პასუხები არსებობს. ცნების აღიარებული განსაზღვრება ძირითადად შემდეგია: ცნება არის საგანთა არსებითი ნიშნების ასახვა; ცნება არის აზრი საგანზე, რომელშიც ასახულია რეალურად არსებული საგანთა არსებითი ნიშნები; ცნება არის აზროვნების ფორმა, რომელშიაც ასახული და ფიქსირებულია ობიექტურად არსებული სინამდვილის საგანთა და მოვლენათა არსებითი ნიშნები; ცნება არის აზრი, რომელიც ასახავს საგნის არსებით ნიშნებს; ცნება არის აზრი, რომელიც საგნის ან საგანთა ჯგუფის არსებით ნიშნებს ასახავს; ცნება არის რეალურად არსებული საგანთა არსებითი ნიშნების ასახვა.

აღნიშნულ განსაზღვრებათა შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი ცნების ვიწრო განსაზღვრებას წარმოადგენენ. ასეთი განსაზღვრებით რიგი ცნებებისა განსაზღვრების გარეთ რჩება. განსაზღვრებათა ერთ ნაწილში იმაზეა მითითებული, რომ ცნებაში ასახულია *რ ე ა ლ უ რ ა ღ ა რ ს ე ბ უ ლ ს ა გ ა ნ თ ა* არსებითი ნიშნები, *ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ს ა გ ა ნ თ ა* არსებითი ნიშნები. ცნების განსაზღვრებაში აღნიშნულ არსებით ნიშანთა მითითებით განსაზღვრების გარეშე რჩება ცნებათა დიდი ჯგუფი, უპირველეს ყოვლისა, ცნებათა ის დიდი კლასი, რომელიც წოდებულია ცარიელი კლასის ცნებებად; მათ ხომ არაფერი არ შეესაბამებათ რეალურად არსებული საგნებიდან. ფაქტია, რომ არსებობენ ცნებები, რომლებსაც რეალურ სინამდვილეში არაფერი შეესაბამება. მაგალითად, „პეგასი", „კენტავრი", „საფრანგეთის ახლანდელი მეფე" და ა. შ. აღნიშნული განსაზღვრება ასეთი ცნებების არსებობას არ გულისხმობს, ვერ ითვალისწინებს. ისინი ვერ ითვალისწინებენ ისეთ ცნებებსაც, რომლებსაც განსაზღვრულ პერიოდში შესაბამისი საგანი არ გააჩნიათ. მათში არ იგულისხმება აგრეთვე ცნებები იდეალურ მოვლენებზე — იდეალური მოვლენები ხომ მატერიალურად არ არსებობენ. ამიტომაც ამ მიმართებით ცნების აღნიშნული განსაზღვრებანი უდავოდ ვიწროა და წარმოგვიდგენენ სიმართლის მხოლოდ ნაწილს, მაგრამ არა მთელ სიმართლეს, რის გამოც არ არიან, როგორც ცნების განსაზღვრებები, ზუსტნი. ერთი სახის თუ ჯგუფის ცნებათა შესახებ, მართალია, ითქმის, რომ ისინი ობიექტუ-

რად არსებულ, რეალურად არსებულ საგანთა ასახვაა, მაგრამ ეს მხოლოდ ცნებათა განსაზღვრულ ნაწილს ეხება და არა ყველა ცნებას; ცნების განსაზღვრების დროს კი ყოველი სახის ცნება უნდა გვქონდეს მხედველობაში. ცნების განსაზღვრება, რომელიც ცნების რომელიმე ერთ სახეს აკმაყოფილებს და არა ყოველ ცნებას, ვიწროა. ამიტომაც უფრო ზუსტი იქნება განსაზღვრებაში „რეალურად არსებულ", „ობიექტურად არსებულ საგანთა" ნაცვლად სხვა გამოთქმა ვიხმაროთ. ასეთია სინამდვილის საგანი, მაგრამ ერთი შენიშვნით: ამ შემთხვევაში საგნის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ საგანი არა ვიწრო მნიშვნელობით, არა მხოლოდ როგორც რეალურად, მატერიალურად არსებული, არამედ საგანი როგორც ლოგიკური, ფართო მნიშვნელობით. ყველაფერი ის, რაც შემეცნების ობიექტია, რაზედაც აზრი გამოითქმის, არის საგანი. „ლოგიკურად, საგანი არის ყველაფერი, რაზედაც აზრი გამოითქმის. აზრი საგნის გამოთქმაა და ამიტომ ყოველ აზრს აქვს საგანი". საგნის მნიშვნელობის ასეთი გაგებით შესაძლებელია ცნების განსაზღვრებაში ვიხმაროთ „საგანი". საგნის მნიშვნელობის ყოველი სხვაგვარი გაგება ვიწრო იქნებოდა.

რაც შეეხება განსაზღვრებას — „ცნება არის ს ა გ ნ ი ს, ან ს ა-გ ა ნ თ ა ჯ გ უ ფ ი ს არსებითი ნიშნების ასახვა", თუ ამ განსაზღვრებაში საგნის ან საგანთა ჯგუფის ქვეშ იგულისხმება აზრის საგანი, შემეცნების საგანი და არა მხოლოდ რეალურად არსებული საგანი, მაშინ მართებულია, მაგრამ მაინც ვიწროა განსაზღვრება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაზღვრებანი — „ცნება არის რ ე ა ლ უ რ ა დ ა რ ს ე ბ უ ლ ს ა გ ა ნ თ ა, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ა რ-ს ე ბ უ ლ ს ა გ ა ნ თ ა ა რ ს ე ბ ი თ ი ნ ი შ ნ ე ბ ი ს ასახვა" — ვიწროა იმ აზრითაც, რომ ცნება ასახავს არა მხოლოდ რეალურად არსებულ, ობიექტურად არსებულ საგანს ან საგნებს, არამედ საგნის ან საგანთა თვისებებს, მიმართებებს. ისეთი ცნებები, როგორიცაა: „მამაცობა", „გმირობა", „თეთრი", „შავი", „ცივი" საგნის თვისებების ასახვაა. ასევე ცნებები, როგორიცაა: „მეტი", „ნაკლები", საგანთა მიმართებების გამომხატველია. ამგვარად, აღნიშნულ განსაზღვრებათა მიხედვით ცნების განსაზღვრების გარეთ რჩებიან აგრეთვე თვისებათა, მიმართებათა გამომხატველი ცნებებიც, სულ სხვა ცნებაა „მამაცი ადამიანი", ეს იქნება კონკრეტული ცნება, რომელსაც გარკვეული საგანი შეესაბამება, სახელდობრ, მამაცი ადამიანი.

შემდეგ, ცნების თითქმის ყველა ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებაში აღნიშნულია, რომ ცნება არის... ა რ ს ე ბ ი თ ი ნიშნის ან ნიშნების ასახვა. ცნების მხოლოდ არსებითი ნიშნის (ნიშნების) ასახვით დახასიათება ისევ მეტად ვიწროა. ასეთი განსაზღვრების დროს მთელი რიგი ცნებებისა გარეთ რჩება. უპირველეს ყოვლისა, ცნებათა ისეთი

დიდი ჯგუფი, როგორიცაა ერთეული ცნებები, რომლებშიც ინდივიდუალური თვისებებია ასახული. ერთეულ ცნებაში ასახულია მხოლოდ ამ ცნების შესაბამისი საგნის, მისი თვისების სპეციფიკური, განმასხვავებელი ნიშანი, რაც მხოლოდ ერთ საგანს, მის თვისებებს ახასიათებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც კი განვასხვავებდით ამ ერთეულ საგანს სხვა ერთეული საგნის ცნებისაგან. სპეციფიკური, განმასხვავებელი ნიშანი ზოგად ცნებაშიც კი არის ასახული, მაგრამ იქ სპეციფიკურობა, განმასხვავებელი ნიშანი საგანთა გარკვეული ჯგუფისათვის, კლასისათვის საერთოა. მაშასადამე, როგორც ერთეული, ასევე ზოგადი ცნებები, რომლებშიც ასახულია სპეციფიკური, განმასხვავებელი ნიშნები, განსაზღვრების ცნება არის... არსებითი ნიშნების ასახვა კი გარეთ რჩება. მართალია, ცნებათა განსაზღვრული ნაწილი ნამდვილად არის არსებითი ნიშნების ასახვა და როგორც ცნება ამ ნიშნით არსებობს, მაგრამ ცნებათა ყველა სახეზე მისი გავრცელება არ შეიძლება. ის, რაც ცნებათა ერთი სახისათვისაა დამახასიათებელი, არ შეიძლება გავრცელდეს ცნებათა სხვა სახეზე. მაგ., ცნებებია: „ადამიანი არის ყურის ბიბილოიანი ცხოველი", „ადამინი არის ტუჩის ღარის მქონე ცხოველი". აღნიშნული ცნებები არ ასახავენ არსებით ნიშნებს, მაგრამ მათი უარყოფა, როგორც ცნებისა, მცდარი იქნებოდა. ისინი ისეთი ცნებებია, რომლებშიც ასახულია განმასხვავებელი, სპეციფიკური და არა არსებითი ნიშნები. ამიტომაც ცნების განსაზღვრებაში მითითება, რომ ცნება არის... არსებითი ნიშნების ასახვა, ცნების განსაზღვრებას მეტისმეტად ვიწროს ხდის.

ამგვარად, ცნების ზემოდასახელებული განსაზღვრებანი მეტად ვიწრონი არიან. ისინი ცნების განსაზღვრების ობიექტში შემავალ მრავალი სახის ცნებას არ მოიცავენ, განსაზღვრებების გარეთ ტოვებენ მათ. მაგ., ნულოვანი კლასის ცნებებს, ერთეულ და ზოგად ცნებებს, რომლებშიც ასახულია განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშნები, თვისებების, მიმართებების გამომხატველ ცნებებს. ეს კი ცნებათა დიდ ნაწილს შეადგენს. ცნების სრულყოფილმა განსაზღვრებამ ცნებათა ეს სახეებიც უნდა მოიცვას. ეს რომ შესრულდეს, ამისათვის უდავოდ საჭიროა ცნების სხვაგვარი განსაზღვრება. ცნების სრულყოფილი განსაზღვრება უნდა ემყარებოდეს ცნებისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს; უკეთ, იმ ნიშნებს, რომლებიც განსხვავებულ ცნებებში განსხვავებულადაა ასახული. ცნებათა განსხვავებული სახისათვის დამახასიათებელ აუცილებელ და განმასხვავებელ ძირითად ნიშანთა ერთობლიობა იქნება ცნების განსაზღვრება.

ცნების განსაზღვრებაში აუცილებელია იყოს არსებითი, სპეციფიკური, განმასხვავებელი. არსებითი და სპეციფიკური განსხვავებულია ერთიმეორისაგან თავიანთი მნიშვნელობით. მართალია, ყველა არსე-

ბითი ნიშანი სპეციფიკურია, მაგრამ ყველა სპეციფიკური არ არის არსებითი. „ადამიანი იარაღის მკეთებელი ცხოველია“ ეს არსებითი ნიშანია და ამავე დროს სპეციფიკურიც. მაგრამ ცნებაში „ლოგიკის შემქმნელი“ (არისტოტელე) ასახულია სპეციფიკური ნიშანი, მაგრამ იგი არსებითი ნიშანი არ არის. ამგვარად, ცნება არის ასახვა როგორც არსებითი, ასევე სპეციფიკური ნიშნისა, რომელიც არ არის არსებითი. არსებობენ ცნებები, რომლებშიც ასახულია არსებითი სპეციფიკური ნიშანი და სპეციფიკური ნიშანიც. ამის გამო, ცნების განსაზღვრაში ერთიც უნდა იყოს და მეორეც.

იგივე უნდა ითქვას განმასხვავებელი ნიშნის შესახებაც. არსებითი ნიშანი არის განმასხვავებელი და, რა თქმა უნდა, სპეციფიკური ნიშანიც არის განმასხვავებელი, მაგრამ ყოველი განმასხვავებელი ნიშანი არ არის სპეციფიკური და, მით უმეტეს, არსებითი ნიშანი. მაგ., „ადამიანი არის ყურის ბიბილოიანი ცხოველი“ — აქ ადამიანი ცხოველისაგან განმასხვავებელი ნიშნითაა განსხვავებული, მაგრამ იგი არ არის არსებითი ნიშანი. მაშასადამე, ყოველი განმასხვავებელი ნიშანი არ არის არსებითი, ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშანი არის არსებითი ნიშანიც. ყოველივე ამის გამო, ცნების განსაზღვრებაში აუცილებელია იყოს განმასხვავებელი ნიშანიც. კიდევ მეტი, ცნების განსაზღვრებაში განმასხვავებელი ნიშნის შემოტანის აუცილებლობას მოითხოვს უარყოფითი ცნებები. უარყოფით ცნებათა უმრავლესობაში განმასხვავებელი ნიშნებია ასახული. განმასხვავებელი ნიშანი უარყოფით ცნებაშია ყველაზე უფრო წინა პლანზეა წამოწეული.

ცნების განსაზღვრებაში არსებითი, სპეციფიკური, განმასხვავებელი უდავოდ აუცილებელია; თითოეული განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა. ვიწრო იქნებოდა ცნების განსაზღვრება, თუ რომელიმე მათგანს გამოვტოვებდით. არსებითი ნიშანი ისევე აუცილებელია იყოს ცნების განსაზღვრებაში, როგორც სპეციფიკური, და სპეციფიკური ისევე აუცილებელია, როგორც არსებითი; ასევე განმასხვავებელი ნიშანი ისევე აუცილებელია როგორც არსებითი და სპეციფიკური. იმის გამო, რომ ცნების განსაზღვრებაში თითოეული განსხვავებულ მნიშვნელობას ასრულებს, რომელიმე მათგანის ან გამოტოვება, ან მეორის მნიშვნელობასთან გაიგივება უდავოდ შეცდომა იქნება.

ცნების განსაზღვრებაში აუცილებელია აგრეთვე „საგანი“, მაგრამ იგი მხოლოდ იმ მნიშვნელობით უნდა იქნეს მოხმარებული, როგორც აზროვნების საგანი. ცნებისათვის სრულიად განურჩეველია, თუ როგორი საგანი იქნება მასში ასახული.

ზემოთ ვთქვით, რომ ცნება არის თვისებების, მიმართებების ასახვა. ამის გამო დაისმის კითხვა: „საჭიროა თუ არა ცნების განსაზღვრებაში იყოს „თვისებები“, „მიმართებები“? ერთი შეხედვით ისინი

აუცილებლად უნდა იყოს ცნების განსაზღვრებაში, ვინაიდან თვისებათა და მიმართებათა გამომხატველი ცნებები ნამდვილად არსებობენ, ხოლო, თუ მათ ცნების განსაზღვრების გარეთ დავტოვებთ, მაშინ ცნების განსაზღვრება ვიწრო იქნება. მაგრამ ეს მაშინ, თუ ცნების განსაზღვრაში „საგანი" გაგებული იქნება მხოლოდ რეალურად, ობიექტურად არსებულის მნიშვნელობით. ასეთად გაგებული „საგანი" ნამდვილად მოითხოვს ცნების განსაზღვრებაში თვისებების, მიმართებების აღნიშვნასაც, ვინაიდან ისინი თვითონ კი არ არიან საგნები, არამედ საგნების თვისებები და მიმართებები არიან საგანთა შორის.

ცნების განსაზღვრებაში თვისებების, მიმართებების შემოტანა ნამდვილად არ არის საჭირო, თუკი საგანი გაგებული იქნება ფართო მნიშვნელობით, ე. ი. როგორც ლოგიკური საგანი, რომელზედაც რაიმე აზრი გამოითქმის, რომელიც შემეცნების ობიექტია. ასეთი გაგებით საგანი იქნება თვისებები და მიმართებებიც, ვინაიდან მათზე აზრი გამოითქმის, შემეცნების ობიექტებია, ამდენად ისინი შემეცნების საგნებია.

ზემოთ თქმულის საფუძველზე ცნება განისაზღვრება ასე: ცნება არის საგნის არსებითი, სპეციფიკური, განმასხვავებელი ნიშნების ასახვა. ეს არის ცნების ცნება.

§ 2. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნება

1. ყოველი კატეგორია არის ცნება, მაგრამ არა ყოველი ცნება, არამედ მხოლოდ ზოგიერთი ცნებაა კატეგორია. აქედან მხოლოდ ზოგიერთი ცნებაა ფილოსოფიური კატეგორია. კიდევ უფრო ზუსტად — მხოლოდ ზოგიერთი ფილოსოფიური კატეგორიაა უზოგადესი. ამ უკანასკნელის მიხედვით ვამბობთ, რომ კატეგორია არის უზოგადესი ცნება. მხოლოდ მას აქვს უზოგადესი ზოგადობა აბსოლუტური უზოგადესობის მნიშვნელობით. კატეგორიის განსაზღვრებაში სწორედ ეს აბსოლუტური უზოგადესობაა ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი, რითაც ხასიათდება უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები და არა საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიები. არ შეიძლება ზოგადი დებულების სახით ითქვას, რომ ყოველი ფილოსოფიური კატეგორია აბსოლუტურად უზოგადესია. გარდა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიებისა, არის ისეთი ფილოსოფიური კატეგორიებიც, რომლებსაც მათზე უზოგადესი გვარი გააჩნიათ. მაგალითად, ასახვის, ჭეშმარიტების და სხვ. კატეგორიები ფილოსოფიური კატეგორიებია, მაგრამ არა უზოგადესი. უდავოა, რომ ჭეშმარიტება ფილოსოფიური კატეგორიაა. მაგრამ მას უფრო უზოგადესი გვარი გააჩნია. ფილოსოფიური კატეგო-

რიები მოცულობით ზოგადობის მხრივ ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე მცდარია მტკიცება: ყველა ფილოსოფიური კატეგორია უზოგადესია და არც ერთ ფილოსოფიურ კატეგორიას არა აქვს მასზე უფრო უზოგადესი გვარი. ზოგადობით უზოგადესობა აბსოლუტური მნიშვნელობით ყველა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიას განასხვავებს სხვა კატეგორიათა უზოგადესობისაგან. ამიტომაც კატეგორიის ცნების ცნობილი განსაზღვრება — კატეგორია არის უზოგადესი ცნება — უშუალოდ ეხება არა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს, არამედ კატეგორიის ცნებას. რა თქმა უნდა, ყოველი კატეგორია ზოგადია. კატეგორიის ზოგადობა კი უზოგადესი ზოგადობაა, მაგრამ ეს უზოგადესი ზოგადობაც შეფარდებითი მნიშვნელობისაა: მაგალითად, სინამდვილის მხოლოდ რომელიმე ერთი სფეროს გამომხატველ კატეგორიებზე ვამბობთ, რომ ისინი უზოგადესია. ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები უზოგადესია გარკვეული სინამდვილის მიმართ; ასევე გარკვეული სინამდვილის მიმართ უზოგადესია პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებიც, ყოველ მეცნიერებას აქვს თავისი კატეგორია, რომელიც მის სფეროშია უზოგადესი, მაგრამ კონკრეტულ მეცნიერებათა არც ერთი კატეგორია და თვით მრავალი ფილოსოფიური კატეგორიაც არ არის უზოგადესი აბსოლუტური მნიშვნელობით. უზოგადესის ცნება აბსოლუტური უზოგადესობის გარეშე არ არის უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა შესატყვისი. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ განსაზღვრება — კატეგორია არის უზოგადესი ცნება — გამოადგება როგორც ფილოსოფიის, ასევე ყველა სხვა მეცნიერების კატეგორიას. ამიტომაც არისტოტელეს მიერ მოცემული აღნიშნული განსაზღვრება ვერ აჩვენებს უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ბუნებას. მართალია, მიუთითებენ იმაზე, რომ არისტოტელეს კატეგორიის აღნიშნულ განსაზღვრებაში ესმოდა მხოლოდ ფილოსოფიური კატეგორიებიო, მაგრამ ეს მოცემულ განსაზღვრებაში არ ჩანს და თანაც ცნობილია, რომ, არისტოტელე თავის „კატეგორიებში" ჩამოთვლის ათ კატეგორიას, რომელთაგან ზოგიერთი სრულიადაც არ არის უზოგადესი ფილოსოფიური. ამდენად, კატეგორიის ცნების განსაზღვრება — კატეგორია არის უზოგადესი ცნება — სწორია და მისაღები საერთოდ კატეგორიებისათვის, მაგრამ იგი ვერ აჩვენებს უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა სპეციფიკურობას და მათ მიმართებას ასასახ ობიექტთან. ამიტომაც საჭიროა მისი განსაზღვრება ამ მიმართებითაც, სხვაგვარად — ასასახ ობიექტთან მიმართებაში ნაჩვენები უნდა იქნეს, თუ რა არის ის სპეციფიკური, რაც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს განასხვავებს ყველა სხვა კატეგორიისაგან.

2. მეცნიერებათა კატეგორიების განსხვავებულობის საფუძველი თვით ამ მეცნიერებათა საგნის განსხვავებაში უნდა ვეძიოთ. სხვაგვარად, მეცნიერებათა კატეგორიებს ერთმანეთისაგან განასხვავებს თვით მეცნიერებათა საგანი. განსხვავებულ მეცნიერებათა საგანი განსხვავებულ მეცნიერებათა კატეგორიებს ქმნის. ცალკეულ მეცნიერებათა კატეგორიები თვით ამ მეცნიერებათა საგნის უზოგადესი მხარეების გამოთქმული ცნებებია. ამ დებულების დასაბუთება ცხადყოფს კატეგორიათა განსხვავებულობას მეცნიერებათა საგნის მიხედვით. მაგალითისათვის მივმართოთ ისეთ საზოგადოებრივ მეცნიერებებს, როგორიცაა ისტორიული მატერიალიზმი და პოლიტიკური ეკონომია. აღნიშნულ მეცნიერებათა ობიექტია საზოგადოება, საზოგადოებრივი მოვლენები, მაგრამ ამ ერთ ობიექტში — საზოგადოებაში მათი საგანი განსხვავებულია. ეს განსხვავებული საგანი ქმნის განსხვავებულ მეცნიერებებს, განსხვავებულ მეცნიერებათა კატეგორიებს.

საზოგადოებრივ მეცნიერებებს, რომლებიც ერთმანეთისაგან თავიანთი საგნით განსხვავდებიან, განსხვავებული და თავიანთი საგნის შესაბამისი კატეგორიები აქვთ. მაგალითად, ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები ასახავენ მხოლოდ საზოგადოების, როგორც მთლიანის, უზოგადეს მხარეებს და არა სამყაროს, როგორც მთლიანის უზოგადეს მხარეებს. მაგალითად, ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები: საზოგადოებრივი ყოფიერების, საზოგადოებრივი ცნობიერების, ბაზისის, ზედნაშენისა და სხვა, სამყაროს, როგორც მთლიანის, უზოგადეს მხარეებს კი არა, სინამდვილის ერთი ნაწილის — საზოგადოების უზოგადეს მხარეებს ასახავენ. ამიტომაც ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები უზოგადესია სინამდვილის მხოლოდ ერთი განსაზღვრული სფეროს და არა მთელი სინამდვილის მიმართ.

პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები საზოგადოების უზოგადეს მხარეებს კი არ ასახავენ, არამედ საზოგადოების ერთ-ერთი სფეროს უზოგადეს მხარეს. სახელდობრ, პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებში ასახულია საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა უზოგადესი მხარეები. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები მხოლოდ წარმოებით ურთიერთობათა თეორიული გამოხატულებანი არიან. თქმა იმისა, რომ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები მხოლოდ წარმოებით ურთიერთობათა თეორიული გამოხატულებაა, ცხადად მიუთითებს, რომ ისინი საერთოდ საზოგადოების უზოგადეს მხარეს კი არ გამოხატავენ, არამედ საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა უზოგადეს მხარეებს; მეორე, აღნიშნული განსაზღვრებით გარკვევითაა ნაჩვენები პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა სპეციფიკურობა განსხვავებით საერთოდ კატეგორიებისაგან. სწორედ ასევე, საერთოდ კატეგორიებისაგან განსხვავებით,

უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებსაც აქვთ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი.

3. თუ კონკრეტულ მეცნიერებათა კატეგორიებში მათი საგნის შესაბამისად ასახულია ან მხოლოდ ბუნების, ან მხოლოდ საზოგადოების, ან მხოლოდ აზროვნების უზოგადესი მხარეები, ან კონკრეტულ მეცნიერებათა კატეგორიებში ასახულია ბუნების ან საზოგადოების რომელიმე სფეროს უზოგადესი მხარეები, ამათგან განსხვავებით, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში ასახულია სამყაროს როგორც მთლიანის, ანუ მთელი სინამდვილის უზოგადესი მხარეები.

უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში ასახულია სამყაროს, როგორც მთლიანის, ერთი რომელიმე უზოგადესი მხარე. მაგალითად, მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმისა და ა. შ. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში ასახულია სამყაროს, სინამდვილის არა რომელიმე ერთი სფეროს უზოგადესი მხარეები, არამედ სამყაროს, როგორც მთლიანის, უზოგადესი მხარეები. არსებითი განსხვავება უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ზოგად, კერძოობით კატეგორიებს შორის ის არის, რომ ეს უკანასკნელნი ვერ ასახავენ სამყაროს უზოგადეს მხარეებს, რომლებიც აბსოლუტურად უზოგადესი მხარეებია. ეს აბსოლუტურად უზოგადესი მხარეებია ასახული აბსოლუტურად უზოგადეს, ანუ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში.

თითოეულ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიაში ის უზოგადესი მხარეა ასახული, რომელიც სამყაროს, როგორც მთლიანის, ყველა სფეროს ეხება. მაგალითად, შინაარსის კატეგორია ასახავს იმ უზოგადეს მხარეს, რომ ყოველი საგნის, მოვლენის ერთი უზოგადესი მხარე შინაარსია; შინაარსის გარეშე არ არსებობს არც ერთი საგანი, მოვლენა. ფორმის კატეგორია ასახავს იმ უზოგადეს მხარეს, რომლის გარეშე არ არსებობს არცერთი საგანი, მოვლენა; ფორმა არის ყოველი საგნის, მოვლენის ერთი უზოგადესი მხარე. არსების კატეგორია ასახავს სინამდვილის იმ უზოგადეს მხარეს, რომ ყოველ საგანს, ყოველ მოვლენას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, გააჩნია ერთი უზოგადესი მხარე, არსება. იგივე ითქმის ყველა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიაზე, რომლებიც სინამდვილეს ასახავენ მხოლოდ ერთი მხრით: შინაარსის კატეგორია შინაარსის მხრით, ფორმის კატეგორია ფორმის მხრით და ა. შ. ამგვარად, უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები სამყაროს, როგორც მთლიანის, უზოგადესი ასახვაა.

უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები, როგორც ვთქვით, არის აბსოლუტურად უზოგადესი ცნებები. ამ ნიშნით კატეგორიათა ეს ჯგუფი განსხვავებულია სხვა კატეგორიისაგან. ამის გამოც მტკიცება, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიებისათვის საერთოდ

დამახასიათებელია უზოგადესობა (უზოგადესობა გაგებულია აბსოლუ-ტური მნიშვნელობით), არ არის მართებული, ვინაიდან არის მრავალი ფილოსოფიური კატეგორია, რომელიც აბსოლუტურად უზოგადესი არ არის; მაგალითად, ასახვა, ჭეშმარიტება და სხვ.

უზოგადესის ცნება აბსოლუტურად უზოგადესის მნიშვნელობით არის მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა დამახასიათებელი ნიშანი. ამიტომაც ეს ნიშანი არ ვრცელდება კატეგორიათა სხვა ჯგუ-ფებზე, იქნება იგი კერძო მეცნიერებათა თუ ზოგიერთი ფილოსოფი-ური კატეგორიაც. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, არ არის მარ-თებული, რომ აბსოლუტური უზოგადესობის ნიშანი კერძო (სპეცია-ლურ) მეცნიერებათა კატეგორიების მიმართაც ძალაშია და ამიტომ იგი ვერ იქნება საკმაო საფუძველი ფილოსოფიის კატეგორიათა სპე-ციფიკის დაფუძნებისათვის.

არსებობს შეხედულება, ამჟამად მეტად გავრცელებულიც, რომ ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრებას უზოგადესობის ნიშ-ნით მთელ რიგ სიძნელეებამდე მივყავართ. პირველი, ყველა ფილო-სოფიური ცნება არ არის კატეგორია და მეორე, მეტად ძნელი იქნე-ბა გამოვყოთ ფილოსოფიური კატეგორიები კერძო მეცნიერებათა უზოგადესი ცნებებისაგან, განსაკუთრებით ზოგადმეცნიერული ცნე-ბებისა და მრავალი მათემატიკური თუ ფიზიკის ცნებისაგან, რომლებ-საც აქვთ უზოგადესობის ნიშანი. ამიტომაც გარდა უზოგადესობისა ეძებენ ნიშანს ან ნიშნებს, რომელთა შედეგად შეიძლება მონახული იქნეს არა მარტო აუცილებელი, არამედ საკმარისი პირობაც იმისა, რომ მოცემული ცნება არის უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია და არა რომელიმე ზოგადმეცნიერული ცნება, ან რომელიმე კერძო მეცნიერებათა ცნება.

უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ცნების განსაზღვრებისას მტკიცება: უზოგადესობის ნიშნით დახასიათება არ არის საკმარისი ნიშანი სხვა მეცნიერებათა კატეგორიებისაგან განსასხვავებლად და თვით ფილოსოფიურ კატეგორიათა ერთიმეორისაგან განსასხვავებლა-დაც — სინამდვილეს არ შეეფერება.

მტკიცება იმისა, რომ თუ კატეგორიას განვსაზღვრავთ უზოგადე-სობის ნიშნით, მაშინ შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ ყველა ფილოსო-ფიური ცნება არის კატეგორია, არ არის მართებული. ასეთი გაგება მიუღებელია, ვინაიდან უზოგადესობის ნიშანი ეხება არა საერთოდ ყველა ფილოსოფიურ კატეგორიას, არამედ ზოგიერთ ფილოსოფიურ კატეგორიას, რომელიც სინამდვილის უზოგადესი მხარის ამსახველია. მაგრამ ფაქტია, რომ ყველა ფილოსოფიური კატეგორია კი არ ასა-ხავს, გამოთქვამს სინამდვილის უზოგადეს მხარეს, არამედ ზოგიერთი. მაგრამ ის ფილოსოფიური კატეგორიები, რომლებიც სინამდვილის

უზოგადეს მხარეს არ ასახავენ, ამიტომ, მართალია, არ არიან უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ არიან ფილოსოფიური კატეგორიები, მაგალითად, როგორიცაა, ცნობიერება, ჭეშმარიტება და სხვ. ამიტომ უზოგადესობის ნიშანი ეხება არა საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიებს, არამედ მხოლოდ სინამდვილის უზოგადესი მხარის გამომთქმელ კატეგორიებს.

შემდეგ მტკიცება: უზოგადესობის ნიშნით ფილოსფიურ კატეგორიებს ვერ განვასხვავებთ ისეთ ზოგადმეცნიერული ცნებებისაგან, როგორიცაა საგნის, მიმართების, კავშირის ცნებები, არ არის სწორი. აღნიშნული ცნებები უზოგადესნიც არიან და ამავე დროს ფილოსოფიურნიც და არა რაღაც ისეთი ზოგადმეცნიერული ცნებები, რომლებიც არ მიეკუთვნებოდნენ ფილოსოფიურ კატეგორიებს.

მტკიცება, მაგალითად, მათემატიკაში წერტილის, ხაზის, რიცხვის; ფიზიკაში მასის, ენერგიის ცნებები უზოგადესი ცნებებია, რომლებიც მიეწერება სინამდვილის ყოველ გარკვეულობას და უზოგადესობის (უზოგადესობა აქ გულისხმობს აბსოლუტურ უზოგადესობას, ვინაიდან იგი ეხება სინამდვილის ყოველ გარკვეულობას) ნიშანი კერძო მეცნიერებათა კატეგორიების მიმართაც ძალაშია, რის გამოც იგი არ არის სპეციფიკური მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებისათვისო, მცდარია. ნუთუ, მათემეტიკისა და ფიზიკის დასახელებული კატეგორიები (ცნებები) მიეწერება სინამდვილის ყოველ გარკვეულობას, მხარეს? რა თქმა უნდა, არა! წარტილის, ხაზის, რიცხვის, მასის, ენერგიის ცნებები სრულიად არ მიეწერება ისეთ გარკვეულობებს, როგორიცაა საზოგადოება, აზროვნება. აღნიშნული ცნებები მხოლოდ ბუნების გარკვეული მხარეების ასახვას წარმოადგენენ და მხოლოდ მას მიეწერებიან. ამიტომაც როგორი ბუნებისაც უნდა იყოს მათემატიკისა და ფიზიკის ცნებები, ისინი სრულიადაც არ არიან უზოგადესი აბსოლუტური მნიშვნელობის. ყოველივე ამის გამო მცდარია მტკიცება — აბსოლუტური უზოგადესობით ხასიათდება მათემატიკისა და ფიზიკის ზოგიერთი კატეგორია — და იგი არ გამოდგება სპეციფიკურ ნიშნად მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების განსასხვავებლად საერთოდ კატეგორიებისაგან.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნება უნდა განისაზღვროს ასე: *უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია სინამდვილის უზოგადესი მხარე.* ეს არის უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნება.

4. დიალექტიკური მატერიალიზმის სისტემაში ცნებისა და კატეგორიის განსასხვავებლად ჯერჯერობით არც ისე დიდი კვლევაა წარმოებული, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება კი ასეთია: ცნების კონკრეტულო-

ბის ჰეგელისეული დახასიათება მიეწერება კატეგორიებსაც, ვინაიდან კატეგორიაც ცნებაა. ჰეგელთან ცნებები კონკრეტულია იმიტომ, რომ ისინი განუყრელ კავშირში არიან შინაარსთან, რომელიც ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის მთლიანობის საშუალებით არის განხორციელებული. ცნებებში მოცემულია კონკრეტულის მთელი სიმდიდრე და ამიტომ ცნებათა ზოგადობა წარმოდგენილია, როგორც კონკრეტულობა. ჰეგელის მოთხოვნა ცნების კონკრეტულობის შესახებ, ინტერპრეტირებული მატერიალისტურად, უნდა მივაკუთვნოთ კატეგორიებსაც. კატეგორია „კონკრეტულია", ვინაიდან იგი „მოხსნილი" სახით, როგორც ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის ერთიანობა, შეიცავს „კონკრეტულის, ე. ი. ობიექტური რეალობის, განვითარების შინაგანად წინააღმდეგობრივი პროცესის მთელ სიმდიდრეს". აღნიშნულიდან გამომდინარე ნათქვამია: პირველი — ცნებებისაგან განსხვავებით, რომლებიც ასახავენ პროცესის შედეგს, კატეგორიებში აისახება თვით პროცესი, მისი ცოცხალი სიცოცხლე; კატეგორია კონკრეტულია როგორც შემეცნების ისტორიული განვითარების საფეხური, საკვანძო პუნქტი. იგი ცოცხალის, მარად ცვალებადის ასახვაა. ცნება ასეთი ბუნების არ არის.

მეორე, ცნებასა და კატეგორიას შორის განსხვავება ის არის, რომ ლოგიკურ-ცნებითი სფერო თავისი კანონების თანახმად ვერ ითავსებს წინააღმდეგობებს. ცნებებში მკაცრად ცალსახა აზრია, ვინაიდან ისინი ასახავენ სინამდვილის ობიექტების ფორმების ამა თუ იმ დასრულებულ საფეხურებს. ამათგან განსხვავებით კატეგორიები ასახავენ სინამდვილის დაპირისპირებულობას, დაპირისპირებულ მხარეთა ბრძოლას. აქედან არის კატეგორიების წყვილადობა, როგორც გამოხატვა რეალური პროცესის დაპირისპირებულობისა.

მესამე, ცნებით ოპერირებისას საკითხი დგება იმის შესახებ, რომ მოცემულ შინაარსს ვიხილავთ როგორც ცნების შინაარსს, თუ ვიხილავთ მას თვითონ ობიექტის სახით. სხვა სიტყვებით — ცნებებში გამოცალკევდებიან ლოგიკური და ონტოლოგიური საზრისები. კატეგორიას არა აქვს ასეთი მოქმედება. მასში მოცემულია ერთიანი შინაარსი.

მეოთხე, კატეგორიის კიდევ ერთი თავისებურება, ცნებისაგან განსხვავებით, რომლის ფუნქციონირება არ სცილდება ლოგიკური სფეროს საზღვრებს, ის არის, რომ კატეგორიების ურთიერთმოქმედების სფერო გაცილებით უფრო ფართოა. კატეგორიების ურთიერთმოქმედების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ონტოლოგიური სფეროს პროცესის შედეგი, ასევე ლოგიკური და გნოსეოლოგიური პროცესების შედეგებიც. კატეგორიალურ ანალიზს შეიძლება დაექვემდებაროს ლოგიკური სფეროც და საკუთრივ გნოსეოლოგიური სფეროც.

მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს — უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ცნებებს შორის განსხვავება ის არის, რომ ყოველი ფილოსოფიური კატეგორია კონკრეტულია, ვინაიდან მთელი სინამდვილის განვითარების მომცველია, ხოლო ცნება ამგვარი ნიშნით არ ხასიათდება — სინამდვილეს არ შეესაბამება. ჯერ ერთი, თვით ჰეგელი არავითარ ასეთ განსხვავებას არ ხედავს საერთოდ ცნებებსა და კატეგორიებს შორის. მისთვის როგორც ყოველი ცნება, ასევე კატეგორია კონკრეტულია, მთელი სინამდვილის განვითარების მომცველია. შემდეგ, ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ცნების კონკრეტულობის თვალსაზრისი ჰეგელიდან მომდინარე დიალექტიკურ-მატერიალისტური ინტერპრეტაციით დიალექტიკური ლოგიკის წარმომადგენლებისათვის ცნების ერთ-ერთი უძირითადესი, არსებითი ნიშანია. კონკრეტულობა მიჩნეულია, როგორც ცნების არსებითი ბუნების გამომთქმელი. კიდევ მეტი. ნათქვამია, რომ ცნება შეიძლება დავახასიათოთ მრავალმხრივ, მისი ზოგადი და არსებითი ნიშნები შეიძლება მრავალი დებულებით გამოითქვას, მაგრამ არცერთი მათგანი ისე ღრმად და ზუსტად არ გამოთქვამს ცნების თავისებურებას, როგორც დებულება: „ცნება კონკრეტულია". კონკრეტულობის პრინციპი ცნების დიალექტიკურ-ლოგიკური თეორიის ქვაკუთხედია. მაშასადამე, ასეთი მოსაზრებიდან გარკვევით ჩანს, რომ კონკრეტულობა ცნებასა და კატეგორიას ერთნაირად ეხება, რის გამოც მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის კონკრეტულობის ნიშნით. კონკრეტულობა ცნებისა და კატეგორიის აუცილებელ ნიშნად არის მიჩნეული. სხვანაირად, ის, რაც კატეგორიის მიმართ არის ნათქმი, რომ ყოველი კატეგორია კონკრეტულია, ესაა დასაბუთებული ცნების მიმართაც. ამის დასტურია ცნების თეორიის შესახებ დიალექტიკური ლოგიკის პრინციპებზე დაწერილი ყოველი შრომა. მაშასადამე, აღნიშნული ფაქტი ცხადს ჰყოფს იმას, რომ დიალექტიკური ლოგიკის წარმომადგენელთა თვალსაზრისით ცნებასა და კატეგორიას შორის კონკრეტულობის ნიშნით არ არის განსხვავება.

შემდეგ, რაც შეეხება ცნებისა და კატეგორიის კონკრეტულობის მოთხოვნის დამცველთა თვალსაზრისს, მათ ამოსავლად აქვთ დებულება: არ არსებობს აბსტრაქტული ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება კონკრეტულია. ეს დებულება არის მიჩნეული ცნების, კატეგორიის კონკრეტულობის პრინციპად. ჩვენი აზრით, ასეთი პრინციპიდან ამოსვლა მიუღებელია მეცნიერული ფილოსოფიისათვის.

მტკიცება იმისა, რომ არ არსებობს აბსტრაქტული ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება კონკრეტულია, არ არის მართებული. აბსტრაქტული ჭეშმარიტებანი რომ არ იყოს, არ დაისმებოდა საკითხი ჭეშმარიტების კონკრეტულობის შესახებაც. ჭეშმარიტების კონკრეტულობა სწორედ

აბსტრაქტულ ჭეშმარიტებასთან მიმართებაში განიხილება. საერთოდ რომ არ იყოს აბსტრაქტული ჭეშმარიტებანი, მაშინ ჭეშმარიტების კონკრეტულობის საკითხიც არ დაისმებოდა. ვ. ი. ლენინი, რომელიც გარკვეულ სიტუაციაში ამბობდა — ჭეშმარიტება კონკრეტულია, ასაბუთებდა, რომ არსებობს აბსტრაქტული ჭეშმარიტებაც.

1918 წ. ვ. ი. ლენინი სტატიაში „მძიმე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი" წერდა: „არ უნდა გადავაქციოთ ფრაზად დიადი ლოზუნგი: „ჩვენ იმედს ევროპაში სოციალიზმის გამარჯვებაზე ვამყარებთ". ეს ჭეშმარიტებაა, თუ მხედველობაში გვაქვს სოციალიზმის ბოლომდე გამარჯვების ხანგრძლივი და ძნელი გზა. ეს — უცილობელი, ფილოსოფიურ-ისტორიული ჭეშმარიტებაა, თუ ავიღებთ მთელს „სოციალისტური რევოლუციის ერას" მის მთლიანობაში. მაგრამ ყოველი განყენებული ჭეშმარიტება ფრაზად იქცევა, თუ მას ყოველ კონკრეტულ მდგომარეობას შევუფარდებთ" (ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 58). იმავე წელს ლენინი შრომაში, „რკპ (ბ) მეშვიდე ყრილობა", ერთ-ერთი საკითხის, სახელდობრ, საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის, შესახებ ამბობდა: „გამოვდივართ რა ჭეშმარიტებიდან, და ვხელმძღვანელობთ რა მით, ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რომ იგი დროთა განმავლობაში არ გადაიქცეს ფრაზად, ვინაიდან ყოველი აბსტრაქტული ჭეშმარიტება, თუ თქვენ მას გამოიყენებთ ყოველგვარი ანალიზის გარეშე, ფრაზად იქცევა" (ვ. ი. ლენინი, ტ. 27. გვ.98). აღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტია, რომ ვ. ი. ლენინი აბსტრაქტული ჭეშმარიტების არსებობას აღიარებს. აღიარებს, ვინაიდან ასეთი ჭეშმარიტებანი ნამდვილად არსებობენ. აქ ყოველივე ამის აღნიშვნა დაგვჭირდა მხოლოდ იმიტომ, რომ კატეგორიათა კონკრეტულობის დასასაბუთებლად ამოსავალ პრინციპად მიჩნეულია დებულება — ჭეშმარიტება კონკრეტულია, არ არსებობს აბსტრაქტული ჭეშმარიტება.

ახლა რაც შეეხება საკითხს — უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია კონკრეტულია, ვინაიდან იგი, როგორც ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის ერთიანობა, შეიცავს ობიექტური რეალობის განვითარების შინაგანად წინააღმდეგობრივი პროცესის მთელ სიმდიდრეს — დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით არ არის მართებული მოსაზრება. ასეთი შეხედულება, თუ შეიძლება ითქვას, არის განმეორება 30—40-იანი წლების საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებისა, რომლის მიხედვით ცნება თავისში მოიცავს სინამდვილის განვითარების მთელ სიმდიდრეს, რაც ჰეგელის შეხედულების პირდაპირი განმეორება იყო. ასეთი შეხედულების მცდარობა და უაზრობაც აშკარად აჩვენა აკადემიკოსმა კ. ბაქრაძემ 50-იანი წლების დასაწყისში (იხ. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, 1951, რუსული გამოცემა, § 6. მოძღვრება ცნებაზე).

მაგრამ არც ისაა მართებული, რომ დიალექტიკური ლოგიკის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ცნების კონკრეტულობის ჰეგელისეული გაგება ნაწილობრივ შეცვალა სხვანაირი ინტერპრეტაციით. სახელდობრ, იგი ასეთია: დიალექტიკურ-მატერიალისტური მოძღვრება არსების ამსახველი ცნების შესახებ არ ნიშნავს იმას, რომ ცნება შეიცავდეს მოვლენათა მთელ სიმდიდრეს. ზოგადის ასეთი გაგება ზოგადის უარყოფაა. ვ. ი. ლენინს „ფილოსოფიურ რვეულებში" ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებიდან" მოჰყავს ამონაწერი: „არა მარტო აბსტრაქტულად საყოველთაო, არამედ ისეთი საყოველთაო, რომელიც მოიცავს აგრეთვე განსაკუთრებულის სიმდიდრესაც". გვერდით აქვს მინაწერი — „შესანიშნავი ფორმულაა". „არა მარტო აბსტრაქტულად საყოველთაო, არამედ ისეთი საყოველთაო, რომელიც თავის თავში განასახიერებს განსაკუთრებულის, ინდივიდუალურის, ცალკეულის „სიმდიდრეს" (განსაკუთრებულისა და ცალკეულის მთელ სიმდიდრეს!)" (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 90) ვ. ი. ლენინი აქ წინააღმდეგ აბსტრაქტული ზოგადისა აღიარებს შინაარსიან ზოგადს, ზოგადს როგორც კონკრეტულს, რომელიც თავის თავში შეიცავს განსაკუთრებულისა და ცალკეულის სიმდიდრეს, რამდენადაც იგი ცალკეულთა არსებაა. სწორედ ამ მოსაზრების განმეორებაა კატეგორიების შესახებ იმის მტკიცება, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები კონკრეტულია, ვინაიდან იგი, როგორც ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის ერთიანობა თავისში მოიცავს ობიექტური რეალობის განვითარების მთელ სიმდიდრეს. ეს ინტერპრეტაციები ფაქტიურად იგივეა, რაც ზემოაღნიშნული, თუმცა არის მცირედი განსხვავება. სახელდობრ, ნაცვლად მტკიცებისა — ცნება თავისში მოიცავს სინამდვილის განვითარების მთელ სიმდიდრეს, შეცვლილია მტკიცებით: ცნება თავისში მოიცავს განსაკუთრებულის, ცალკეულის სიმდიდრეს. ეს გაგება ემყარება ვ. ი. ლენინის ზემოდასახელებულ დებულებას. მაგრამ, ჯერ ერთი, აქ ლენინს ნამდვილად მხედველობაში არა აქვს ცნება, კატეგორია და, მეორე, აღნიშნული დებულება არც იმას ნიშნავს, რომ ზოგადი თავისში მოიცავს განსაკუთრებულისა და ცალკეულის მთელ სიმდიდრეს, ან კატეგორია კონკრეტულია იმიტომ, რომ იგი როგორც ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის ერთიანობა თავისში შეიცავს ობიექტური რეალობის განვითარების მთელ სიმდიდრეს, ამგვარი მოსაზრების საწინააღმდეგოდ ვ. ი. ლენინი ცნობილ ფრაგმენტში „დიალექტიკის საკითხისათვის" გარკვევით წერს, რომ „ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს. ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში". (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 370). ასევე, ვ. ი. ლენინის აზრით, უაზრო ცდაა მტკიცება იმისა, „რომ ზოგად ცნებაში ერთეულ მოვლენათა ყველა კერძო

ნიშანი შეიტანო". ასეთი რამ, მისი თქმით, „მოწმობს იმის ელემენ-ტარულ უცოდინარობას, თუ რა არის მეცნიერება" (ვ. ი. ლენინი, ტ. 5. გვ. 177).

ჩვენი აზრით, ვ. ი. ლენინის გამოთქმის — „არა მარტო აბსტრაქ-ტულად საყოველთაო, რომელიც თავის თავში განასახიერებს განსა-კუთრებულის, ინდივიდუალურის, ცალკეულის „სიმდიდრეს" (განსა-კუთრებულისა და ცალკეულის მთელ სიმდიდრეს!)" — ინტერპრეტაცია ზოგადი ცნების მნიშვნელობით მცდარია. აქ ლენინი ლაპარაკობს ზოგადზე (საყოველთაოზე) როგორც განსაკუთრებულში, ცალკეულ-ში არსებულზე, რომელიც განასახიერებს განსაკუთრებულისა და ცალკეულის სიმდიდრეს და არა ზოგადზე როგორც ცნებაზე. ჰეგე-ლისათვის განსაკუთრებულში, ცალკეულში არსებული ზოგადი და ზო-გადი ცნება ერთი და იგივეა. რადგან ცნება მიაჩნია მას ერთადერთ ნამდვილ რეალობად, მთელი სინამდვილე ცნებაა. ჰეგელი, წერს კ. ბაქრაძე, „აიგივებს სინამდვილის საგანსა და ამ საგნის ცნებას, ახა-სიათებს ცნებას ისე, როგორც უნდა დახასიათდეს სინამდვილის საგანი".

ფილოსოფიურ ლიტერატურაში კატეგორიისა და ცნების განსხვა-ვებულობის დამდგენ კრიტერიუმად იმაზეც მიუთითებენ, რომ ცნე-ბები, რომლებიც საგნის ან საგანთა კლასის არსებით ნიშნებს ასახა-ვენ, ნაკლებად ცვალებადია, შედარებით მუდმივია, ხოლო კატეგორი-ები კი, რომლებიც ასახავენ მოძრავი მატერიის უზოგადეს კავშირებს, ნაკლებად მუდმივია, მეტად ცვალებადია; ცნებები შედარებით უცვ-ლელია, კატეგორიები მუდმივ ცვალებადი. ამ მოსაზრების გამართლე-ბად მიჩნეულია კ. მარქსის შემდეგი გამოთქმა: კატეგორიები ისევე ნაკლებად მარადიულია, როგორც ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი გამოსახავენ. ისინი ისტორიულ და გარდამავალ პროდუქტს წარმოადგენენ.

მითითებული კრიტერიუმი სინამდვილეში ცნებისა და კატეგორი-ის განასხვავებლად არ გამოდგება. ფაქტია, რომ მეცნიერების განვი-თარების შესაბამისად როგორც ცნების, ასევე კატეგორიის შინაარსი იცვლება. ამიტომაც მეცნიერების განვითარების საფუძველზე ცვალე-ბადობა ერთნაირად ეხება როგორც ცნების, ასევე კატეგორიის შინა-არსს, საერთოდ ყოველი ცნებასა და კატეგორიას, მათ შორის ფილო-სოფიურ ცნებებსა და კატეგორიებსაც. რაც შეეხება კ. მარქსის ნათ-ქვამს, რომ კატეგორიები ისევე ნაკლებად არის მარადიული, როგორც ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი გამოხატავენ, ისინი ისტორიულ და წარმავალ პროდუქტს წარმოადგენენ, — ეხება პოლიტიკური ეკონო-მიის კატეგორიებს, რომლებიც იცვლებიან მათი (პოლიტიკური ეკონო-მიის კატეგორიების) გამოსათქმელი წარმოებითი ურთიერთობების ცვა-ლებადობასთან ერთად. ამიტომაც არიან ისინი ისტორიული და წარმა-

ვალი ხასიათისა და ნაკლებად მარადიულნი, როგორც ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი გამოხატავენ. ამაშია პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიების ნაკლებად მარადიულობა, ისტორიულობა და წარმავლობაც. აქედან გამომდინარე კ. მარქსის ზემოთ მოტანილი გამოთქმა ეხება არა ფილოსოფიურ კატეგორიებს, როგორც ნაკლებად მარადიულს მეტად ცვალებად ცნებებთან შედარებით, არამედ იგი მხოლოდ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიების ნაკლებად მარადიულობაზე მიუთითებს, რომლებიც მათი გამოსათქმელი წარმოებითი ურთიერთობების შეცვლით არის განსაზღვრული. მაგრამ ასე ვერ ვიტყვით არა თუ საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიებზე, არამედ საზოგადოების განვითარების უზოგადესი მხარის გამომთქმელ კატეგორიებზეც, ვინაიდან ისინი საერთოდ საზოგადოების განვითარების უზოგადეს მხარეს გამოთქვამენ და არსებობენ და იარსებებენ ადამიანთა საზოგადოების არსებობასთან ერთად. მით უმეტეს ყოვლად შეუძლებელია, კ. მარქსს ეთქვა, რომ ისტორიულსა და წარმავალს წარმოადგენენ ფილოსოფიის უზოგადესი კატეგორიები, მაგალითად, მატერიის, მოძრაობის, დროის, სივრცის, მიზეზის, აუცილებლობის და ა. შ.

5. კატეგორიის ცნების, უფრო ზუსტად, უზოგადეს ფილოსოფიური კატეგორიის ცნების განსაზღვრებასთან კავშირში უნდა აღინიშნოს ცალკეულ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების სიძნელის შესახებაც, რომელსაც ხშირად უშუალოდ კატეგორიის ცნების განსაზღვრებას უკავშირებენ.

ყოველი კატეგორია განსაზღვრული შინაარსის მქონეა. ის, რომ ესა და ეს კატეგორია ამა და ამ შინაარსის მქონეა და არა სხვისა, მხოლოდ კატეგორიის განსაზღვრებით ხდება ცხადი. კატეგორიის განსაზღვრებით დგინდება მისი შინაარსი. ყოველი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრება მეტად ძნელია, მაგრამ ფილოსოფიური სისტემისათვის ყოველი მასში მოხმარებული კატეგორიის განსაზღვრება აუცილებელია. მეცნიერული ფილოსოფიური სისტემა უნდა ემყარებოდეს მასში გამოყენებული ფილოსოფიური კატეგორიების ზუსტ განსაზღვრებას. მეცნიერული ფილოსოფია, განსხვავებით ყველა სხვა მეცნიერებისაგან, თავის სისტემაში ვერ შემოიყვანს და ვერც მოიხმარს ვერც ერთ კატეგორიას, რომელიც განსაზღვრული არ იქნება, ან უკეთ — რომელშიც არ იქნება დადგენილი გამოყენებული კატეგორიის შინაარსი. თუმცა ამ მხრივ ფილოსოფიის ისტორიაში ვხვდებით თავისებურ თვალსაზრისსაც, მაგალითად, თუნდაც კანტთან და ჰეგელთანაც.

ი. კანტი, რომელიც ამტკიცებდა — კატეგორიების გარეშე შეუძლებელია აზროვნება, ხოლო აზროვნების გარეშე შემეცნებაო, თავისებური თვალსაზრისისა იყო უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების

განსაზღვრების საკითხზე. მართალია, იგი საერთოდ არ იყო ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრების წინააღმდეგი, მაგრამ ფილოსოფიურ სისტემაში შესაძლებლად მიაჩნდა ნაცვლად მათი (კატეგორიათა) დეფინიციისა ექსპოზიცია, ან სრულიად განუსაზღვრელი ცნებების შემოყვანაც. კანტის თქმით, არც ემპირიულად და არც a priori მოცემული ცნებები (მაგალითად, სუბსტანცია, მიზეზი...) არ შეიძლება განსაზღვრულნი იქნენ. ფილოსოფიური დეფინიციები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ცნებათა ექსპოზიციის სახით. ფილოსოფია, წერს კანტი, სავსეა მცდარი დეფინიციებით, განსაკუთრებით ისეთებით, რომლებიც, მართალია, ნამდვილად შეიცავენ ელემენტებს დეფინიციისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ არასრულად. ამიტომ, ფიქრობს კანტი, შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ცნებებიც კი, რომლებიც დეფინიციას მიახლოვებულნი არიან.

საერთოდ ცნებაზე, სახელდობრ კი ფილოსოფიური ცნებებისა და კატეგორიების განსაზღვრაზე კანტის შეხედულება მოკლედ შეიძლება გადმოცემული იქნეს შემდეგი სახით. არსებობს განსაზღვრების ორი ძირითადი სახე: ანალიზური და სინთეზური, ნომინალური და რეალური. ანალიზური არის განსაზღვრება მოცემული ცნებისა, სინთეზური კი შექმნილი ცნებისა. სხვაგვარად — განსაზღვრება ანალიზურია, თუ ის მოცემულ ცნებას შეეხება, ხოლო სინთეზურია, თუ ცნება იქმნება ან სინთეზირდება თვით განსაზღვრების მიერ.

სინთეზური განსაზღვრება შეიძლება იყოს შექმნილი ექსპოზიციის ან კონსტრუქციის საშუალებით. შექმნილ ცნებათა სინთეზი, რომლიდანაც მიიღება სინთეზური განსაზღვრება, სინთეზურია ან ექსპოზიციის, ან კონსტრუქციის საშუალებით. პირველი არის სინთეზი — შექმნილი ემპირიული, მოცემული მოვლენებისაგან, ხოლო მეორე არის სინთეზი თვითნებურად შექმნილ ცნებათა; თვითნებურად შექმნილი ცნებები მათემატიკური ცნებებია. ემპირიულად სინთეზურ ცნებათა განსაზღვრება შეუძლებელია; ემპირიული ცნებები არ შეიძლება განსაზღვრული იქნეს. სინთეზური არის მხოლოდ მათემატიკური განსაზღვრებანი. მათემატიკაში საქმე გვაქვს თვითნებურ აპრიორულ სინთეზურ ცნებებთან. სინთეზური განსაზღვრება მხოლოდ შექმნილი ცნებებისა შეიძლება. ასეთია მხოლოდ მათემატიკური განსაზღვრებანი; მათემატიკურ ცნებათა განსაზღვრებისას ამოვდივართ არა მოცემული ცნებიდან, არამედ, პირიქით, განსაზღვრების საშუალებით ვქმნით თვით ცნებებს. შექმნილი ცნებების, თვითნებური ცნებების სინთეზური განსაზღვრება ყოველთვისაა შესაძლებელი, აუცილებელი. იგი ყოველთვის წინ უნდა უძღვოდეს ყოველივე იმას, რაც ითქმის თვითნებურად შექმნილ ცნებათა შესახებ. ყოველი მოცემული ცნება, ე. ი. ცნებები, რომლე-

ბიც არ არიან შექმნილი თვითნებურად, თავისუფლად, მოცემული არიან აპრიორულად ან აპოსტერიორულად და განისაზღვრებიან მხოლოდ ანალიზის საშუალებით. მოცემული ცნება მხოლოდ მაშინ ხდება ნათელი, როდესაც ამ ცნების ნიშნები თვით ამ ცნებას თანდათანობით ცხადყოფს. თუ მოცემული ცნების ყველა ნიშანი ცხადია, მაშინ ეს ცნებაც სავსებით ცხადი იქნება.

ცდამდე წარმოშობილი, ე. ი., არაცდისეული მათემატიკური ცნებები სინთეზურია; ის ცნებები კი, რომლებიც ცდის საფუძველზეა წარმოშობილი, ცდას ემყარება — ანალიზურია. ემპირიული წარმოშობის ცნებები განისაზღვრებიან მხოლოდ ანალიზის საშუალებით და ისინი ანალიზური განსაზღვრებებია. ანალიზურია მეტაფიზიკური ანუ ფილოსოფიური ცნებებიც. მათემატიკური განსაზღვრება ცნების არსებას გამოხატავს სრული მნიშვნელობით, ფილოსოფიურ განსაზღვრებებს კი საქმე აქვთ არასრულყოფილ ცნებებთან. მათემატიკური ცნებები ადვილად თავსდებიან ლოგიკურ განსაზღვრებაში, ვინაიდან ისინი არაცდისეული წარმოშობისანი არიან, ფილოსოფიური ცნებები კი იმის გამო, რომ ემპირიული წარმოშობისანი არიან, ძნელია განსაზღვრებისათვის. ფილოსოფია ჩვეულებრივი განსაზღვრებებით ცოცხლობს, მათემატიკა კი ზუსტ განსაზღვრებებს ემყარება. ამას აპირობებს ის, რომ მათემატიკა განსაზღვრებით იწყებს, ფილოსოფია კი მხოლოდ განსაზღვრებით ამთავრებს თავის ანალიზს. მათემატიკური ცნებები თავისში მოიცავენ სისრულეს, ე. ი. განსაზღვრებისათვის ყველა აუცილებელ ელემენტს. ფილოსოფია კი ისეთ ცნებებს ემყარება, რომელთაც ჯერ კიდევ არ აქვთ ზუსტი განსაზღვრება და თუ აქვთ მაინც — არა საკმაო ზომით. განსაზღვრებამ უნდა დაადგიხოს ცნების საზღვრები, ზუსტად მიუთითოს რაოდენობაზე, რაც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ცნების არსება ვაჩვენოთ; ამას კი ვერ აკმაყოფილებს ყველა განსაზღვრება, სახელდობრ, ფილოსოფიური განსაზღვრებები. ემპირიული წარმოშობის ცნებებს აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლიათ. ემპირიულ ცნებებს არა აქვთ ცხადი და სრული საკმარისი ნიშნები. აღნიშნულ შემთხვევაში ადამიანმა არასდროს არ იცის, თუ რა რაოდენობის ნიშნებია ცნებაში მოაზრებული. მაგალითად, ადამიანი ერთნაირად ვერ მოიაზრებს ოქროს თვისებათა სრულ რაოდენობას. ოქროზე მსჯელობისას ერთმა შეიძლება მოიაზროს მისი ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიმძიმე. ფერი, ჭედადობა, მაგრამ იმ თვისებაზე, რომ ის არ იჟანგება, არაფერი იცოდეს. რასაკვირველია, ამბობს კანტი, ადამიანები, როდესაც ერთ ემპირიულ საგანს განასხვავებენ მეორისაგან, სარგებლობენ მისი ნიშნებით, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი ნიშნით, ამიტომაც ემპირიულ ნიშანთა დადგენა ძნელია. კიდევ უფრო ძნელია დადგენა იმისა,

თუ როგორია ეს ნიშნები — მუდმივი თუ დროებითი. ემპირიულ საგანთა განსაზღვრებისას არ ვართ დარწმუნებული, ისევე აქვს თუ არა საგანს ის ნიშნები, რომლის საშუალებითაც იგი განვსაზღვრეთ. ხშირად ხდება, რომ საგნის ემპირიული ნიშანი, რომლის საშუალებით იგი განვსაზღვრეთ, ქრება და სხვა, ახალი ემატება. ყოველივე ამის გამო ფილოსოფიურ ცნებებს არა აქვთ ზუსტი საზღვარი. ცნების განსაზღვრების არსება კი არის ცნების ზუსტი საზღვრის დადგენა. თუ ცნებას არა აქვს ზუსტი საზღვარი, მაშინ ასეთი ცნების განსაზღვრება უსარგებლოა. ემპირიული ცნებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია ცნების საზღვრების დადგენა, ნიშანთა რაოდენობის განსაზღვრა, ამიტომაც ფილოსოფიური ცნებები განისაზღვრებიან არა განსაზღვრების ფორმით, არამედ ე. წ. ექსპლიკაციის ფორმით (კანტი „წმინდა გონების კრიტიკაში" ხმარობს ტერმინს ექსპლიკაციას, ხოლო „ლოგიკაში" — ექსპოზიციას; ორივე ერთსა და იმავეს ნიშნავს — ახსნას, გადმოცემას).

აპრიორულად მოცემულ ცნებებს კი აქვთ მუდმივი, უცვლელი საზღვარი. მათი განსაზღვრება ჭეშმარიტი, სრულყოფილი განსაზღვრებაა. მათ აქვთ საკმაო რაოდენობა ნიშნებისა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ცნების სრული გამოხატვა. ცნებები, რომლებსაც ნიშანთა სისრულე ახასიათებს, მხოლოდ და მხოლოდ აპრიორულად მოცემული ცნებებია. მართალია, ეს უკანასკნელნი შეიძლება განსაზღვრული იქნენ, მაგრამ არა ყველა. მაგალითად, ისეთი ცნებები, როგორიცაა სუბსტანცია, მიზეზი და სხვა, არ შეიძლება განისაზღვროს. ეს აპრიორული ცნებები მრავალ ბუნდოვან წარმოდგენას შეიცავენ და ძნელია ითქვას, შეესაბამებიან თუ არა ისინი საგნებს. მათი ცხადი განსაზღვრება არ შეიძლება, ისინი ალბათობით განისაზღვრებიან. ასეთია კანტის შეხედულება ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრებაზე.

ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების სირთულეს კანტი იმ აზრამდეც კი მიჰყავს, რომ ზოგიერთი კატეგორია საერთოდ არ შეიძლება განისაზღვროს და იგი განსაზღვრების გარეშე უნდა იქნეს შემოყვანილი ფილოსოფიურ სისტემაში. მისი თქმით, ჩვენ რომ სულ ვერ შევძლოთ ცნებითი მოქმედება მანამდე, სანამ მისი დეფინიცია არ მომხდარა, მაშინ მთელი ფილოსოფიის საქმე ცუდად იქნებოდა. მაშასადამე, კანტი ფილოსოფიაში უშვებს განსაზღვრებამდე ცნების არსებობას, რის შემდეგაც უკვე საჭიროა აზრში არსებული ცნების ანალიზი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფიური ცნებების, კატეგორიების მიმართ განსაზღვრება არ არის მათი არსებობის ფორმა, არამედ ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრებამდე არსებობს ცნება. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მათემატიკაში, წერს კანტი, დეფი-

ნიციის წინ არავითარი ცნება არა გვაქვს, რადგან აქ მხოლოდ დეფინიცია გვაძლევს ცნებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანტი, რომელმაც სპეციალურად იკვლია ფილოსოფიურ კატეგორიათა საკითხი, საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა მათი განსაზღვრების დროს. ალბათ ეს იყო იმის ერთ-ერთი მიზეზიც, რომ „წმინდა გონების კრიტიკაში" კატეგორიათა ცხრილის წარმოდგენის შემდეგ ეთქვა: ამ კატეგორიების დეფინიციებს განზრახ გვერდს ვუვლი ამ თხზულებაში, თუმცა შემეძლო დეფინიციები გამეკეთებინა. წმინდა გონების სისტემაში შეეძლოთ ჩემგან სამართლიანად მოეთხოვათ ეს დეფინიციები, მაგრამ აქ ისინი ჩვენს ყურადღებას დააშორებდნენ გამოკვლევის მთავარ საკითხს.

ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების სერიოზული სიძნელე ვერც ჰეგელმა მოაგვარა. არც დღეს არის იგი მოგვარებული. ჰეგელი, ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრების ეს დიდი სპეციალისტი, თავის ფილოსოფიურ სისტემაში ზოგიერთი განუსაზღვრელი კატეგორიის შემოყვანას უშვებს და აქედან აგებს შემდეგ კატეგორიათა სისტემას. ცნობილია, რომ „ლოგიკის მეცნიერება" იწყება წმინდა არსის ცნებით, რომელიც დასაწყისში განუსაზღვრელია და ყოველგვარი შინაარსის გარეშეა. თუმცა წმინდა არსი შემდეგში იძენს განსაზღვრულობას და შინაარსიანი ხდება; მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ფილოსოფიურ სისტემაში განუსაზღვრელი კატეგორია არის შემოყვანილი და იგი ხდება ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალი. შეიძლება კი ფილოსოფიამ ამოსავალ ცნებად მიიღოს განუსაზღვრელი კატეგორია, „წმინდა არსი"? რა თქმა უნდა, არა. არა, იმიტომ. რომ განუსაზღვრელი ცნება, კატეგორია ისტორიულად არ არის პირველი არც სინამდვილისა და არც შემეცნების პროცესის მიხედვით.

6. არსებობენ კი საერთოდ განუსაზღვრელი ცნებები, კატეგორიები და შეიძლება თუ არა მათი შემოყვანა განუსაზღვრელად ფილოსოფიურ სისტემაში? პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ საერთოდ განუსაზღვრელი ცნებები, კატეგორიები არ არსებობენ. დაშვება პრინციპულად განუსაზღვრელი ცნებების არსებობისა პრინციპულად ძიუღებელია. განუსაზღვრელი ცნებების არსებობის დაშვება ნიშნავს იმას, რომ მოცემული ცნების, კატეგორიის შინაარსი შეუძლებელია განვასხვავოთ სხვა ცნების, კატეგორიის შინაარსისაგან, ე. ი. ვერ გავმიჯნეთ ამა და ამ ცნების, კატეგორიის შინაარსი სხვა ცნების, კატეგორიის შინაარსისაგან. ამით განსაზღვრებამ თავისი მიზანი, მოთხოვნა ვერ შეასრულა, მაშინ როცა განსაზღვრების უძირითადესი მოთხოვნა არის განსასაზღვრი ცნების გამიჯვნა სხვა ცნებისაგან. შემდეგ, თუ ჩვენ პრინციპულად არ შეგვიძლია ცნების, კატეგორიის განსაზღვრება, ეს

კიდევ იმას ნიშნავს, რომ გვაქვს ცნება, კატეგორია, მაგრამ მისი შინაარსი არ ვიცით.

ცნებისა და კატეგორიის შესახებ ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს იმას, რომ განსაზღვრება არის იგივე ცნება. განსაზღვრება ცნების განსაზღვრებაა, მაგრამ ცნებას არ შეუძლია არსებობა განსაზღვრების გარეშე, ვინაიდან მხოლოდ განსაზღვრება აჩვენებს ცნების, კატეგორიის შინაარსს.

აქვე რამდენიმე სიტყვით აღვნიშნავთ მეცნიერებათა ე. წ. ამოსავალი ცნებების, კატეგორიების განუსაზღვრელობის შესახებ. მტკიცება მეცნიერებათა ამოსავალი ცნებების, კატეგორიების განუსაზღვრელობისა შესაძლებელია ამა თუ იმ თეორიის, მეცნიერების ფარგლებში, მაგრამ არა საერთოდ. განუსაზღვრელად ითვლებოდა და ითვლება მეცნიერებათა მრავალი ამოსავალი, ფუნდამენტური ცნება, კატეგორია, მაგრამ, როგორც ვთქვით, საერთოდ ცნებების, კატეგორიების და მათ შორის, რა თქმა უნდა, ამოსავალი ცნების, კატეგორიის არსებითად განუსაზღვრელობა თვით განსაზღვრების მოთხოვნას ეწინააღმდეგება. თუ ამოსავალი ცნება ცნებაა და უდავოდ საჭიროა მისი შინაარსი ვიცოდეთ, მაშინ მისი შინაარსი შეუძლებელია განსაზღვრების გარეშე დადგინდეს და ვიცოდეთ. საერთოდ ყოველი ცნების, კატეგორიის შინაარსი შეუძლებელია განსაზღვრების გარეშე დადგინდეს. ამიტომ ამოსავალ ცნებებს, კატეგორიებს, როგორიც უნდა იყონ ისინი, შეუძლებელია განსაზღვრება არ სჭირდებოდეს და ისე ვიცოდეთ მათი შინაარსი. სხვა საკითხია, რომ ესა თუ ის ცნება, კატეგორია ამა თუ იმ თეორიაში განსაზღვრების გარეშე შემოდის. ეს სრულიად არ ნიშნავს ამოსავალი ცნების, კატეგორიის სრულიად განუსაზღვრელობას. არათუ ცნება, კატეგორია, არამედ ამოსავალი ტერმინი, სიმბოლო საერთოდ განსაზღვრების გარეშე არავითარი მნიშვნელობის მქონე არ არის. მართალია, ამა თუ იმ სისტემაში ყველა ტერმინი არ განისაზღვრება, განსაზღვრების გარეშე არიან შემოსული და ამოსავალ ტერმინებსაც წარმოადგენენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათი რომელიმე სხვა მეცნიერებაში განუსაზღვრელობას და მით უმეტეს — საერთოდ განუსაზღვრელობას. ტერმინის მნიშვნელობა რომ იქნეს გაგებული, პირველ რიგში საჭიროა ამ ტერმინის მნიშვნელობის დადგენა, რაც შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრებით.

თუ ესა თუ ის ცნება, კატეგორია ამა თუ იმ თეორიაში, მეცნიერებაში განსაზღვრების გარეშე შეიძლება შემოვიყვანოთ, არის თუ არა ეს შესაძლებელი ასევე ფილოსოფიაში, სახელდობრ, შესაძლებელია თუ არა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიებიდან რომელიმე სისტემაში შემოვიყვანოთ კატეგორია განსაზღვრების გარეშე, ან სხვა სისტემიდან მივიღოთ რომელიმე ცნება განუსაზღვრელად? რა

თქმა უნდა, არა. ფილოსოფია თავის სისტემაში ვერ მიიღებს, ვერ დაეყრდნობა ვერცერთ განუსაზღვრელ, შინაარსდაუდგენელ ცნებას, კატეგორიას. მეცნიერულმა ფილოსოფიამ თავის საკუთარ სისტემაში უნდა განსაზღვროს ყველა ის ცნება, კატეგორია, რომელსაც ის მოიხმარს და მით უმეტეს სისტემის ასაგებად ამოსავლად გაიხდის. ამას ფილოსოფიის ყველა სხვა მეცნიერებისაგან განსხვავებულობა განაპირობებს, მისი საგნის უზოგადესობა და მსოფლმხედველობრივი ხასიათი.

7. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების და ცალკეული უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ზოგიერთი საკითხის განხილვასთან კავშირში უნდა შევეხოთ ერთ საკითხსაც, სახელდობრ, კატეგორიის როგორც ცნების ონტოლოგიზებულ გაგებას.

კატეგორიის, როგორც ცნების ონტოლოგიზებული გაგება ფილოსოფიაში განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი. მართალია, თითოეული გაგებით კატეგორია მაინც ცნებაა, მაგრამ ცნება განსაკუთრებული. თუმცა ფაქტობრივად ონტოლოგიზებულ კატეგორიას ცნების მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან იგი არის ყოფიერების განსაზღვრულობა, აზროვნებისაგან დამოუკიდებელი საგნობრიობის ფორმა, საგანთა არსებობის ფორმა, საგნის პრინციპი. კატეგორიის, როგორც ცნების, ასეთი გაგება არის კატეგორიის ონტოლოგიზება, რომელიც როგორადაც უნდა იყოს გაგებული, მაინც მიუღებელია მეცნიერული ფილოსოფიისათვის. კატეგორია როგორც ცნება ლოგიკური ფორმაა და არა ონტოლოგიზებული აზრის თუ მატერიალურის არსებობის ფორმა.

უნდა ითქვას, რომ არისტოტელემ, რომელმაც აზროვნების ისტორიაში პირველად მოახდინა რეფლექსია კატეგორიებზე და სპეციალური კვლევის ობიექტად აქცია ისინი, კატეგორიები თავიანთი ნამდვილი მნიშვნელობით, როგორც ცნებები, ლოგიკური ფორმები არ განუხილავს. ამიტომაც მასთან კატეგორიები აზროვნებაში არსებითად ფუნქციონირებენ არა როგორც ცოდნა, არამედ ცოდნის შინაარსის აგების პრინციპები. კატეგორიების როგორც ცნებების მნიშვნელობით გაგების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სტოელების ფილოსოფიამ, კარძოდ ლოგიკამ. მაგრამ კატეგორიების შესახებ მოძღვრებაში ის თანამედროვე გაგება, რომ იგი არის ცნება, უშუალოდ კანტის სახელთან არის დაკავშირებული. კანტთან კატეგორიები პირველად განიხილება როგორც აზროვნების ძირითადი ლოგიკური ფორმები, როგორც ცნებები, როგორც ლოგიკური ფაქტი. ეს იყო აზროვნების ისტორიაში კანტის უდიდესი დამსახურება.

კანტის საწინააღმდეგოდ ხშირად ჰეგელის დიდ დამსახურებას კატეგორიის თეორიის საკითხში იმაში ხედავენ, რომ კანტის სუბიექტუ-

რი იდეალიზმის საწინააღმდეგოდ მან კატეგორიები განიხილა როგორც ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი ო. ეს ნამდვილად ასეა. ჰეგელისათვის კატეგორიები არის ყოფიერების (აბსოლუტის) განსაზღვრულობა და მისი ფორმები, მაგრამ ეს არ არის კატეგორიის თეორიის მოძღვრებაში რაიმე დამსახურება, პირიქით, ეს არის კანტის მოძღვრებიდან ნაბიჯი უკან, ვინაიდან კატეგორიები არიან არა თვითონ ყოფიერების ფორმები ან განსაზღვრულობანი, არამედ ყოფიერების უზოგადესი განსაზღვრულობები გამოთქმულია უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიებით, როგორც ცნებებით. სხვა საკითხია, რომ ჰეგელის მიერ კანტის სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკაში არის რაციონალური მარცვალი, მაგრამ თვით კრიტიკა ობიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან აბსოლუტურად მიუღებელია კატეგორიის თეორიის მეცნიერული გაგებისათვის. მიუღებელია, ვინაიდან, ჰეგელის თქმით, კატეგორიები, მართალია, ეკუთვნიან აზროვნებას როგორც ასეთს, მაგრამ აქედან არავითარ შემთხვევაში ის არ გამოდის, რომ ისინი აგრეთვე თვით საგანთა განსაზღვრებებსაც არ წარმოადგენენ. სწორედ ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი დებულება მეცნიერული ფილოსოფიისათვის.

კატეგორიის ონტოლოგიზებული გაგების ერთ-ერთი სახის მიხედვით კატეგორია არის არსისა და აზრის განსაზღვრულობა. ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამ მოსაზრების მრავალი ვარიანტია ცნობილი, ერთ-ერთი კი, რომელიც მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში გვხვდება, ასეთია: „კატეგორია უნდა იყოს როგორც საგნის, ისე აზრის განსაზღვრულობა". ამ დებულების დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება კი ინტერპრეტირებულია ასე: „საგნის არსებობის ფორმას კატეგორია კი არ წარმოადგენს, არამედ ყოფიერების განსაზღვრულობა, რომელიც ასახულია კატეგორიაში, მოცემულია კატეგორიის შინაარსში. ამიტომ სიზუსტისათვის უკეთესია ვილაპარაკოთ ყოფირების კატეგორიალურ განსაზღვრულობაზე ან საგნის არსებობის ფორმაზე. ყოფიერებაში, საგნობრიობაში უნდა ვიგულვოთ კატეგორიალური განსაზღვრულობანი ანუ არსებობის, ყოფიერების ფორმები და არა თვითონ კატეგორიები, როგორც ცნებები". თუ საგნის არსებობის ფორმას კატეგორია არ წარმოადგენს, რაც მართებული აზრია, მაშინ, ჯერ ერთი, რატომ უნდა ვამტკიცოთ ზოგადი დებულების სახით, რომ „კატეგორია უნდა იყოს როგორც საგნის, ისე აზრის განსაზღვრულობა" და მეორე, სიზუსტისათვის რატომ უნდა ვილაპარაკოთ „ყოფიერების კატეგორიალურ განსაზღვრულობაზე ან საგნის არსებობის ფორმებზე", რატომ „ყოფიერებაში, საგნობრიობაში უნდა ვიგულვოთ კატეგორიალური განსაზღვრულობანი ანუ არსებობის, ყოფიერების ფორმები და არა თვითონ კატეგორიები, რო-

ვორც ცნებები“? აღნიშნული მოსაზრების დამცველისათვის ცნობილია, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპით კატეგორიები, როგორც ცნებები შეუძლებელია არსებობის ან ყოფიერების განსაზღვრულობა იყოს. თუ ეს ასეა, ეს კი ნამდვილად ასეა, მაშინ როგორ შეიძლება რაიმეს შესახებ ესა და ეს ვთქვათ და ამ ნათქვამში სხვა ვიგულისხმოთ? თუ ნამდვილად სიზუსტისათვის რასაც ვლაპარაკობთ, იგივე უნდა ვიგულისხმოთ მასში და გამოვთქვათ? მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ზემოაღნიშნულ ვითარებაში რასაც ვლაპარაკობთ, იგივე თუ ვიგულისხმეთ, მაშინ ვერ ვიტყვით კატეგორიები ცნებებია, არამედ უნდა ვთქვათ, რომ ისინი სინამდვილის განსაზღვრულობანი, მისი არსებობის ფორმები არიან. ეს კი კატეგორიის ონტოლოგიზება და მისი როგორც ცნების მნიშვნელობის უარყოფაა. მაგრამ ის მატერიალისტური ინტერპრეტაციაც, რომ ესა და ეს უნდა ვიგულისხმოთ, ნუთუ არსებობის, ყოფიერების ფორმებია? მაშ, როგორ უნდა ვიგულისხმოთ კატეგორიებში ისინი, რაც კატეგორიები არ არიან? თუ კატეგორიებში იმას ვგულისხმობთ, რაც ყოფიერების, არსებობის ფორმებია, მაშინ ეს არის კატეგორიის უკიდურესი სახით ონტოლოგიზება, სულ ერთია, რა იქნება მასში ნაგულისხმევი — კატეგორია როგორც ცნება, როგორც ლოგიკური ფორმა, თუ კატეგორია როგორც შემეცნების წესი. ამ უკანასკნელში კი გულისხმობენ კატეგორიას არა როგორც ცნებას მისი ლოგიკური ფორმის მნიშვნელობით, არამედ ცნების შინაარსს, მასში დადგენილ კატეგორიალურ განსაზღვრულობას.

§ 3. დიალექტიკის კატეგორიების ცნების, როგორც სინამდვილის უზოგადესი კავშირების ასახვად განსაზღვრების შესახებ

1. ფილოსოფიურ ლიტერატურაში უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ძირითადი განსაზღვრებანი შემდეგია: კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია მატერიალური სამყაროს (ობიექტური სამყაროს, საგანთა და მოვლენათა) უზოგადესი თვისებები, კავშირები; კატეგორია არის ცნება, რომელშიაც ასახულია სინამდვილის კანონზომიერების უზოგადესი, უძირითადესი ობიექტური მიმართებანი და კავშირები; მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები არის უზოგადესი კავშირების ასახვა; ფილოსოფიური კატეგორიები — ეს ყველაზე ზოგადი ცნებებია ბუნებისა და საზოგადოების შესახებ, რომლებიც ასახავენ მატერიალური სამყაროს ყველა საგნისა და მოვლენის ზოგად და არსებით ნიშნებსა და კავშირებს; მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები არის მატერიალური სამყაროს არსებითი კავ-

შირების ასახვა. ამ განსაზღვრებათა ირგვლივ თავსდება თითქმის ყველა სხვა ამ ტიპის განსაზღვრება.

აღნიშნული განსაზღვრებანი მიუთითებენ, რომ კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია მატერიალური სამყაროს უზოგადესი კავშირები, არსებითი კავშირები და სხვ. ისინი სწორია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მითითებულია კატეგორიაზე, როგორც სინამდვილის ასახვაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ერთი მათგანი არ არის უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების განსაზღვრა მის შესაბამის ასასახ ობიექტთან მიმართებაში.

2. საკითხის ნათელსაყოფად აღნიშნული განსაზღვრებიდან განვიხილოთ უკანასკნელი — მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები მატერიალური სამყაროს არსებით კავშირებს ასახავენ. უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების ასეთი განსაზღვრება ლოგიკურ შეცდომას ემყარება, განსასაზღვრი ობიექტი სხვა ობიექტითაა შეცვლილი. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების განსაზღვრების ნაცვლად უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნებაა განსაზღვრული. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიისა და კატეგორიათა კავშირის ცნებები კი ორი, ერთიმეორისაგან განსხვავებული. ცნებაა. ამიტომაც ამ განსაზღვრებაში არაფერია ნათქვამი თვით უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნებაზე. ამავე დროს იგი ფაქტიურად არც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნების განსაზღვრებაა. გარდა ამისა, აღნიშნული განსაზღვრება ვერ აკმაყოფილებს განსაზღვრების ერთ-ერთ ძირითად პირობას — გამიჯნოს განსასაზღვრი ცნება სხვა ცნებისაგან მისი ობიექტის თავისებურებების ჩვენების გზით. პირველ რიგში ეს ვლინდება იმაში, რომ აღნიშნულ განსაზღვრებაში უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნება არაა გამიჯნული ზოგად და კერძო კატეგორიათა კავშირის ცნებისაგან. ზოგად და კერძო კატეგორიათა კავშირებიც ხომ არსებითი კავშირების ასახვაა. მეორე — მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა კავშირის ცნება არაა გამიჯნული მეცნიერებათა კანონების, როგორც არსებითი კავშირების ასახვისაგან. თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა კავშირები, კანონები არის არსებითი კავშირების ასახვა, მაშინ გამოდის, რომ მეცნიერებათა კანონები არაარსებითი კავშირების ასახვაა. ხოლო, თუ მეცნიერებათა კანონებიც არსებითი კავშირების ასახვაა (რაც უდავოდ ასეა), მაშინ არავითარი განსხვავება არ ყოფილა მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებსა და მეცნიერებათა კანონებს შორის. არის თუ არა, მართლაც, ყველა მეცნიერების კანონები არსებითი კავშირების ასახვა? რა თქმა უნდა, არის. მეცნიერება, იქნება იგი დიალექტიკური მატერიალიზმი, თუ სხვა კონკრეტული

მეცნიერება, არაარსებითი კავშირებით არაა დაინტერესებული. ყველა მეცნიერების კანონი არსებითი კავშირების ასახვაა და მას არსებითი კავშირები აინტერესებს.

მაშასადამე, მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა კავშირებში ასახული არსებითი კავშირები და მეცნიერებათა კანონებში ასახული არსებითი კავშირები არსებითობის მხრივ ერთნაირი ნიშანთვისების არიან. სწორედ იმის გამო, რომ არა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა კავშირები, არამედ ყოველი მეცნიერების კანონები არსებითი კავშირების ასახვაა, კატეგორიის აღნიშნული განსაზღვრება ვერ გვაძლევს განსასაზღვრი ცნების ობიექტის გამიჯვნას სხვა ცნების ობიექტისაგან.

3. განსაზღვრება — მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები სინამდვილის უზოგადესი კავშირების ასახვაა, ერთი მიმართებით თავიდან გვაცილებს ზემოაღნიშნული განსაზღვრების ნაკლოვანებებს. ასეთ განსაზღვრებაში ნაჩვენებია უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირებში ასახულის განსხვავება ზოგად და კერძო კატეგორიათა კავშირებში ასახულისაგან. ამ განსაზღვრებაში მართებულად ესმება ხაზი მას, რომ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა კავშირები ყოველგვარი არსებითი კავშირის ასახვა კი არ არის, არამედ უზოგადესი კავშირების ასახვაა. მაგრამ საკითხავია, განსაზღვრება — მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები სინამდვილის უზოგადესი კავშირის ასახვაა — არის თუ არა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების ცნების განსაზღვრა მის შესაბამის ობიექტთან კავშირში? რა თქმა უნდა, არა. აქაც ფაქტიურად უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნებაა განსაზღვრული, მის შესაბამის ობიექტზეა მითითებული და არა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნება ობიექტთან მისი მიმართებით. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნების მიმართ აღნიშნული განსაზღვრება უდავოდ მართებულია და მისაღები. მატერიალისტური დიალექტიკის პოლარულად დაპირისპირებულ კატეგორიებში, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში, მართლაც, სინამდვილის უზოგადესი კავშირებია ასახული.

§ 4. დიალექტიკის კატეგორიების ცნების, როგორც სინამდვილის უზოგადესი მიმართების ასახვად განსაზღვრების შესახებ

ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ფილოსოფიური კატეგორიები არის მიმართებების ასახვა. ამგვარი მოსაზრების ერთგვარ საბაბს, შეიძლება ითქვას, თვით არისტოტელეც

იძლეოდა, რამდენადაც იგი „კატეგორიების“ მეშვიდე წიგნში კატეგორიებს განიხილავდა, როგორც გარკვეული მიმართებების ასახვას, მაგრამ დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ ასეთი შეხედულება მას ყველა კატეგორიაზე არ გაუვრცელებია. ამას გარკვევით ცხადყოფს შემდეგი: არისტოტელეს მიერ აღიარებული 10 კატეგორიიდან „მიმართება“ მხოლოდ ერთი კატეგორიაა. რაც შეეხება ი. კანტს, რომელმაც მსგავსად არისტოტელესი სპეციალურად იკვლია კატეგორიები „წმინდა გონების კრიტიკაში“, კატეგორიათა ცხრილში „მიმართება“ კატეგორიათა ოთხი ჯგუფიდან ერთ-ერთი ჯგუფია, რომელშიც შედიან: სუბსტანციის და აქციდენციის, მიზეზისა და მოქმედების, ურთიერთმოქმედების ცნებები. მაგრამ კატეგორიის ისტორიაში არის ისეთი პერიოდიც, როცა მიმართება აღიარებულია როგორც ძირითადი და არსებითი ნიშანი კატეგორიებისათვის. კატეგორია „მიმართება“ აღიარებულია არა ცალკე კატეგორიად სხვა კატეგორიებთან ერთად, არამედ საფუძველ კატეგორიად (Urkategorie), რომელიც საერთოა ყველა სხვა კატეგორიისათვის.

რაც შეეხება განსაზღვრებას — დიალექტიკის კატეგორიები, როგორც ცნებები ასახავენ სინამდვილის უზოგადესსა და არსებით მიმართებებს — საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში. სხვადასხვა ვარიანტით აღნიშნულია, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიებში ასახულია უზოგადესი და არსებითი მიმართებები, რაც დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიის ცნების განსაზღვრებად არის მიჩნეული. ამგვარი მოსაზრების ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც სხვებისაგან განსხვავებით უფრო დასაბუთებულად არის წარმოდგენილი, ასეთია: განსაზღვრებით — დიალექტიკის კატეგორიები ასახავენ სინამდვილის უზოგადესსა და არსებით მიმართებებს — არ მტკიცდება, რომ მხოლოდ დიალექტიკის კატეგორიები ასახავენ მიმართებებს; ცნობილია, რომ მიმართებები აისახება სხვა მეცნიერებათა კატეგორიებითაც. ამ განსაზღვრებით არ მტკიცდება აგრეთვე არც ის, რომ მიმართებები აისახება დიალექტიკის ზოგიერთი კატეგორიით. აღნიშნულ განსაზღვრებაში არ არის ნათქვამი, რომ დიალექტიკის კატეგორიები წარმოადგენენ ცოდნას მხოლოდ მიმართებების შესახებ.

კატეგორიის აღნიშნული განსაზღვრებით მტკიცდება, რომ ყოფიერების განსაზღვრულობანი, რომელთა ნაირსახეობასაც დიალექტიკის კატეგორიები ასახავენ, ერთ-ერთ ასპექტში შეიძლება განხილული იქნას როგორც მიმართებანი. ეს განსაზღვრება აგრეთვე მიუთითებს დიალექტიკის კატეგორიათა საგნის მხოლოდ ერთ გვარეობით ნიშან-

ზე. ამიტომაც იგი არ ამოწურავს ცნების „დიალექტიკის კატეგორია“ მთელ შინაარსს.

მიმართების ცნება აჩვენებს, რომ ყოველი მიმართება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც თვისება და ყოველი თვისება — როგორც მიმართება. კატეგორიების კონკრეტული ანალიზი აჩვენებს იმას, რომ მათს შინაარსში არის ისეთი რამ, რაც უფლებას იძლევა, დიალექტიკის კატეგორიები ჩავთვალოთ ცნებებად მიმართების შესახებ.

არსებობს „აბსტრაქტული ცნება“ და „კონკრეტული ცნება“ აბსტრაქტული ეწოდება ცნებას, რომლის მოცულობასაც შეადგენენ ობიექტების ნიშნები (განსაზღვრულობანი). კონკრეტული ეწოდება ცნებებს, რომელთა მოცულობასაც შეადგენენ ამ განსაზღვრულობათა მატარებელი საგნები. დიალექტიკის ყოველი კატეგორია შეიძლება გამოიხატოს კონკრეტული და აბსტრაქტული ტერმინებით: „მიზეზი“ — „მიზეზობრიობა“, „შესაძლებელი“ — „შესაძლებლობა“, „აუცილებელი“ — „აუცილებლობა“ და ა. შ.

კატეგორიები აბსტრაქტული ცნებების ფორმაში „ერთეულობა“ „აუცილებლობა“, „შესაძლებლობა“ ასახავენ თუ არა მიმართებების შინაარსს. ახსნილია ასე: ერთეულობა — ეს ისაა, რაც მოცემული ობიექტის ნიშანს ერთეულად ხდის. ერთეული არის ნიშანი, რომელიც განსხვავებულია ამ კლასის ყველა სხვა ნიშნისაგან. ამრიგად, ერთეულობა არის არამსგავსების, განსხვავებულობის მიმართება, რომელშიაც არის სხვა ნიშნებთან ერთად ობიექტის ერთეული ნიშანი. აბსტრაქტული ცნება „აუცილებლობა“ განსხვავდება კონკრეტული ცნებისაგან „აუცილებელი“. აუცილებლობა არის ისეთი კავშირის ასახვა, რომელიც გამომდინარეობს შინაგანი არსებიდან და გარდაუვალია. ამდენად ესეც მიმართების ცნებაა.

კონკრეტულ ცნებებს: „ერთეული“ — „ზოგადი“, „აუცილებელი“ — „შემთხვევითი“, „შესაძლებელი“ — „სინამდვილე“, „არსება“ — „მოვლენა“, „მიზეზი“ — „შედეგი“, ისევე როგორც ყველა კონკრეტულ ცნებას, ორმაგი შინაარსი აქვთ: პირდაპირი, რომელნიც ასახავენ იმ ობიექტების შინაგან შინაარსს, რომლებიც ამ ცნების მოცულობას შეადგენენ, და არაპირდაპირი, იმ განსაზღვრულობათა თანაამსახველი, რომლებიც ასახულია მათი შესატყვისი აბსტრაქტული ცნებებით. სწორედ ეს განსაზღვრულობანი წარმოადგენენ მიმართებებს. კითხვაზე — კონკრეტულ ცნებათა არაპირდაპირი შინაარსის ხვედრითი წონა მთლიანად საკმარისია თუ არა იმისათვის, რომ განვსაზღვროთ დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიები, როგორც სინამდვილის უზოგადესი და არსებითი მიმართებების ამსახველი ცნებები, მიზეზისა და შედეგის კატეგორიის ანალიზის მიხედვით პასუხი დადებითად არის გაცემული. ნათქვამია აღნიშნულ კატეგორიათა ტიპიური განსაზღვ-

რება ასეთია: „როცა ერთი მოვლენა წარმოშობს მეორეს, პირველი გვევლინება როგორც მიზეზი და მეორე როგორც შედეგი". აქ პირდაპირი ცოდნა მიზეზისა და შედეგის შესახებ გამოხატულია მტკიცებაში, რომ ერთიც და მეორეც მოვლენებია. ასეთი ინფორმაცია არ გვაძლევს საშუალებას, ერთიმეორისაგან განვასხვავოთ მიზეზი და შედეგი, რამდენადაც ერთი და იგივე მოვლენა შინაგანი შინაარსით შეიძლება იყოს მიზეზიც და შედეგიც. განსხვავება მიზეზსა და შედეგს შორის ასახულია არაპირდაპირ ცოდნაში, მტკიცებაში, რომ მიზეზი — ესაა მოვლენა, რომელიც წარმოშობს მეორე მოვლენას, ხოლო შედეგი — მოვლენა, გამოწვეული მიზეზით. ამის საფუძველზე კატეგორიების: „მიზეზი" და „შედეგი", არაპირდაპირი შინაარსის ძირითად შინაარსად ჩათვლა მართლზომიერია. არაპირდაპირი ცოდნის ამ თვისების დემონსტრირებაა დიალექტიკის სხვა კონკრეტული კატეგორიებიც.

აბსტრაქტული ცნებების ფორმაში არსებული დიალექტიკის კატეგორიებისათვის ცოდნა მიმართებების შესახებ წარმოადგენს მათ ერთადერთ შინაარსს, ხოლო კონკრეტულ ცნებათა ფორმაში არსებულ დიალექტიკის კატეგორიებისათვის ძირითადს წარმოადგენს ცოდნა მიმართებებზე, რომელიც მათი შინაარსის არაპირდაპირ ასპექტშია მოცემული. დიალექტიკის კატეგორიების უკანასკნელი ფორმაა უფრო მეტად გამოყენებული. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე დიალექტიკის ყველა კატეგორია განსაზღვრულია, როგორც სინამდვილის უზოგადესი და არსებითი მიმართების ამსახველი ცნებები.

დიალექტიკის კატეგორიების ტრადიციული განსაზღვრებების ასეთი ნაწილობრივი ექსპლიკაცია საერთოდ დიალექტიკის კატეგორიებზე მოძღვრებას აძლევს შემდეგს: პირველი, ის ხდის დიალექტიკის კატეგორიების განსაზღვრებას მოკლესა და ნათელს. მეორე, დიალექტიკის კატეგორიების განსაზღვრება როგორც სინამდვილის უზოგადესი და არსებითი მიმართებების ცნებებისა აადვილებს დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების ურთიერთკავშირის გაგებას. ამ შეხედულების პოზიციიდან საერთო დიალექტიკის კანონებსა და კატეგორიებს შორის არის ის, რომ ერთიც და მეორეც ობიექტური სინამდვილის მიმართებებს ასახავენ. მათ შორის არის განსხვავებაც, თუმცა ეს განსხვავება მაინც არ იძლევა იმის ნებას, რომ კატეგორიები განვსაზღვროთ, როგორც დიალექტიკის არაძირითადი კანონები. კანონში ყურადღების ცენტრში ყოველთვის თვითონ მ ი მ ა რ თ ე ბ ა ა (მაგალითად, ამბობენ „რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გ ა დ ა ს ვ ლ ი ს კანონი", „დაპირისპირებულთა ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს და ბ რ ძ ო ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი") და თითქოს „ჩრდილში" რჩებიან ის ობიექტები, რომელთა შორისაც ეს მიმართება არსებობს. კანონი თითქოს ასახავს მიმარ-

ებას და თან ასახავს მიმართების მატარებელს. კატეგორიაში კი, რომელთა უფრო მოხმარებითს ფორმას კონკრეტული ცნებები წარმოადგენენ, „ყურადღების ცენტრში“ ჩვეულებრივად სწორედ მიმართებითი მოვლენებია და თითქოს „ჩრდილში“ რჩება ამ მოვლენის მიმართება მეორე მოვლენასთან. კატეგორიები ჩვეულებრივად ასახავენ მიმართების მატარებელს და თან ასახავენ თვითონ მიმართებას. სწორედ ეს „ყურადღების განრიდება“ მიმართებიდან მიმართებით მოვლენებზე ქმნის ილუზიას, თითქოს კატეგორიები ასახავენ არა მიმართებებს მოვლენეთა შორის, არამედ თვითონ მოვლენებს. კატეგორიებსა და კანონებს შორის არის რაღაც ფორმალური განსხვავებებიც. კატეგორიები — ეს არის ცნებები მიმართებების შესახებ; კანონები კი შეიძლება ფორმულირებული იქნას მიმართებების შესახებ მსჯელობების სახით.

მეორე მხრივ, დიალექტიკის კანონებსა და კატეგორიებს შორის არ შეიძლება მკვეთრად გამმიჯნავი ხაზის გავლება. არსებობს კატეგორიათა მთელი რიგი, რომელთაც კანონის ნიშნები აქვთ, წარმოადგენენ გარდამავალ ფორმებს კანონებსა და კატეგორიებს შორის. მხედველობაშია აბსტრაქტული ცნებების ფორმების მქონე კატეგორიები. მაგალითად, მიზეზობრიობის კატეგორიაში ასახულ განსაზღვრულობას ხშირად მიზეზობრიობის კანონს უწოდებენ. უფრო იშვიათად უწოდებენ კანონს ფორმას. დიალექტიკის კატეგორიებს ხშირად უწოდებენ თანაფარდობითს ცნებებს. უპირველეს ყოვლისა, დიალექტიკის ყველა კატეგორია არ არის თანაფარდობითი ცნება. აბსტრაქტული ცნებები, რომელთა მოცულობასაც მიმართებები შეადგენენ, არ არიან თანაფარდობითნი. თანაფარდობითი არიან მხოლოდ კონკრეტული ცნებები, რომლებიც ასახავენ მიმართების მატარებელს და თან ასახავენ თვითონ მიმართებას.

აღნიშნულ მოსაზრებაზე პირველ რიგში ის უნდა ვთქვათ, რომ იგი ხელოვნურია და სინამდვილეს არ შეესაბამება. „დიალექტიკის კატეგორიების“ დაყოფა აბსტრაქტულ ცნებებად და კონკრეტულ ცნებებად და ამის შესაბამისად დიალექტიკის ყოველი კატეგორიის აღნიშვნა კონკრეტული და აბსტრაქტული ტერმინებით, სახელდობრ, მიზეზი — მიზეზობრიობა, შესაძლებელი — შესაძლებლობა, აუცილებელი — აუცილებლობა, არ პასუხობს ფაქტობრივ ვითარებას. არავითარი ასეთი ორი ცნება არ არსებობს. არსებობს, როგორც ცნება-კატეგორია მხოლოდ ერთი. ეს არის აუცილებლობის, შესაძლებლობის და ა. შ. ხოლო ის, რაც კონკრეტულ ცნებად არის მიჩნეული, მაგალითად, „აუცილებელი“, „შესაძლებელი“..., ცნება კი არ არის, არამედ ცნების შესაბამისი სინამდვილის განსაზღვრულობაა, ერთ-ერთი

მხარეა და სინამდვილის ერთ-ერთი მხარე როგორც უზოგადესი ასახულია აუცილებლობის, შესაძლებლობის... კატეგორიებში.

რაც შეეხება მტკიცებას, რომ დიალექტიკის კატეგორიები როგორც ცნებები ასახავენ სინამდვილის უზოგადესსა და არსებით მიმართებებს, დიალექტიკის კატეგორიის ცნებას, კატეგორიებს როგორც ცალკეულ ცნებებს არ ეხება. იგი მხოლოდ დიალექტიკის წყვილად კატეგორიათა კავშირზე შეიძლება ითქვას. დიალექტიკის რომელ ცალკეულ კატეგორიაშია ასახული მიმართება? ვფიქრობთ, არც ერთში. ნუთუ მიმართებაა ასახული აუცილებლობის, შემთხვევითობის, მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმის კატეგორიებში? რა თქმა უნდა, არა. თვით მიმართების კატეგორიაშიც კი მიმართების შინაარსია ფიქსირებული როგორც სინამდვილის ერთ-ერთი მხარე, განსაზღვრულობა და არა რაიმესი რაიმესთან მიმართება. ამიტომაც აღნიშნულ შემთხვევაშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უდავოდ დაშვებულია ლოგიკური შეცდომა, განსასაზღვრი ობიექტი სხვა ობიექტით არის შეცვლილი. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების განსაზღვრების ნაცვლად უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა მიმართების ცნებაზეა მსჯელობა. ეს კი ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებაა. ამიტომაც განსაზღვრებაში — დიალექტიკის კატეგორიებში ასახულია სინამდვილის უზოგადესი და არსებითი მიმართებები — არაფერია ნათქვამი თვით უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნებაზე.

რაც შეეხება მტკიცებას, რომ დიალექტიკის კანონებსა და კატეგორიებს შორის თითქოს არ არის მკვეთრი გამმიჯნავი ხაზი, ვინაიდან არსებობენ ისეთი კატეგორიებიც, რომლებსაც კანონის ნიშნებიც აქვთ და კანონსა და კატეგორიას შორის გარდამავალ ფორმას წარმოადგენენ. მაგალითად, მიზეზობრიობის კატეგორია, ფაქტობრივი ვითარების ზუსტი დახასიათება არ არის. მიზეზობრიობის კანონი, რომელიც ხშირად მიზეზობრიობის კატეგორიად იწოდება, მიზეზისა და შედეგის კავშირითაა განხორციელებული. მიზეზობრიობა მიზეზ-შედეგის კავშირია. ამიტომაც აქ გვაქვს ორი კატეგორიის კავშირის (მიმართების) საფუძველზე კანონი და არა რომელიმე ერთი კატეგორია არის კანონის სახით (ამაზე ქვემოთ).

§ 5. დიალექტიკის კატეგორიების ცნების, როგორც უზოგადესი კავშირების კანონების ასახვად განსაზღვრების შესახებ

განსაზღვრება — კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია მატერიალური სამყაროს უზოგადესი კავშირები, კანონები — უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებს, როგორც ცნებებს,

არ ეხება. მატერიალისტური დიალექტიკის ცალკეულ კატეგორიებში არ არის ასახული მატერიალური სამყაროს კანონები. მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმის, არსების, მოვლენის, შესაძლებლობის, სინამდვილისა და სხვა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში არ არის ასახული კავშირის კანონები. მიზეზი და შედეგი, შინაარსი და ფორმა... მართალია, ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი, მაგრამ არც მიზეზი და არც შედეგი, არც შინაარსი და არც ფორმა, ცალცალკე აღებული, არ წარმოადგენენ მოვლენეთა კავშირის კანონებს. სამყაროს კავშირები, კანონები, კატეგორია როგორც ცნებაში კი არა, კატეგორიათა კავშირშია ასახული, რომელიც მსჯელობითაა გამოთქმული; წყვილ კატეგორიათა შესაბამისი მხარეების აუცილებელი კავშირების კანონები მსჯელობით გამოითქმება. ეს საკითხი მოითხოვს კანონისა და კატეგორიის დამოკიდებულების მოკლე დახასიათებას.

კანონისა და კატეგორიის ცნებას როგორც განსხვავებული, ასევე მსგავსი ნიშნები ახასიათებს. მათ ერთიმეორისაგან განასხვავებს ასასახ მხარეთა განსხვავებულობა. კატეგორია კანონისაგან განსხვავებით სინამდვილის განსხვავებულ მხარეს ასახავს, ხოლო კანონი — კატეგორიისაგან განსხვავებულ მხარეს. მაშასადამე, ამ განსხვავებულ ცნებათა განსხვავებულობის საფუძველი თვით ასასახ მხარეთა განსხვავებულობაშია. კატეგორია სინამდვილის ერთ რომელიმე მხარეს ასახავს. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია (კატეგორიები) კი სინამდვილის ერთ უზოგადეს მხარეს ასახავს, კანონი კი არ არის სინამდვილის ერთი რომელიმე მხარის ასახვა. კანონში ყოველთვის ასახულია განსხვავებულ მხარეთა კავშირი; კანონში ყოველთვის კავშირი, მიმართებაა ასახული. „კანონი არის მიმართება". კანონი არის აუცილებელი, არსებითი კავშირების ზოგადობის ფორმა. კატეგორია არ არის განსხვავებულ მხარეთა კავშირების ასახვა. კატეგორია, როგორც ცნება, არ ასახავს განსხვავებულთა კავშირებს და აქედან გამომდინარე თვით კანონს. მაგალითად, მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმის და სხვ. ცალკეულ კატეგორიებში, როგორც ვთქვით, არავითარი კავშირი არ არის ასახული. აღნიშნული კატეგორიები, როგორც ცნებები, როცა მსჯელობის ფორმაში გვეძლევა, მაშინ არის არსებითი კავშირების, კანონების, ასახვაც. მაგალითად, მიზეზისა და შედეგის აუცილებელი კავშირი — მიზეზი განსაზღვრავს შედეგს, შინაარსისა და ფორმის აუცილებელი კავშირი — შინაარსი განსაზღვრავს ფორმას და სხვ., — მსჯელობებია. ამ მსჯელობაში ასახულია აუცილებელი კავშირების კანონები. მიზეზისა და შედეგის აუცილებელი კავშირი — მიზეზი განსაზღვრავს შედეგს, შინაარსისა და ფორმის აუცილებელი კავშირი — შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, — კანონია, რაც გამოითქმის მსჯელობით და არა კატეგორიით, როგორც ცნებით. ამიტომაც არ უნდა

გავაიგივოთ კატეგორია, როგორც ცნებით გამოთქმული, მსჯელობით გამოთქმულთან. ამგვარად, შინაარსის კატეგორია, ფორმის კატეგორია არავითარ კანონს არ ასახავს, თუმცა კატეგორიაა; რაც შეეხება შინაარსისა და ფორმის აუცილებელ კავშირს, იგი სინამდვილის ერთ-ერთი უზოგადესი კავშირია. ეს უზოგადესი კავშირი ამ სინამდვილის კანონია. შინაარსი განსაზღვრავს ფორმას — სინამდვილის უზოგადესი კანონია. ეს კანონი ასახულია შინაარსისა და ფორმის კატეგორიების კავშირში და გამოთქმულია მსჯელობით.

შეიძლება შეგვედავონ — კანონის კატეგორია აბა რას ასახავს, თუ არა კავშირს? რა თქმა უნდა, კანონის კატეგორია კავშირის ასახვაა, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს თვით კანონის კატეგორიის სპეციფიკურობის მაჩვენებელია, კ ა ნ ო ნ ი ს როგორც კატეგორიის და არა კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს ა. მეორე, კანონის კატეგორია განსხვავდება მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებისაგან. განმასხვავებელ ნიშნად საკმარისია დავასახელოთ, რომ კანონის კატეგორია არ არის თანაფარდობითი, წყვილადი კატეგორია. ასევე ითქმის ეს ზომისა და მიზეზობრიობის კატეგორიაზეც. ზომა არის რაოდენობისა და თვისებრიობის კავშირის ასახვა, ხოლო მიზეზობრიობა — მიზეზისა და შედეგის კავშირის ასახვა. მაგრამ არც ზომა და არც მიზეზობრიობა წყვილადი კატეგორია არ არის. მაშასადამე, ზოგიერთი ფილოსოფიური კატეგორია ასახავს კავშირს, მაგრამ არა უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეცდომად მიჩნევენ შეხედულებას — შინაარსი განსაზღვრავს ფორმას — კანონია. შეცდომის არგუმენტად მიუთითებენ, რომ კანონი ისევე არ არის მსჯელობა, როგორც არ არის და არც შეიძლება იყოს იგი ცნება ან კატეგორია. მართალია, ყოველი კანონი მსჯელობით გამოითქმის, მაგრამ ამის გამო მსჯელობა კანონად არ იქცევაო. ასეთი არგუმენტი, ჩვენი აზრით, მიზანს ვერ აღწევს, როცა ვამბობთ — მიზეზი განსაზღვრავს შედეგს, კანონია, ეს კანონი მისი შესაბამისი მსჯელობით გამოითქმის და არა ცალ-ცალკე აღებული მიზეზისა და შედეგის კატეგორიით. შემდეგ, კანონი არ არის მსჯელობა (ცნება, კატეგორია) და კანონი არ გამოითქმის ცნებით — ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული აზრია. რაც მთავარია, საეჭვოა ვინმე ასკვნიდეს, რომ რადგან ყოველი კანონი მსჯელობით გამოითქმის, ამიტომ ყოველი მსჯელობა კანონს გამოთქვამს, ან იმის გამო, რომ ყოველი კანონი მსჯელობით გამოითქმის, მსჯელობა კანონად იქცევა. ყოველი მსჯელობა არ გამოთქვამს კანონს და არც ერთი მსჯელობა არ იქცევა კანონად, კანონი გამოითქმის მსჯელობით. ზოგიერთი მსჯელობა გამოთქვამს კანონს.

მაშასადამე, ასასახი მხარისა და შინაარსის მიხედვით კანონი და კატეგორია ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სინამდვილის ერთი მხარე და სინამდვილის განსხვავებულ მხარეთა კავშირი განსხვავებული, ფორმითაა არსებული. მეცნიერებათა კანონებში ასახული, კატეგორიებში ასახულისაგან განსხვავებით, მსჯელობის ფორმაში გამოითქმება. კატეგორიაში ასახული ყოველთვის ცნების ფორმაშია გამოთქმული. ამიტომაც არის იგი ცნების და არა მსჯელობის გარკვეული სახე. ასეთი განსხვავება კანონსა და კატეგორიას შორის იმაზე მიუთითებს, რომ არ შეიძლება ცალკეული კატეგორიის არევა კატეგორიათა კავშირის ცნებასთან, რომელიც, როგორც კანონი, მსჯელობით გამოითქმის. ყოველივე ამის გამო ცდება ის, ვინც ამბობს, კატეგორია კანონის ასახვაა, ან ყოველი კატეგორია კანონია. ცალკეული კატეგორიები რომ კანონს არ ასახავენ და არც კანონს წარმოადგენენ, ეს გარკვევით ჩანს ისეთ უზოგადეს კატეგორიებში, როგორიცაა რაოდენობრიობისა და თვისობრიობის კატეგორიები. ეს კატეგორიები ერთიმეორისაგან აუცილებელი კავშირის გარეშე არავითარი კანონის ასახვას არ წარმოადგენენ. ისინი, როგორც კატეგორიები, ასახავენ სინამდვილის ერთ უზოგადეს მხარეს — სინამდვილის რაოდენობრივ და თვისობრივ მხარეს. მაგრამ რაოდენობრიობა და თვისობრიობა, როგორც კატეგორია, ჯერ კიდევ არ არის კანონის ასახვა. მხოლოდ მათი აუცილებელი კავშირია დიალექტიკის ერთ-ერთი უზოგადესი კანონის ასახვა.

ცალკეულ კატეგორიებში კანონი არ არის ასახული, ისინი კანონს არ წარმოადგენენ. ეს კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს შემთხვევითობის კატეგორიაში, რომელიც სინამდვილის ერთ უზოგადეს მხარეს ასახავს, მაგრამ თვითონ არც კანონს ასახავს და არც კანონს წარმოადგენს. ზუსტად ასე ითქმის მოვლენის კატეგორიის შესახებაც.

ეს ფაქტიც საკმარისი იქნებოდა იმ ზოგადი დებულების უარსაყოფად, რომ თითქოს კატეგორია კანონს ასახავს ან კანონია. აქედან გამომდინარე მცდარია ის შეხედულება, რომელიც მიიჩნევს, რომ არავითარი განსხვავება არ არის კანონსა და კატეგორიას შორის. ამ უკანასკნელთ გააჩნიათ ზოგიერთი საერთო ნიშანი, მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს კატეგორია და კანონი იგივეობრივი იყოს, რომ ყოველი კატეგორია კანონს გამოთქვამდეს. რამდენადაც კატეგორიით და კატეგორიათა კავშირით სხვადასხვა რამ არის ასახული, რამდენადაც კატეგორიათა კავშირში ასახული ყოველთვის მსჯელობით გამოითქმება, ხოლო კატეგორიაში ასახული, კატეგორია როგორც ცნებით, ამდენად მათ შორის ლოგიკური განსხვავებულობაც არის. უფრო ზუსტად: ლოგიკურის თვალსაზრისით კატეგორიასა და კანონს შორის განსხვავებულია გამოთქმის ფორმა: კატე-

გორიაში ასახული ყოველთვის ცნების ფორმით, ხოლო მეცნიერების კანონში ასახული მსჯელობის ფორმით გამოითქმის. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები არ ასახავენ უზოგადესი კავშირების კანონებს; უზოგადესი კავშირების კანონები ასახულია უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირში.

5. კატეგორიათა ზემოდასახელებული განსაზღვრებანი, სახელდობრ: კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია მატერიალური სამყაროს უზოგადესი თვისებები, კავშირები; მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები არის მატერიალური სამყაროს არსებითი კავშირების, უზოგადესი კავშირების ასახვა; ფილოსოფიური კატეგორიები — ეს ყველაზე ზოგადი ცნებებია ბუნებისა და საზოგადოების შესახებ, რომლებიც ასახავენ მატერიალური სამყაროს ყველა საგნისა და მოვლენის ზოგად და არსებით ნიშნებს და კავშირებს — ზოგიერთის აზრით, ზუსტად არისტოტელესეული განსაზღვრებანია, ოღონდ სხვა სიტყვებით გადმოცემული. სინამდვილეში კი, დასახელებული განსაზღვრებებიდან არცერთი ოდნავადაც არ ემსგავსება არისტოტელეს განსაზღვრებას. არისტოტელეს მიერ მოცემული განსაზღვრება — კატეგორია არის უზოგადესი ცნება, თვით კატეგორიის ცნების განსაზღვრებაა, ხოლო ჩამოთვლილ განსაზღვრებებში აშკარად განსაზღვრულია კატეგორიის ცნების მაგივრად კატეგორიათა კავშირის ცნება. ე. ი. ისინი სრულიად განსხვავებული ცნებებია და მათი გაიგივება არ შეიძლება.

თავი მეორე

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესის შესახებ

§ 6. პოლარული დაპირისპირებულობა (ურთიერთდაპირისპირებულობა), როგორც უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესი

კატეგორიის ცნების განსაზღვრებისა და უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესები განსხვავებულია. მათი განუსხვავებლობა აზრთა გაუგებრობას ქმნის. მაგალითად მიუთითებენ კატეგორიის ცნების განსაზღვრების ერთ-ერთ სიძნელეზე — რომ კატეგორიის ცნების განსაზღვრება შეუძლებელია უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავეიულობის წესის საშუალებით. განსაზღვრების აღნიშნული წესი გულისხმობს ცნებათა მოცულობით განსხვავებულობას, მაშინ, როდესაც უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების სფეროში მოცულობითი განსხავებულობა გამორიცხულია* (მიზეზის,

---

* ზოგადი დებულების სახით ამტკიცებენ, რომ ფილოსოფიურ კატეგორიებს, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს აქვთ მოცულობა, არა აქვთ შინაარსი. ეს მტკიცება სინამდვილეს არ შეესაბამება. შეუძლებელია, იმას, რაც რაიმეს ასახვაა და შინაარსის მქონეა, მოცულობა არ ჰქონდეს. იქნება კი უმოცულობო შინაარსი? თუ არის ცნების შინაარსი, მაშინ მას აქვს მოცულობაც. სხვა საკითხია, თუ როგორია უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა მოცულობა; არიან ისინი განსხვავებული მოცულობის ისე, როგორც სახე-გვარეობით დამოკიდებულებაში მყოფი ცნებები (კატეგორიები), თუ არა? უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა მოცულობა ერთიმეორესთან მიმართებაში არ არის მოცულობით განსხვავებული. მათი მოცულობა ერთნაირია; ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ მოცულობა არა აქვთ. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს, ისევე როგორც ყოველ ცნებას, კატეგორიას აქვთ მოცულობა. სხვაა მტკიცება, რომ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს მოცულობა არა აქვთ და სხვა, რომ მათ ერთნაირი მოცულობა აქვთ. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები ტრადუქტიული ტიპის ცნებებია, რომლებსაც ერთნაირი ზოგადობა ახასიათებთ როგორც შინაარსით, ასევე მოცულობით. ეს არის უზოგადესი ზოგადობა შინაარსით და მოცულობით. მაგალითად, ფაქტია, რომ არსებობენ ერთეული ცნებები, სახელდობრ, დედამიწის ღერძის, მზის სისტემის ცენტრის ცნება და სხვ. ამ ცნებებს აქვთ შინაარსიც და მოცულობაც. ერთეული ცნებების მოცულობა სწორედ ის არის, რომ ისინი ერთეულნი არიან; სხვა საკითხია ის, რომ ერთეული ცნების მოცულობის შემცირება აღარ შეიძლება.

შედეგის, არსებისა და სხვ. კატეგორიათა განსაზღვრა უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით შეუძლებელია). აქ, როგორც ჩანს, ერთმანეთშია არეული კატეგორიის ცნებისა და ცალკეულ უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესები.

კატეგორიის ცნებების ანუ კატეგორიის განსაზღვრების წესი და ცალკეულ უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან ისე, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კატეგორიის ცნება და ცალკეული ფილოსოფიური კატეგორიები. ფილოსოფიური კატეგორია მრავალია, მრავალია უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიაც. უზოგადესი კატეგორიები, რომლებიც სინამდვილის უზოგადეს მხარეებს გამოთქვამენ, ისევე მრავალია, როგორც თვით სინამდვილის უზოგადესი მხარეები, მაგრამ კატეგორიის ცნება ერთია. ის, თუ რა არის კატეგორია, არის კატეგორიის ცნება ანუ კატეგორიის კატეგორია. ამ უკანასკნელის განსაზღვრების წესი განსხვავდება უზოგადეს წყვილად კატეგორიათა განსაზღვრების წესისაგან. კატეგორიის ცნების განსაზღვრება — კატეგორია არის უზოგადესი ცნება — შესრულებულია უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით. აღნიშნულ განსაზღვრებაში კატეგორიის გვარია ცნება. კატეგორია ცნების სახეა.

1. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები განსხვავდებიან ზოგადი და კერძო კატეგორიებისაგან. ყველა კერძო და ზოგადი კატეგორია გვარეობითია. ამიტომ ისინი სახეგვარობითს დამოკიდებულებაში არიან ერთიმეორესთან. ამგვარი ბუნებით არ ხასიათდებიან უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები. იმის გამო, რომ ზოგადსა და კერძო კატეგორიებს რამდენიმე ნიშანი აქვთ და ამ ნიშანთა სიმრავლის საფუძველზე ერთიმეორესთან სახეგვარეობითს დამოკიდებულებაში არიან, მათთვის გამოსადეგია უახლოესი გვარისა და სახეობრივი (სპეციფიკური) განსხვავებულობის საშუალებით განსაზღვრება. მაგრამ ყოველი ცნება ამ წესით არ განისაზღვრება. ამ წესით არ განისაზღვრება ცნებები, რომლებსაც არა აქვთ გვარი. ასეთი ცნებები მხოლოდ და მხოლოდ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები არიან, მხოლოდ ისინი ხასიათდებიან ერთი უზოგადესი ნიშნით; თითოეული უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია ხასიათდება ერთი უზოგადესი ნიშნით, წინაალმდეგ შემთხვევაში, თუ ამ კატეგორიებს რამდენიმე ნიშანი აღმოაჩნდებოდა, მაშინ ერთი მათგანი გვარი იქნებოდა, რაც თვით კატეგორიათა ბუნების უარყოფაა. მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმის მტკიცებაა სწორი, რომ თითქოს კატეგორიებს საერთოდ არა აქვთ ერთზე მეტი ნიშანი და არც გვარი გააჩნიათ. ზოგადი და კერძო კატეგორიები ერთზე მეტი ნიშნით ხასიათდებიან და, ამდე-

ნად, გვარიც აქვთ. ის ცნებები, რომლებიც გვარით არ ხასიათდებიან და მხოლოდ ერთი უზოგადესი ნიშანი აქვთ, უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიებია. მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმის, აუცილებლობის, შემთხვევითობისა და სხვ. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს ერთი უზოგადესი ნიშანი აქვთ. ნამდვილად გაგებული მხოლოდ ერთი შინაარსი, ერთი ფორმა, ერთი აუცილებლობა... არსებობს. იმის გამო, რომ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს ერთი უზოგადესი ნიშანი აქვთ და გვარი არა აქვთ, განსაზღვრების განსხვავებული წესი გააჩნიათ, ვიდრე მრავალი ნიშნისა და გვარის მქონე ცნება-კატეგორიებს. მათ (უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს) განსაზღვრების საკუთარი, მათი ბუნებისათვის მისაღები, განსაზღვრების წესი აქვთ.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში აღიარებულად ითვლებოდა განუსაზღვრელი ცნებების არსებობა. ასეთად თვლიდნენ ცნებებს, რომლებიც არ არიან ერთიმეორესთან სახე-გვარეობითს დამოკიდებულებაში. უფრო ზუსტად განუსაზღვრელად მიაჩნდათ ცნებები, რომლებსაც გვარი არა აქვთ და არ შეიძლება სახეობრივი განსხვავებულობა მოვუძებნოთ. ასეთად აღიარებულია უზოგადესი და ერთეული ცნებები. მაგალითად, არისტოტელე განუსაზღვრელ ცნებათა ჯგუფს მიაკუთვნებდა ყველა უმაღლეს გვარეობითს ცნებას, ე. ი. კატეგორიებს. უმაღლესი გვარეობითი ცნებები შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სხვებზე გამოითქვას, თვითონ მათზე კი არაფერი გამოითქმის. ამიტომაც, ბუნებრივია, არისტოტელე არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა წესით უნდა განისაზღვროს კატეგორიები. მისთვის განსაზღვრების ერთადერთი უნივერსალური წესია სახეგვარეობითი განსაზღვრება. განუსაზღვრელია, არისტოტელეს აზრით, აგრეთვე ერთეული, ინდივიდუალური ცნებებიც. ერთეულ ცნებათა მიმართ, არსებითად, ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული პლატონს. განსაზღვრება შეიძლება იმისა, რაც რთულია, რაშიც არის სხვადასხვაობა. მარტივის განსაზღვრება შეუძლებელია. რაც ერთია და დაუნაწილებელი, მისი შემეცნება და განსაზღვრება შეუძლებელია.

ახალი დროის ფილოსოფიაში საკითხი, თუ რომელი ცნება განისაზღვრება და რომელი არა, სპეციალურად განიხილა ლოკმა. იგი აღნიშნავს: რამდენადაც მე ვიცი, დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება, თუ რომელი სიტყვა (ცნება) შეიძლება განისაზღვროს და რომელი არა; ეს კი არის მიზეზი დიდი დავისა და ბუნდოვანი მსჯელობებისა. ერთნი ისეთ ცნებათა განსაზღვრებას მოითხოვენ, რომლებიც საერთოდ არ შეიძლება განისაზღვრონ, ხოლო მეორენი უფრო ზოგადი სიტყვის ახსნის საშუალებით და მისი შემოსაზღვრით კმაყოფილდებიან. ლოკის აზრით, ყველა ცნება არ განისაზღვრება; ყველა ცხელა რომ განსაზღვრებას ემორჩილებოდეს, მაშინ ეს პროცესი უსასრულო-

ბამდე მივიდოდა. თუ ტერმინი ერთი განსაზღვრებისა მუდამ საჭიროა განვსაზღვროთ მეორეთი, მაშინ ბოლოსდაბოლოს, კითხულობს ლოკი, სად უნდა გავჩერებულიყავით? ამიტომაც იდეებისა და სიტყვების მნიშვნელობიდან გამომდინარე ნაჩვენები იქნება, რატომ შეიძლება ზოგიერთი სახელწოდება განისაზღვროს და ზოგიერთი არა. განუსაზღვრელია მარტივი იდეები. და მეცნიერებათა ე. წ. ამოსავალი ცნებები. მარტივი იდეები არ შეიძლება განისაზღვროს. ისინი არ ექვემდებარებიან განსაზღვრებას. ლოკი გარკვევით მიუთითებს, თუ რატომ არ განისაზღვრებიან უ მ ა ღ ლ ე ს ი გ ვ ა რ ე ო ბ ი თ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი. აღნიშნული ტერმინები, კატეგორიები თავიანთი შინაარსით მარტივ ტერმინთა კლასს, ანუ მარტივ იდეებს მიეკუთვნებიან. განსასაზღვრი ტერმინი არა მხოლოდ მოცულობით არის ზოგადი, არამედ შინაარსითაც უნდა იყოს რთული. ტერმინი, რომლის შინაარსი შედგება მხოლოდ ერთი ნაწილისაგან, მარტივია. უმაღლესი გვარეობითი ცნებები შინაარსით მარტივია, განსაზღვრება კი ნიშნავს დაშლას; ამიტომაც „მარტივი იდეების სახელები არ შეიძლება განისაზღვრონ". მიზეზი ამისა ის არის, რომ განსაზღვრების განსხვავებული ტერმინები განსხვავებულ იდეებს აღნიშნავენ და ამიტომ ყველა ისინი ერთად ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოადგენენ იდეას, რომელიც საერთოდ არ იქნებოდა შედგენილი. აი, ამიტომ განსაზღვრებას (რომელიც არაფერია, თუ არა ერთი სიტყვის მნიშვნელობის მითითება სხვა რამდენიმე სიტყვის საშუალებით, რომელნიც არ აღნიშნავენ ერთსა და იმავეს) არა აქვს ადგილი მარტივ იდეებთან. მარტივ ტერმინთა კლასს, ანუ მარტივ იდეებს მიეკუთვნება არა მხოლოდ უმაღლესი გვარის ცნებები, ე. ი. კატეგორიები, არამედ ყველა ის ტერმინიც, რომელიც გამოხატულია ჩვენი მარტივი გრძნობებით ან შთაბეჭდილებებით. ასეთი ტერმინებია: მოძრაობა, ფერი, სიწითლე, სითეთრე, და ა. შ. ლოკი თავისი აზრის დასასაბუთებლად იხილავს დასახელებულ ცნებებს და გვიჩვენებს ამ ტერმინის განსაზღვრებებს, წარმოდგენილს სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლის მიერ, თან მიუთითებს, რომ არცერთი მათგანი სინამდვილეში არავითარ განსაზღვრებას არ წარმოადგენს. მაგ., სქოლასტიკური განსაზღვრება — „მოქმედება ძალის მქონეა, რამდენადაც ის ძალაშია", ადამიანის აზროვნების ჩიხში გამომწყვდევაა. შედარებით უკეთესია მდგომარეობა, — ამბობს ლოკი, — ახლანდელ ფილოსოფიაში, როცა მარტივ იდეებს განსაზღვრავენ მათი მიზეზის ახსნით ან რომელიმე სხვა გზით. ატომისტები განსაზღვრავენ მოძრაობას, როგორც „ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებას". აქ ერთი სინონიმი შეცვლილია მეორით. ვინაიდან „გადაადგილება" სხვა არაფერია, თუ არა მოძრაობა. ატომისტებისათვის რომ ეკითხათ — რა არის „გადაადგილება", სხვაგვარად ვერც განსაზღვრავდნენ. თქმა. იმისა,

რომ „გადაადგილება არის მოძრაობა ერთი ადგილიდან მეორეზე“ არ არის უკეთესი გამოთქმაზე — „მოძრაობა არის გადაადგილება“. ასეთი განსაზღვრებანი თარგმანია, სადაც გვაქვს ორი სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობისა და ერთი შეცვლილია მეორეთი, მაგრამ ისინი განსაზღვრებები არ არის. მარტივი იდეის „სინათლის“ პერიპატეტული განსაზღვრება — სინათლე არის გამჭვირვალობის მოქმედება, რამდენადაც ის არის გამჭვირვალობა, — უფრო მეტი უაზრობაა, ამბობს ლოკი, ვიდრე მოძრაობის ზემოაღნიშნული განსაზღვრება.

მოძრაობისა და სინათლის შესახებ ლოკის მიერ განხილული განსაზღვრებანი, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლებს, მართლაც, კრიტიკას იმსახურებენ, რამდენადაც როგორც განსაზღვრებანი, ისინი არ აკმაყოფილებენ განსაზღვრების მოთხოვნას. ლოკის სამართლიანი მითითებით, მაგალითად, განსაზღვრება „მოძრაობა არის გადაადგილება“, არის ლექსიკონის ტიპის, ამიტომ მოძრაობის, როგორც ცნების (მარტივი იდეის) განსაზღვრებისათვის გამოუსადეგარი; მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ცნება „მოძრაობა“ საერთოდ არ განისაზღვრებოდეს. მართალია, ლოკი თავისი აზრის დასასაბუთებლად მარტივი იდეების განუსაზღვრელობის შესახებ მარტივ იდეათა ისეთ განსაზღვრებებს იხილავს, რომ ისინი, მართლაც, არ არიან განსაზღვრებანი და ამით კიდევ უფრო ამაგრებს თავის დებულებას, მაგრამ ყოველივე ეს საერთოდ მარტივ იდეათა განსაზღვრების შეუძლებლობას ვერ ასაბუთებს. ლოკის მიერ მარტივ იდეებად წოდებული ერთი რიგის ცნებები, რომლებიც უმაღლესი გვარის ცნებებია, შინაარსით, მართლაც, მარტივია: უფრო ზუსტად, ისინი მარტივია იმიტომ, რომ მათ შინაარსში ერთი უზოგადესი ნიშანია და არა რამდენიმე, თუმცა ეს ფაქტი მათი განსაზღვრების შეუძლებლობას ვერ ასაბუთებს. ისინი, რა თქმა უნდა, არ განისაზღვრებიან უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით, რომელიც ცნებაში მრავალ ნიშანს გულისხმობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ მათთვის არ იყოს განსაზღვრების რაიმე წესი. უმაღლესი გვარის ცნებებს, ანუ უზოგადეს კატეგორიებს განსაზღვრების საკუთარი წესი აქვთ.

რაც შეეხება იმ მეტად გავრცელებულ შეხედულებას, რომ ერთეული ცნებები არ განისაზღვრებიან, რადგანაც მათ არ შეიძლება სახეობრივი განსხვავებულობა მოვუძებნოთ, არსებითად ემყარება შემდეგ არგუმენტს — მათი განსაზღვრება არ შეიძლება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით. უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით რომ ყველა ცნების განსაზღვრა შეუძლებელია, ეს მართალია, მაგრამ არ არის სწორი, თითქოს ერთეული ცნებები ამის გამო არ განისაზღვრებოდნენ საერთოდ.

მცდარია მტკიცება საერთოდ ინდივიდუალური ცნებების განუსაზღვრელობისა. თუ დავუშვებთ, რომ ერთეულ ცნებათა განსაზღვრება შეუძლებელია, მაშინ ეს უფლებას მოგვცემს დავასკვნათ — მატერიალური სამყაროს უამრავი ნივთის შესახებ ცნებითი ცოდნა არ გვქონია.

ძირითადი არგუმენტი საერთოდ, ერთეულ ცნებათა განსაზღვრების შეუძლებლობის შესახებ წამოყენებული, შემდეგი სახისაა: ეოთეულ ცნებებს შეიძლება მოვუძებნოთ უახლოესი გვარი, მაგრამ შეუძლებელია მათთვის სპეციფიკური ნიშნის დადგენა; სპეციფიკურ ნიშანთა დადგენის სიძნელეს ან შეუძლებლობას იწვევს უამრავი სპეციფიკური ნიშნის არსებობა. ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ცნებაში ასახულ სპეციფიკურ ნიშანთა სიმრავლე არა თუ სიძნელეს იწვევს, არამედ, პირიქით, საშუალებას იძლევა იმისას, რომ ამ სპეციფიკური ნიშნებიდან ძირითად ნიშანთა საფუძველზე განსასაზღვრი ცნება განვასხვავოთ სხვა ცნებებისაგან. უამრავი სპეციფიკური ნიშნის არსებობა განსაზღვრების სასარგებლოდ ლაპარაკობს და არა საწინააღმდეგოდ.

ერთეული ცნება ასახავს თავის ობიექტს მთლიანობაში. ცნების ობიექტი უამრავი ნიშნის მქონეა, მაგრამ ცნების შინაარსი, როგორი ინდივიდუალურიც უნდა იყოს ცნების ობიექტი, სპეციფიკური და არა სპეციფიკური, განმასხვავებელი და არაგანმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება. სხვაგვარად: როგორი ერთეულიც უნდა იყოს ცნება, მასში ყოველთვის ასახულია მისი ობიექტის რთული მთლიანობა, რომელიც განმასხვავებელი ნიშნით ხასიათდება, ამიტომაც ეს განმასხვავებელი ნიშანი სპეციფიკურ განმასხვავებელ ნიშნებზე მითითების სრულ შესაძლებლობას იძლევა.

ერთეულ ცნებათა განსაზღვრების საწინააღმდეგოა შემდეგი სახით ფორმულირებული არგუმენტიც: ერთეული ცნებები არ განისაზღვრებიან უახლოესი გვარითა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით; არ განისაზღვრებიან, ვინაიდან მათ არა აქვთ სახეობრივი განსხვავებულობა. სახეობრივი განსხვავებულობა მას შეიძლება ჰქონდეს, რასაც მოცულობა აქვს, ერთეული ცნებები კი მოცულობის გარეშეა. ასეთი არგუმენტის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთეული ცნებები, მართალია, არ განისაზღვრებიან უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობით, ან უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი საერთოდ განუსაზღვრელნი არიან. ერთეული ცნებები განისაზღვრებიან განსაზღვრების სხვა წესებით; მაგალითად, ნიშანთა ჩამოთვლით განსაზღვრება, დესკრიპციით განსაზღვრება და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთეულ ცნებათა განუსაზღვრელობის შესახებ წამოყენებული არგუმენტები ფაქტიურად ეყრდნობა

მათი უახლოესი გვარისა და სახეობრივი (სპეციფიკური) განსხვავებულობის წესით განსაზღვრების შეუძლებლობას. ერთეული ცნებები რომ არ განისაზღვრებიან აღნიშნული წესით, ეს არ არის საბუთი მათი საერთოდ განუსაზღვრელობისა.

ფილოსოფიისა და ლოგიკის ისტორიაში მრავალჯერ გამოთქმულა აზრი, რომ ცნებები, რომლებსაც გვარი არა აქვთ, არ განისაზღვრებიან უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით*. მარქსისტულ ლიტერატურაში პირველად ვ. ი. ლენინმა მიუთითა, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების — სახელდობრ მატერიისა და ცნობიერების კატეგორიის — განსაზღვრება არ შეიძლება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის წესის საშუალებით. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები ისეთი ცნებებია, რომ ისინი არ შეიძლება მოთავსდნენ უფრო ფართო ცნებების ქვეშ, სახელდობრ, უახლოეს გვარში.

2. უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიებისათვის დამახასიათებელი ლოგიკური ნიშანი, რითაც უნდა შესრულდეს მათი განსაზღვრება, არის ამ კატეგორიათა პოლარულობა, წყვილადი კატეგორიების პოლარული დაპირისპირებულობა, პოლარული დაპირისპირებულობით ხასიათდება ორი წყვილადი კატეგორია და არა საერთოდ ყოველი ორი კატეგორია. პოლარული დაპირისპირებულობის ნიშანი

---

* ახალი დროის ფილოსოფიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი — სპინოზა სუბსტანციის ცნების განსაზღვრებისას უარყოფს უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით მის განსაზღვრებას. სუბსტანციის სპინოზისეული განსაზღვრება აშკარად ეწინააღმდეგებოდა განსაზღვრების ტრადიციულ წესს — უახლოესი გვარითა და სახეობრივი განსხვავებულობით განსაზღვრების წესს. ამან კი სუბსტანციის განსაზღვრებაზე ეჭვი და გაუგებრობა გამოიწვია. თუ სუბსტანციას სპინოზა განსაზღვრავდა ისე, რომ მას გვარის ქვეშ მოათავსებდა, მაშინ ასეთი განსაზღვრებით იგი არ იქნებოდა სუბსტანცია — სუბსტანცია, როგორც დაბოლოებელი, განუსაზღვრელი, თავის თავის მიზეზი და ყოველივე სხვა მოვლენის საფუძველი. თუ სუბსტანციის ცნება მასზე უფრო უზოგადესი გვარის ცნების ქვეშ მოთავსდებოდა, მაშინ იგი არ გამოდგებოდა სუბსტანციის ცნებად, ვინაიდან იგი გარკვეულ საზღვრებაში იქნებოდა მოქცეული; სუბსტანციას კი არა აქვს საზღვარი, იგი უსაზღვროა. ამიტომაც სუბსტანციის გამომხატველ ცნებასაც არ შეიძლება გვარი ჰქონდეს. სუბსტანციას იმიტომ ეწოდება სუბსტანცია, რომ იგი რაიმე გვარში არ თავსდება. ამიტომაც სუბსტანცია არ შეიძლება განსაზღვრული იქნეს უახლოესი გვარითა და სახეობრივი განსხვავებულობით. იმის გამო, რომ განსაზღვრების ეს წესი სუბსტანციის განსაზღვრებისათვის გამოუსადეგარია, სპინოზა მას აკრიტიკებს კიდევაც. ფილოსოფოსები დარწმუნებულნი არიან, წერს იგი, რომ სწორი განსაზღვრებისათვის აუცილებელია გვარისა და სახის განსხვავებულობის მითითება, მართალია, ამას ყველა ლოგიკოსი ეთანხმება, მაგრამ არ ვიცი, კითხულობს სპინოზა, ამას საიდან იღებენ ისინი. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ასე იქნება, მაშინ შეუძლებელია სუბსტანციის განსაზღვრება. ამიტომაც საჭიროა განსაზღვრების სხვა წესის მიღება, რომელიც თანხმობაში იქნება ჭეშმარიტ ლოგიკასთან.

არ არის შემთხვევითი და გარეგანი. იგი თვით ამ წყვილ კატეგორიათა ბუნებიდან გამომდინარეა, ამიტომ მათთვის შინაგანი და აუცილებელია. წყვილ კატეგორიათა პოლარული დაპირისპირება, როგორც წესი, უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა ლოგიკური ნიშანია. პოლარულად დაპირისპირებული კატეგორიები ერთიმეორეს აუცილებლობით მოითხოვენ: შინაარსის კატეგორია აუცილებლად მოითხოვს ფორმის კატეგორიას, ხოლო ფორმის კატეგორია — შინაარსის კატეგორიას; მიზეზის კატეგორია შედეგის კატეგორიას მოითხოვს, ხოლო შედეგისა — მიზეზის კატეგორიას და ა. შ. მსგავსად იმისა, როგორც ორი ცნების ლოგიკური დამოკიდებულების (სახე-გვარობით ცნებებს შორის) და არა ყოველი ორი ცნების დამოკიდებულების საფუძველზე, შესაძლებელია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით ცნების განსაზღვრება, სწორედ ასევე უზოგადეს წყვილად კატეგორიებში განსაზღვრება შესაძლებელი ხდება ორი პოლარულად დაპირისპირებულ ცნებათა საშუალებით. მაშასადამე, განსაზღვრების წესი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრება სრულდება წყვილ კატეგორიათა დაპირისპირებულობის საშუალებით. თითოეული კატეგორია განისაზღვრება მეორე, მის შესაბამის წყვილ კატეგორიასთან პოლარული დაპირისპირებულობის საშუალებით. კატეგორიათა განსაზღვრების ეს წესი თვით უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა ბუნებითაა განპირობებული.

უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში განსაზღვრული ცნებები სახე-გვარობით კავშირზე კი არ მიუთითებს, ვინაიდან ასეთი კავშირი მათ არა აქვთ, არამედ განსასაზღვრთა საპირისპირო მხარეზე. ამიტომაც განსაზღვრება სრულდება დაპირისპირების საშუალებით. მაგალითად, მიზეზის ცნების განსაზღვრება შედეგის ცნებასთან დაპირისპირებით უნდა შესრულდეს და შედეგისა მიზეზის ცნებასთან დაპირისპირებით. შინაარსის ცნების განსაზღვრება ფორმის ცნებასთან დაპირისპირებით უნდა შესრულდეს და ფორმისა შინაარსის ცნებასთან დაპირისპირებით. ასევე ითქმის ეს სხვა უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებზეც. პოლარული დაპირისპირებულობა დაპირისპირებულ კატეგორიებს შორის გამოხატავს როგორც განსხვავებას, ასევე იგივეობასაც. უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიებისათვის პოლარული დაპირისპირებულობა არის უძირითადესი ლოგიკური ნიშანი. სწორედ ამიტომ პოლარული დაპირისპირებულობა არის მათი განსაზღვრების წესი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ წესით დგინდება თვით უზოგადესი წყვილადი კატეგორიების ცნება, მათი შინაარსი. ასეთი რამ მას, როგორც განსაზღვრების წესს არ მოეთხოვება. პოლარული დაპირისპირებულობა იმას კი არ ადგენს, თუ რა არის აუცილებლობა, შემთხვევითობა, შინაარსი, ფორმა და ა. შ., არამედ

იგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ეს კატეგორიები. მაგალითად, როცა განვსაზღვრავთ აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიებს, ვამბობთ: აუცილებლობა არის ის, რასაც მიზეზი აქვს თავისთავში, რაც საგანთა და მოვლენათა არსებიდან, შინაგანი კავშირებიდან კანონზომიერად გამოდის, ხოლო შემთხვევითობა არის ის, რასაც მიზეზი არა თავის თავში, არამედ სხვაში აქვს. ეს პოლარული დაპირისპირებულობის წესით არ დგინდება. პოლარული დაპირისპირებულობა, როგორც განსაზღვრების წესი, მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ აუცილებლობა და შემთხვევითობა ურთიერთდაპირისპირებით უნდა განისაზღვროს. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის და მათ შორის, რა თქმა უნდა, ყოველი ცნების შინაარსი თვით განსაზღვრებით დგინდება, რომელიც ყოველთვის განსაზღვრების ამა თუ იმ წესით არის განხორციელებული.

არ არის მართებული აზრი, რომ კატეგორიათა განსაზღვრება უნდა შესრულდეს იმის მიხედვით, თუ რომელი კატეგორია რომელს უსწრებს; უფრო ზუსტად, რომელია პირველადი და რომელი მეორადი. კატეგორიათა მიმართ საკითხის ასე დასმა უმართებულოა. ჯერ ერთი, რაც მთავარია, კატეგორიები ხომ ცნებებია, ხოლო ცნების სფეროში, სადაც დროულობის მომენტი გამორიცხულია, არ უნდა დაისვას საკითხი რომელიმე ცნების, კატეგორიის მის წყვილ კატეგორიასთან მიმართებაში პირველადობა-მეორადობის შესახებ. თქმა იმისა, რომ მატერიის კატეგორია პირველადია, ცნობიერების კატეგორია მეორადი, ჩვენი აზრით, ისევე არაა მართებული, როგორც თქმა — აუცილებლობის კატეგორია პირველადია, შემთხვევითობისა მეორადი, არსების კატეგორია პირველადია, მოვლენისა მეორადი და ა. შ. კატეგორიათა სისტემა, როგორც გარკვეული სახის ცნებათა სისტემა, დროულობით არ ხასიათდება, ხოლო ცნება პირველადობა-მეორადობისა აუცილებლად ხასიათდება დროულობის ნიშნით. მატერიის კატეგორია, როგორც ცნება, წინ არ უსწრებს ცნობიერების კატეგორიას, როგორც ცნებას, ხოლო ცნობიერების კატეგორიის უკან კი არ არის მატერიის კატეგორია, როგორც ცნება. სინამდვილეში მატერია წინ უსწრებს ცნობიერებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მატერიის კატეგორიის ცნება წინ უსწრებს ცნობიერების კატეგორიის ცნებას. სინამდვილეში მამა წინ უსწრებს შვილს, მოსკოვი თბილისის ჩრდილოეთითაა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ცნება „მამა“ წინ უსწრებს ცნება „შვილს“, ცნება „მოსკოვი“ ჩრდილოეთითაა ცნებასთან „თბილისი“. ამიტომაც ის, რაც დროულობის ნიშნით ხასიათდება, დროულობის გარეშე არ არის, იგი არ ეხება დროულობის გარეშე არსებულს, ცნებას, როგორც ლოგიკურს. მეორე, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა წყვილებში პირველადობა — მეორადობას

თუ განსაზღვრების ხერხად მივიჩნევთ, თითოეული კატეგორიის შესაბამის სინამდვილეზე მაინც ვერ გავავრცელებთ. ამ წესით შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ზოგიერთი წყვილი კატეგორიის შესაბამისი სინამდვილის პირველადობა-მეორადობის ჩვენება. მაგალითად, მატერია და ცნობიერება, მიზეზი და შედეგი; ხოლო კატეგორიათა სხვა წყვილების შესაბამის სინამდვილეზე ვერ ვიტყვით იმას, რომ ერთი პირველადია, მეორე მეორადი. მაგ., თქმა იმისა, რომ აუცილებლობა პირველადია, შემთხვევითობა — მეორადი; არსება პირველადია, მოვლენა — მეორადი, იქნება აღიარება, რომ ჯერ იყო აუცილებლობა, მერე — შემთხვევითობა. ჯერ იყო არსება, მერე — მოვლენა და ა. შ. პირველადობა-მეორადობა წარმოშობის მიხედვით გაგებული ამ კატეგორიათა შესაბამისი სინამდვილის განსაზღვრებად არ გამოდგება. იგი, თუ მას განსაზღვრების წესად ჩავთვლით, მხოლოდ მატერიასა და ცნობიერებას, მიზეზსა და შედეგს შეიძლება გამოადგეს, ვინაიდან როგორც მატერია, ასევე მიზეზი დროში წინ უსწრებს მათ საპირისპიროს — ცნობიერებასა და შედეგს. მაგრამ ამის თქმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა წყვილ კატეგორიათა შესაბამის სინამდვილეზე არ შეიძლება. ამიტომაც არ იქნებოდა სწორი, რომ ის, რაც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ზოგიერთი წყვილის შესაბამისი სინამდვილისთვისაა დამახასიათებელი, მთელ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა წყვილის შესაბამის სინამდვილეზე გავავრცელოთ. ამიტომ იგი მისაღებიც რომ იყოს განსაზღვრების წესად, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა მიმართ მაინც ნაკლოვანი იქნებოდა, როგორც განსაზღვრების წესი. ნაკლოვანი იმიტომ, რომ იგი განსაზღვრულ კატეგორიათა, რომელთა განსაზღვრების წესადაა იგი აღიარებული, მხოლოდ ნაწილს დააკმაყოფილებდა.

სინამდვილეში კი, როგორც სხვა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები, ასევე მატერიისა და ცნობიერების კატეგორია განისაზღვრება მათი დაპირისპირების საშუალებით. ვ. ი. ლენინის მიერ მატერიის ცნების განსაზღვრება ცნობიერებასთან დაპირისპირებითაა შესრულებული. მატერიის ცნების განსაზღვრებისას ამ ცნების ძირითადი ნიშანი დაპირისპირებულია მეორე, მის საპირისპირო ცნებასთან — ცნობიერებასთან. მატერიის ცნების განსაზღვრება, რომელიც მისი წყვილი მოპირდაპირე ცნების — ცნობიერების ცნებასთანაა დაპირისპირებული, ამ დაპირისპირების საფუძველზე იმის აღიარებაში მდგომარეობს, რომ მატერია პირველადია და ცნობიერება მეორადი, ვ. ი. ლენინმა მატერიის სწორედ ასეთი განსაზღვრება მოგვცა.

იყო და არის შეხედულება როგორც საერთოდ უზოგადეს ცნებებზე, ხოლო განსაკუთრებით მატერიის ცნებაზე, რომ მისი განსაზღვრა ლოგიკური ხერხით სრულიად შეუძლებელია. ეს არგუმენტი მრა-

ვალგვარია. მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესოა ის, რომელიც ამტკიცებს: მატერიის განსაზღვრება შეუძლებელია იმიტომ, რომ მატერიის განსაზღვრება ნიშნავს მისი საპირისპიროს დაშვებას; ისეთი სინამდვილის დაშვებას, რომელიც მას დაუპირისპირდებოდა, ამიტომაც მატერიის განსაზღვრება მის უარყოფასაც წარმოადგენს და უარისმყოფელი ისევე არსებობს, როგორც უარყოფილი, მაგრამ მარქსისტული ფილოსოფიის თანახმად არავითარი სხვა სინამდვილე, რომელსაც მატერიის უარყოფა შეეძლოს, არ არსებობს. ეს არგუმენტი მცდარია. მატერიას რომ მისი საპირისპირო სინამდვილე არ ჰქონდეს, მაშინ, მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა მისი განსაზღვრება. მაგრამ ფაქტია და მარქსისტული ფილოსოფია აღიარებს, რომ გარდა მატერიალური სინამდვილისა არსებობს იდეალური სინამდვილე, ცნობიერება. მატერიის ცნება სწორედ ცნობიერების ცნებასთან დაპირისპირებითაა განსაზღვრული. ეს ნიშნავს იმას, რომ მატერიის ცნება უდავოდ ხასიათდება უარყოფის მომენტით, იმით, რაც მას განსაზღვრავს. განსაზღვრებაში განსასაზღვრი ცნების გამიჯვნა, გამოყოფა სხვა ცნებისაგან არის უარყოფის მომენტი, რასაც ყოველი განსაზღვრება შეიცავს.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა აღნიშნული წესით განსაზღვრების საწინააღმდეგო არგუმენტად თუ ვინმე წამოაყენებს იმას, რომ იგი ტავტოლოგიაა განსაზღვრებაში, ვუპასუხებდით, რომ აღნიშნული წესით განსაზღვრებაში ტავტოლოგია იმ შემთხვევაში იქნება, როცა საპირისპირო, პოლარულად დაპირისპირებული მხარეები იგივეობრივი შინაარსისაა. მაგალითად, არსების კატეგორია არსებისადმია დაპირისპირებული, შინაარსისა — შინაარსისადმი და ა. შ. სინამდვილეში, პოლარულად დაპირისპირებულ კატეგორიებში დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთისაგან განსხვავებულია თავისი შინაარსით. განსხვავებულ შინაარსთა დაპირისპირებულობა გვაქვს და არა იგივეობრივის, რის გამოც ტავტოლოგია განსაზღვრებაში გამორიცხულია.

§ 7. უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესად პოლარული დაპირისპირებულობის აღიარების საწინააღმდეგოდ წამოყენებული რამდენიმე არგუმენტის შესახებ

1. კატეგორიის განსაზღვრება შეუძლებელია მათი ურთიერთდაპირისპირების (პოლარიზაციის) გარეშე — ეს ცხადია, მაგრამ კატეგორიების განსაზღვრების წესის მხოლოდ ამ მომენტზე დაყვანა შეცდომაა, რადგან კატეგორიის განსაზღვრების წესის ამ მომენტში გარკვეულად ნეგატიური მომენტია დომინანტური და გარკვეულ აზრით

უარყოფითი დიალექტიკის საფუძველზე ვრჩებით. აქ არსებითად ადგილი აქვს დაპირისპირების აუცილებლობის ჩვენებას და შედეგი უარყოფითი რჩება, რადგანაც დგინდება კატეგორიათა ურთიერთგანსხვავებული შინაარსი, მაგრამ არა თვით მოცემული კატეგორიის ლოგიკური განსაზღვრულობის მომენტები, რომლებიც უნდა შეადგენდნენ მის განსაკუთრებულ შინაარსს, მაშინ როცა დადებითი დიალექტიკა ნიშნავს წინააღმდეგობის აუცილებლობიდან მათი ერთიანობის დასაბუთებამდე ასვლას. ამ არგუმენტის გაბათილება უხდებათ მისსავე დამცველებს: პირველი, როცა ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებიდან" არსისა და არაარსის კატეგორიათა ანალიზისას მითითებულია: კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირებით ხდება კატეგორიის შ ი ნ ა ა რ ს ი ს გ ა მ ო მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ა, გ ა მ ო ვ ლ ე ნ ა და ამ მიმართების საფუძველზე კატეგორიათა ურთიერთგანსაზღვრებასთან გვაქვს საქმე, რის მაგალითად გამოდგება მარქსისტული ფილოსოფიის ყველა კატეგორიაო. თუ ეს ასეა (ეს კი ნამდვილად ასეა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების მიმართ), მაშინ პოლარიზაციის (ურთიერთდაპირისპირების) წესით დგინდება დადებითი და არა ნეგატიური შინაარსი. დადებითი, ვინაიდან კატეგორიის შინაარსის გამომჟღავნება ხდება. რაც მთავარია, თურმე „ამის მაგალითად გამოდგება მარქსისტული ფილოსოფიის ყველა კ ა ტ ე გ ო რ ი ა". შემდეგ, პოლარიზაციის წესით კატეგორიათა განსაზღვრებისას უარყოფითი დიალექტიკის საფეხურზე კი არ ვრჩებით, არამედ დადებით დიალექტიკასთან გვაქვს საქმე, რასაც თვით ამ წესის სახელწოდება მიუთითებს. პოლარიზაციის წესის მიხედვით საქმე გვაქვს პოლარიზაციულ დაპირისპირებასთან, ურთიერთდაპირისპირებასთან, ე. ი. დაპირისპირებათა ერთიანობასთან, რაშიც დადებითი დიალექტიკა დგინდება. განსაზღვრების აღნიშნული წესით უარყოფითი დიალექტიკა იმ შემთხვევაში გვექნებოდა, რომ მხოლოდ წინააღმდეგობის, დაპირისპირების აუცილებლობის ჩვენება იყოს აღიარებული. მეორე, როცა მითითებულია: ვ. ი. ლენინი პირდაპირ აღნიშნავს, რომ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირების მეთოდით ყველა კატეგორია კი არ განისაზღვრება, არამედ მხოლოდ ისეთნი, რომლებიც დაპირისპირებულნი არიან ძირითადი გნოსეოლოგიური საკითხების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში სავსებით მართებულია მატერიისა და ცნობიერების კატეგორიების განსაზღვრა, როგორც გნოსეოლოგიურად დაპირისპირებული კატეგორიებისა. მაშასადამე, ასეთი მოსაზრებით, მართალია, ყველა ფილოსოფიური კატეგორია არა, მაგრამ მატერიისა და ცნობიერების კატეგორიები სავსებით მართებულადაა განსაზღვრული პოლარული დაპირისპირებულების ანუ ურთიერთდაპირისპირებულობის წესით. ვსვამთ კითხვას: თუ პოლარიზაციის წესით მხოლოდ „უარყოფითი დიალექტიკის საფუძველზე

ვრჩებით", ე. ი. კატეგორიის ნეგატიური და არა დადებითი შინაარსი დგინდება, მაშინ ლენინის მიერ მატერიისა და ცნობიერების კატეგორიები როგორ არის დადებითი შინაარსით განსაზღვრული? თუ მაშინაც ნეგატიური შინაარსია დადგენილი? რა თქმა უნდა, დადებითი შინაარსია დადგენილი და არა უარყოფითი. ამაზედაც მითითებულია: „ურთიერთდაპირისპირების მეთოდით... სავსებით მართებულია მატერიისა და ცნობიერების კატეგორიების განსაზღვრება". მაშასადამე, პოლარული დაპირისპირებულობის წესით მატერიისა და ცნობიერების კატეგორიის განსაზღვრება არავითარ უარყოფით დიალექტიკას არ ქმნის. ასევე ითქმის სინამდვილეში ყველა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის შესახებ.

2. პოლარიზაციის წესით კატეგორიათა განსაზღვრების მოსაზრების იმანენტური ნაკლი კატეგორიათა თანაფარდობისა და კატეგორიის ბუნების მომენტთა შინაგანი ფარდობითობის აღრევაში მდგომარეობს, პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებულ კატეგორიათა წყვილადობასთან, რომლებიც ობიექტურად ურთიერთგანპირობებულ, მაგრამ სინამდვილის განსხვავებულ, დაპირისპირებულ მხარეთა ასახვას წარმოადგენენ; მეორე შემთხვევაში კი მხედველობაში უნდა გვქონდეს ერთი გარკვეული კატეგორიის ლოგიკური განსაზღვრულობის მომენტის თანაფარდობა, რომელიც წარმოადგენს სინამდვილის ერთი გარკვეული მხარის მრავალგანსაზღვრულობათა მოსაზრებას ადამიანის ცნობიერებაში. ამასთანავე ლოგიკური თვალსაზრისით, ერთი კატეგორიის მეორესთან დაპირისპირება ორივეს განსაზღვრულობათა ცოდნას გულისხმობს წინასწარ, რომლის გარეშე თვით ეს დაპირისპირება ჩანს გაუმართლებელი. ამის შემდეგ კი კატეგორიის განსაზღვრების წესის ძიება ნაგვიანევ ოპერაციას წარმოადგენს, რადგან იგი წინასწარ უნდა გვქონოდა მოხმარებული. ასეთი მოსაზრებიდან გარკვევით ჩანს, რომ პირველ და მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებული შინაარსის მქონე კატეგორიებთან. მტკიცება — ლოგიკური თვალსაზრისით, ერთი კატეგორიის მეორესთან დაპირისპირება ორივეს განსაზღვრულობათა ცოდნას წინასწარ გულისხმობს, რომლის გარეშე თვით ეს დაპირისპირება გაუმართლებელი ჩანს, მცდარი აზრია. წყვილად კატეგორიათა შინაარსის ცოდნის საფუძველზე კი არ დგინდება მათი პოლარული დაპირისპირებულობა, არამედ, პირიქით, პოლარული დაპირისპირებულობის საფუძველზე დგინდება წყვილად კატეგორიათა შინაარსის შესახებ გარკვეული ცოდნა. შემდეგ, რაც მთავარია, ზემოთ აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, კატეგორიათა პოლარული დაპირისპირებულობა გაგებულია როგორც გარეგანი და შემთხვევითი. პოლარულ დაპირისპირებულობას იმიტომ კი არ ვიღებთ განსაზღვრების წესად, რომ დაპირისპირებულ კატეგორიათა შესახებ წინასწარ გვაქვს

ცოდნა და, რაკი განსხვავებული არიან ისინი, მერე ვუპირისპირებთ ერთმანეთს. სინამდვილეში ხდება პირიქით. რამდენადაც წყვილად კატეგორიათა პოლარული დაპირისპირებულობა შინაგანი და აუცილებელი ბუნებისა, ამდენად დგინდება მათი შინაარსის განსხვავებულობა.

შემდეგ ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული შეხედულების დამცველნიც ეთანხმებიან ზოგიერთი კატეგორიის განსაზღვრებას პოლარული დაპირისპირებულობის წესით. მაგალითად, მატერიისა და ცნობიერების კატეგორიას, მაგრამ ნუთუ ამ კატეგორიის შინაარსი ვიცით წინასწარ და მერე ვახდენთ პოლარულ დაპირისპირებულობას, თუ ამ დაპირისპირებულობაში დგინდება შინაარსი?

3. კატეგორიის იმანენტური შინაარსი ვერ დგინდება კატეგორიათა მხოლოდ პოლარიზაციის მეშვეობით, რადგან დაპირისპირება კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირებულ შინაარსს დაადგენს, მაგრამ არა თვით მოცემული კატეგორიის შინაარსობრივი გარკვეულობის მომენტებს, რომლებიც ადგენენ მის სპეციფიკურ შინაარსს. ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ აქ სწორედ ურთიერთდაპირისპირებული შინაარსის დადგენა ხდება, რითაც მოცემული კატეგორიების შინაარსი დგინდება და არა საერთოდ დაპირისპირებული შინაარსები. თუ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირებით ხდება „კატეგორიის შინაარსის გამომჟღავნება", მაშინ სწორედ წყვილად კატეგორიათა შინაარსის გამომჟღავნება არის დაპირისპირებულ კატეგორიათა დადებითი შინაარსიც. შემდეგ, რაც მთავარია, ცნების, კატეგორიის განსაზღვრების არცერთ წესს არ ევალება მათი შინაარსის განსაზღვრება. კატეგორიათა განსაზღვრების წესს არ ევალება ცალკეული კატეგორიის შინაარსის დადგენა, იგი იმაზე მიუთითებს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები. თუ საერთოდ განსაზღვრების წესები განსაზღვრის შინაარსს არ ადგენენ, ეს კი ასეა ნამდვილად, მაშინ პოლარიზაციის წესით კატეგორიის განსაზღვრებას რატომ მოვთხოვოთ ის, რაც მისი საშუალებით არ სრულდება. კატეგორიის განსაზღვრების წესს ისევე არ ევალება ამა თუ იმ კატეგორიის შინაარსის დადგენა, როგორც განსაზღვრებას არ ევალება განსასაზღვრი საგნის არსებობის დადგენა.

4. ზოგჯერ კატეგორიის განსაზღვრების პოლარიზაციული წესის მომხრეები იმოწმებენ „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმიდან" ადგილს, სადაც ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს ბოგდანოვს კატეგორიათა განსაზღვრების წესის გაგების საკითხში. ეს ადგილი სინამდვილეში ამტკიცებს არა იმას, რომ ვ. ი. ლენინი *კატეგორიათა განსაზღვრების პოლარიზაციული წესის მომხრე იყოს*, არამედ იმას, რომ იგი სასტიკი წინააღმდეგია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის მიხედვით ცნების განსაზღვრების წესის აბსო-

ლუტიზაციისა. ვ. ი. ლენინი პირდაპირ აღნიშნავს, რომ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირების მეთოდით ყველა კატეგორია კი არ განისაზღვრება, არამედ მხოლოდ ისეთნი, რომლებიც დაპირისპირებულნი არიან ძირითადი გნოსეოლოგიური საკითხის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში სავსებით მართებულია მატერიისა და ცნობიერების კატეგორიების განსაზღვრება, როგორც გნოსეოლოგიურად დაპირისპირებული კატეგორიებისა, მაგრამ წინააღმდეგობის, იგივეობის, უარყოფისა და ა. შ. კატეგორიების განსაზღვრება მათი გნოსეოლოგიის ძირითადი საკითხების ფარგლებში დაპირისპირების მეშვეობით არ არის მოხერხებული და ასეთი უმართებულო დებულების ვ. ი. ლენინისათვის მიკუთვნება შეცდომაა. პირველ რიგში დავაკვირდეთ ხაზგასმულ წინადადებებს — ისინი ერთიმეორის საწინააღმდეგო და გამომრიცხველია. ერთ შემთხვევაში გარკვევითაა თქმული, რომ ვ. ი. ლენინი არ არის მომხრე კატეგორიათა განსაზღვრებისა პოლარიზაციის წესის საშუალებით, ხოლო მეორე შემთხვევაში ასევე გარკვევითაა თქმული შემდეგი — ვ. ი. ლენინი პირდაპირ აღნიშნავს, რომ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირების მეთოდით ყველა კატეგორია კი არ განისაზღვრება, არამედ სავსებით მართებულია მატერიისა და ცნობიერების კატეგორიის განსაზღვრება. ჩვენთვის აქ მითითებული წინააღმდეგობის ჩვენება არ არის მთავარი, არამედ პასუხის გაცემა იმაზე, თუ როგორ წყდება საკითხი წინააღმდეგობის, იგივეობის, უარყოფის... კატეგორიების განსაზღვრებისა და რას ნიშნავს უმართებულო დებულების ლენინისათვის მიკუთვნება. ჯერ ერთი, წინააღმდეგობის, იგივეობის, უარყოფის კატეგორიები პოლარულად დაპირისპირებული კატეგორიებია. იგივეობა დაპირისპირებულია განსხვავებასთან, უარყოფა დაპირისპირებულია ჰოყოფასთან და ა. შ. მეორე, ყოველი კატეგორია მოცემულია გნოსეოლოგიის ფარგლებში, რამდენადაც ისინი შემეცნების საფეხურები, საკვანძო პუნქტები არიან. ამდენად გნოსეოლოგიურად ყოველი წყვილადი კატეგორია დაპირისპირებულია. მესამე, რაც მთავარია, წინააღმდეგობის, იგივეობის, უარყოფის კატეგორიები ლოგიკურის კატეგორიებია და არა ლოგიკური კატეგორიები, რაც ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ განსხვავებულობას თვით ამ კატეგორიათა განსხვავებულობაც ცხადყოფს. უზოგადესი ლოგიკური კატეგორიები ისეთი ფილოსოფიური კატეგორიებია, რომლებსაც მასზე უფრო ფართო მოცულობის ცნებები არა აქვთ, ხოლო ლოგიკურის კატეგორიები მასზე უფრო ფართო ცნებების მქონენი არიან. ამიტომაც ლოგიკური კატეგორიები მოცულობით უფრო ფართოა, ვიდრე ლოგიკურის კატეგორიები. სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გაუთვალისწინებლობაა გაუგებრობის მიზეზი.

კატეგორია. როგორც ვთქვით, უზოგადესი ცნებაა, რომელსაც არც გვარი გააჩნია და არც სახე, მაგრამ ასეთია მხოლოდ უზოგადესი ფილოსოფიური ლოგიკური კატეგორიები და არა ლოგიკურის კატეგორიები. ლოგიკურის კატეგორიები ნაკლები მოცულობისაა, ამიტომაც გვარიც გააჩნიათ. მართალია, საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიები ლოგიკურია და ამდენად ლოგიკურის კატეგორიებიც ლოგიკურია, მაგრამ მათ შორის აშკარაა მოცულობითი განსხვავებულობა, ამიტომაც მიუღებელია მტკიცება იმისა, რომ ყველა ფილოსოფიური კატეგორია უზოგადესი ცნებაა, რომელსაც მათზე უფრო უზოგადესი გვარი არ გააჩნია. ყველა ფილოსოფიური კატეგორიის მიმართ ვერ ვიტყვით, რომ იგი გვარის გარეშეა. მაგალითად, ლოგიკურის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ჭეშმარიტება, ცნება, მსჯელობა და სხვა, ფილოსოფიური კატეგორიებია, მაგრამ ისეთი ფილოსოფიური კატეგორიები, რომლებსაც მასზე უფრო უზოგადესი გვარი აქვთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმაზეც უნდა მივუთითოთ, რომ ლოგიკურ და ლოგიკურის კატეგორიებს სხვა ნიშნებითაც განასხვავებენ ერთიმეორისაგან. მაგალითად, ს. წერეთელი „დიალექტიკურ ლოგიკაში“ წერს: „ლოგიკური კატეგორია ისეთი კატეგორიაა, რომლის უარყოფა არის სხვა კატეგორია; უკეთ: რომლის უარყოფა გვაძლევს სხვას, სხვა კატეგორიის აუცილებლობას, მაგალითად, რაოდენობის კატეგორიის უარყოფა აღარაა რაოდენობა... ლოგიკურის კატეგორია კი არის ისეთი კატეგორია, რომლის უარყოფა მასვე ადგენს. ლოგიკურის უარყოფა შეუძლებელია იმ აზრით, რომ ლოგიკურის კატეგორიის უარყოფისას მასვე მოვიხმართ აუცილებლობით. მაგალითად, ცნების უარყოფა არის ცნება, მსჯელობის უარყოფა მსჯელობაა“. აქ გარკვევითაა ნაჩვენები აღნიშნულ კატეგორიათა განსხვავებული ბუნება, მაგრამ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ასევე გარკვევით ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როცა ლოგიკური და ლოგიკურის კატეგორიების აღნიშნული განსხვავებულობა იგნორირებულია. მაგალითად, ვხვდებით შემდეგი სახის მტკიცებას: კატეგორიის უარყოფა გარკვეულად კვლავ მას ემყარება და ამტკიცებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კატეგორია თავისი ბუნებით ლოგიკურად რეფლექსური ხასიათისაა, ამიტომაც იგი თვითუარყოფით განსაზღვრულ გარკვეულობას წარმოადგენს, რომლის უარყოფა მასვე ემყარება და ამტკიცებს. ასეთი მტკიცება მცდარია. ზემოთ მივუთითეთ, რომ ყოველი კატეგორიის უარყოფა კი არ არის მისივე დასაბუთება, არამედ მხოლოდ ლოგიკურის კატეგორიების უარყოფაა შეუძლებელი, ვინაიდან მისივე უარყოფა მასვე ასაბუთებს, მსჯელობის უარყოფა მსჯელობით უნდა შესრულდეს, მაგრამ მატერიის კატეგორიის უარყოფა არ არის მატერიის ცნება და არც მატერიის ცნებით სრულდება. დასახელებულ მცდარ

შეხედულებას რომ მხედველობაში აქვს საერთოდ კატეგორია, სახელ-
დობრ, ლოგიკური კატეგორია და არა ლოგიკურის კატეგორია, ეს
იქიდან ჩანს, რომ ბ. რასელი, რომელიც უარყოფს კატეგორიის ტრა-
დიციულ მნიშვნელობას ფილოსოფიაში, სუბსტანციის კატეგორიას
წმინდა უაზრობად თვლის. სწორედ ამას უპირისპირდება აზრი, რომ
ლოგიკურად კატეგორიის უარყოფა კვლავ კატეგორიას ემყარება და
საქმე ეხება მისი ამა თუ იმ ხერხით დაფუძნებასო. საერთოდ და კერ-
ძოდ ბ. რასელის წინააღმდეგ ასეთი არგუმენტი უმართებულოა. სუბს-
ტანციის კატეგორიის უარყოფა კვლავ მას არც ემყარება და არც ამტ-
კიცებს.

5. ზოგჯერ დაპირისპირებას განსაზღვრების საფუძვლად მიიჩნე-
ვენ, მაგრამ ეს ასე რომ იყოს, მაშინ დაპირისპირება განსაზღვრებაში
უნდა შედიოდეს ისე, როგორც გვარი სახის განსაზღვრებაში შედის.
ამას გარდა, ყველა კატეგორია არ არის დაპირისპირებული ბუნების.
მაგალითად, დრო და სივრცე ერთიმეორის საპირისპირო არ არის, რად-
გან საგანი ერთდროულად დროშიც არის და სივრცეშიც. დაპირისპი-
რებულნი განსაზღვრებაში რომ შედიოდნენ, მაშინ ისინი იგივენი
უნდა იყვნენ, ე. ი. როცა დროს განვსაზღვრავთ სივრცესთან დაპირის-
პირებით, მაშინ სივრცე დროის განსაზღვრებაში უნდა შედიოდეს,
ისე როგორც სახის განსაზღვრებაში გვარი შედის. სივრცე რომ დრო-
ის განსაზღვრებაში შევიდეს, მაშინ უნდა ვთქვათ: დრო არის სივრცე,
მაგრამ თუ დრო სივრცეა, მაშინ ისინი იგივეობრივი არიან. საკითხი
კი მათ ერთმანეთისაგან განსხვავებას ეხება. მაშასადამე, დაპირისპი-
რებული თუ განსაზღვრების მონაწილე არ არის, ის ამიტომ არც გან-
საზღვრების პირობა და საფუძველია. განსაზღვრებისათვის საჭიროა
არა დაპირისპირება, არამედ შედარება, რომლის საშუალებითაც
შესადარებელ საგნებს ერთმანეთისაგან განვასხვავებთ და განმასხვა-
ვებელ ნიშნებს ცნების მხარეებად ვაქცევთ. საგნის ცნების აგებისათვის
აუცილებელია ამ საგნის შინაგანი კავშირი სხვა საგანთან. თუ ეს სხვა
საგანი მისი არსებობის პირობაა და საფუძველი, მაშინ ის მისი ცნე-
ბის განსაზღვრებაშიც უნდა შევიდეს. ამიტომ საქმე არა დაპირისპი-
რებაშია, არამედ მის სხვა საგანთან შინაგან კავშირში. ცნების აგები-
სათვის აუცილებელია ცნების საგნის შინაგანი მიმართება სხვა საგან-
თან და ამიტომ აქ დაპირისპირების ძებნა ზედმეტი და ხელოვნურია.
მოძრაობის გაგებისათვის საჭიროა დრო, ხოლო დროის გაგებისათ-
ვის — მოძრაობა. მის განსაზღვრებაში სივრცეც მონაწილეობს, რად-
გან მოძრაობა სივრცეშია. აქედან გამომდინარე შინაგანი კავშირი არის
ცნების განსაზღვრების ზოგადი საფუძველი. ეს შინაგანი კავშირი შე-
იძლება გვარისა და სახის იყოს და შეიძლება სხვა, მაგრამ ყველა შემ-
თხვევაში უნდა იყოს საგანთა შინაგანი კავშირი.

ამ მოსაზრებას რამდენიმე არგუმენტით უნდა ვუპასუხოთ შემდეგი: პირველ რიგში ის უნდა ვთქვათ, რომ დაპირისპირებულობით ან ზუსტად ურთიერთდაპირისპირებულობით (პოლარული დაპირისპირებულობით) განსაზღვრების წესის გამოყენების სფერო, რომელიც წყვილად კატეგორიებშია მოქმედი, სრულიად სხვაგვარი ბუნების კატეგორიათა ანალიზის საფუძველზე არის უარყოფილი, როგორც საერთოდ კატეგორიათა განსაზღვრების წესად გამოუსადეგარი. ფილოსოფიურ კატეგორიათა შორის, შეიძლება ითქვას, მხოლოდ დროისა და სივრცის კატეგორიაა ისეთი, რომელიც არ არის წყვილადი. ამ არაწყვილადი კატეგორიების ანალიზის საფუძველზე, სადაც „დრო და სივრცე ერთიმეორის საპირისპირო არ არის", გამოტანილია დასკვნა — ურთიერთდაპირისპირებულობით განსაზღვრება საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიებისთვის გამოუსადეგარია. მართალია, ურთიერთდაპირისპირებულობის წესით განსაზღვრება დროისა და სივრცის კატეგორიებისათვის გამოუყენებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, იმას, რომ იგი ასეთია წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა მიმართაც. რომ „დრო და სივრცე ერთიმეორის საპირისპირო არ არის", ამიტომაც არის იქ ურთიერთდაპირისპირებულობის წესით განსაზღვრება გამოუსადეგარი. მაგრამ აქედან ზოგადი დებულების სახით დასკვნა — ურთიერთდაპირისპირებულობის წესით განსაზღვრება საერთოდ გამოუსადეგარია, სინამდვილეს არ შეესაბამება. ისე, როგორც სინამდვილის შესაბამისი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრება იმის გამო, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრებისათვის არ გამოდგება, იგი როგორც განსაზღვრების წესი საერთოდ უვარგისია.

შემდეგ, როგორც დროისა და სივრცის კატეგორიებს, ასევე სხვა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებსაც არც გვარი აქვთ და არც სახე. სწორედ გვარისა და სახის არმქონე უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესია ურთიერთდაპირისპირებით განსაზღვრება. მაგრამ როცა აღნიშნულია, რომ „დაპირისპირება განსაზღვრებაში უნდა შედიოდეს ისე, როგორც გვარი სახის განსაზღვრებაში შედის" და „დაპირისპირებული თუ განსაზღვრების მონაწილე არ არის, ის ამიტომ არც განსაზღვრების პირობა და საფუძველია", ამ შემთხვევაში ურთიერთდაპირისპირებულობის წესით განსაზღვრების უარსაყოფად მოხმარებულია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრების ნიშნები. ეს იმ დროს, როცა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები ერთიმეორესთან არ არიან გვარისა და სახის დამოკიდებულებაში.

შემდეგ ურთიერთდაპირისპირებულობის წესით განსაზღვრების საწინააღმდეგოდ ნათქვამია, რომ საგანთა შინაგანი კავშირი არის ცნე-

ბის განსაზღვრების ზოგადი საფუძველი და არა დაპირისპირებაო. სინამდვილეში ყველა წყვილად უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიაში არის საგანთა შინაგანი აუცილებელი კავშირი. სწორედ შინაგანი კავშირია ურთიერთდაპირისპირებული. მაგალითად, აუცილებლობა განსხვავებულია შემთხვევითობისაგან და შემთხვევითობა აუცილებლობისაგან. აუცილებლობას არა აქვს შემთხვევითობის ნიშანი და შემთხვევითობას აუცილებლობის ნიშანი. მიუხედავად ასეთი განსხვავებულობისა მათ შორის არის აუცილებელი შინაგანი კავშირი. ის, რომ ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ, სწორედ ეს არის მათ შორის აუცილებელი შინაგანი კავშირი; ეს აუცილებელი შინაგანი კავშირი არის ურთიერთდაპირისპირებული. ამიტომაც არის მათთვის ურთიერთდაპირისპირებულობა ანუ პოლარული დაპირისპირებულობა განსაზღვრების წესი.

რაც შეეხება მტკიცებას, რომ მოძრაობის განსაზღვრებისათვის აუცილებელია. განსაზღვრებაში შედიოდეს დროის, სივრცის ან კიდევ სხვა ცნებაც, მოძრაობის ცნების განსაზღვრებისათვის არაფრის მთქმელია. რისთვის სჭირდება მოძრაობის ცნების განსაზღვრებას დროისა და სივრცის ცნებები? განა იმისათვის, რომ რეალურად არსებული მოძრაობა დროსა და სივრცეშია? თუ ამისათვის, მაშინ არა მხოლოდ მოძრაობის, არამედ ყველა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის შესაბამისი სინამდვილე, როგორც რეალურად არსებული ფაქტი, დროსა და სივრცეშია. აქედან გამომდინარე ყველა მათგანის ცნების განსაზღვრებისათვის საჭირო იქნება განსაზღვრებაში იყოს დროისა და სივრცის ცნებები.

§ 8. წესის — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში — შესახებ

არსებობს შეხედულება და საკმაოდ გავრცელებულიც, რომ კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში. ეს არის მიჩნეული კატეგორიის განსაზღვრების ხერხად ანუ წესად. ფილოსოფიური კატეგორიების, კერძოდ, უზოგადესი თანაფარდობითი ფილოსოფიური კატეგორიების ასეთი წესით განსაზღვრებას მრავალი ნაკლი აქვს, რის გამოც, ჩვენი აზრით, იგი მიუღებელია უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრებისათვის.

კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში — ეს შეხედულება ჰეგელიდან მოდის, რომლის შემდეგ მას კატეგორიის მრავალი მკვლევარი იმეორებს იმის მიუხედავად, თუ რომელი ფილოსოფიური სისტემის წარმომადგენელია თვითონ.

კატეგორიის განსაზღვრების აღნიშნული წესი მხოლოდ ჰეგელის სისტემაში ჰპოვებს გამართლებას, სხვა ფილოსოფიურ სისტემაში, კერძოდ დიალექტიკურ მატერიალიზმში, კი იგი არსებითად მიუღებელია. კატეგორიის განსაზღვრების დასახელებული წესი ჰეგელის სისტემაში იმიტომაც პოულობს გამართლებას, რომ იგი დასრულებული, დახშული სისტემაა, სადაც დასაწყისი და დასასრული კატეგორიები მოცემულია. მართალია, ჰეგელი აკრიტიკებდა არისტოტელეს და კანტს იმის გამო, რომ მათ კატეგორიათა რიცხვი განსაზღვრესო, მაგრამ ფაქტიურად აქამდე მივიდა თვითონაც თავისი სისტემის გამო. ჰეგელის სისტემის შიგნით კატეგორიების რიცხვი განსაზღვრულია; განსაზღვრულია მათი ადგილი და შინაარსიც. ჯერ ერთი, ეს განპირობებულია იმით, რომ ყველა კატეგორია მოცემულია დასაწყისშივე და ისინი წარმოადგენენ აბსოლუტური იდეის განსაზღვრულობებს. ლოგიკური იდეა დასაწყისშივე თავისში მოიცავს ყველა კატეგორიას. ჰეგელი ამის შესახებ გარკვევით აღნიშნავს, როგორც „ლოგიკის მეცნიერების" პირველი და მეორე წიგნის (ობიექტური ლოგიკის) შესავალში, ასევე „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის პირველი ნაწილის — ლოგიკის მეცნიერების" 85-ე პარაგრაფში.

თუ აბსოლუტური იდეა თავისში მოიცავს ყველა კატეგორიას, მაშინ ცხადია, რომ კატეგორიათა გამოყვანის პროცესი სისტემაში მთლიანად განსაზღვრულია. ცხადია, რომ როცა ჰეგელი თითოეული კატეგორიის ერთმეორისაგან გამოყვანას ასაბუთებს, მაშინ მისი ძირითადი მიზანია ამ კატეგორიათა შინაგანი, აუცილებელი კავშირის დადგენა, მაგრამ ამით იმასაც ცხადყოფს, ერთი კატეგორიიდან თუ როგორ გამოდის მეორე კატეგორია და ასეთი გამოყვანით როგორ უახლოვდება კატეგორიათა სისტემა თავის დასასრულს. ამიტომაც ჰეგელთან კატეგორიათა განსაზღვრების აღნიშნული წესი მთლიანად გამართლებულია. „ლოგიკის მეცნიერებაში" ყველაზე ბოლო ანუ უმაღლესი კატეგორია თავისში მოიცავს ყველა წინა კატეგორიას, როგორც მომენტს მოხსნილი სახით და ასევე პირველი ანუ დასაწყისი კატეგორია თავისში მოიცავს ყველა შემდგომში გამოსაყვან კატეგორიას ჩანასახოვანი, ჯერ კიდევ განუვითარებელი ფორმით, რითაც მოცემულია კატეგორიათა სისტემის დახშული წრე. ამის გამო არის ჰეგელის სისტემაში თითოეული კატეგორიის შინაარსი განსაზღვრული. სხვაგვარად, „ლოგიკის მეცნიერებაში" კატეგორიები იწყებენ რა მოძრაობას ყველაზე აბსტრაქტული კატეგორიიდან ყველაზე მდიდარი, კონკრეტული კატეგორიისაკენ, ეს მოძრაობაც მთავრდება აბსოლუტური იდეით, როგორც ყველაზე მდიდარი კატეგორიით. ამასთანავე, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მთავრდება ლოგიკის კატეგორიების

სისტემა, ე. ი. აბსოლუტის განსაზღვრულობების სისტემა; არც ერთი კატეგორია აბსოლუტურს არ ემატება.

ფაქტიურად ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე მაშინაც კი, როცა ჰეგელი ლოგიკის კატეგორიების, როგორც აბსოლუტური იდეის განსაზღვრულობების ფილოსოფიურ სისტემებთან შესაბამისობის საკითხს იხილავს. ჰეგელი ხშირად მიუთითებს იმაზე, რომ „ლოგიკის მეცნიერებაში" კატეგორიათა ლოგიკური განვითარების მსვლელობა შესაბამისობაშია კატეგორიათა სისტემის ისტორიულ განვითარებასთან და ისე, როგორც აბსოლუტური იდეის განვითარების მსვლელობაში ყველაზე უმაღლესი კატეგორია მოხსნილი და შენახული სახით თავისთვაში მოიცავს ყველა წინა კატეგორიას, ასევე თავისი ფილოსოფიური სისტემა მოხსნილი სახით, როგორც მომენტები თავისში მოიცავს ყველა ფილოსოფიურ სისტემას. განსაკუთრებით კი თუ როგორია ლოგიკაში კატეგორიათა კავშირი ფილოსოფიურ სისტემებთან, ჰეგელი „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის" § 86-ში ამბობს შემდეგს: მსგავსად იმისა, როგორც ლოგიკური იდეის განვითარება მეღავნდება აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ წინსვლის სახით, ასევე ფილოსოფიის ისტორიაშიც ყველაზე უფრო ადრინდელი სისტემები ყველაზე უფრო აბსტრაქტული და ამიტომ ყველაზე უფრო ღარიბია. ხოლო ადრინდელი სისტემების დამოკიდებულება გვიანდელ ფილოსოფიურ სისტემებთან საერთოდ ისეთივეა, როგორც ლოგიკური იდეის ადრინდელ საფეხურთა დამოკიდებულება გვიანდელ საფეხურთან. სახელდობრ, ის ი მ გ ვ ა რ ი ა, რომ გვიანდელნი ადრინდელთ მოხსნილი სახით შეიცავენ... ლოგიკის დასაწყისი იგივეა, რაც ფილოსოფიის ისტორიის დასაწყისი ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. ამ საწყისს ჩვენ ვნახულობთ ელეატურ ფილოსოფიაში, უფრო ზუსტად — პარმენიდეს ფილოსოფიაში.

ყოველივე ამის გამოც თითოეული კატეგორიის შინაარსი განსაზღვრულია იმ ადგილის მიხედვით, რომელიც მას უკავია კატეგორიათა სისტემის დასაწყის და ბოლო კატეგორიებს შორის, სწორედ კატეგორიათა მხოლოდ და მხოლოდ ასეთი დახშული სისტემის საფუძველზე ხდება შესაძლებელი, რომ კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში. ანუ, სხვაგვარად, კატეგორიის შინაარსის განსაზღვრება არის მისი ადგილის ჩვენება, ხოლო მისი ადგილის ჩვენება მისი შინაარსის განსაზღვრებაა. კატეგორიათა ასეთი სისტემის აგება იმაზე მიუთითებს, რომ კატეგორიათა განსაზღვრების წესი — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში — ემყარება კატეგორიათა წრისებურ სისტემას, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია კატეგორიათა სისტემაში გაირკვეს ამა თუ იმ კატეგორიის ადგილი და ამით განისაზღვ-

როს მისი შინაარსი. სწორედ ამიტომ ვამბობთ — კატეგორიის განსაზღვრების აღნიშნული წესი მხოლოდ და მხოლოდ ჰეგელის დასრულებულ სისტემაში გამოდგება, მაგრამ იგი აბსოლუტურად გამოუსადეგარია ღია სისტემაში. დიალექტიკური მატერიალიზმი კი ღია სისტემაა, ამის გამო კატეგორიათა სისტემაც ღიაა და შემეცნების განვითარების მიხედვით კატეგორიები, როგორც შემეცნების საკვანძო პუნქტები ან საფეხურები, განუსაზღვრელია. ყოველივე ამის გამო, ჩვენი აზრით, ღია ფილოსოფიური სისტემა ვერ მიიღებს კატეგორიათა განსაზღვრების იმ წესს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დახშულ სისტემაში შეიძლება გამოდგეს.

კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში, როგორც ვთქვით, ჰეგელიდან მოდის; მაგრამ მასთან იგი სრულიად არ არის კატეგორიის როგორც ცნების განსაზღვრების წესი. იგი კატეგორიის როგორც ცნების განსაზღვრების წესად შემდეგ იქნა ფორმულირებული. ჰეგელმა, რამდენადაც პირველმა შექმნა კატეგორიათა ურთიერთდამოკიდებულების ერთი მთლიანი დიალექტიკური სისტემა და ამ სისტემაში თითოეული კატეგორიის ერთიმეორესთან ორგანული ერთიანობა, ამდენად კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში — ნიშნავს თითოეული კატეგორიის მნიშვნელობის, შემეცნებითი ღირებულების, თუ კიდევ სხვა მხარეების განსაზღვრებას მისი ადგილით კატეგორიათა სისტემაში. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის კატეგორიის როგორც ცნების შინაარსის განსაზღვრების წესი. თუ იგი მაინცადამაინც კატეგორიათა განსაზღვრების წესად იქნება მიჩნეული, მაშინ ეს შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა თვით კატეგორიათა სისტემა იქნება დასრულებული. მანამდე კი არ ჩანს, იგი არის თუ არა კატეგორიის განსაზღვრების წესი, ვინაიდან დამოუკიდებლად კატეგორიათა სისტემისა ვერ აჩვენებს ვერც კატეგორიის მნიშვნელობას, ვერც მის შემეცნებით ღირებულებას თუ კიდევ სხვა რაიმეს. მაგრამ, თუ წესს — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში — კატეგორიათა დასრულებული სისტემის აგების შემდეგ ჩავთვლით განსაზღვრების წესად, მაშინ მისი მნიშვნელობა, როგორც კატეგორიათა განსაზღვრების წესისა სრულიად უმნიშვნელოა ან ზედმეტია.

შემდეგ, რაც მთავარია და არსებითი, ვინც ამტკიცებს, რომ კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში, იგი ემყარება აშკარა ლოგიკურ შეცდომას. სახელდობრ, კატეგორიის განსაზღვრების წესის ნაცვლად მსჯელობს განსაზღვრული კატეგორიის შინაარსის ადგილის დადგენაზე კატეგორიათა სისტემაში. კატეგორიათა სისტემაში კატეგორიათა ადგილის დადგენით კი არ

ხდება კატეგორიის განსაზღვრება, არამედ პირიქით, განვსაზღვრავთ-
რა კატეგორიას რაიმე წესით, შემდეგ დგინდება მისი შინაარსი. ეს კი
ამავე დროს არის მისი (განსაზღვრული კატეგორიის) ადგილის მონახვა
კატეგორიათა სისტემაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კატეგორიათა
სისტემაში კატეგორიის ადგილის მონახვა წინასწარ ემყარება განსა-
ზღვრების წესს. ესა თუ ის კატეგორია განსაზღვრული იქნება თუ არა
თავისი წესით, ამის შემდეგ განსაზღვრული კატეგორიის შინაარსით
შესაძლებელი ხდება მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში.
ამგვარად, კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კა-
ტეგორიათა სისტემაში — განსაზღვრების წესი კი არ არის, არამედ ჯერ
რომელიმე უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია განსაზღვრულია
გარკვეული წესით (მაგალითად, პოლარული დაპირისპირებულობით)
და დადგენილია მისი შინაარსი, ეს კი ამავე დროს არის კატეგორიათა
ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში. მაშასადამე, ჯერ ხდება კა-
ტეგორიის განსხვავება გარკვეული წესით, ხოლო შემდეგ განსაზღვრუ-
ლი კატეგორიის შინაარსით დგინდება მისი ადგილი კატეგორიათა სის-
ტემაში.

გარდა აღნიშნულისა, კატეგორიის განსაზღვრების დასახელებული
წესი თავისივე მოთხოვნის საფუძველზე იმ არსებითი ნაკლის მქონეა,
რომ იგი არაფერს სპეციფიკურს არ ადგენს ცალკეული კატეგორიის
მიმართ, აღნიშნული წესით ფაქტიურად არცერთი ცალკეული კატე-
გორიის განსაზღვრება არ არის მოცემული. იგი არაფერს ამბობს, თუ
რა არის მიზეზის, შედეგის, არსების, მოვლენის, შინაარსის, ფორმის
და სხვა კატეგორიების შინაარსი, რა არის თითოეული მათგანის არ-
სება, რითაც ერთი კატეგორია განსხვავდება სხვა კატეგორიებისაგან.
შეიძლება თქვან, რომ კატეგორიათა განსაზღვრების წესს არ ევალება
ცალკეული კატეგორიის შინაარსის დადგენა, იგი მიუთითებს, თუ
როგორ უნდა განისაზღვროს კატეგორიები, მაგრამ განსაზღვრების
დასახელებული წესი უდავოდ თვითონ მოითხოვს თითოეული კატე-
გორიის ადგილის მონახვას კატეგორიათა სისტემაში და ამით მისი
შინაარსის განსაზღვრებას, თუმცა როგორც განსაზღვრების წესი ამ
ლოგიკური ასპექტითაც ნაკლოვანია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთის მტკიცებით წესი —
კატეგორიის განსაზღვრება არის მისთვის ადგილის მიჩნევა კატეგო-
რიათა სისტემაში, არა მხოლოდ ფილოსოფიური კატეგორიების მი-
მართ მოიხმარება, არამედ ს ა ე რ თ ო დ კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი ს, კერ-
ძოდ ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი ს მიმართაც. ასეთი
მტკიცება ემყარება იმ აზრს, რომ ეკონომიურ კატეგორიებში მოხმა-
რებული უახლესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობით
განსაზღვრების წესი ეკონომიური კატეგორიებისათვის მიჩნეულია,

როგორც დასაწყისი, ხოლო ამ კატეგორიების საბოლოო, სრული განსაზღვრება ნიშნავს რომელიმე ეკონომიური კატეგორიის ადგილის დადგენას ეკონომიურ კატეგორიათა სისტემაში. ეს აზრი გამოთქმულია ასე: ყოველი ეკონომიური კატეგორიის განსაზღვრა თავდაპირველად უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის მიხედვით ხდება, მაგრამ ფორმალური ლოგიკის მიერ შემუშავებული განსაზღვრების ამ წესში ეკონომიური კატეგორიები ვერ თავსდება. ამიტომ აუცილებელია კატეგორიათა დიალექტიკური განსაზღვრა, მისი დადგენა მისივე უარყოფის გზით, რომელიმე კატეგორიის ადგილის დადგენა ეკონომიურ კატეგორიათა სისტემაში. ასეთი მოსაზრების შესახებ პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ თუ ყოველი ეკონომიური კატეგორიის განსაზღვრება თავდაპირველად უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის დადგენით ხდება, მაშინ საკითხავია — განსაზღვრების ამ წესში რატომ ვერ თავსდება ეკონომიური კატეგორიები? შემდეგ, თუ აღნიშნული წესით ერთხელ განისაზღვრება ყველა ეკონომიური კატეგორია, მაშინ რა საჭიროა იმავე ეკონომიურ კატეგორიათა ხელახლა განსაზღვრება?

ჩვენი აზრით, ეკონომიური კატეგორიები სრულიად ნორმალურად არიან განსაზღვრულნი უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით ანუ ხერხით. განსაზღვრების აღნიშნული წესი გამოიყენება იმ ცნებათა და კატეგორიათა მიმართ, რომლებიც ერთიმეორესთან სახეგვარეობითს დამოკიდებულებაში არიან. ეკონომიური კატეგორიები სწორედ ასეთ მიმართებაში არიან ერთიმეორესთან.

ვ. ი. ლენინმა გარკვევით მიუთითა, რომ უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრება ერთ-ერთი აუცილებელი წესია. ვ. ი. ლენინი, მხედველობაში აქვს რა გვარეობითი ცნებები და კატეგორიები, განსასაზღვრი ცნებებისათვის აუცილებლად თვლის მასზე უფრო უზოგადეს გვარში მოთავსებას და უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსასაზღვრი ცნების განსაზღვრებას. ვ. ი. ლენინი გვარეობითი ცნებებისა და კატეგორიათა მიმართ განსაზღვრების წესის შესახებ დასმულ კითხვაზე უპასუხებს: „რას ნიშნავს „განსაზღვრება“? ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ამა თუ იმ ცნების მიყენებას მეორე უფრო ფართო ცნებისადმი“. მაშასადამე, გვარეობითს ცნებათა სწორი განსაზღვრება იწყება გვარის მითითებით. გვარის მითითების გარეშე, უფრო ზუსტად, უახლოესი გვარის მითითების გარეშე შეუძლებელია გვარეობითს ცნებათა და კატეგორიათა განსაზღვრება. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ გვარეობითი ცნება, კატეგორია, უწინარეს ყოვლისა საჭიროა განსასაზღვრ საგანთა ჯგუფისათვის დავადგინოთ უახლოესი გვარეობითი ცნება. ამ გვარეობითს ცნებაში უნდა იქნეს შემოტანილი განსასაზღვრი ცნება.

განსასაზღვრი ცნება (საგანთა) ნაკლები მოცულობის ნიშანს ასახავს, ვიდრე გვარეობითი ცნება და ამიტომაც განსასაზღვრი ცნება შედის, როგორც სახე, გვარეობითი ცნების მოცულობაში. გვარეობითი ცნების ნიშანი განსასაზღვრი საგნის ყველა სახეზე ვრცელდება. მაშასადამე, გვარეობითი ცნება მიუთითებს იმ ნიშანზე, რომელიც მოცემული გვარის ყველა საგნისათვის ზოგადია. მაგრამ აქ არ მთავრდება განსაზღვრება. განსაზღვრებაში აუცილებელია წარმოდგენილი იქნეს ის არსებითი ნიშანიც, რომელიც საგანთა მოცემულ ჯგუფს საგანთა მეორე ჯგუფისაგან განასხვავებს და მოცემულ გვარს მიეკუთვნება. ასეთი ნიშანი სახეობითი განსხვავება იქნება. მაშასადამე, გვარეობითი ცნების განსაზღვრუბაში მითითებულია როგორც ზოგადი, ასევე განსასაზღვრ საგანთა და მოვლენათა სპეციფიკური ნიშანიც. ამგვარად, უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავების ნიშანთა აღნიშვნით მივიღებთ გვარეობითს ცნებათა განსაზღვრას. განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსაზღვრების წესით საგანთა და მოვლენათა შესახებ ცნების ცხადი და ზუსტი განსაზღვრების საშუალებაა. იმისათვის, რომ გამოვთქვათ ზუსტი აზრი ამა თუ იმ საგანზე, მოვლენაზე, საჭიროა ცხადად, ზუსტად განვასხვავოთ იგი სხვა საგნებისა და მოვლენებისაგან. ასეთი ე. ი. უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის ჩვენებით მივიღებთ ცნების განსაზღვრებას, სადაც ზუსტად გამოიყოფა განსასაზღვრი საგანი, მოვლენა სხვა საგნებისა და მოვლენებისაგან.

კ. მარქსის თქმით, განსაზღვრებაში აუცილებელია, რომ განსაზღვრების დროს მივუთითოთ არა მარტო განსასაზღვრი ცნების გვარეობითს ნიშანზე, არამედ უნდა ვუჩვენოთ საგნის, მოვლენის ის სპეციფიკური ნიშანიც, რომლითაც ის სხვა მოვლენისაგან განსხვავდება. კ. მარქსი ჰეგელს აკრიტიკებს იმის გამო, რომ მან ნამდვილი არსება მხოლოდ ზოგადში (გვარში) დაინახა. მარქსის თქმით, განსაზღვრებისათვის არა კმარა მხოლოდ გვარეობითი ნიშნის მითითება. მოვლენის ახსნა მოითხოვს ამ მოვლენის სპეციფიკური ნიშნის ჩვენებას. ახსნა, რომელშიც არ არის მითითებული differenzia specifika, არ არის ახსნა.

მრავალი ზოგადი, კერძოობითი კატეგორიისა და ჩვეულებრივი ცნების განსაზღვრისათვის უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრება წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას. ზოგადი, კერძოობითი კატეგორია და მრავალი ცნება ამ ხერხითაა განსაზღვრული. ამის დასაბუთებას წარმოადგენს როგორც ბუნებისმეცნიერებათა, ასევე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროდან აღებული ცნებები, კატეგორიები. ამავე აზრის დადასტურებაა მოცემული მარქსიზმის კლასიკოსების მიერ ცალკეულ კატეგორიათა განსაზღვრებაში.

კ. მარქსი „კაპიტალში“ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა, ცნებათა განსაზღვრებისას უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავების წესს გამოიყენებს. მაგალითად, „კაპიტალში“ საქონლის, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების უჯრედის, განსაზღვრება ამ წესითაა შესრულებული: „საქონელი უწინარეს ყოვლისა გ ა რ ე გ ა ნ ი ს ა გ ა ნ ი, ნ ი ვ თ ი ა (უახლოესი გვარი), რომელიც თავის თვისებებით ა დ ა მ ი ა ნ ი ს რაიმე მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ას ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ებ ს“ (სახეობრივი განსხვავებულობა). ასევე შრომის საშუალება განსაზღვრულია, როგორც „ნ ი ვ თ ი ან კ ო მ პ ლ ე ქ ს ი ნ ი ვ თ ებ ი ს (უახლოესი გვარი), რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელშიც მისთვის ამ საგანზე მისი ზემოქმედების გადატანის როლს ასრულებს“ (სახეობრივი განსხვავებულობა).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დასახელებული წესით განისაზღვრებიან არა მარტო ჩვეულებრივი ცნებები, არამედ კატეგორიებიც, რომლებიც ერთიმეორესთან სახე-გვარეობითს დამოკიდებულებაში არიან. კატეგორია, რომელიც სინამდვილის რომელიმე მხარის ასახვას წარმოადგენს, არ გამორიცხავს თვითონ კატეგორიებს შორის (გარდა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიებისა) სახე-გვარეობითი კავშირის არსებობას. პოლიტიკური ეკონომიის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ფული, საქონელი, კაპიტალი სახე-გვარეობითს ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან. ფული კაპიტალის მიმართ გვარია, ხოლო კაპიტალი — ფულის მიმართ სახე. თვითონ ფულის კატეგორია საქონლის კატეგორიის სახეა. კაპიტალის უახლოესი გვარია ფული, ფულის უახლოესი გვარი — საქონელი. ამიტომაც აღნიშნული კატეგორიებისათვის უცხოსა და მიუღებელს არ წარმოადგენს უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით განსაზღვრება.

კ. მარქსის მიერ წარმოების კატეგორიის განსაზღვრა: „ყოველი წარმოება არის ბუნების საგნების მითვისება ინდივიდის მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით“, არის უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით შესრულებული განსაზღვრება. აღნიშნული ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ ეკონომიურ კატეგორიებს აქვთ როგორც გვარი, ასევე სახეც. ამიტომაც არ არის მართებული იმის მტკიცება, რომ „ეკონომიურ კატეგორიებს არ აქვთ სახე“, სახეობრივი განსხვავებულობა.

ბაზისის კატეგორია — ბაზისი არის საზოგადოების ეკონომიური წყობა მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე — აღნიშნული წესითაა განსაზღვრული. ამ განსაზღვრებაში უახლოესი გვარია საზოგადოების ეკონომიური წყობა, სახეობრივი განსხვავებულობა — მისი განვითარება ამა თუ იმ ეტაპზე. თვით ცნება — საზოგადოების ეკონომიური წყობა — შეიძლება აგრეთვე განსაზღვრული იქნეს მასზე უფრო უზო-

გადესი ცნებით — საწარმოო ძალები და წარმოებით ურთიერთობათა საშუალებით. აქ ჩანს, რომ ამ კატეგორიებს აქვთ გვარი, ე. ი. სახე-გვარეობითს დამოკიდებულებაში არიან ერთიმეორესთან.

ყველა ზემოდასახელებული მაგალითი ცნების განსაზღვრებისა თავისი ლოგიკური აგებულებით სრულიად ერთგვაროვანია; სახელ-დობრ, მითითებულია, ნაჩვენებია განსასაზღვრი ცნების უახლოესი გვარი და სახეობრივი განსხვავებულობა. უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესითაა განსაზღვრული ბუნებისმეცნიერების ცნებები, კატეგორიები.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ მარქსიზმის კლასიკოსების მიერ მოცემული განსაზღვრებები ისეთი ცნებებისა, კატეგორიებისა, რომლებიც ზემოთ იყო აღნიშნული, შეუძლებელია უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით იყოს განსაზღვრული. თუმცა ზოგიერთი იმასაც აღიარებს, რომ სახე-გვარეობითი დამოკიდებულება არის აღნიშნულ ცნებებს შორის. სხვა-გვარად, ზოგიერთი არ უარყოფს აღნიშნულ ცნებებში სახე-გვარეობითს დამოკიდებულებას, მაგრამ მიუთითებენ, რომ მარქსიზმის კლასიკოსების მიერ ზემოდასახელებულ ცნებათა განსაზღვრა ეყრდნობა დიალექტიკურ მეთოდს, ხოლო განსაზღვრების აღნიშნული წესი — მეტაფიზიკურ მეთოდსაო. საკითხის ასე დაყენება და გადაწყვეტა აშკარად ლაპარაკობს არა განსაზღვრების აღნიშნული წესის მიუღებლობაზე, არამედ განსაზღვრების წესის ორ, პრინციპულად ერთიმეორისაგან განსხვავებულ გაგებაზე. მართლაც, მიუღებელია, უკუსაგდებია ცნების მეტაფიზიკური გაგება. მეტაფიზიკურად ინტერპრეტირებული ცნებები განსასაზღვრ ცნებათა განვითარებას უარყოფს, სახე-გვარეობითს ცნებათა უცვლელობას ემყარება. სახესა და გვარს შორის არ ცნობს არავითარი ერთეულისა და ზოგადის დამოკიდებულებას. ამგვარად გაგებულმა ცნებამ, ცნობილია, თუ რა უარყოფითი როლი შეასრულა ცნების თეორიის ისტორიაში, ამიტომაც უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით დადგენილი ცნების მეტაფიზიკური ინტერპრეტაცია, მართლაც, უცხოა და მიუღებელი დიალექტიკური გაგებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში მოცემულ ცნებათა და კატეგორიათა განსაზღვრებანი უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით, ყოველთვის გაგებულია, როგორც ცნებათა ერთი ნაწილის განსაზღვრებისათვის აუცილებელი, ხოლო გაკრიტიკებულია ის შემთხვევა, როცა იგი წესიერად არ არის გამოყენებული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მარქსის მიერ რიკარდოს კრიტიკა. რიკარდო, ამბობს მარქსი, ძირითად და საბრუნავ კაპიტალს მუდმივსა და ცვალებად კაპიტალში ურევს და ამით უდი-

დეს შეცდომას უშვებს, გამოკვლევის სრულიად მცდარი საფუძვლიდან გამოდის: „1) რამდენადაც სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალიერებულების ნაწილი საბრუნავი კაპიტალის რუბრიკაში მოექცევა, იგი შემცდარად ავითარებს თვით საბრუნავი კაპიტალის განსაზღვრას და შემცდარად არკვევს განსაკუთრებით იმ პირობებს, რომელთა მეოხებით შრომაზე დახარჯული კაპიტალის ნაწილი ამ რუბრიკაში ხვდება; 2) არეულია ერთმანეთში ის განსაზღვრა, რომლის თანახმად შრომაზე დახარჯული ნაწილი კაპიტალისა ცვალებადი კაპიტალია, და ის განსაზღვრა, რომლის თანახმად იგი წინააღმდეგ ძირითადი კაპიტალისა საბრუნავი კაპიტალია.

იმთავითვე ცხადია, რომ სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალის განსაზღვრა, როგორც საბრუნავი ანუ დენადი კაპიტალისა, მეორადი განსაზღვრაა, რომელშიც გამქრალია მისი differenzia specipica წარმოების პროცესში, რადგან ამ განსაზღვრებაში, ერთის მხრივ, შრომაზე და ნედლეულზე და სხვა დახარჯული კაპიტალები ტოლფასოვანნი არიან; რუბრიკას, რომელიც მუდმივი კაპიტალის ერთ ნაწილს აიგივებს ცვალებად კაპიტალთან, არაფერი აქვს საერთო ცვალებადი კაპიტალის differenzia specipica-სთან მუდმივი კაპიტალისაგან განსხვავებით". (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 2. 1957, გვ. 278—279).

უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესის შესახებ ზემოთ თქმული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იგი საერთოდ განსაზღვრების წინაშე მდგარ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, ე. ი. აღნიშნული წესით შესაძლებელია ყველა ცნების, კატეგორიის განსაზღვრება. კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ უახლესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით ყოველად შეუძლებელია მეცნიერების ყველა ცნების განსაზღვრება. იგი როგორც განსაზღვრების წესი, გამოიყენება მეცნიერებაში მოცემული ზოგიერთი ცნების, კატეგორიის მიმართ, რომლებიც ერთიმეორესთან სახე-გვარეობით მიმართებაში არიან, თუმცა ასეთი ცნებები, კატეგორიები მრავალია და ამათ რიცხვს ეკუთვნის ძირითადი, უმთავრესი ეკონომიური ცნებებიც და კატეგორიებიც.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ უახლესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით ეკონომიური კატეგორიების განსაზღვრება ამ კატეგორიების როგორც დასაწყისი, ასევე საბოლოო განსაზღვრებაცაა. ზედმეტია მტკიცება, თითქოს წესი — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მიჩნევა კატეგორიათა სისტემაში — იძლეოდეს განსასაზღვრი კატეგორიის შინაარსის დადგენას. ასეთი წესით, როგორც უზოგადესი ფილოსოფიურ კატეგორიათა მიმართ აღვნიშნეთ, განსასაზღვრი კატეგორიის არავითარი შინაარსი არ დგინდება. იგი არავითარ სპეციფიკურს არ ადგენს ცალკეული ეკონომიური კატეგორი-

ების მიმართ. აღნიშნული წესით არ დგინდება, თუ რა არის საქონლის, ფულის და სხვ. კატეგორიათა შინაარსი, არსება. როგორც ვთქვით, კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში, განსაზღვრების წესი კი არ არის, არამედ იგი თვითონ ემყარება განსაზღვრების გარკვეულ წესს. ხოლო უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრებისას იგი უდავოდ გულისხმობს სახე-გვარეობით განსაზღვრებაში ცნებისათვის გარკვეული ადგილის მიჩნევას.

განსაზღვრების აღნიშნულ წესზე, რომელიც ამჟამად ჩვენი კვლევის ობიექტი არ არის, მაინც შედარებით ვრცლად შევჩერდით მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, როგორც განსაზღვრების წესი, გამოყენებულია სახე-გვარეობით მიმართებაში მყოფი ცნებების, კატეგორიებისა და მათ შორის ზოგიერთი ფილოსოფიური კატეგორიის მიმართაც. ამიტომაც მტკიცება, რომ თითქოს ეკონომიური კატეგორიების განსაზღვრების წესად გამოიყენება — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში და გამოუსადეგარია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრება, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამის ჩვენება კი განსაზღვრების აღნიშნული წესის განხილვასაც მოითხოვდა.

§ 9. მიმართების როგორც კატეგორიის განსაზღვრების წესის შესახებ

კატეგორიის ცნების განსაზღვრების დროს განვიხილეთ შეხედულება, რომელიც ასაბუთებდა, რომ კატეგორიები არის სინამდვილის უზოგადესი და არსებითი მიმართებების ასახვა. ვაჩვენეთ, რომ იგი სინამდვილეში არ არის კატეგორიის ცნების განსაზღვრება. არსებობს შეხედულება, რომელიც ასაბუთებს, რომ მიმართება არის კატეგორიათა განსაზღვრების წესი. ამგვარი მოსაზრების განსხვავებული ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით მიმართება, როგორც განსაზღვრების წესი, განსაზღვრების წესებიდან ერთ-ერთია და იგი მხოლოდ ზოგიერთი უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრების წესია, განსაკუთრებით მატერიისა და ცნობიერების. მაგრამ არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც მიმართება ყველა უგვარ-სახეო კატეგორიების, ე. ი. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრების წესია. ასეთი შეხედულების ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია: ცნებათა დამოკიდებულება მარტო გვარისა და სახის კავშირით არ ამოიწურება. არის ისეთი ცნებებიც, რომლებსაც გვარი და სახე არა აქვთ. ამიტომ უნდა არსებობდეს ცნების განსაზღვრების სხვა წესი, ვიდრე გვარისა და სახის მიმართება. ეს მიმართება უფრო

ზოგადი უნდა იყოს და გვარისა და სახის მიმართებას, როგორც კერძო შემთხვევას უნდა მოიცავდეს. თუ გვარისა და სახის მქონე ცნებების განსაზღვრებისათვის აუცილებელია მათი კავშირის მოთხოვნა და ეს მოთხოვნა კიდევაც სრულდება იმ ცნებების განსაზღვრებისათვის, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან გვარ-სახეობით დამოკიდებულებაში, იქაც საჭიროა საერთო და განსხვავებული ნიშნების ძიება და მათი დადგენა. იმ ცნებების განსაზღვრებისათვის, რომლებიც გვარის და სახის დამოკიდებულებას არ შეიცავენ, აუცილებელია ამ ცნებით აღნიშნული საგნის კავშირის აღნიშვნა იმ საგანთან, რომლის გარეშე ის არ არსებობს და იმ ნიშნების მითითება, რომლითაც ის მისგან განსხვავებულია. გვარისა და სახის ადგილს იკავებს კავშირი, ხოლო ამისათვის ორი საგნის არსებობაა საჭირო. კავშირი უფრო ზოგადია, ვიდრე გვარისა და სახის დამოკიდებულება, გვარი და სახე გამოხატავს კავშირს, თუმცა თავისებურს. უგვარსახეო ცნებების განსაზღვრებაც კავშირს გულისხმობს. მაშასადამე, ორგვარი კავშირია აუცილებელი: ერთგან გვარისა და სახის, ხოლო მეორეგან ორი საგნის ისეთი მიმართება, რაც მათს ურთიერთგანუყრელ როგორც იგივეობას, ისე განსხვავებას გულისხმობს. კატეგორიების განსაზღვრება გულისხმობს ცნებების იმგვარ კავშირს, როცა ისინი ერთმანეთთან მიმართებით ავლენენ ერთმანეთის განმასხვავებელ ნიშნებს. როცა მიმართებაზეა ლაპარაკი, აქ იგულისხმება ორი საგნის კავშირი, რომელშიც ისინი თავიანთ იგივეობას და განსხვავებასაც აჩენენ. კატეგორიების განსაზღვრება არის კავშირში მყოფი ცნებების საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა. ისეთი ცნება, რომელსაც მიმართება არავისთან არა აქვს, არც განსაზღვრებას ემორჩილება, რადგან ის არაფერთან არ გამოიცდენს თავის თავისებურებას. ასეთი ცნებაა არსებობის ცნება, რადგან ის არაფერთან არაა მიმართებაში.

განსაზღვრების ცნების გაფართოებით მივიღებთ, რომ ცნებათა შორის არსებული დამოკიდებულება ვლინდება როგორც იგივეობაში, ისე განსხვავებაში. ამ იგივეობისა და განსხვავების დადგენა არის ცნების განსაზღვრება, რომელიც ორი გზით სრულდება: ერთი გზა იქნება გვარისა და სახის დამოკიდებულებით და მეორე უგვარ-სახეო დამოკიდებულების მიხედვით. ორივესათვის საერთოა იგივეობისა და განსხვავების დადგენა. კატეგორიის განსაზღვრება რომ ამ გზით ხორციელდება, ეს ნათლად მოჩანს მატერიის განსაზღვრების დროს.

გვარისა და სახის ცნებების განსაზღვრება უგვარ-სახეო ცნებებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველში მხოლოდ ერთგვაროვანი საგნები მონაწილეობს, მეორეში კი არაერთგვაროვან საგანთა აუცილებელ კავშირთან გვაქვს საქმე. მაგალითად, დრო რომ განვსაზღვროთ, საჭიროა მოძრაობის მოხმარება, ხოლო ამისათვის სივრცეც საჭიროა. დრო,

მოძრაობა, სივრცე არაერთგვაროვანია, რომლებიც დროის განსაზღვრებაში აუცილებლობით შედიან, რადგან დრო მათთანაა დაკავშირებული.

განსაზღვრების ზოგადი წესია განსასაზღვრი ცნების შესაბამისი საგნის აუცილებელი კავშირის ჩვენება იმასთან, რის გარეშეც ის არ არის, და იმ ნიშნების მითითება, რითაც ის განსხვავდება მასთან აუცილებელ კავშირში მყოფი საგნებისაგან. მაგალითად, მიზეზობრიობის განსაზღვრების დროს უნდა გამოვიყენოთ მიზეზის, შედეგის, მოძრაობის, დროისა და სივრცის ცნებები, რადგან მიზეზობრიობა გამოხატავს ერთი საგნის მეორისაგან წარმოშობას, რომელიც, როგორც მოძრაობა, დროსა და სივრცეში ხდება და დროსა და სივრცეში ერთიმეორის მიყოლებითი რიგისაგან განსხვავდება.

აღნიშნული მოსაზრების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: პირველი, როგორც გვარისა და სახის დამოკიდებულებაში მყოფი ცნებებისათვის, ასევე უგვარ-სახეო კატეგორიების განსაზღვრების წესად გამოდის მიმართება. მართალია, მათ შორის განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულია მიმართების განსხვავებულობა ზოგადობაში და განსაზღვრებაში ერთგვაროვან და არაერთგვაროვან საგანთა მონაწილეობა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის, ვინაიდან ორივე შემთხვევაში განსაზღვრების საფუძველია მიმართება. მართალია, განსხვავებული სახის ზოგადობის მიმართება აკმაყოფილებს გარკვეული აზრით ცნებისა და კატეგორიის განსხვავებულობას, მაგრამ ის, რომ ნაკლებად ზოგადობის მიმართების საფუძველზე განსაზღვრება არის სახე-გვარეობითი წესის, ხოლო მეტად ზოგადობის მიმართების საფუძველზე განსაზღვრება არის მიმართებითი წესის, ფაქტიურ ვითარებას არ შეესაბამება. მტკიცება იმისა, რომ გვარისა და სახის დამოკიდებულებაში მყოფი ცნებებისა და უგვარ-სახეო ცნებებისათვისაც განსაზღვრების საფუძველის მიმართების იმის საშიშროებას ქმნის, რომ ყოველი ცნების განსაზღვრების საფუძველია მიმართება და აქედან გამომდინარე განსაზღვრებათა ის წესები, რომლებიც დღეისათვის ცნობილია, ყველას საფუძვლად უნდა მიეიჩნიოთ, მიმართებით განსაზღვრება.

მეორე, საეჭვოა იმის მტკიცებაც, რომ მიზეზობრიობის განსაზღვრების დროს საჭიროა გამოვიყენოთ მიზეზის, შედეგის, მოძრაობის, დროისა და სივრცის ცნებები, ხოლო მოძრაობის განსაზღვრების დროს, ალბათ, ასევე უნდა გამოვიყენოთ ყველა დასახელებული ცნება და ასევე დროისა და სივრცის ცნებების განსაზღვრების დროს. ეს არის წრეში ტრიალი და არავითარი მაჩვენებელი იმისა, თუ როგორია თითოეული დასახელებული კატეგორიის განსაზღვრების პროცესი.

მესამე: მიმართების წესით კატეგორიათა განსაზღვრების შესახებ იმის მტკიცება, რომ „როცა მიმართებაზეა ლაპარაკი, აქ იგულისხმება ორი საგნის კავშირი, რომელშიც ისინი თავიანთ იგივეობას და განـ

სხვავებასაც აჩვენებენ". არ შეესაბამება, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით მიზეზობრიობის ცნების განსაზღვრებას, რომლის განსაზღვრებისათვის თურმე საჭიროა მიზეზის, შედეგის, მოძრაობის, დროის და სივრცის ცნებები და, ალბათ, მათი შესაბამისი ობიექტებიც.

მეოთხე: ვინც მიმართებას ყოველი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრების წესად მიიჩნევს, მან თვით მიმართება როგორც ცალკე დამოუკიდებელი კატეგორია უნდა უარყოს, რადგან უპირველეს ყოვლისა მიმართება არის მიჩნეული ყოველი უგვარ-სახეო კატეგორიათა განსაზღვრების წესად, ამით ის (მიმართება) გამოდის ყველა ასეთი კატეგორიის საფუძველი. ხოლო თუ იმას დავუშვებთ, რომ მიმართება დამოუკიდებელი კატეგორიაა და ამავე დროს მიმართება არის ყველა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესი, მაშინ თვით მიმართების კატეგორიის განსაზღვრება ისევ მიმართებით იქნება განსაზღვრული, რაც წმინდა ტავტოლოგიაა. ასევე, ვინც მიმართებას უშვებს უგვარ-სახეო კატეგორიების განსაზღვრების წესად, იგი ამავე დროს იმასაც უშვებს, რომ „არსებობის" კატეგორია მიმართებით არ განისაზღვრება, „რადგან ის არაფერთან არ გამოავლენს თავის თავისებურებას. ასეთი ცნებაა არსებობის ცნება, რადგან ის არაფერთან არაა მიმართებაში". მაშასადამე, გამოდის, რომ მიმართებით განსაზღვრების წესი არ არის კატეგორიათა განსაზღვრებისათვის უზოგადესი, ე. ი. ყველა გვარისა და სახის არმქონე კატეგორია მიმართებით არ განისაზღვრება. თუ იმას ვიტყვით, რომ „არსებობა" არ არის კატეგორია, ან იგი საერთოდ განუსაზღვრელიაო, მაშინ იგი არ იქნება სინამდვილის შესაბამისი, რადგან საერთოდ განუსაზღვრელი ცნებები არ არსებობენ, რაც ზემოთ აღვნიშნეთ.

მეხუთე: ზოგიერთი აღიარებს რა კატეგორიათა განსაზღვრების წესად მიმართებით განსაზღვრებას, ურთიერთდაპირისპირებულობის წესით განსაზღვრების საწინააღმდეგოდ აყენებს არგუმენტს, რომ მის საშუალებით არ განისაზღვრება დროისა და სივრცის კატეგორია, რადგან ისინი არ არიან ურთიერთდაპირისპირებულნი. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ურთიერთდაპირისპირებულობის წესით განსაზღვრება გამოიყენება მხოლოდ წყვილად პოლარულ კატეგორიებში და არა საერთოდ ყოველ ფილოსოფიურ კატეგორიაში. მაგრამ ჩვენ დავსვამდით ასეთ კითხვას: ნუთუ დროისა და სივრცის კატეგორიები ერთმანეთს შორის მიმართებით დამოკიდებულებაში არიან? რა თქმა უნდა, არა. დრო არ განისაზღვრება სივრცესთან მიმართებით და არც სივრცე დროსთან მიმართებით. გამოდის, რომ ის, ვინც აღიარებს — მიმართებით განისაზღვრება ყველა კატეგორიაო, ცდება — ფაქტიურად იგი გამოუსადეგარია დროისა და სივრცის კატეგორიების განსაზღვრის დროს.

§ 10. ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში სხვა სისტემიდან ცნებათა შემოყვანის წესით განსაზღვრების შესახებ

არსებობს შეხედულება, რომელიც ამტკიცებს — ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრება შესაძლებელია სამი პირობის არსებობის დროს: 1) ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრება ისევ ფილოსოფიური კატეგორიით, რაც განსაზღვრებაში არის ტავტოლოგია, 2) ზოგიერთი განუსაზღვრელი ცნების პრინციპიდან ამოსვლით, 3) ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში სხვა სისტემის ცნებათა შემოყვანით. მაგრამ ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების პრობლემის გადასაჭრელად ვერ მიიღება ვერც განსაზღვრებაში ტავტოლოგია და ვერც ფილოსოფიის ზოგიერთი ცნების განუსაზღვრელობის პრინციპებიდან ამოსვლა; ამიტომ საჭიროა ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში სხვა სისტემის ისეთ ცნებათა შემოყვანის წესით განსაზღვრება, რომლებიც ფილოსოფიურ სისტემაში განუსაზღვრელი იქნებიან. ასეთი მოსაზრების მხოლოდ ორ ვარიანტს განვიხილავთ.

ერთ-ერთი ვარიანტის ძირითადი აზრი ასეთია: ტავტოლოგია და ზოგიერთი ცნების განუსაზღვრელობის პრინციპიდან ამოსვლა ვერ იქნებიან მისაღები საშუალებანი ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრების პრობლემების გადასაჭრელად, ამიტომ საჭიროა მოიძებნოს სფერო, სადაც განხორციელდება ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის ჩარჩოებიდან გასვლა. მაგრამ ცნებათა ეს სფერო არანაკლებ ზოგადი უნდა იყოს, ვიდრე დიალექტიკის კატეგორიები. გარდა ამისა, ფილოსოფიური კატეგორიების ჩარჩოებიდან გასვლა ასე თუ ისე უნდა განხორციელდეს უკვე არსებულ განსაზღვრებებში. ხშირ შემთხვევაში განსაზღვრებაში გამოიყენებიან ცნებები, რომლებიც საკუთრივ კატეგორიები არ არიან, მაგრამ გამოიყენებიან არა როგორც უბრალოდ დამხმარე, არამედ აუცილებლად საჭირონი, რომლებიც ხშირად არიან დამაქვემდებარებელი ცნებები. ამათ მიეკუთვნება ცნებები: ერთობლიობა, დახასიათება, გამოსახვა, მხარე, მომენტი, დამთხვევა, ტენდენცია და სხვ. ეს ცნებები არც კატეგორიებია და ამავე დროს არცერთ სხვა მეცნიერებათა სისტემაში არ შედიან, ისინი მიეკუთვნებიან ჩვეულებრივი აზროვნების სფეროს.

აღნიშნული ცნებები მონაწილეობენ კატეგორიათა განსაზღვრებაში, მაგრამ თვითონ განსაზღვრებას არ საჭიროებენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი განსაზღვრება პრინციპულად შეუძლებელია, უბრალოდ, მათი განსაზღვრების აუცილებლობა ფილოსოფიის საზღვრებში არ ხდება, რადგანაც ამა თუ იმ ჩვეულებრივი ცნების გაგებითობის, კომუნიკაციურობის კრიტერიუმს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივ პრაქტიკული მოღვაწეობის წარმატებულობა წარმოადგენს.

დასახელებული ცნებები დიალექტიკის კატეგორიებზე უფრო ზოგადი არ არიან, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ისინი უფრო აბსტრაქტული ცნებებია, ვიდრე დიალექტიკის კატეგორიები, მაგრამ მათი გამოყენება უკანასკნელთა განსაზღვრებისათვის შესაძლებელია იმის გამო, რომ თავიანთი შინაარსის სიღარიბესთან ერთად თითოეულ მათგანს კატეგორიალობის უამრავი ნიშანი აქვს. მაგალითად, ცნების „ერთობლიობა" უკან ისეთი კატეგორიებია, როგორიცაა სისტემა, რაოდენობა, მთელი, სიმრავლე, შემადგენლობა. თუ ცნება „ერთობლიობა" შეიცვლება რომელიმე ზემოთ დასახელებული კატეგორიით, მაშინ განსაზღვრების აზრი მაშინვე შეიცვლება. ამგვარად, ჩვეულებრივი ცნებების გამოყენება, როგორც დამაქვემდებარებლებისა, ზოგიერთი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრებაში არა მარტო მართლზომიერია, არამედ საესებით აუცილებელიც.

აღნიშნული წესით კატეგორიათა განსაზღვრებისას განსაზღვრების მრავალი ფუნქციიდან კატეგორიის მიმართ პირველ რიგში აუცილებელია: განსხვავებულობა, სუბორდინაცია და კოორდინაცია. ამ ფუნქციების განხორციელება არის კატეგორიის შინაარსის გაშლის საშუალება. კატეგორიებს შორის არ არის სახე-გვარეობითი დამოკიდებულება, მაგრამ ურთიერთდაქვემდებარება მათ შორის მაინც არის. კატეგორიათა დაქვემდებარებულობის კრიტერიუმს, რომელიც მათი განსაზღვრების საფუძველშია, წარმოადგენს აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის პრინციპი. უფრო კონკრეტული კატეგორია ექვემდებარება უფრო აბსტრაქტულს. უფრო აბსტრაქტული კატეგორია ცალმხრივად ასახავს ამა თუ იმ პროცესს, უფრო კონკრეტული კატეგორია განისაზღვრება ისე, რომ მისი განსაზღვრების პრედიკატად გამოდის არა ერთი რომელიმე კატეგორია, სხვაგვარად არ იქნება მოძრაობა წინ, არამედ განისაზღვრება რამდენიმე აბსტრაქტული კატეგორიის სინთეზით, რითაც ხსნის მათ ცალმხრივობას. მოცემული აბსტრაქტული კატეგორია განსაზღვრების განვითარების მიხედვით მონაწილეობს კატეგორიების სულ უფრო მეტი რაოდენობის განსაზღვრებაში. მაგალითად, ურთიერთმოქმედება თავისში ყოველთვის მოიცავს მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას; მაგრამ ურთიერთმოქმედება ახასიათებს არა მარტო დასახელებულ კატეგორიებს, არამედ შინაარსისა და ფორმის, შინაგანისა და გარეგანის დამოკიდებულებას და ა. შ. მაშასადამე, ესა თუ ის აბსტრაქტული კატეგორია პოტენციაში თავის თავში მრავალ კატეგორიას მოიცავს (და ამ აზრით გამოდის როგორც დაქვემდებარებული), მაგრამ არა განვითარებულ, არა გაშლილ, არამედ ჩანასახობრივ მდგომარეობაში. კატეგორიის განსაზღვრების დროს შეუძლებელია გვერდის ავლა მათ სუბორდინაციაზე. ამიტომაც გან-

საზღვრების ლოგიკა უნდა ემთხვეოდეს კატეგორიის ჩამოყალიბების ისტორიას, უნდა ასახავდეს ამ ისტორიას.

ყოველი განვითარებული მეცნიერული ცნება შეიძლება გამოთქმული იქნეს მხოლოდ ერთიმეორის შემავსებელი განსაზღვრებათა სისტემით; ამასთანავე განსაზღვრებათა სიმრავლე ვლინდება მით უფრო გარკვეულად და სრულად, რაც უფრო მეტია ცნების ზოგადობა და რაც უფრო მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს მას. ორივე ამ პირობას მთელი სისრულით აკმაყოფილებენ მხოლოდ ფილოსოფიური კატეგორიები. ამასთან მიმართებაში დებულება განსაზღვრებათა სიმრავლის შესახებ ღებულობს შემდეგ აზრს: ყოველი ცალკეული კატეგორია, წარმოადგენს რა გარკვეულ საფეხურს შემეცნების მსვლელობაში კონკრეტულისაკენ, თვითონ უძრავ, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულ მდგომარეობაში კი არ რჩება, არამედ ვითარდება აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ. ეს განვითარება ფიქსირდება ახალი განსაზღვრებების გამომუშავებით. ასეთ შემთხვევაში კატეგორია გვევლინება განსაზღვრებათა სისტემად შემეცნების ვერტიკალურ ჭრილში,

რომ კატეგორია გვევლინება განსაზღვრებათა სისტემის სახით, ამას ადასტურებს მოძრაობის კატეგორია, რომლის შინაარსი იშლება შემდეგი უმნიშვნელოვანესი განსაზღვრებების სისტემით:

1) მოძრაობა არის მატერიის არსებობის წესი, 2) მოძრაობა არის ყოველგვარი ცვლილება საერთოდ, 3) მოძრაობა არის მყარისა და ცვალებადის ერთიანობა, 4) მოძრაობა არის წყვეტადისა და უწყვეტობის ერთიანობა (დროისა და სივრცისა), 5) მოძრაობა არის შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა. ისტორიულად ჩამოყალიბებული განსაზღვრებათა ეს სისტემა ქრონოლოგიურად არ არის განლაგებული. თითოეული განსაზღვრება არის მთლიანის მომენტი. დასახელებული განსაზღვრებებიდან თითოეული არის მოძრაობის კატეგორიის შინაარსის გაშლა რომელიმე მიმართებით. მაგალითად, განსაზღვრება პირველი არის მოძრაობის შინაარსის გაშლა მატერიის მიმართ; განსაზღვრება მეორე არის მოძრაობის კატეგორიის შინაარსის გაშლა მოძრაობისა და მატერიის არსებობის ფორმების დამოკიდებულებისა. ამაღე დროს იგი თითქოს აგვირგვინებს უფრო აბსტრაქტულ განსაზღვრებათა მთელ პირამიდას.

კატეგორიისა და განსაზღვრების დამოკიდებულების საკითხზე ის, რაც ითქვა კატეგორიის განსაზღვრების სიმრავლეზე მოძრაობის კატეგორიის საფუძველზე, სავსებით შეეხება დიალექტიკის ნებისმიერ სხვა კატეგორიას. კატეგორიისა და განსაზღვრების დამოკიდებულების გარკვევის დროს გამოსავალი უნდა იყოს ის, რომ განსაზღვრება, როგორც ლოგიკური ოპერაცია დამოკიდებულია ცნების შინაარსზე, იგი (განსაზღვრება) იცვლება ცნების შინაარსის ცვალებადობასთან ერთ ად;

შემდეგ, განსაზღვრება დამოკიდებულია იმაზეც თუ ობიექტური რეალობის რომელ მხარეს ასახავს განსასაზღვრი ცნება: შემდეგ. განსაზღვრება დამოკიდებულია ცნების ზოგადობაზეც. მაგალითად, ცნების შინაარსის ცვლილება განსხვავებულად ვლინდება კერძო ცნებებსა და უზოგადეს კატეგორიებს შორის. თუ კერძო ცნების შინაარსის გამოსახვისათვის საკმარისია ერთი მოკლე განსაზღვრება, უზოგადეს ცნებათა განსაზღვრება სისტემას მოითხოვს.

ფილოსოფიური კატეგორიების სისტემაში სხვა სისტემიდან ცნებათა შემოყვანის წესით განსაზღვრების მეორე ვარიანტი ასეთია: ფილოსოფიური კატეგორიებიდან ზოგიერთი ონტოლოგიური შინაარსის მქონეა, ზოგი არა. მაგალითად, კატეგორიები. რომლებიც ასახავენ მატერიალური ობიექტის ატრიბუტებს: მოვლენა და არსება, თვისებრიობა და რაოდენობა, სივრცე და დრო, მოძრაობა, კანონი და ა. შ. აქვთ ონტოლოგიური შინაარსი. მაგრამ ყველა ფილოსოფიური კატეგორია არ არის ასეთი, მაგალითად, გრძნობადი და ლოგიკური, ჭეშმარიტება და მცდარობა და ა. შ. არ არიან მატერიალური ობიექტების ატრიბუტები, ამიტომ მათზე არ შეიძლება ითქვას, რომ ონტოლოგიური შინაარსის მქონეა.

თუ როგორ უნდა განისაზღვროს კატეგორიათა ონტოლოგიური შინაარსი, ამაზე პასუხი ასეთია: ამჟამად ფართოდ არის გამოყენებული განსაზღვრების ხერხი ამა თუ იმ ფილოსოფიური კატეგორიის მისი სხვა კატეგორიებთან შეპირისპირების საშუალებით. მაგალითად, თვისებრიობა ხშირად განისაზღვრება როგორც არსებით თვისებათა ერთობლიობა. თვისობრიობის კატეგორიის შინაარსი აქ მოიცავს ნიშნებს: თვისება, არსებითობა, ერთობლიობა. პრინციპში განსაზღვრების ასეთი ხერხის საწინააღმდეგოდ არაფრის თქმა არ შეიძლება, თუ მას წესიერად გამოვიყენებთ; საჭიროა განსაზღვრებაში არ წარმოიშვას წრე. ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის საჭიროა ფილოსოფიურ კატეგორიათა ზოგიერთი ქვესიმრავლე არ განისაზღვროს ფილოსოფიურ დონეზე, ე. ი. უზოგადესობის დონეზე. ზოგიერთი მეცნიერების ცნებათა ახსნისას, მათ შორის დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიებისაც, საჭიროა ავირჩიოთ ამოსავალ ცნებებად წოდებული ცნებების ისეთი წრე, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა ამ მეცნიერების ყველა სხვა, წარმოებულ ცნებებად წოდებული, ცნებების ახსნა: მაგალითად, თვისებრიობის კატეგორიის განსაზღვრებისას შეიძლება გამოვიყენოთ თვისების კატეგორია და არ განვსაზღვროთ იგი სხვა ფილოსოფიური კატეგორიების საშუალებით, თუმცა თვისების კატეგორია შეიძლება განისაზღვროს სხვა დონეზე (ლოგიკაში, ფიზიკაში და სხვა მეცნიერებაში).

ფორმალური თვალსაზრისით, ონტოლოგიური შინაარსის მქონე კატეგორიებიდან, რომლებიც განსაზღვრული არიან ერთი განუსაზღვრელი კატეგორიის საშუალებით, შეიძლება მივიღოთ კატეგორიის მრავალი განსაზღვრება. ეს კი შესაძლებლობას იძლევა კატეგორიათა სისტემის ჩამოყალიბებისა.

კატეგორიის განსაზღვრების ლოგიკური სტრუქტურის სახეა: A = (Б, В . . . . К), სადაც A განსასაზღვრი კატეგორიაა, რომელიც ასახავს შესატყვის ატრიბუტს, Б, В, . . . К სხვა კატეგორიებია, რომლებიც A კატეგორიის ნიშნებს წარმოადგენენ; ისინი ასახავენ კატეგორიით A ასახული ატრიბუტის შინაარსის ობიექტურად არსებულ მომენტს. თავის რიგში, კატეგორიებიც Б, В, . . . К შეიძლება განსაზღვრული იქნას კატეგორიების Л, М, . . . , Р და ა. შ. გამოყენებით. მაგრამ ამასთანავე უნდა დარჩეს კატეგორიათა რაღაც სიმრავლე Ф, Х, . . . , Я, რომლებიც შემდეგ აღარ განისაზღვრებიან მითითებული ხერხით.

ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემა წარმოადგენს განსაზღვრების რაღაც გაშლილ ფორმას. მის „მწვერვალზეა" ერთი კატეგორია, ხოლო ყველა დანარჩენი კატეგორიათა ბუდეების თავისებურ „პირამიდას" ქმნის. ონტოლოგიური კატეგორიების სისტემაში ამოსავალს წარმოადგენს მატერიის კატეგორია, ხოლო ყველა სხვა განმარტავს მის ონტოლოგიურ შინაარსს, რაც შეესაბამება ობიექტურ თანაფარდობას: მატერია არის ატრიბუტების დიალექტიკური ერთიანობა.

უდავოდ ვრცლად გადმოვეცით განხილული ვარიანტების ძირითადი შინაარსი, განსაკუთრებით პირველისა, მაგრამ იგი აუცილებელია იმიტომ, რომ მათში განხილული განსაზღვრების წესი უზოგადეს ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრებისათვის იშვიათად გამოიყენება, ამიტომაც საჭირო იყო მისი სრულყოფილად წარმოდგენა. თუნდაც ობიექტურობის დაცვისა და კრიტიკისათვისაც.

რა შეიძლება ითქვას კატეგორიის განსაზღვრების განხილული წესისა და აღნიშნულ ვარიანტებში გატარებული ძირითადი აზრის შესახებ? უდავოდ ბევრი რამ, მაგრამ შევეხოთ მხოლოდ ძირითადს. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრება ფილოსოფიურ სისტემაში სხვა სისტემიდან კატეგორიების შემოყვანით ფაქტობრივი ვითარების შესაბამისი არ არის. ფილოსოფიური კატეგორიები ვერ დაემყარებიან და ვერც შეუპირისპირდებიან მათზე უფრო ნაკლები ზოგადობის ცნებებს, კატეგორიებს. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები არა თუ მათ სისტემაში განუსაზღვრელ და სხვა სისტემიდან შემოყვანილ კატეგორიებს დაემყარებიან სისტემაში არსებული ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრებისათვის, არამედ თვით მათივე სისტემიდან ვერ მიიღებენ შინაარსსმოკლებულ კატეგორიას მეორე

კატეგორიის განსაზღვრებისათვის და მით უმეტეს ვერც სისტემის ამოსავლად. ყოველივე ამას ყველა სხვა კონკრეტული მეცნიერებისა და მათი კატეგორიებისაგან განსხვავებით განაპიროებს თვით ფილოსოფიის, მისი საგნისა და მათი კატეგორიების ბუნება. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები აბსოლუტურად უზოგადესი ბუნების მქონეა და ამიტომ ისინი ვერ დაემყარებიან მათზე ნაკლები ზოგადობის მქონე ცნებებს თუ კატეგორიებს, რომლებიც სხვა სისტემიდან იქნებიან შემოყვანილი. მით უმეტეს ფილოსოფია ვერ მიიღებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: ერთობლიობა, დახასიათება, დამთხვევა..., რომლებიც ფაქტიურად არცერთ მეცნიერებაში არ არიან გამოყენებული როგორც რაიმე გარკვეული შინაარსის მქონენი; ამავე დროს არცერთი მათგანი არავითარი აბსტრაქტული ცნებისა თუ კატეგორიის მნიშვნელობის არ არის ფილოსოფიურ კატეგორიებთან მიმართებაში.

შემდეგ, ფილოსოფია თავის სისტემაში მყოფი კატეგორიების განსაზღვრებისათვის სხვა სისტემიდან ვერ შემოიყვანს ისეთ კატეგორიებს, რომლებიც თვით ფილოსოფიის სისტემაში არ იქნებიან განსაზღვრული. ფილოსოფიის ყოველი კატეგორია, როგორც ყოველი მისი ამოსავალი პრინციპი, მოითხოვს განსაზღვრებასა და დასაბუთებას თვით ფილოსოფიური სისტემის შიგნით. ფილოსოფია თავის სისტემაში არსებული კატეგორიათა განსაზღვრებისათვის არა თუ რომელიმე სხვა მეცნიერებათა სისტემიდან მიიღებს კატეგორიებს, არამედ განსხვავებულ ფილოსოფიურ სისტემაში გამოყენებული კატეგორიების შინაარსიც კი შეუთავსებელია ერთ ფილოსოფიურ სისტემაში. ასეთია ფილოსოფიის ბუნება არა იმიტომ, რომ ვინმეს უნდა იგი ასეთი იყოს. არამედ მისი საგნისა და კატეგორიების უზოგადესობისა და მსოფლმხედველობრივი ხასიათის გამო.

შემდეგ, მტკიცება იმისა, რომ ესა თუ ის აბსტრაქტული კატეგორია პოტენციაში თავის თავში მრავალ კატეგორიას მოიცავს ჩანასახოვან მდგომარეობაში, საკითხის გაუგებრობად უნდა იქნეს მიჩნეული. არც ერთი კატეგორია პოტენციურად მეორე კატეგორიას არც მოიცავს და არც რაიმე ჩანასახობრივ მდგომარეობაშია. კატეგორიებს კი არ აქვთ ერთიმეორის ჩანასახობრივი და პოტენციური მდგომარეობა, არამედ ამა თუ იმ კატეგორიის შესაბამის სინამდვილეს აქვს შესაძლებლობა სხვაგვარი მდგომარეობის ჩანასახისა და პოტენციისაც. მაგალითად, რეალურ სინამდვილეში არსებულ აუცილებლობას აქვს ჩანასახოვანი, პოტენციური მდგომარეობა შემთხვევითობისა, ხოლო რეალურად არსებულ შემთხვევითობას აუცილებლობად გადაქცევისა. მაგრამ ცნების, კატეგორიის სფეროში ასეთი ჩანასახოვანი, პოტენციური მდგომარეობის ძებნა სხვა ცნებისა თუ კატეგორიისა აზრს მოკლებულია. ნუთუ აუცილებლობის კატეგორია, როგორც ცნება, სხვა რომელიმე კატეგო-

რიას მოიცავს თავისში? რა თქმა უნდა, არა. აუცილებლობის კატეგორია მხოლოდ აუცილებლობის ასახვაა და მხოლოდ მას მოიცავს თავისში. ცნების, კატეგორიის სფეროში გვაქვს წმინდა აუცილებლობა, წმინდა შემთხვევითობა და ა. შ.

ვინც ასაბუთებს, რომ ესა თუ ის აბსტრაქტული კატეგორია (თუ არის ასეთი კატეგორია), ან კატეგორია საერთოდ თავისში მრავალ კატეგორიას მოიცავს პოტენციურ, ჩანასახოვან მდგომარეობაშიო, მას კატეგორიის ბუნება ზუსტად იმ მნიშვნელობით აქვს გაგებული, როგორც იგი არის მოცემული ჰეგელის ონტოლოგიზებული კატეგორიის სისტემაში. მხოლოდ ონტოლოგიზებული კატეგორიათა სისტემის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე დასაწყისი კატეგორია თავისში მოიცავს ჩანასახოვანი, პოტენციური სახით ყველა შემდგომ კატეგორიას, რაზედაც ზემოთ აღვნიშნეთ.

რაც შეეხება შეხედულებას, რომ ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის ჩარჩოებიდან გასვლა, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ არ მოვექცეთ წრეში, ტავტოლოგიაში, არ არის მართებული მოსაზრება. ცნობილი ფაქტია, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი უსიტყვოდ აღიარებს ტავტოლოგიის გარდუვალობას საერთოდ ცნებების განსაზღვრებისა და მათ შორის ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრებისას. ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრებაში ტავტოლოგიის მტკიცება იმ არგუმენტით, რომ ყოველი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრებისათვის ყოველთვის აუცილებელია რომელიმე მეორე ფილოსოფიური კატეგორიის გამოყენება, რაც ტავტოლოგიაა, ხოლო ეს კი საბოლოო ანგარიშში ფილოსოფიური კატეგორიების მთელ სისტემაში ქმნის გამოუვალ წრეს, ტავტოლოგიას, ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების ტავტოლოგიურობას ვერ ასაბუთებს.

მართალია, ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრებისას ერთი ფილოსოფიური კატეგორია დაპირისპირებულია მეორე ფილოსოფიურ კატეგორიასთან და ეს ქმნის ტავტოლოგიის შთაბეჭდილებას. მაგრამ სინამდვილეში ტავტოლოგია განსაზღვრებაში გამორიცხულია. ვინაიდან ყოველთვის განხილვაებული შინაარსის კატეგორიებია ურთიერთდაპირისპირებული. ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრებაში ტავტოლოგია იმ შემთხვევაში იქნება მხოლოდ, რომ ერთიმეორის განსასაზღვრავად გამოყენებული ორი ფილოსოფიური კატეგორიის შინაარსი იგივეობრივი იყოს, მაგრამ არცერთი ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრებაში ერთიმეორისადმი ერთნაირი შინაარსის მქონე კატეგორიები არაა დაპირისპირებული.

რაც შეეხება საერთოდ ცნებების განსაზღვრებისა და მათ შორის პირველ რიგში ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების შესახებ

გამოთქმულ აზრს, რომ განსაზღვრებაში განმსაზღვრელი უფრო ნაკლებად ზოგადია ვიდრე განსასაზღვრი, ანუ განმსაზღვრელი განსასაზღვრში აუცილებლად იგულისხმება, განმსაზღვრელი იმას გამოთქვამს, რაც განსასაზღვრშია და ამიტომ ყოველი განსაზღვრება ტავტოლოგიური, ანალიზურია, ფაქტიური ვითარების მართებული აზსნა არ არის. აღნიშნულ საკითხს შევეხებით რამდენიმე წინადადებით.

მტკიცება იმისა, რომ განსასაზღვრი შეიცავს განმსაზღვრელს, სადავო არ არის. განმსაზღვრელის განსასაზღვრთან დამოკიდებულება ამას აუცილებლობით მოითხოვს, მაგრამ ამ ფაქტიდან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ განსაზღვრება ტავტოლოგიურია, ანალიზური ხასიათისაა. აღნიშნული ფაქტი სრულიად არ ასაბუთებს იმას, რომ განსასაზღვრსა და განმსაზღვრელს შორის ცნების, როგორც განსასაზღვრის შინაარსი მხოლოდ იგივეობრივი დამოკიდებულების იყოს. განსასაზღვრსა და განმსაზღვრელს შორის იგივეობის გარდა არის განსხვავებული სახის შინაარსიც. განსასაზღვრი და განმსაზღვრელი ცნების ნიშანთა მოცულობანი განსხვავდებიან. განსაზღვრებაში განმსაზღვრელი ვერასოდეს ვერ გამოხატავს განსასაზღვრი ცნების ყველა ნიშანს. თუ დავუშვებთ, რომ განსაზღვრებაში განმსაზღვრელი განსასაზღვრის ყველა მხარეს გამოხატავს, ყველა ნიშანს აჩვენებს, მაშინ თვითონ განსაზღვრება გახდებოდა ზედმეტი. განსაზღვრება დაემთხვეოდა, იგივეობრივი იქნებოდა ცნების შინაარსისა. ცნების მთელი შინაარსი გაუტოლდებოდა განსაზღვრებაში ნაჩვენებ ცნების შინაარსს, თვით განსაზღვრება იქნებოდა განსასაზღვრი ცნების ობიექტის შესახებ ცნებაში ასახულ ნიშანთა ტოლი; სწორედ ასეთი ტოლობა გადააქცევდა თვით განსაზღვრებას ზედმეტად. სწორედ ამის გამო განსაზღვრებაში განსასაზღვრი და განმსაზღვრელი მხარეები განსაზღვრების ნიშანთა მოცულობით განსხვავებულია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ განსაზღვრებაში განსასაზღვრსა და განმსაზღვრელს საერთო არაფერი ჰქონდეთ. მაშინ ხომ ორი განსხვავებული მნიშვნელობის ცნება გვექნებოდა და არა ერთი; ცნება, მართალია, ერთი მნიშვნელობისაა, მაგრამ განსასაზღვრსა და განმსაზღვრელს შორის საერთო ნიშანთა გარდა არის განსხვავებული ნიშნებიც; განსასაზღვრი, როგორც ცნება, უფრო მდიდარია, ვიდრე განმსაზღვრელი. მაშასადამე, განსაზღვრებაში ცნების ნიშანთა განსხვავებულობა (ნიშანთა მრავალგვარობა) დამახასიათებელია მხოლოდ ერთი მხარისათვის, განსასაზღვრისათვის, როგორც ცნებისათვის. სწორედ ამის გამო განსაზღვრება სრულიადაც არ არის ტავტოლოგიური, ანალიზური ხასიათის (აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხ. ბ. ურიდია, განსაზღვრების თეორიის პრობლემები, 1979, თავი მეორე). ყოველივე ამიტომ ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრების დროს არავითარი საშიშროება არ ჩნდება მათი ანალიზურობისა და ამ მოტივით

ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის გარეთ გამოსვლის საჭიროებისა.

მტკიცება იმისა, რომ კერძო მეცნიერებათა ცნებების შინაარსის გამოსათქმელად სავსებით საკმარისია ერთი მოკლე განსაზღვრება, ხოლო უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები განსაზღვრებათა სისტემას მოითხოვსო, სინამდვილეს არ შეესაბამება. შესაძლებელია, კერძო მეცნიერებათა ცნებებისა და უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების შინაარსი გადმოცემული იქნეს, როგორც ერთი განსაზღვრებით, ასევე განსაზღვრებათა მთელი სისტემით. ამ მიმართებით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. მაგალითად, ცნებები — ენა, ადამიანი — რამდენიმე განსაზღვრებით შეიძლება გადმოიცეს (მსგავსად მოძრაობის კატეგორიისა), სადაც ენის, ადამიანის ცნების შინაარსი იქნება გამოთქმული სხვადასხვა მიმართებით.

მტკიცება — თვისებრიობა არის არსებით თვისებათა ერთობლიობა — არ არის თვისებრიობის ცნების განსაზღვრება; არსებით თვისებათა ერთობლიობა ვერ იძლევა თვისებრიობის ცნებას. თვისებრიობა არის საგნის შინაგანი აუცილებელი გარკვეულობა, ხოლო თვისებები, როგორი არსებითიც უნდა იყვნენ ისინი, არასდროს არ ქმნიან საგნის შინაგან აუცილებელ გარკვეულობას. თვისებრიობა და თვისება ხშირად მოიხმარებიან როგორც ერთი რიგის ცნებები, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია მათი გაიგივება. ისინი ერთიმეორისაგან განსხვავებული არიან. თუ თვისებრიობა საგნის, მოვლენის შინაგანი გარკვეულობა, განსაზღვრულობაა, ამას ვერ ვიტყვით თვისებაზე, რომელიც საგნის, მოვლენის თვისებრივი გარკვეულობის ცალკეული მხარის გამოვლინება, გამომჟღავნებაა. მართალია, თვისებრიობა არის შინაგანი, არსებითი, ძირეული თვისებების ერთობლიობა, რომელთა გარეშე არ არსებობს საგანი, მოვლენა და რომელიც ამ საგნის, მოვლენის დანარჩენ თვისებებს განსაზღვრავს, მაგრამ თვისებრიობა არ არის მხოლოდ არსებით თვისებათა ერთობლიობა, იგი ყოველთვის უფრო მეტია არსებით თვისებათა ერთობლიობაზე. თვისებრიობა ახასიათებს საგანს, მოვლენას მის მთლიანობაში; იგი საგნის მთლიანობის შინაგანი გარკვეულობაა. თვისება კი, როგორი არსებითიც უნდა იყოს იგი, ყოველთვის საგნის, მოვლენის რომელიმე ერთი მხარისათვისაა დამახასიათებელი.

§ 11. განსაზღვრების ე. წ. დიალექტიკურ-ლოგიკური წესის შესახებ

საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი — ცნების (მათ შორის კატეგორიის) განსაზღვრების ორი, ერთიმეორისაგან განსხვავებული წესი არსებობს: დიალექტიკურ-ლოგიკური და

ფორმალურ-ლოგიკური. ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზნის შესაბამისად, ყურადღებას მხოლოდ საკითხის ერთ მხარეზე გავამახვილებთ; სახელდობრ, რას გულისხმობს განსაზღვრების დიალექტიკურ-ლოგიკური წესი. ამ მხრივ აღსანიშნავია ბ. კედროვისა და ვ. მალცევის მოსაზრებანი.

ბ. კედროვი აღნიშნავს, რომ განსაზღვრების თეორიაში ორი განსხვავებული ხერხი, წესია დაპირისპირებული: ფორმალური და არაფორმალური. უკანასკნელს მიეკუთვნება ის წესები, რომლითაც სარგებლობს დიალექტიკური ლოგიკა. არაფორმალური, შინაარსიანი განსაზღვრება დიალექტიკური ლოგიკის შესწავლის საგანია. დიალექტიკური ლოგიკის ყურადღების ცენტრშია ზოგადლოგიკური წესების დამუშავება. ბ. კედროვის აზრით, დიალექტიკურ-ლოგიკური წესებია: 1. მიმართებითი განსაზღვრება, 2. გენეზისური განსაზღვრება, 3. დაპირისპირებულობით განსაზღვრება, 4. ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრება, 5. კანონით განსაზღვრება.

მიმართებითი განსაზღვრება გულისხმობს განსასაზღვრი საგნის ყოველმხრივ განხილვას. დიალექტიკა წინააღმდეგია რომელიმე ერთი მხრით განიხილოს ცნებათა შორის მიმართება. თვით განსაზღვრება სხვა არაფერია, თუ არა ცნებებს შორის ამა თუ იმ მიმართების გახსნა, რაშიც თვით საგანთა შორის მიმართებაა ასახული. რაც მეტია ეს მიმართება, მით მეტად შეიძლება მოცემული ცნების განსაზღვრება. უაღრესად ფართო ცნებები, როგორიცაა მატერია და ცნობიერება, ერთიმეორესთან მიმართებით განისაზღვრებიან. მათი მიმართება ერთიმეორესთან თავისი არსებით არის მათივე განსაზღვრება. ორ გნოსეოლოგიურ ცნებას შორის მიმართება, რომელშიც მათი შინაარსია გახსნილი, ისეთივე მიმართებაა, როგორც მიმართება პირველადსა და მეორადს შორის.

ბ. კედროვი გენეზისურ განსაზღვრებას, როგორც დიალექტიკური განსაზღვრების წესს, ახასიათებს ასე: დიალექტიკა მოძღვრებაა განვითარებაზე — ეს მისი, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი განსაზღვრებაა. განვითარება სხვა არაფერია, თუ არა საგანთა კავშირი დროში, ე. ი. თანმიმდევრული კავშირი ისტორიული წარმოშობის მიხედვით. ამიტომაც განსაზღვრების განხილვა, როგორც გასაანალიზებელ ცნებებს შორის მიმართების გახსნა, ზოგადი სახით თავისშივე მოიცავს გენეზისური თვალსაზრისით განხილვას. გენეზისური განსაზღვრების მაგალითად მოყვანილია ვ. ი. ლენინის მიერ იმპერიალიზმის ცნების განსაზღვრება.

დიალექტიკურ ლოგიკაში გამოყენებული განსაზღვრების შემდეგი წესი არის განსაზღვრება დაპირისპირებულობით, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიალექტიკაში, კერძოდ კატე-

გ:რიებზე მოძღვრებაში. დიალექტიკის ე. წ. წყვილი კატეგორიები სხვაგვარად არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, თუ არა ყოველი წყვილი კატეგორიის შინაგანი დაპირისპირებულობით.

ბ. კედროვი ეხება რა ზოგადისა და ერთეულის მიმართების წესით განსაზღვრებას, აღნიშნავს: ზოგადი არის გვარეობითი ნიშანი, სახეობრივი განსხვავებულობა (სპეციფიკური) კი ის, რაც მოცემულ კლასში შემოდის. ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, ამბობს კედროვი, როგორ შეიძლება და რ:ოგორ უნდა გავხსნათ ზოგადისა და ერთეულის დიალექტიკა ყოველ უმარტივეს მსჯელობაში, მაგალითად, „ცუგა არის ძაღლი", „ივანე არის ადამიანი", „ხის ფოთოლი მწვანეა". აღნიშნული წესი უფრო მეტად ეხება განსაზღვრებას, რომელიც აგებულია ისეთ ლოგიკურ საფუძველზე, როგორიცაა, მაგალითად, „ვირი არის ცხოველი, რომელიღაც სახეობრივი ნიშნების მქონე".

განსაზღვრების წესი — კ ა ნ ო ნ ი თ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა — კედროვის მიერ განხილულია ზედმიწევნით უამრავი კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე. კანონით განსაზღვრება არის ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრების კერძო შემთხვევა. კანონი გამოდის როგორც საყოველთაო, რომლის საშუალებით განისაზღვრება ცნება, რომელშიც ასახულია ცალკეული საგნები ან მოვლენები, დაქვემდებარებული მოცემულ კანონს როგორც საყოველთაოს.

კანონით განსაზღვრება, კედროვის თქმით, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნიმუში თანაფარდობით ცნებათა განსაზღვრებისა, კერძოდ დაპირისპირებულობით განსაზღვრებისა, ასევე განსაზღვრება „გვარისა და სახის" მიმართებით შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც კანონით განსაზღვრების შემცველი. კანონით განსაზღვრება ძალის მქონეა არა მხოლოდ ბუნებისმეცნიერების სფეროში, არამედ სხვა მეცნიერებაშიც, მათ შორის ფილოსოფიაშიც. ფ. ენგელსის მიერ დიალექტიკის განსაზღვრება — დიალექტიკა არის მეცნიერება ყოველგვარი მოძრაობის უზოგადესი კანონების შესახებ, „დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოების და აზროვნების მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონების შესახებ", ასევე ლენინის მიერ „ფილოსოფიურ რვეულებში" დიალექტიკის განსაზღვრა: „მოკლედ, დიალექტიკა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მოძღვრება დაპირისპირებულობათა ერთიანობაზე", არის მეცნიერული ცნების კანონით განსაზღვრების მაგალითი.

ყველა მეცნიერული ცნების განსაზღვრება არ შეიძლება დაყვანილი იქნეს კანონით განსაზღვრებაზე; იგი, როგორც წესი, ეხება არა ყველა ზოგად ცნებას, არამედ თითოეული მეცნიერებისათვის მხოლოდ ძირითადს, ფუნდამენტურს, იმ კატეგორიებს, რომლებიც სხვაგვარად არ

შეიძლება განისაზღვრონ, თუ არა მხოლოდ მოცემული მეცნიერების კანონების შინაარსის გახსნით.

კანონით განსაზღვრების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ბ. კედროვის თქმით, „გვარსა და სახეს შორის დამოკიდებულება იმ ფორმაშიც კი, როგორც იგი ფორმულირებულია ფორმალურ ლოგიკაში, ზოგადისა და ერთეულის დამოკიდებულებას ასახავს". ეს მართებული აზრია. ასევე, მისი თქმით; გვარეობითი ნიშანი საერთოა მოცემული კლასის (გვარის) ყველა წევრისათვს, ხოლო სახეობრივი, განმასხვავებელი — სპეციფიკური.

თითოეული, ცალკეული ელემენტი (სახე), რომელიც მოცემულ კლასში შემოდის, განსაკუთრებულია. შემდეგ — „ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრების კერძო შემთხვევა არის... კანონით განსაზღვრება", „კანონით განსაზღვრება წარმოადგენს თვითონ ზოგადისა და კერძოს მიმართებით განსაზღვრების კერძო შემთხვევას". მაშასადამე, თუ გვარსა და სახეს შორის დამოკიდებულება არის კერძოსა და ზოგადს შორის დამოკიდებულების ასახვა, ხოლო ზოგადისა და კერძოს მიმართებით განსაზღვრების კერძო შემთხვევა არის კანონით განსაზღვრება, მაშინ ეს იმ დასკვნის უფლებას იძლევა, რომ კანონით განსაზღვრება არის კერძო შემთხვევა გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრებისა. აქედან გამომდინარე იგი განსაზღვრების დამოუკიდებელი წესი კი არ არის, გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრების კერძო შემთხვევაა.

რაც შეეხება ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრებას, იგი თვითონ არის გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობით განსაზღვრება. გვარი მოცემული კლასის (გვარის) ყველა წევრისათვის ზოგადია, ხოლო სახე მოცემულ კლასში შემავალი ყველა წევრისათვის — სპეციფიკური (კედროვი). ეს ასეა! მაშ რა საჭიროა ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრების აღიარება განსაზღვრების დამოუკიდებელ ხერხად. ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრება რომ ნამდვილად უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრებაა, ამას ადასტურებს თვით კედროვის მიერ მოყვანილი მაგალითები: „ვირი არის ცხოველი, რომელიღაც სახეობრივი ნიშნების მქონე". ეს ხომ ის მაგალითია, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" წერს: რომ განვსაზღვროთ ცნება (სახე-გვარობის წესით, ბ. უ.), ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, ამა თუ იმ ცნების მიყენებას უფრო ფართო ცნებისადმი. ყოველივე ამის გამო ზოგადისა და ერთეულის დამოკიდებულებით განსაზღვრება იმ ნიშანთვისებით და მაგალითებით, რაც მ. კედროვის მიერ არის მოყვანილი, ნამდვილად იგივეა, რაც განსაზ-

ღვრება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით.

რაც შეეხება განსაზღვრებას დაპირისპირებულობით, იგი ნამდვილად განსაზღვრების დამოუკიდებელი წესია. კედროვი მართებულად მიუთითებს, რომ „დიალექტიკის ე. წ. წყვილი კატეგორიები სხვაგვარად არ შეიძლება განსაზღვრული იქნეს, თუ არა ყოველი წყვილი კატეგორიის შინაგანი დაპირისპირებულობით“.

ვ. მალცევმა ცნების განსაზღვრებას მიუძღვნა სპეციალური სტატია — „ცნების განსაზღვრების პრობლემა დიალექტიკურ ლოგიკაში“, რომელიც შეტანილია მისივე წიგნში „ნარკვევი დიალექტიკურ ლოგიკაში“. ლოგიკაში განსაზღვრების აღიარებული წესები (უახლოესი გვარით და სპეციფიკური განსხვავებულობით, გენეზისური განსაზღვრება) დიალექტიკური განსაზღვრებისათვის მიუღებლად მიაჩნია ვ. მალცევს, ამიტომაც იგი განიხილავს დიალექტიკური განსაზღვრების ოთხ ძირითად ტიპს.

დიალექტიკური განსაზღვრების პირველი ტიპია საფუძვლისა და მისი განვითარების ახალი საფეხურის მითითებით განსაზღვრება, რის ერთერთ მაგალითად დასახელებულია ვ. ი, ლენინის მიერ იმპერიალიზმის განსაზღვრება. ერთი შეხედვით, ამბობს მალცევი, ეს განსაზღვრება მიეკუთვნება გვარითა და სახეობრივი განსხვავებულობით განსაზღვრებას, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ამ განსაზღვრებაში მოცემულია ობიექტის განსაზღვრება, ამიტომაც ეს ტიპი — „საფუძვლისა და მისი განვითარების ახალი საფეხურის მითითებით განსაზღვრება“ ობიექტის განვითარების ახალ უმაღლესი სტადიას ასახავს. იმპერიალიზმის კაპიტალიზმთან დამოკიდებულება არ არის სახე-გვარეობითი. აქ ორი განსხვავებული საფეხურის დამოკიდებულება გვაქვს, სადაც პირველი საფეხური მეორის განვითარების ბაზაა. მეორე მხრივ, კაპიტალიზმის ჩარჩოებში იმპერიალიზმი არის განვითარებული, თვისებრივად ახალი საფეხური. იმპერიალიზმის განსაზღვრება მაგალითია განსაზღვრების ახალი სახისა. მალცევი წერს, განსაზღვრების განხილული მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის ჩვეულებრივ განსაზღვრებებთან, არამედ განსაზღვრების ახალ ტიპთან, რომელიც ობიექტის განვითარების, ამ განვითარებაში განსაზღვრული საფეხურების გამომხატველია.

განსაზღვრების მეორე ტიპია „ნიშნებში წინააღმდეგობის გამოთქმით განსაზღვრება“, რის მაგალითად მოყვანილია ვ. ი. ლენინის სტატიაში „დიდ თაოსნობა“ კლასების განსაზღვრება. ამ განსაზღვრებაში, ამბობს მალცევი, ასახულია განსასაზღვრი ობიექტის — კლასების წინააღმდეგობა, მახვილი გაკეთებულია განსხვავებულობაზე, ძირეულ

დაპირისპირებულობებზე, რომლებიც არსებობენ ანტაგონისტურ კლასებს შორის და წარმოადგენენ კლასების არსებობის პირობას. შემდეგ კლასების თითოეული ნიშანი დახასიათებულია, როგორც ობიექტის დაპირისპირებული მხარეების ამსახველი. განსაზღვრების ამ ტიპზე მალცევი წერს: კლასების ლენინური განსაზღვრების შინაარსის მსგავსი განხილვა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს განსაზღვრების განსაკუთრებული სახე, რომელიც გვიხსნის ასახული ობიექტის წინააღმდეგობრივ ხასიათს.

კლასების განსაზღვრება, მალცევის თქმით, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის ხერხით განსაზღვრებად. მაგრამ ანალიზი ნათელყოფს, რომ იგი არსებითად განსხვავებულია ჩვეულებრივი ტიპისაგან. მართალია, „ადამიანთა დიდი ჯგუფი“ გვარეობითი ცნების ადგილზეა, მაგრამ იგი თავისი არსებით არ არის ასეთი, გვარეობითი ცნება სახის ზოგად ნიშანს გამოხატავს, რომელიც მოცემულ გვარეობით ცნებას აკმაყოფილებს. განხილულ განსაზღვრებაში კი ცნება „ადამიანთა დიდი ჯგუფი“ მოცემული „სახის“ ელემენტების ზოგიერთ საერთო ნიშანს გამოხატავს.

განსაზღვრების მესამე გვარად აღიარებულია „უაღრესად ფართო ცნებათა მიმართებით განსაზღვრება“. უაღრესად ფართო ცნებებს მიეკუთვნება მატერიისა და ცნობიერების ცნებები. გნოსეოლოგია ამ ცნებათა იქით არ მიდის, ამიტომაც იგი არ შეიძლება ჩვეულებრივ განსაზღვრულ იქნეს უახლოეს გვარსა და სახეობრივ განსხვავებულობაზე მითითებით. მათი განსაზღვრება შეიძლება მხოლოდ მათსავე შორის მიმართების დადგენით, იმის მითითებით, რომ მატერია პირველადია და ცნობიერება მეორადი. განხილულია ვ. ი. ლენინის მიერ მატერიისა და ცნობიერების ცნებების განსაზღვრებები. აღნიშნულია, რომ მატერია და ცნობიერება არ შეიძლება მოთავსდეს უფრო ფართო ცნებების ქვეშ. გაკრიტიკებულია ბოგდანოვი, რომელიც შეეცადა მატერიის ცნება „ცდის“ ცნებაში მოეთავსებინა, მისთვის დაექვემდებარებინა. დასკვნითს ნაწილში ნათქვამია: განსაზღვრების ამ განსაკუთრებულ ტიპს — უაღრესად ფართო ცნებათა მიმართებით განსაზღვრებას — დიდი მნიშვნელობა აქვს იდეალისტ-ეკლექტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

განსაზღვრების მეოთხე ტიპად განხილულია განსაზღვრება ცნებით „მატერიის არსებობის ფორმა, საშუალება“. ასეთია მოძრაობის („მოძრაობა მატერიის არსებობის ფორმაა“), სივრცისა და დროის („სივრცე და დრო ყოველგვარი არსებობის ძირითადი ფორმებია“) განსაზღვრებები. აღნიშნულია, რომ ამ ტიპის განსაზღვრება ხაზს უსვამს ღრმა შინაგან კავშირს განსასაზღვრსა და განმსაზღვრელს შორის, მათს ატრი-

ბუტულ დამოკიდებულებას. ცნება „მატერიის არსებობის საშუალება“ მოძრაობასთან, დროსა და სივრცესთან მიმართებაში არ არის გვარეობითი.

მალცევის აზრით, დიალექტიკური განსაზღვრების ტიპების შესწავლა, რაც ფორმალური ლოგიკის ჩარჩოებს სცილდება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ამოცანაა.

ასეთია მალცევის შეხედულების მთავარი აზრი დიალექტიკურ-ლოგიკური განსაზღვრების ძირითადი ტიპების შესახებ. რა შეიძლება ითქვას განსაზღვრების ასეთი ტიპების შესახებ? უპირველეს ყოვლისა, არავითარი ასეთი „დიალექტიკური განსაზღვრების ძირითადი ტიპები“ არ არსებობს.

განსაზღვრება არის ლოგიკური ოპერაცია. ლოგიკური ერთია, არ არსებობს ორგვარი ლოგიკური, იგი არც ლოგიკურად მართლდება. ამიტომ განსაზღვრება თვითონ, როგორც ცნების, კატეგორიის განსაზღვრება არ არის არც ფორმალურ-ლოგიკური და არც დიალექტიკურ-ლოგიკური. განსაზღვრების წესების ასეთი დაყოფის არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს არც ორგვარი ლოგიკური და არც ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკური ცნებები და კატეგორიები. სწორედ ამგვარადვე განსაზღვრების არც ფორმალურ-ლოგიკური წესებია და არც დიალექტიკურ-ლოგიკური წესები. მაშასადამე, განსაზღვრების წესები არ იყოფა დიალექტიკურ და ფორმალურ ლოგიკურ წესებად. განსაზღვრება ლოგიკური ოპერაციაა და მას აქვს თავისი წესები. ამიტომაც, როგორც არ არის სწორი ცნების, კატეგორიის ობიექტის დაყოფა განსაზღვრების ფორმალურ და დიალექტიკურ ლოგიკურ სფეროებად (ბ. კედროვი), ორგვარ ლოგიკურად და ფორმალურ-ლოგიკურ თუ დიალექტიკურ-ლოგიკურ ცნებებად და კატეგორიებად, ასევე არ არის სწორი განსაზღვრების წესების დაყოფა ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკური განსაზღვრების წესებად. ის ფაქტი, რომ ურთიერთდაპირისპირებულობის წესით განსაზღვრება მატერიალისტური დიალექტიკის წყვილად კატეგორიათა სფეროში მოიხმარება, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო განსაზღვრების დასახელებული წესი დიალექტიკურ-ლოგიკური განსაზღვრების წესია.

ყოველივე ზემოთ თქმულის საუკეთესო ნიმუშია ფრანკლინის მიერ ადამიანის ცნების განსაზღვრება — ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი, — რომელიც კ. მარქსმა მიიღო, როგორც ადამიანის ცნების განსაზღვრება.

რაც შეეხება განსაზღვრების ცალკეულ ტიპებს, რომლებიც დიალექტიკური განსაზღვრების ტიპებად არიან მიჩნეულნი, უნდა ითქვას შემდეგი: განსაზღვრების პირველი ტიპი სინამდვილეში უახლოესი

გვარისა და სპეციფიკური (სახეობრივი) განსხვავებულობის განსაზღვრების ტიპია. ვ. ი. ლენინის მიერ იმპერიალიზმის ცნების განსაზღვრება სწორედ გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით არის შესრულებული. ხოლო განსაზღვრების მეორე ტიპი, რომელიც ფორმულირებულია სახელწოდებით: ნიშნებში წინააღმდეგობის გამოთქმით განსაზღვრება, ნამდვილად არ არის განსაზღვრების ახალი ტიპი. ის, რაც ვ. მალცევს განსაზღვრების ახალ ტიპად მიაჩნია, სინამდვილეში ეხება არა განსაზღვრების წესის განსაკუთრებულობას, მის ახალ ტიპად ფორმულირებას, არამედ თვით განსასაზღვრ საგანს, სახელდობრ, „კლასებს". ვ. ი. ლენინის მიერ „კლასების" ცნების განსაზღვრება საუკეთესო ნიმუშია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრებისა.

დიალექტიკური განსაზღვრების მესამე სახე — განსაზღვრება უაღრესად ფართო ცნებათა მიმართებით — შეიძლება განსაზღვრების წესად იქნეს მიჩნეული კატეგორიათა მიმართაც. მაგრამ ამის გამო იგი დიალექტიკური განსაზღვრების წესი კი არ იქნება, არამედ კატეგორიათა, ცნებათა განსაზღვრების მრავალი წესიდან ერთ-ერთი. საკითხავია, აღნიშნული წესი ნუთუ მხოლოდ ორი უაღრესად ფართო კატეგორიის განსაზღვრების წესია? ასეთი კითხვა ლოგიკურია, ვინაიდან ვ. მალცევი განსაზღვრების აღნიშნულ წესს უქვემდებარებს მხოლოდ მატერიისა და ცნობიერების კატეგორიებს და არც ერთი სხვა კატეგორიის შესახებ არაფერს ამბობს, განისაზღვრებიან თუ არა დასახელებული წესით.

განსაზღვრების მეოთხე ტიპი — განსაზღვრება ცნებით მატერიის არსებობის ფორმა, საშუალება — ნამდვილად არ არის განსაზღვრების ტიპი. განსაზღვრების ეს „ტიპი" მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მოძრაობა, დრო და სივრცე მატერიის არსებობის ფორმებია. მაგრამ, ჯერ ერთი, აქ მხოლოდ განსასაზღვრ ობიექტზეა მითითებული და არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ განისაზღვრებიან ამ ობიექტის შესაბამისი კატეგორიები; მეორე — აღნიშნული წესით განსაზღვრება მოძრაობის, დროისა და სივრცის მიმართ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ისინი მატერიის არსებობის ფორმები არიან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ამბობს მათი ერთიმეორისაგან განსხვავებულობაზე, რისი ჩვენებაც აუცილებელია განსაზღვრებისათვის.

თავი მესამე

კატეგორიათა სისტემის აგების პროგლემა

§ 12. კატეგორიათა სისტემის აგების აუცილებლობა

კატეგორიათა სისტემის აგების აუცილებლობა, გარდა მცირედი გამონაკლისისა, უდავოდ არის მიჩნეული. მაგრამ ამავე დროს შემჩნეულია ისიც, რომ ასე თუ ისე სრულყოფილი კატეგორიათა სისტემის აგება მეტად ძნელი და რთულია. ეს თითქმის ერთნაირად ითქმის როგორც ფილოსოფიურ კატეგორიათა ზოგადი (საერთო), ასეკე ზოგიერთი ჯგუფის სისტემის აგების შესახებაც.

მეტად ძნელია ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგებისათვის საწყისი კატეგორიის დადგენის საკითხი. თითქმის თანაბრად შეიძლება, საწყის კატეგორიად მიღებული იქნეს ყოველი კატეგორია და ამავე დროს ყველა მათგანი, როგორც საწყისი კატეგორია, უარყოფილი იქნეს. ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის ასაგებად ამ სისტემის საწყის (ამოსავალ) კატეგორიად რომელიმეს აუცილებლობით აღებისა და მიჩნევისათვის, უფრო ზუსტად ლოგიკური აუცილებლობით მიღებისათვის არ არსებობს ისეთი კრიტერიუმი, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს, რომ ესა და ეს კატეგორიათა სისტემა თავისი საწყისი კატეგორიით შედარებით უნაკლო და სრულყოფილია.

რაც შეეხება კატეგორიათა სისტემის აგებისათვის საწყის კატეგორიად განუსაზღვრელი, გამოუყვანადი ფილოსოფიური კატეგორიის აღებას და შემდეგ მისგან კატეგორიათა სისტემის აგებას, უდავოდ განუხორციელებელია მცდარი ამოსავალი პრინციპისა გამო.

კატეგორიათა სისტემის აგების სირთულის საფუძველი მრავალმხრივია, მაგრამ პრინციპში იგი ობიექტური ვითარებით უნდა აიხსნას. უნდა ითქვას, რომ ფილოსოფიის ისტორიის ასპექტით არც იმ დიდ ფილოსოფოსებს მოუციათ ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების უნაკლო პრინციპი, თუნდაც თავიანთი ეპოქის შესატყვისი, რომლებმაც სცადეს ასეთი სისტემის აგება. ფაქტია, რომ არისტოტელეს, კანტსა და ჰეგელს არ აკლდათ არც თავიანთი ეპოქის დონეზე დგომა და არც გენიალობა, ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის

აგების შედარებით სრულყოფილი პრინციპები რომ მოეცათ, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს. მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რადგან დღემდე არ შექმნილა ფილოსოფიურ კატეგორიათა აგების სრულყოფილი ზოგადი სისტემა, ხელი ავიღოთ საერთოდ ასეთი სისტემის აგების ცდაზე, ან თუნდაც ფილოსოფიურ კატეგორიათა ცალკეული ჯგუფის სისტემაზე.

კატეგორიათა სისტემის აგება დამთავრებული სახით პრინციპულად შეუძლებელიცაა; შეუძლებელია იმიტომ, რომ ნამდვილი ფილოსოფიური სისტემა, რომელიც თავისი ბუნებით განვითარებადია, არ არის დამთავრებული, დახურული. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ფაქტები, რომ დღემდე არსებული ფილოსოფიური სისტემებიდან, რომლებიც მიზნად ისახავდნენ, ფილოსოფიური სისტემა დამთავრებული სახით წარმოედგინათ, არც ერთი წარმატებით არ დამთავრებულა. ამის ბრწყინვალე ნიმუშია თვით კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიური და თვით კატეგორიათა სისტემებიც.

ნამდვილი მეცნიერული ფილოსოფიური კატეგორიათა სისტემა არის ღია სისტემა, იგი არ არის დამთავრებული, დახურული. ამას განაპირობებს როგორც სინამდვილის, ასევე მის შესახებ ჩვენი ცოდნის განვითარებაც. შესაძლებელია ისიც, რომ თვით შესაცნობი საგანი არც კი ვითარდებოდეს, მაგრამ მისი ახალი მხარეების, მომენტების შემეცნების პროცესში ახალი, უფრო ღრმა არსებითი ნიშნები აღმოჩნდეს. მეცნიერული ფილოსოფია ამ უტყუარ ფაქტს გვერდს ვერ აუვლის; სწორედ ამიტომ ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემა, რომელიც ამ კატეგორიათა ბუნებას გამოთქვამს, არ შეიძლება დასრულდეს. დამთავრებული, ჩაკეტილი კატეგორიათა სისტემა შეუძლებელია; ჩაკეტილობა თვით კატეგორიათა სისტემის განვითარების შესაძლებლობას გამორიცხავს. მხოლოდ კატეგორიათა ღია სისტემაში არის შესაძლებლობა იმისა, რომ კატეგორიებში დაფიქსირდეს მათივე ურთიერთკავშირი ყოველი შემდგომი კატეგორიისათვის. აქედან გამომდინარე არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს ის თვალსაზრისი, რომელიც ამტკიცებს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიათა სისტემა დასრულებული, დახურული უნდა იყოს, ვინაიდან „ღია“ სისტემა არც არის სისტემა. იგი წინააღმდეგობრივი ცნებაა, რადგან ასეთი სისტემა თავის „ღიობით“ იქნება დასრულებულიო. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი მოსაზრება არის წინააღმდეგობრივი და არა ის, რომ ღია სისტემა არის წინააღმდეგობრივი ცნება. ნუთუ სინამდვილის შემეცნება, რომელიც დაუსრულებელია, თავისი დაუსრულებლობით დასრულებულია და წინააღმდეგობრივი ცნებაა? რა თქმა უნდა, არა.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ფილოსოფიურ კატეგორიათა ყოველი სისტემა, როგორ სრულყოფილად და ორიგინა-

ლურადაც უნდა იყოს აგებული, არასდროს არ არის დამთავრებული, დასრულებული სისტემა. ამიტომაც ფილოსოფიურ კატეგორიათა ყოველი სისტემა შეფარდებითია; ეს შეფარდებითობა განსხვავებული ხასიათისაა, მაგრამ როგორი განსხვავებულიც უნდა იყოს ეს სისტემა და ნაკლოვანიც, ყოველთვის აქვს რაიმე აზრით დადებითი და რაციონალური მომენტები, რაც უფრო გვაახლოვებს ჭეშმარიტების აბსოლუტურობასთან. სწორედ ამიტომ საჭიროა ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემების განსხვავებული აგებაც. კატეგორიათა სისტემის აგების, მისი პრინციპების განსხვავებული ვარიანტები უფრო სრულყოფილს ხდიან ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების ჭეშმარიტ გაგებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში კატეგორიათა სისტემის აგების საკითხზე მეტად განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს, ყველა მათგანის განხილვა შეუძლებელიცაა და არც რაიმე არსებითი მნიშვნელობის მქონე, ამიტომ განვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთ თვალსაზრისს, რომელიც შედარებით ტიპიურია. ფილოსოფიურ ლიტერატურაში ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების ყველა ცდა შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად გაიყოს. პირველი, კატეგორიათა სისტემის აგება ონტოლოგიური პრინციპების საფუძველზე; მეორე, გნოსეოლოგიურის საფუძველზე; მესამე, ონტოლოგიურისა და გნოსეოლოგიურის ერთიანობის საფუძველზე; მეოთხე, ლოგიკურის საფუძველზე. საჭიროდ მიგვაჩნია გადმოვცეთ ის მოსაზრება, რომელიც, ჩვენი აზრით, ფილოსოფიურ კატეგორიათა ერთი ჯგუფის, სახელდობრ, უზოგადეს წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიების სისტემის ასაგებად იქნება მისაღები.

ცნობილია, რომ სახე-გვარეობით დამოკიდებულებაში მყოფი ცნებების განსაზღვრების წესია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობით განსაზღვრება და ამავე დროს ეს წესი არის იმავე ცნებებისათვის ცნებათა სისტემის აგების წესიც მოცულობით დაქვემდებარებით. მსგავსად სახისა და გვარის დამოკიდებულებაში მყოფი ცნებებისა, უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა ცნებების განსაზღვრების წესი — პოლარული დაპირისპირებულობა, ამავე ჯგუფის კატეგორიათა სისტემის აგების წესიც არის.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებში ლოგიკური დამოკიდებულების ცნების გარკვევისას უნდა ამოვდიოდეთ მხოლოდ და მხოლოდ კატეგორიის, როგორც ლოგიკური ცნებების, ბუნებიდან. კატეგორიათა, როგორც ცნებების დამოკიდებულების გარკვევა უნდა იყოს მიზანი, ამიტომაც ყოველი სხვაგვარი ცდა მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. კატეგორიათა სისტემის პრინციპის ძიება ობიექტურ სინამდვილეში გაუმართლებელია. იგი კატეგორიათა ონტოლოგიზებამდე

მიდის. კატეგორიათა სისტემა უნდა აიგოს ლოგიკური პრინციპით. კატეგორიები ცნებებია, ამიტომაც მათ შორის (წყვილად უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის) დამოკიდებულება კატეგორიების, როგორც ცნებების, დამოკიდებულებას ნიშნავს.

ლოგიკური დამოკიდებულების მხრივ უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია პოლარულობა, ურთიერთდაპირისპირებულობა, რაც მათთვის აუცილებლობით დამახასიათებელი ლოგიკური დამოკიდებულებაა. უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირებულობა (პოლარულობა) ამავე დროს არის მათი (წყვილადი კატეგორიების) ურთიერთკავშირი.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის არ არის არც მოცულობითი და არც შინაარსისეული დაქვემდებარება. ფაქტია, რომ მოცულობით განსხვავებულ ცნებებს შორის არსებობს დაქვემდებარება. მაგალითად, ცხოველის ცნებას ექვემდებარება ადამიანის ცნება; ერთი გვარია და მეორე სახე. მაგრამ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის ასეთი დამოკიდებულება არ არსებობს, რადგანაც უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები გვარეობითს ცნებებს არ გულისხმობენ, ისინი არ იმყოფებიან ერთიმეორესთან მოცულობითს დამოკიდებულებაში, ერთი კატეგორია არასდროს არ იქვემდებარებს მეორეს მოცულობით. ამიტომაც ცდება, ვინც ცდილობს, აჩვენოს უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის მოცულობითი დაქვემდებარების არსებობა.

მტკიცება იმისა, რომ უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში რომელიმე ერთი კატეგორია არის ყველაზე ფართო (მაგ., მიზეზის კატეგორია უფრო ფართოა, ვიდრე არსებისა, არსებისა უფრო ფართოა, ვიდრე შინაარსისა და ა. შ.), უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ბუნების მცდარი გაგებაა. მოცულობითი განზოგადების მიხედვით უდავოდ მივიდოდით ერთადერთ უზოგადეს გვარეობის ცნებამდე, რომელსაც მასზე უფრო უზოგადესი გვარი არ ექნებოდა. ასეთი უზოგადესი გვარი თუ რომელიმე ერთი კატეგორია იქნებოდა, ამით ხელში შეგვრჩებოდა მხოლოდ ერთი უზოგადესი კატეგორია. ამიტომაც მოცულობითი დაქვემდებარება, რომელიც უდავოდ სახე-გვარეობითს დამოკიდებულებას გულისხმობს, არ არის უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა შორის.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის არ არის არც შინაარსისეული დაქვემდებარება. კატეგორიების როგორც ცნებების სფეროში უმართებულოა მტკიცება, რომ ერთი კატეგორია შინაარსით იქვემდებარებს მეორეს; მაგალითად, აუცილებლობის კატეგორია, როგორც ცნება, იქვემდებარებს არსების კატეგორიას, როგორც

ცნებას, ან პირიქით; შინაარსის კატეგორია, როგორც ცნება, იქვემდებარებს მიზეზის, აუცილებლობის და სხვ., კატეგორიებს ან პირიქით. კატეგორიებს, როგორც ცნებებს, შორის ასეთი დაქვემდებარება არ არის.

როგორც ვთქვით, უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის პოლარული დაპირისპირებულობა არის მათი ურთიერთდამოკიდებულებაც, რაც ამავე დროს არის უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაც. იგი აღნიშნული პრინციპის საფუძველზე არის შემდეგი სახის:

ერთეულისა და ზოგადის ურთიერთდაპირისპირებულობა და ურთიერთდამოკიდებულება;

მიზეზისა და შედეგის ურთიერთდაპირისპირებულობა და ურთიერთდამოკიდებულება;

აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთდაპირისპირებულობა და ურთიერთდამოკიდებულება;

შინაარსისა და ფორმის ურთიერთდაპირისპირებულობა და ურთიერთდამოკიდებულება;

სინამდვილისა და შესაძლებლობის ურთიერთდაპირისპირებულობა და ურთიერთდამოკიდებულება;

არსებისა და მოვლენის ურთიერთდაპირისპირებულობა და ურთიერთდამოკიდებულება;

თითოეული წყვილი კატეგორია არის სინამდვილის უზოგადესი მხარის გამოთქმა ურთიერთდაპირისპირებულობასა და ურთიერთკავშირში. ეს არის მათი სისტემაც კატეგორიათა ლოგიკური დამოკიდებულების პრინციპით.

§ 13. კატეგორიათა სისტემის აგების ცდა ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე

კატეგორიათა სისტემის აგების ცდა ონტოლოგიურ საფუძველზე ექვემდებარება ობიექტური სამყაროს ამა თუ იმ ზოგადი კანონზომიერების აღწერას. ეს პრინციპი ერთნაირად მისაღებია კატეგორიათა სისტემის ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე აგების ცდის ყველა ვარიანტისათვის. თუმცა ადგილი აქვს განსხვავებულობასაც. მაგალითად, აღნიშნული პრინციპის საფუძველზე ერთ შემთხვევაში კატეგორიათა სისტემის აგებისათვის მითითებულია იმაზე, რომ კატეგორიათა თანმიმდევრულობით დალაგებისა და მათი ურთიერთკავშირის საფუძვლად აღებულია მატერიალურ სამყაროში საგანთა და მოვლენათა განვითარების კანონზომიერი თანმიმდევრულობა. განვითარების ასეთი გზა არის საფუძველი ყველა ფილოსოფიური კატეგორიის სისტემის

აგებისათვის. მეორე ვარიანტის მიხედვით კი კატეგორიათა სისტემის აგების საფუძველია მატერიალურ სამყაროს საგანთა და მოვლენათა ზოგადი კანონზომიერების სუბორდინაცია. სხვაგვარად, კატეგორიათა სისტემაში ყოველი ფილოსოფიური კატეგორია იმგვარად უნდა დალაგდეს, რომ სისტემის წევრებს შორის არსებული სუბორდინაცია ემთხვეოდეს მატერიალურ სამყაროში არსებულ სუბორდინაციას.

კატეგორიათა სისტემის ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე აგების ცდის პირველი ვარიანტის ძირითადი აზრი ასეთია: ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგებისას უნდა გამოვდიოდეთ ობიექტური სამყაროს საგანთა და მოვლენათა განვითარებიდან; კატეგორიათა სისტემაში თანმიმდევრულობა უნდა ექვემდებარებდეს საგანთა და მოვლენათა განვითარების შინაგან ლოგიკას. ამას ის ფაქტიური მდგომარეობა განაპირობებს, რომ შემეცნებაში კატეგორიები ექვემდებარებიან ობიექტური სინამდვილის იმ ურთიერთკავშირს და კანონზომიერებას, რომელსაც ისინი ასახავენ. ამიტომაც კატეგორიათა სისტემის აგებისას ამოსავალი უნდა იყოს დაქვემდებარება იმ კანონზომიერებაზე, რომელიც ობიექტურ სინამდვილეშია და შემეცნებაში გვაქვს მოცემული. კატეგორიები სინამდვილეს აღწერენ უშუალოდ. ამაზე მიუთითებს კ. მარქსი, როცა იგი პრუდონს აკრიტიკებს იმის გამო, რომ იგი (პრუდონი) სწყვეტს კატეგორიათა თანმიმდევრულ კავშირს თვით საგნის მოძრაობის ისტორიას და აქედან გამომდინარე ამ თანმიმდევრობის საწყისსა და საფუძველს ეძებს გონებაში. ასევე, კ. მარქსის „კაპიტალის" შესახებ ფ. ენგელსის რეცენზიიდან ის გამომდინარეობს, რომ „კაპიტალში" მოძრაობის შემეცნება, მისი ლოგიკა და აგება განისაზღვრება თვით ობიექტის ისტორიული მოძრაობით. თუ „კაპიტალში" ეკონომიურ კატეგორიათა თანმიმდევრობა გამოხატავს კაპიტალისტური საზოგადოების, როგორც გარესამყაროს ერთ-ერთი მოვლენის წარმოშობასა და განვითარებას, ასევე ფილოსოფიური კატეგორიებიც უნდა გამოხატავდეს გარესამყაროს განვითარების თანმიმდევრობას, ამ სამყაროს ყველა საგნისა და მოვლენისათვის დამახასიათებელი განვითარების ზოგად პროცესებს თუ ურთიერთკავშირს და კატეგორიათა სისტემაც მას უნდა ექვემდებარებოდეს.

კატეგორიათა სისტემის აგების ასეთი თვალსაზრისის მიხედვით მატერიალურ სამყაროში უნდა იქნეს მოძებნილი განვითარების თანმიმდევრული საფეხურები, რომლებიც კატეგორიათა სისტემის აგების ობიექტური საფუძვლები იქნებიან. ასეთი თვალსაზრისის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით საგნის განვითარებაში სამი საფეხური გამოიყოფა; წარმოშობა, საგნის შიგნით ნაწილების დიფერენციაცია და საგნის ფუნქციონირება და მისი თვისებების, მხარეების გამოვლენა მთლიანი

სისტემის სახით. პირველ ეტაპზე საგანი იძენს რაოდენობრივ და თვისებრივ განსაზღვრულობას, დროით და სივრცით გარკვეულობებს. მეორე ეტაპზე საგანი დიფერენცირდება და უჩნდება მოვლენა, არსება, მიზეზი, შედეგი, აუცილებლობა და ა. შ. ხოლო მესამე ეტაპზე, როცა იგი თავისი მდგომარეობის მომწიფებულ ეტაპზეა, უჩნდება ცალკეული, ზოგადი და ა. შ.

ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე კატეგორიათა სისტემის აგების ამ ვარიანტის (პირველის) მიხედვით ყოველი ცალკეული მატერიალური ობიექტი წარმოიშობა მატერიის მარადიული მოძრაობით. მატერია არის მათი მიზეზი და მათი არსებობის აუცილებელი პირობა. ამიტომაც მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების სისტემაში მატერიის კატეგორია არის საწყისი ანუ ამოსავალი.

ონტოლოგიურ პრინციპზე კატეგორიათა სისტემის აგების მეორე ვარიანტის თვალსაზრისით, როგორც ვთქვით, კატეგორიათა სისტემაში ფილოსოფიური კატეგორიები ისე უნდა დალაგდეს, რომ სისტემის წევრებს შორის არსებული სუბორდინაცია ემთხვეოდეს მატერიალურ სამყაროში არსებულ სუბორდინაციას. კატეგორიათა სისტემისათვის აუცილებელია კატეგორიათა ერთიმეორისადმი დაქვემდებარება, მაგრამ ეს დაქვემდებარება უნდა ემყარებოდეს რეალურ სინამდვილეში არსებულ დაქვემდებარებას ანუ სუბორდინაციას. კატეგორიათა სუბორდინაცია უნდა ეფუძნებოდეს სუბსტანციურობას, ატრიბუტულობასა და რელატიურობას. ამ პრინციპით კატეგორიათა სუბორდინაცია განხილულია ვ. პ. ტუგარინოვის შრომაში „დიალექტიკური მატერიალიზმის თანაფარდობითი კატეგორიები". აქ კატეგორიათა ასეთი დაყოფის საფუძვლად აღებულია საგანთა, თვისებათა და მიმართებათა ასახვა. სუბსტანციური კატეგორიები ასახავენ საგნებს, სუბსტრატებს, ატრიბუტულები — საგანთა თვისებებს, რელატიური კატეგორიები — მიმართებებს. საგანი იქვემდებარებს თვისებას, ანუ თვისება სუბორდინირებულია საგნის მიერ; მიმართებაც ექვემდებარება საგანს. სუბსტანციურ კატეგორიათა ჯგუფს მიეკუთვნება ბუნება, ყოფიერება, მატერია, მოვლენა; ატრიბუტულს — საგანთა თვისებების გამომხატველი კატეგორიები: მოძრაობა, დრო, სივრცე, ცნობიერება, აზროვნება; რელატიურს — თვისებრიობა, რაოდენობა, საფუძველი, არსება, შინაარსი, ფორმა, აუცილებლობა-შემთხვევითობა, შესაძლებლობა-სინამდვილე, კანონი, ჭეშმარიტება.

სუბსტანციური კატეგორიებიდან დაქვემდებარება წარმოდგენილია შემდეგი სახით: ბუნება-ყოფიერება-მატერია-მოვლენა. ბუნებას ექვემდებარება ყველაფერი, სამყაროში ყველა მოვლენა არის ბუნების ნაწილი, მომენტი, ანუ მისი განვითარების საფეხური. ბუნების ცნება არის დასაწყისი და უაღრესად ფართო მარქსისტულ ფილოსოფიაში.

ყოფიერებისა და მატერიის ცნებები არიან ბუნების გარკვეულობანი. ყოფიერების ცნება იგივეობრივია არსებობის ცნებისა. ბუნების არსებობას აქვს ორი ფორმა: მატერიალური და იდეალური. ყოფიერება არის ბუნების გარეგანი გარკვეულობა. მატერია არის შინაგანი გარკვეულობა, განსაზღვრულობა. მატერიის ცნება აღნიშნავს ბუნების არსებას. ბუნების ცნება და მატერიის ცნება ერთიმეორესთან სუბორდინაციულ კავშირშია.

ატრიბუტულ კატეგორიებში სუბორდინაცია წარმოდგენილია ასე: მოძრაობა — ცვლილება — განვითარება; სივრცე — დრო; ობიექტური — სუბიექტური; ცნობიერება — აზროვნება. მაშასადამე, ატრიბუტულ კატეგორიებში სუბორდინაცია იწყება მოძრაობით და მთავრდება ცნობიერება-აზროვნებით. მოძრაობის, ცვალებადობისა და განვითარების სუბორდინაცია ასეთია: მოძრაობა ძირითადი კატეგორიაა. მოძრაობა არის საფუძველი ამ კატეგორიებისა. ცვალებადობა და განვითარება არის გარკვეული მხარე, საფეხური მოძრაობისა. ცვალებადობა არის მოძრაობის განვითარების ერთი საფეხური, განვითარება კი მოძრაობის განვითარების უფრო მაღალი საფეხური.

სუბორდინაცია ცნობიერებასა და აზროვნებას შორის ასეთია: აზროვნება არის ცნობიერების ნაწილი. იდეის ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე აზრისა. ტუგარინოვის თქმით, აქ სუბორდინაცია მოცემულია მასში, რომ უფართოესი ცნება — ეს არის ცნობიერების ცნება. აზროვნება არის ცნობიერების ნაწილი, მისი კერძო შემთხვევა, კერძო ფორმა, ხოლო იდეა არის აზრის კერძო შემთხვევა.

რელატიურ კატეგორიებში სუბორდინაცია ორგვარი სახისაა: პირველი, თითოეული ჯგუფის შიგნით; მეორე, ზემოდან ქვემოთ, ერთი წყვილიდან მეორე წყვილისაკენ, ე. ი. რელატიურ კატეგორიათა მთელი ჯგუფის სუბორდინაცია მთლიანობაში. კატეგორიათა ამ ჯგუფის დალაგება, მისი თქმით, უნდა მოხდეს კატეგორიათა შინაარსის მიხედვით, ნაკლებად რთულიდან მეტად რთულისაკენ, ე. ი. შემეცნების გაღრმავების ხარისხის მიხედვით. გარდა ამისა, თითოეულ კატეგორიაში მოცემულია უახლოეს კატეგორიათა ჯგუფთან კავშირი. რელატიურ კატეგორიათა ჯგუფი დალაგებულია შემდეგი სახით: თვისებრიობა — რაოდენობა — თანდათანობა — ნახტომი — საფუძველი; არსება — გამოვლინება; შინაარსი — ფორმა; ზოგადი — განსაკუთრებული — ერთეული: იგივეობა — ერთიანობა — განსხვავება — დაპირისპირებულობა — წინააღმდეგობა — კონფლიქტი; მიზეზობრიობა — აუცილებლობა — შემთხვევითობა — შესაძლებლობა — ალბათობა — სინამდვილე; აუცილებლობა — მიზანდასახულობა — მიზანი; თავისუფლება; კანონი — კანონზომიერება; ჭეშმარიტება: ობიექტური — შეფარდებითი, აბსოლუტური.

აღნიშნული რელატიური კატეგორიები დაყოფილია ჯგუფებად. პირველი ჯგუფია: თვისებრიობა — რაოდენობა — თანდათანობა — ნახტომი. ესენი ასახავენ სინამდვილის მოვლენათა ყველაზე ელემენტარულ მიმართებებს და ვერ ასახავენ მოვლენათა შინაგან სტრუქტურას. მოვლენათა შინაგან სტრუქტურას ასახავენ მხოლოდ მეორე-მესამე ჯგუფის კატეგორიები, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლის, არსების, მოვლენის, შინაარსის, ფორმის. კიდევ უფრო ღრმად ასახავენ სინამდვილეს მეოთხე ჯგუფის კატეგორიები: ზოგადი, განსაკუთრებული, ერთეული. ამ ჯგუფის კატეგორიები გამოხატავენ არა მხოლოდ მოვლენათა შინაგან სტრუქტურას, არამედ მოვლენათა მთელი ჯგუფის მიმართებებსაც. მეხუთე ჯგუფის კატეგორიები (იგივეობა, კონფლიქტი) კიდევ უფრო ღრმად ასახავენ სინამდვილეს, ვინაიდან ისინი თვით არსებისათვის დამახასიათებელ მიმართებებს ხსნიან, ხსნიან იმ ზოგადს, რაც მოვლენებს შორის საერთოა.

კატეგორიათა სისტემის ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე აგების ზოგიერთი თვალსაზრისი იმასაც კი უშვებს, რომ ნაწილი კატეგორიებისა ონტოლოგიურია და ნაწილი გნოსეოლოგიური. ამიტომაც ონტოლოგიურ კატეგორიათა სისტემა უნდა აიგოს ონტოლოგიურის პრინციპზეო. სისტემა ონტოლოგიური კატეგორიებისა წარმოდგენილია ასე:

<table>
<tr><td colspan="10">არსებული</td></tr>
<tr><td colspan="4">ერთიანი</td><td colspan="6">სამყარო</td></tr>
<tr><td colspan="2">მთელი</td><td colspan="2">ნაწილი</td><td colspan="3">ერთეული</td><td colspan="3">მრავალი</td></tr>
<tr><td colspan="4">საგანი</td><td colspan="6">ნივთი</td></tr>
<tr><td colspan="2">სიდიდე</td><td colspan="2">სუბსტანცია</td><td colspan="2">ზომა</td><td colspan="4">აქციდენცია</td></tr>
<tr><td>ფორმა</td><td>შინაარსი</td><td>აგებულება</td><td>შედგენილობა</td><td>თვისებრიობა</td><td>რაოდენობა</td><td colspan="2">ნიშანი</td><td colspan="2">თვისება</td></tr>
<tr><td colspan="2">ყოფიერება</td><td colspan="2">განვითარება</td><td colspan="2">არსება</td><td colspan="4">მოვლენა და ა. შ.</td></tr>
</table>

არის კატეგორიათა სისტემის ონტოლოგიურ პრინციპზე აგების სხვაგვარი ვარიანტიც, რომლის ძირითადი მიზანია მხოლოდ ერთი რამ — სახელდობრ, კატეგორიათა სისტემაში ასახული უნდა იყოს ობიექტურად არსებული ატრიბუტების შინაარსი. კატეგორიათა სისტემის აგება უნდა დავიწყოთ სინამდვილის კონკრეტული ობიექტების კვლევით; ეს არის მატერიალური ობიექტები. კონკრეტული ობიექტების შესწავლის საფუძველზე მივიღებთ ონტოლოგიურ კატეგორიათა

სუბორდინაციას. ონტოლოგიურ კატეგორიათა სისტემის სქემა კი ასეთია:



მითითებულია, რომ ეს კატეგორიები ასახავენ მატერიის ატრიბუტებს და იყოფიან ორ ბლოკად — მოვლენა და არსება. კატეგორიათა ეს სისტემა აკმაყოფილებს ონტოლოგიურ კატეგორიებს.

კატეგორიათა სისტემის ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე აგების ყოველგვარი ვარიანტის შესახებ უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას შემდეგი: პირველი, ონტოლოგიური პრინციპით კატეგორიათა სისტემის აგება არის კატეგორიების, როგორც ცნებების, გარკვეული კანონზომიერების, ლოგიკური კავშირების გაიგივება რეალური სინამდვილის კანონზომიერებასთან, რაც სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკურის გაიგივება რეალურთან, ონტოლოგიურთან; ეს კი არის ლოგიკურის ბუნების, მისი სპეციფიკურობის უარყოფა, რაც პრინციპულად მიუღებელია მეცნიერული ფილოსოფიისათვის. კატეგორიები, როგორც ცნებები, მართალია, სინამდვილის ასახვაა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ კატეგორიების, როგორც ლოგიკურის კანონზომიერება და რეალურის კანონზომიერება, იგივეობრივია. არა თუ ლოგიკური და რეალური კანონზომიერების, მიმართების გაიგივება, არამედ მათი აღრევაც უდიდესი შეცდომის წყაროა. მატერიალიზმის პრინციპ-

ზე ლოგიკურისა და რეალურის გაიგივება, ლოგიკურის რეალურზე დაყვანა არის ვულგარული მატერიალისტური თვალსაზრისი, ხოლო იდეალიზმის პრინციპზე — ობიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისი. ვინც ლოგიკურის კანონზომიერებას მთლიანად უმორჩილებს სინამდვილის კანონზომიერებას და მათ შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს, იგი ლოგიკურის სპეციფიკურობას აუქმებს. ლოგიკური გარკვეული სინამდვილეა, ამიტომ კატეგორიათა სისტემა, როგორც გარკვეული სახის ცნებათა სისტემა, როგორც ლოგიკური სისტემა ლოგიკურის ბუნებაზეა დაფუძნებული. ის, რომ ლოგიკური, საერთოდ აზროვნება ყოფიერებით, რეალური სინამდვილითაა განსაზღვრული, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მას საკუთარი, შედარებით დამოუკიდებელი, კანონზომიერება არ გააჩნდეს. თუ ლოგიკურს არ ექნებოდა მისთვის საკუთარი კანონზომიერება, მაშინ საერთოდ რეალური სინამდვილის კანონზომიერება და კანონები ამავე დროს აზროვნების, ლოგიკურის კანონზომიერება და კანონები უნდა იყოს. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. როგორც საზოგადოების განვითარების კანონზომიერება თვით საზოგადოების ბუნებაზეა დაფუძნებული და მისი თავისებურებითაა განსაზღვრული, სწორედ ასევე აზროვნების, ლოგიკურის კანონზომიერება მათი ბუნებით უნდა აიხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში გაქრებოდა სპეციფიკური განსხვავებულობა ონტოლოგიურისა და ლოგიკურის კანონებს შორის. არაცნობიერად ნამდვილად ამას ამტკიცებს ყველა ის თვალსაზრისი, რომელიც კატეგორიათა სისტემას აგებს ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე.

მეორე, ისევ საერთო შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ცდა კატეგორიათა სისტემის ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე აგებისა, სადაც ობიექტური სინამდვილის განვითარების თანმიმდევრულობითა და სუბორდინაციით უნდა აიხსნას კატეგორიათა სისტემა, ფაქტიურად კატეგორიათა თანმიმდევრულობისა და სუბორდინაციის ცდა კი არ არის, არამედ მითითებაა რეალური სინამდვილის სუბორდინაციაზე. ამრიგად, სრულიად განზეა დატოვებული კატეგორიათა სუბორდინაციის საკითხი. სუბორდინაციის ზემოაღნიშნული შეხედულების მომხრეები ეყრდნობიან იმას, რომ რეალურ სინამდვილეში არის თითქოს რომელმე ერთი დასაწყისი კატეგორია, რომელსაც შემდეგ თანდათანობით ექვემდებარება სხვა კატეგორიები, აღიარებენ რა რეალურ სინამდვილეში ასეთ სუბორდინაციას, მას აიგივებენ კატეგორიათა სუბორდინაციასთან. მართლაც, რომ დაეუშვათ რეალურ სინამდვილეში ასეთი სუბორდინაციის არსებობა, მაინც ყოვლად შეუძლებელია მისი გაიგივება კატეგორიათა სფეროში დასაშვებ სუბორდინაციასთან. სუბორდინაციის ზემოაღნიშნული შეხედულების დამცველები კი სინამდვილეში ასეთ გაიგივებას ახდენენ; ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყოველთვის მიზეზს,

აუცილებლობას, შინაარსს, ფორმას, არსებას... კატეგორიებს უწოდებენ, მაშინ როცა არცერთი მათგანი კატეგორია არ არის, არამედ სინამდვილის უზოგადესი მხარეებია. კატეგორიები ხომ სინამდვილის ასახვაა, ცნებებია, ამდენად ისინი არ არიან მათ მიერ ასახული სინამდვილის იგივეობრივი. სინამდვილის უზოგადესი მხარეების ამსახველი ცნებებია უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები. მიზეზი, შედეგი, ფორმა, შინაარსი კი არ არის კატეგორია, არამედ სინამდვილის ამ მხარეების ამსახველი ცნებები იქნებიან შესაბამისი კატეგორიები. სწორედ ამ ცნებათა — კატეგორიათა ურთიერთდამოკიდებულება უნდა გვქონდეს მიზანდასახული და არა სინამდვილის უზოგადეს მხარეთა სუბორდინაციის ჩვენება. სხვაგვარად — კატეგორიათა სუბორდინაციის დაშვების დროს უნდა ამოვდიოდეთ კატეგორიის, როგორც ცნების, ლოგიკურის ბუნებიდან. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების, როგორც ლოგიკური ცნებების, ბუნება გამორიცხავს ერთი კატეგორიიდან მეორის, მეორისაგან — მესამის და ა. შ. გამოყვანას. არსების ცნებისაგან არ გამოიყვანება შინაარსის ცნება, შინაარსის ცნებისაგან — მიზეზისა, მიზეზის ცნებისაგან — შესაძლებლობისა და სინამდვილის ცნებები და ა. შ.

მესამე — კატეგორიათა ზემოთ აღნიშნული სუბორდინაციის, ერთმანეთისადმი დაქვემდებარების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: კატეგორიათა ერთიმეორისადმი დაქვემდებარება, მაგალითად, თვისებრიობიდან შინაარსის გამოყვანა, შინაარსიდან აუცილებლობისა, აუცილებლობიდან არსებისა, არსებიდან წინააღმდეგობისა; ან არსებიდან შინაარსის გამოყვანა, შინაარსიდან აუცილებლობისა და ა. შ. სხვა ფორმითაც არ უნდა იყოს მართებული. დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიათა ასეთი დალაგება უდავოდ ხელოვნურია, სწორედ ამ ხელოვნურობის, სუბიექტურობის გამო შესაძლებელი ხდება კატეგორიათა ერთიმეორისაგან სრულიად თვითნებური გამოყვანა, რასაც მიმართავდა ჰეგელი, თუმცა ეს დასაშვები იყო იმდენად, რამდენადაც მისთვის თვით ეს კატეგორიები რეალურად არსებობდა: მაგრამ ვერც ჰეგელმა მოახერხა ამ კატეგორიათა ერთიმეორისაგან გამოყვანა, რის გამოც, როგორც ცნობილია, აქაც გადასვლები ხელოვნურ, ნაძალადევ ხასიათს ატარებს. შეიძლება ითქვას, ჰეგელი ამას ვერ აკეთებდა იმიტომ, რომ მასთან კატეგორიათა გამოყვანას საფუძვლად ედო აზრის, იდეის სფერო და არა მატერიალური სინამდვილე; ჩვენ კითხვას დავსვამდით: მართლაც მატერიალურ სინამდვილეში არის კი ისე, რომ თვისებრიობისაგან გამოვიყვანოთ არსება, არსებისაგან — აუცილებლობა, აუცილებლობისაგან — მიზეზი... რა თქმა უნდა, არა. სინამდვილეში არავითარი ასეთი გამოყვანა არ არსებობს. ამიტომაც პირდაპირ

უნდა ითქვას, რომ არც რეალურ სინამდვილეში და არც შემეცნებაში, ლოგიკურში არავითარი ასეთი დაქვემდებარება არ არის.

მეოთხე — კატეგორიათა სუბორდინაციის მომხრეები, ჩვენი აზრით, უდავოდ ცდებიან, როცა კატეგორიათა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელ ნიშანს — სუბორდინაციას — საერთოდ ყველა კატეგორიის მიმართ ავრცელებენ. ფაქტია, არსებობს კატეგორიები — ფილოსოფიური და არაფილოსოფიური, რომლებიც ერთიმეორესთან სუბორდინაციულ დამოკიდებულებაში არიან, მაგრამ ამავე დროს ყველა ეს კატეგორია ერთიმეორესთან სახისა და გვარის დამოკიდებულებაშიც არის. მაგრამ ამ ნიშნით არ ხასიათდება უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები. ამიტომაც ამ კატეგორიათა სუბორდინაციის პრინციპის მომხრეები ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მხოლოდ და მხოლოდ სახისა და გვარის მიმართებაში არსებული კატეგორიების სუბორდინაციას იძლევიან და არა უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა სუბორდინაციას. მეორე მხრივ, სუბორდინაციის პრინციპი სრულიად დასაშვებია, მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვა მეცნიერებათა კატეგორიებისაც. მაგრამ საერთოდ კატეგორიათა მიმართ სუბორდინაცია ვერ პოულობს გამართლებას, ვინაიდან ამ პრინციპს არ ექვემდებარება ყველა კატეგორია, სახელდობრ, უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები.

მეხუთე — მოსაზრება კატეგორიათა სისტემის ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე აგებისა იმ ვარიანტის მიხედვით, რომელიც კატეგორიათა სისტემას საფუძვლად საგანთა განვითარების შინაგან კანონზომიერებას უდებს და მის (საგნის) განვითარებაში სამ საფეხურს გამოყოფს, მცდარია. რეალურ სინამდვილეში არ არსებობს არც ერთი საგანი, რომელსაც თანდათანობით უჩნდებოდეს ისეთი განსაზღვრებანი, როგორიცაა რაოდენობა, თვისებრიობა, არსება, შინაარსი, ფორმა, აუცილებლობა და ა. შ. ყოველი მატერიალური საგანი განვითარების რომელ ეტაპზეც უნდა იყოს იგი, ერთდროულად ხასიათდება ყველა იმ განსაზღვრულობებით, რომლებიც ჩამოვთვალეთ.

მეექვსე — იმოწმებენ კ. მარქსის მიერ პრუდონის კრიტიკას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ამსახველ კატეგორიათა თანმიმდევრული კავშირი თვით ამ საზოგადოების მოძრაობის ისტორიას მოსწყვიტა და მათი თანმიმდევრულობის საწყისსა და საფუძველს გონებაში ეძებდა. ეს საკითხის სხვა მხარეს ეხება, სახელდობრ, პრუდონის მიერ ეკონომიური კატეგორიების გაგების იდეალისტურ გადაწყვეტას, მსგავსად ჰეგელის მოძღვრებისა, რომლისათვისაც, კ. მარქსის თქმით, არ არსებობს „ისტორია დროის რიგის მიხედვით", არამედ არსებობს მხოლოდ „იდეათა თანმიმდევრობა გონებაში". ამიტომაც კ. მარქსი აღნიშნავს, რომ კაპიტა-

ლისტური საზოგადოების მოძრაობის ამსახველი ეკონომიური კატეგორიების საფუძველი გონებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ თვით ამ საზოგადოებაშიო. ამით კ. მარქსი სრულიად არ ამბობს იმას, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ამსახველი პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა სისტემა, როგორც ეკონომიური კატეგორიების ცნებათა სისტემა, თვით ამ საზოგადოების კანონებს ექვემდებარება, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოქმედი კანონი და ამ საზოგადოების მოძრაობის ამსახველი ეკონომიური კატეგორიების, როგორც ცნებების, სისტემის კავშირ-ურთიერთობა, კანონზომიერება იდენტურია. ასეთი რამის მტკიცება არის გაუგებრობა, ვინაიდან კაპიტალისტური საზოგადოების, როგორც საერთოდ საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი გარკვეული სინამდვილის, კანონები ამ საზოგადოების ეკონომიური კატეგორიების კანონები იქნებოდა. მაგალითად, კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოქმედი ზედმეტი ღირებულების კანონი და ზედმეტი ღირებულების კატეგორია ეკონომიური კანონების (ბურჟუაზიული საზოგადოების). როგორც ცნებების, სისტემაშიც უნდა იყოს მოქმედი, ე. ი. კაპიტალისტური საზოგადოების ამსახველი ეკონომიურ კატეგორიათა სისტემა უნდა ექვემდებარებოდეს კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოქმედი ზედმეტი ღირებულების კანონს. ასეთი რამის მტკიცება არის საკითხის სრული გაუგებრობა, ონტოლოგიური მიმართებისა და ლოგიკური მიმართების სრული გაიგივება. კაპიტალისტური საზოგადოების ამსახველი ეკონომიური კატეგორიები არის ამ საზოგადოების, როგორც ობიექტურად არსებული სინამდვილის მოძრაობის ასახვა. კ. მარსის თქმით, საერთოდ „ეკონომიური კატეგორიები მარტოოდენ თეორიული გამოსახულებაა, აბსტრაქციებია წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა“.

მეშვიდე — მცდარია მოსაზრებაც, რომლის მიხედვით კატეგორიათა ნაწილი მიჩნეულია ონტოლოგიურად, ხოლო ნაწილი გნოსეოლოგიურად. ასეთი დაყოფა მიუღებელია ასახვისა და, მით უმეტეს, დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიისათვის. კატეგორიების, როგორც ცნებების, ობიექტურად არსებულად მიჩნევა მხოლოდ ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენლებისათვისაა დამახასიათებელი. ჰეგელს სწორედ ასე ჰქონდა წარმოდგენილი კატეგორიები. კატეგორიები ხომ სინამდვილის ამსახველი ცნებებია. ყველა კატეგორია ხომ ცნებაა, მაშ როგორ შეიძლება ცნებათა ნაწილი გნოსეოლოგიური იყოს და ნაწილი ონტოლოგიური. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ცნებათა ნაწილი ობიექტურად, რეალურ სინამდვილეში არსებობს ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ეს სხვა არაფერია, თუ არა ობიექტურ-იდეალისტური ან ვულგარულ-მატერიალისტური შეხედულება.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში უკანასკნელ პერიოდში გავრცელდა ეს მცდარი აზრი. დაიწერა სპეციალური გამოკვლევაც სახელწოდებით „ონტოლოგიურ კატეგორიათა სისტემა", სადაც კატეგორიები მატერიის, დროის, სივრცისა და სხვა აღიარებულია ობიექტურად არსებულად. მართალია, ობიექტურად არსებობს დრო, სივრცე, არსება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მათი ამსახველი ცნებები (კატეგორიები) ობიექტურად არსებობდეს. დიალექტიკური მატერიალიზმი, მართალია, აღიარებს კატეგორიათა ობიექტურობას და წინააღმდეგია კატეგორიების სუბიექტური გაგებისა, მაგრამ იგი წინააღმდეგია კატეგორიათა ისეთი გაგებისაც, რომელიც კატეგორიათა ობიექტურად არსებობას ცნობს. დიალექტიკური მატერიალიზმი კატეგორიათა ობიექტურობას აღიარებს და არა კატეგორიათა ობიექტურად არსებობას. ვ. ი. ლენინის თქმით: „ჩვენი ცნებები დროისა და სივრცისა ობიექტურ რეალურ სივრცესა და დროს ასახავენ", მაგრამ დრო და სივრცე, როგორც კატეგორიები ობიექტურად კი არ არსებობს. ობიექტურად არსებობა და ობიექტური განსხვავებული მნიშვნელობისაა.

სხვა საკითხია, რომ არსებობს მატერიალური სინამდვილის ამსახველი ცნება — კატეგორიები და იდეალურის, როგორც გარკვეული მოვლენის ამსახველი ცნება — კატეგორიები. ამ აზრით და მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ არის მატერიალური სინამდვილისა და გნოსეოლოგიურის გამომთქმელი კატეგორიები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნაწილი კატეგორიებისა ობიექტურად არსებულია, ონტოლოგიურია, ე. ი. ონტოლოგიურ კატეგორიათა სისტემა არსებობს, და ნაწილი გნოსეოლოგიური. კატეგორია, როგორც ცნება, სინამდვილის რომელი მხარის ამსახველიც უნდა იყოს, გნოსეოლოგიურია, ლოგიკურია.

მართალია, არსებობს განსხვავება სინამდვილის მატერიალური ანუ ონტოლოგიური მხარის ამსახველ კატეგორიებსა და გნოსეოლოგიური მხარის. გამომთქმელ კატეგორიებს შორის და ამდენად უნდა ითქვას და ვამბობთ კიდევაც — ნაწილი კატეგორიებისა არის ონტოლოგიური მხარის გამოთქმა, ხოლო ნაწილი გნოსეოლოგიურისა. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური კატეგორიები. სულ სხვა გამოთქმაა ონტოლოგიურის გამომთქმელი კატეგორიები და სულ სხვა — ონტოლოგიურად არსებული კატეგორიები. არცერთი კატეგორია არ არის ონტოლოგიური, ონტოლოგიურად არსებული, ყველა კატეგორია გნოსეოლოგიურია, ლოგიკურია.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა მიმართ არც ის იქნებოდა მართებული, თუ ვიტყოდით, რომ ისინი ონტოლოგიურის კატეგორიებია და არა გნოსეოლოგიურის გამომთქმელი. უზოგადესი

წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები მთელი სინამდვილის უზოგადესი მხარის გამომთქმელი კატეგორიებია. თუ არსება, შინაარსი, ფორმა და ა. შ. ონტოლოგიის კატეგორიებია და არა გნოსეოლოგიისა, მაშინ ისინი არ ყოფილან უზოგადესი კატეგორიები, ვინაიდან სინამდვილის ერთი სფერო ამ კატეგორიათა გარეთ რჩება, ამით აღნიშნულ კატეგორიებს ვუკარგავთ უზოგადესობას და მთელი სინამდვილის უზოგადესი კატეგორიების ნაცვლად ამ სინამდვილის ერთი სფეროს (მატერიალურის) კატეგორიად ვხდით, რაც სინამდვილეში ასე არ არის. უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები არც მხოლოდ ონტოლოგიურისა და არც მხოლოდ გნოსეოლოგიურის კატეგორიებია, არამედ სინამდვილის ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური მხარისა მათს მთლიანობაში.

მეორე მხრივ, საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიებზე არც იმის თქმა იქნებოდა მართებული, რომ არცერთი არ შეიძლება განვიხილოთ ან მხოლოდ ონტოლოგიურის, ან მხოლოდ გნოსეოლოგიურის კატეგორიებად. თუ არა მხოლოდ გნოსეოლოგიურის, აბა რისი კატეგორიაა ჭეშმარიტება, აზროვნება და მისი ფორმები, რომ არაფერი ვთქვათ მრავალ სხვა კატეგორიაზე? ის, რომ „ყველა ჯგუფის ყველა კატეგორიას აქვს ობიექტური შინაარსი", სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო ჭეშმარიტება, ცნება გნოსეოლოგიურის კატეგორიები არ არიან, არამედ ისინი ონტოლოგიურისა და გნოსეოლოგიურის კატეგორიები არიან მთლიანობაში. ყოველი ცნება, კატეგორია ობიექტური შინაარსის მქონეა, მაგრამ ამ ობიექტურ შინაარსს არაფერი აქვს საერთო ონტოლოგიასთან.

მერვე — კატეგორიათა სისტემის აგების ცდების ზემოაღნიშნული მოსაზრების შესახებ აღნიშნული შენიშვნების გარდა ზოგიერთ მათგანზე შეიძლება ცალკე შევჩერდეთ; მაგალითად, კატეგორიათა დაყოფა სამ ჯგუფად: სუბსტანციურ, ატრიბუტულ, რელატიურ ჯგუფებად — არ არის ზუსტი საკლასიფიკაციო ნიშანი კატეგორიებისათვის. ცნების გაყოფის ერთ-ერთი წესია, რომ გაყოფის წევრები ერთმანეთს გამორიცხავენ, ხოლო კატეგორიათა სისტემის აგების მოცემულ შემთხვევაში ეს ასე არ ხდება. სწორედ ამიტომ ატრიბუტული კატეგორიებისა (მოძრაობა, ცვლილება, განვითარება, დრო, სივრცე) და რელატიური კატეგორიების ნაწილი (რაოდენობა, თვისებრიობა, ნახტომი, არსება, მოვლენა, დაპირისპირებულობა, წინააღმდეგობა, აუცილებლობა, შემთხვევითობა, შინაარსი, ფორმა) მთელი თავისი არსებით მიეკუთვნება სუბსტანციურ კატეგორიათა ჯგუფს, ვინაიდან დასახელებული კატეგორიები ისე ეხებიან საგნებს, როგორც მათ თვისებებსა და მიმართებებს.

მეცხრე — ცნობიერების, აზროვნების მიჩნევა ატრიბუტულ კატეგორიად, არ არის მართებული მოსაზრება. ნ. ტუგარინოვი წერს: ატრიბუტი ეწოდება ისეთ თვისებას, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული ამა თუ იმ საგნის არსებობასთან. მთლიანად ბუნების, მატერიის თვისებებს (მაშასადამე, ყველა საგნის უზოგადეს თვისებებს), რომლებიც განუყრელად არიან დაკავშირებული ბუნების, მატერიის არსებობასთან, წარმოადგენენ: მოძრაობა, სივრცე, დრო და ცნობიერება (აზროვნება). ავტორის თქმით, მარქსიზმის კლასიკოსები აღიარებენ მატერიის ისეთი უზოგადესი თვისებების ატრიბუტულ ხასიათს, როგორიცაა მოძრაობა და აზროვნება. ფ. ენგელსის „ბუნების დიალექტიკიდან" დამოწმებულია შემდეგი ადგილი: ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ მატერია ყველა თავის გარდაქმნაში მარადერთი და იგივე რჩება, რომ მისი არცერთი ატრიბუტი არასოღეს არ შეიძლება დაიკარგოს, და რომ ამიტომ მან იმავე რკინისებური აუცილებლობით, რომლითაც ის დედამიწაზე თავის უმაღლეს ყვავილს — მოაზროვნე გონს ოდესმე აღმოფხვრის, სადმე სხვაგან და სხვა დროს ის ხელახლა უნდა შექმნას. ამ ციტატიდან, ნ. ტუგარინოვის თქმით, სავსებით ნათლად გამომდინარეობს, რომ ენგელსი ცნობიერებას მატერიის ატრიბუტად თვლიდა, ხოლო ვ. ი. ლენინის ნაშრომიდან „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" დამოწმებულია შემდეგი აღიარება — მატერიის შენობის საძირკველში მოცემულია შეგრძნების მსგავსი უნარი.

კითხვაზე, თუ რით განსხვავდება ცნობიერება სხვა ატრიბუტებისაგან, ამაზე ნათქვამია შემდეგი: მოძრაობა, სივრცე და დრო ისეთი ატრიბუტებია, რომლებიც არავითარ პირობებზე არ არიან დამოკიდებული. არ არსებობს ისეთი პირობები, რომ გაქრეს, მოისპოს სივრცე და დრო; არ არის პირობები, რომელთა დროსაც არ გვექნება მოძრაობა, ან სივრცე და დრო. მოძრაობა, სივრცე და დრო ხორციელდებიან ყოველგვარ პირობებში. რაც შეეხება ისეთ ატრიბუტს, როგორიცაა ცნობიერება, იგი ხორციელდება მხოლოდ გარკვეულ პირობებში, როდესაც გვაქვს ორგანიზმი და თანაც არა ყოველი. არამედ უმაღლესი ორგანიზმი — ეს ძირითადი პირობაა, რომლითაც შეიძლება იარსებოს ცნობიერებამ. მატერიის სხვა ატრიბუტებისაგან განსხვავებით ცნობიერების წარმოშობა და განვითარება მოითხოვს უმაღლესი ნერვული მოქმედების, როგორც პირობის, ათსებობას, რომლის დროსაც იგი წარმოიშობა და ვითარდება. ეს არის პირველი განსხვავება მატერიის ობიექტურ და სუბიექტურ ატრიბუტებს შორის.

მეორე განსხვავება ის არის, რომ არაორგანულ ბუნებაში არ არის ცნობიერება სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მასში არის საერთო მთელი მატერიისათვის მხოლოდ ასახვის უნარი, რომლის განეი-

თარების შედეგს წარმოადგენს ცნობიერება და აზროვნება. ცნობიერება არის მატერიის ატრიბუტი იმ აზრით, რომ მთელ ბუნებას აქვს უნარი, რომელიც გარკვეულ პირობებში წარმოშობს ცნობიერებას. მთელი ბუნება არ აზროვნებს, მაგრამ მას აქვს უნარი, რომელიც აუცილებლად წარმოშობს აზროვნებას განვითარების გარკვეულ საფეხურზე, გარკვეულ პირობებში. ასეთია ძირითადი აზრი ცნობიერების, აზროვნების მატერიის ატრიბუტად აღიარებასთან დაკავშირებით.

ამ მოსაზრებაზე, პირველ რიგში, ის უნდა ითქვას, რომ ატრიბუტის ცნება ერთი მნიშვნელობით არ არის მოხმარებული. ერთ შემთხვევაში იგი მოხმარებულია როგორც ისეთი თვისება, რომელიც მოუცილებელია. განუყოფელია მატერიისაგან: ამ შემთხვევაში ატრიბუტის ცნების მნიშვნელობა სწორადაა გაგებული, მაგრამ ცნობიერება, აზროვნება სრულიად არ არის ისეთი, რომ მის გარეშე არ შეეძლოს მატერიას არსებობა. ამიტომაც, ცნობიერება, აზროვნება ნამდვილად არ არის მატერიის ატრიბუტი. ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა ნათქვამია — ცნობიერება არის მატერიის ატრიბუტი იმ აზრით, რომ ბუნებას აქვს უნარი, გარკვეულ პირობებში წარმოშვას ცნობიერება, ატრიბუტის ცნება თავისი მნიშვნელობით არ არის მოხმარებული. საერთოდ ცნობიერების, აზროვნების შესახებ მატერიის ატრიბუტულობის მტკიცება სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერების, აზროვნების არაისტორიულობის მტკიცება.

რაც შეეხება მარქსიზმის კლასიკოსებზე იმ აზრის მიწერას, რომ ისინი ცნობიერების, აზროვნების მატერიისაგან განუყოფელობას, ატრიბუტულობას ამტკიცებენო, სინამდვილეს არ შეესაბამება. ფ. ენგელსის შრომიდან ზემოთ მოტანილ ციტატაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თუ დედამიწაზე დაიღუპება კიდევაც მოაზროვნე გონი, იგი გარკვეულ პირობებში ხელახლა შეიქმნება სადმე სხვაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებას შეუძლია აზროვნების გარეშე არსებობა და ამიტომაც იგი სრულიადაც არ არის მისი ატრიბუტი.

§ 14. კატეგორიათა სისტემის აგების ცდა გნოსეოლოგიური პრინციპის საფუძველზე

კატეგორიები შემეცნების საფეხურები, საკვანძო პუნქტებია; ამიტომაც კატეგორიათა სისტემის აგების საფუძვლად გნოსეოლოგიური პრინციპის აღება გარკვეული აზრით უფრო გამართლებულია, ვიდრე კატეგორიათა სისტემის ასაგებად პრინციპულად მიუღებელი დებულებისა — კატეგორიათა სისტემის აგების საფუძველი ონტოლოგიურია.

შემეცნების პროცესის საფუძველზე კატეგორიათა სისტემის აგების ცდა წარმოდგენილია ორი განსხვავებული მიმართულებით. ერთი, გნოსეოლოგიური პრინციპის საფუძველზე ისეთი ფილოსოფიური კატეგორიების სისტემის აგება, რომლებიც საგანთა და მოვლენათა მხოლოდ უზოგადეს კავშირებს, უფრო ზუსტად, სინამდვილის უზოგადეს მხარეებს ასახავენ. მეორე, კატეგორიათა ისეთი სისტემის შექმნის ცდა გნოსეოლოგიურის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ყველა ფილოსოფიურ კატეგორიას. კატეგორიათა სისტემის შექმნის ცდას ორივე მიმართულებით მეტად განსხვავებული ვარიანტები აქვს. ამ ვარიანტების ამოსავალი დებულებები ძირითადად შემდეგი სახისაა: გნოსეოლოგიურის საფუძველზე კატეგორიათა სისტემის აგება კატეგორიების, როგორც შემეცნების საფეხურებით; გნოსეოლოგიურის საფუძველზე კატეგორიათა სისტემის აგება დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის (ან ერთიანობის) პრინციპით; კატეგორიათა სისტემის აგების ცდა ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპების საფუძველზე; კატეგორიათა სისტემის აგების ცდა მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების განვითარების პრინციპით; კატეგორიათა სისტემის აგების ცდა შემეცნების პროცესის თანმიმდევრობით ისტორიულის საფუძველზე; კატეგორიათა სისტემის აგების ცდა მატერიალურის, შემეცნებისა და სუბიექტის აქტიურობის საფუძველზე; კატეგორიათა სისტემის აგების ცდა დიალექტიკის სამივე კანონის, ან მხოლოდ დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის საფუძველზე.

გნოსეოლოგიური პრინციპის საფუძველზე კატეგორიათა სისტემის აგების ცდის მრავალი ვარიანტისათვის ზემოთ ჩამოთვლილი ამოსავალი დებულებები, ჯერ ერთი, არ არის სრული და, მეორეც, ყველა მათი განხილვა ჩვენი მიზანი არ არის.

1. კატეგორიათა სისტემის აგების ცდა კატეგორიების, როგორც შემეცნების საფეხურების, საფუძველზე. კატეგორიების სისტემა კატეგორიების, როგორც შემეცნების საფეხურების, საფუძველზე უნდა აიგოს იმიტომ, რომ კატეგორიების სისტემა უნდა იყოს შემეცნების ისტორიის განზოგადება. კატეგორიათა სისტემაში ყოველი კატეგორია არის მატერიალური სამყაროს გარკვეული კავშირების, მხარეების ასახვა, ამდენად ყოველი კატეგორია გვევლინება აგრეთვე როგორც შემეცნების პროცესის საფეხური, სადაც განხორციელებულია კატეგორიათა სუბორდინაცია სპირალური სახით. აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით. ვ. ბიბლერმა გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი „დიალექტიკური ლოგიკის კატეგორიათა სისტემის შესახებ“.

კატეგორიათა სპირალური სუბორდინაციის ძირითადი წრე დასახელებულ ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი სახით: კატეგორიათა პირველი წრეა მატერიალური სამყაროს, როგორც ერთიანი მთლიანი კანონზომიერების ამსახველი კატეგორიები. ეს კატეგორიებია სამყარო, მოძრაობა, სივრცე, დრო, ასახვა, რომლებიც შემეცნების უშუალო წანამძღვრები არიან.

მეორე წრე მოიცავს კატეგორიებს, რომლებიც ასახავენ საგანთა გარკვეულობებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებებს. ასეთი კატეგორიებია: მიზეზი და შედეგი, თვისება, ნიშანი, თვისებრიობა, რაოდენობა, პირობა და ა. შ.

მესამე წრე კატეგორიებისა ასახავს სამყაროს, საგნებს, როგორც პროცესს. აქ შემოდიან კატეგორიები: არსება, არსებობა, მოვლენა, შემთხვევითობა, აუცილებლობა, შინაარსი, ფორმა.

მეოთხე წრე მოიცავს კატეგორიებს, რომლებიც ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობასა და მიზნებში შემოდის. ასეთი კატეგორიებია: შესაძლებლობა და სინამდვილე, მიზანი, საშუალება, აუცილებლობა და თავისუფლება.

ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია კი მონაწილეობს შემეცნების ყველა წრეში. ეს კატეგორიებია: მოძრაობა, წინააღმდეგობა, კანონი, კანონზომიერება. კატეგორიათა სისტემა გამოხატავს აზრის მოძრაობას აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, რაც კატეგორიათა სუბორდინაციის გნოსეოლოგიური პრინციპია.

ბიბლერის თქმით, თუ კატეგორიათა პირველი წრე ასახავს სამყაროს მატერიალურ მთლიანობას და ამით ცალკეული მატერიალური საგნების შემეცნების პირობებს ფორმულირებას უკეთებს, კატეგორიათა მეორე, მესამე და მეოთხე წრე ხსნის კონკრეტული მატერიალური საგნების თანმიმდევრული, უფრო და უფრო ღრმა შემეცნების პროცესს. ზემომითითებულ წრეთა მიხედვით განხილულია ცალკეული კატეგორიები, დახასიათებულია მათი თავისებურებანი; დასაწყის კატეგორიად მიჩნეულია მატერიალური სამყარო, ხოლო დასასრულ კატეგორიად თავისუფლება.

კატეგორიათა სისტემის აგების ზემოაღნიშნულ პრინციპს ზოგადად ეთანხმება ვ. ნ. საგატოვსკი შრომაში „უზოგადესი კატეგორიების სისტემატიზაციის საფუძვლები", სადაც 138 კატეგორიაა განხილული და მათი სისტემის აგების ცდაა მოცემული. კატეგორიათა სისტემის აგების საფუძველია კატეგორიების როგორც შემეცნების საფეხურების გამოყვანა და ჭეშმარიტების კონკრეტულობის პრინციპი, როგორც დიალექტიკის ძირითადი დებულება. ყოველი კატეგორია არის ობიექტის შემეცნების განვითარების საფეხური; თუმცა ამ პრინციპს არ ექვემდებარებიან ის კატეგორიები, რომლებიც სისტემის აგებისათვის

საწყისი, განუსაზღვრელი კატეგორიები არიან. ასეთი კატეგორიებია: სიმრავლე, ელემენტი, ყოფიერება, არაარსი (არამყოფობა), ცვალებადობა. ბოლო სამი ცნება, აღნიშნავს საგატოვსკი, როგორც ცნობილია, ჰეგელის სისტემის ამოსავალია. ეს ცნებები, ვ. ი. ლენინის მითითებით, უმარტივესნი და ძირითადნი არიან. და მათგან უნდა გამოვიყვანოთ ყველა სხვა კატეგორია. ყოფიერების, არაარსის, ცვალებადობის კატეგორიები საშუალებას იძლევა, ესა თუ ის მტკიცება მივიღოთ ნებისმიერ ობიექტზე: არის, არ არის, იცვლება. კატეგორიების: სიმრავლე, ელემენტი — მოშველიებით შესაძლებელი ხდება მივიღოთ კონკრეტული ობიექტის დახასიათება. 1. ნებისმიერი ობიექტი (ყველა) არის სიმრავლის ობიექტი; 2. ნებისმიერი ობიექტი (ყველა) არის ელემენტების სიმრავლე; 3. არცერთი სიმრავლე არ არის თავისი თავის ელემენტი. პირველი და მესამე პოსტულატი იძლევა სისტემის ამოსავალი პრინციპის — არსებობის — ყველაზე აბსტრაქტულ დახასიათებას: *არსებობა ნიშნავს ისეთი სიმრავლის ელემენტად ყოფნას, რომელიც არ არის თავისი თავის ელემენტი.* მხოლოდ ამ აზრით არსებობს ყოველი ობიექტი. აღნიშნული დებულება არსებობის კონკრეტულობის პრინციპია. მითითებული დებულებიდან გამოდის, რომ ნებისმიერი ობიექტი (ყველა) არ არსებობს იმდენად, რამდენადაც არ არის რომელიმე სიმრავლის ელემენტი.

არსებობის კონკრეტულობის პრინციპი არის კატეგორიათა სისტემის ძირითადი ამოსავალი, რომლის გნოსეოლოგიური გამოსახვა არის ჭეშმარიტების კონკრეტულობის პრინციპი, რაც დიალექტიკის ძირითადი დებულებაა და ეთანხმება თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს; ნათქვამია ასეც: „არსებობის კონკრეტულობის პრინციპი, როგორც ჭეშმარიტების კონკრეტულობის პრინციპის ონტოლოგიური ანალოგი.

კატეგორიათა პირველი ნაწილია განუსაზღვრელთა მინიმუმი: მას მიეკუთვნებიან: სიმრავლე, ელემენტი, ყოფიერება, არაარსი, ცვალებადობა, რომლებიც არ განისაზღვრებიან სხვა უზოგადესი კატეგორიებით ლოგიკური წრის არსებობის გარეშე. ამიტომაც ისინი მიეკუთვნებიან განუსაზღვრელ კატეგორიათა მინიმუმს. კატეგორიათა მეორე ნაწილია მოცემულობის დონის კატეგორიები; მესამე — განსაზღვრულობის კატეგორიები; მეოთხე — შეპირობებულობის კატეგორიები. კატეგორიათა თითოეულ ნაწილში ისეთი კატეგორიებია დასახელებული და განხილული, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ნამდვილ ფილოსოფიასთან კატეგორიალობის თვალსაზრისით. მაგალითად, კატეგორიათა მეორე ნაწილშია ფუნქცია, სიდიდე, მეტი, ნაკლები, განსხვავების ხარისხი, ეტალონი, უფრო ადრე, უფრო გვიან, ახლა, წარ-

სული, მომავალი, უფრო ფართო, უფრო ღრმა; კატეგორიათა მეოთხე ნაწილშია საშუალება, ეფექტურობა, მართვა, ინფორმაცია, რეაქცია, ჩორმა, კონტრადიქტორული წინააღმდეგობა, კონტრალური წინააღმდეგობა, უფრო მაღალი, უფრო დაბალი.

კატეგორიათა აღნიშნული სისტემა, თვით ავტორის თქმით, სხვა სისტემებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი ყველა კატეგორიას ერთმანეთთან აკავშირებს არა უბრალოდ, არამედ ისინი ერთმანეთით არიან თანმიმდევრულად განსაზღვრული. განსაზღვრება ერთიანი პრინციპებიდან ამოსვლით სორციელდება. ყოველი კატეგორიის შინაარსში წინა კატეგორიების ნიშნებია: ასეთი კავშირი აუცილებელი და საკმარისია განსასაზღვრი კატეგორიის ყველა სხვა კატეგორიისაგან განსასხვავებლად, რომელიც შემეცნების გარკვეული საფეხურია.

კატეგორიათა სისტემის აგების ცდის ვანხილული ვარიანტის შესახებ უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას შემდეგი: პირველი, არ არის მართალი, რომ კატეგორიები თითქოს შეიძლება დალაგდეს მათი შემეცნებითი მნიშვნელობით: სიღრმისეული თანმიმდევრობის, უფრო შინაარსიანობის მიხედვით. მტკიცება: სიღრმისეული თანმიმდევრობის მიხედვით კატეგორიათა ერთი რიგი საგანთა და მოვლენათა არსებას უფრო ღრმად ასახავს, ვიდრე მეორე; ეს კი შესაძლებლობას იძლევა, კატეგორიები დალაგოთ გარკვეული თანმიმდევრობით, რომელიც ჩვენი ცოდნის განვითარების შესაბამისი იქნება, მცდარია. კატეგორიათა სიღრმისეული თანმიმდევრობით დალაგება აზრს მოკლებულია. ნუთუ მატერიის კატეგორია ნაკლებ შინაარსიანია, ვიდრე არსებისა, ან თვისებრიობისა. ხოლო თვით მოძრაობა ნაკლებ შინაარსიანია, ვიდრე კატეგორიები შინაარსისა, არსებისა. არსებისა უფრო შინაარსიანია, ვიდრე აუცილებლობისა, ხოლო ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებ შინაარსიანია, ვიდრე კანონისა და ა. შ.? კატეგორიათა ასეთი ღალაგება ნაკლებ შინაარსიანობისა და მეტად შინაარსიანობის მიხედვით კატეგორიათა ნამდვილად ხელოვნური დალაგებაა. იგი არცერთი მიმართებით არ შეესაბამება კატეგორიათა სისტემაში თითოეული კატეგორიის ადგილს. კატეგორიები ერთმანეთთან მიმართებაში არავითარი ნაკლებ და მეტად შინაარსიანობით არ ხასიათდებიან. ამიტომაც ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების ცდა კატეგორიების, როგორც შემეცნების საფეხურების საფუძველზე ნაკლებ შინაარსიანობიდან უფრო შინაარსიანობის მიხედვით მცდარია.

მეორე, ვ. ბიბლერის მიერ კატეგორიათა დაყოფა ოთხ ჯგუფად არაზუსტია, ვინაიდან კატეგორიათა ჯგუფები ერთიმეორეს არ გამორიცხავენ მთლიანად. სწორედ ამიტომ კატეგორიათა მეორე წრე, რომელიც გამოთქვამს საგანთა გარკვეულობებს, და მესამე წრე, რომელიც გამოთქვამს სამყაროს, საგნებს როგორც პროცესს, თავიანთი

არსებით მიეკუთვნებიან პირველი წრის კატეგორიებს, რომლებიც გამოთქვამენ ყოფიერებას, მატერიას.

მესამე, ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების დაწყება განუსაზღვრელი კატეგორიებით ფილოსოფიური სისტემის, კერძოდ კატეგორიათა სისტემის, მეცნიერულ დონეს არ შეესაბამება. ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში ყოველი კატეგორია განსაზღვრელია და განსაზღვრული უნდა იყოს სისტემის აგების საწყისი კატეგორიაც, თუ ასეთი საწყისი კატეგორიის დაშვება საერთოდ კანონიერია (აღნიშნულ საკითხზე სპეციალურად გვქონდა მსჯელობა § 10-ში. ამიტომ აქ მეტს არაფერს ვიბობთ). რაც შეეხება განუსაზღვრელ და კატეგორიათა სისტემის გარეთ ფილოსოფიური კატეგორიების დატოვებას (მაგალითად, ვ. საგატოვსკი რვა კატეგორიას ტოვებს სისტემის გარეთ, აქედან წმინდა ფილოსოფიურია ყოფიერების, ცვალებადობის, მიმართების), უპირველეს ყოვლისა იგი თვით სისტემის ნაკლოვანებაზე მიუთითებს, ე. ი. სისტემა არ არის სრული. ფილოსოფიურ კატეგორიათა ზოგადმა სისტემამ (საგატოვსკის მოთხოვნა კი ასეთია, იგი 138 კატეგორიას იხილავს) უნდა მოიცვას ყველა ის ფილოსოფიური კატეგორია, რომელიც შემეცნების გარკვეულ ეტაპზე ცნობილია.

მეოთხე, ვ. ი. ლენინის დამოწმება, რომ იგი თითქოს მომხრეა, ყოფიერების, არაარსისა და ცვალებადობის კატეგორიებიდან გამოვიყვანოთ ყველა სხვა კატეგორია, მსგავსად ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებისა“, სინამდვილეს არ შეესაბამება. ვ. ი. ლენინს არსად უთქვამს, რომ კატეგორიათა სისტემის ასაგებად შეიძლება გამოვიყენოთ დასახელებული კატეგორიები და მით უმეტეს იქიდან ყველა სხვა კატეგორია გამოვიყვანოთ. ვ. ი. ლენინი „კონსპექტში ჰეგელის წიგნისა „ლოგიკის მეცნიერება“ წერს შემდეგს: „კატეგორიები უნდა გ ა მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ო თ (და არა ნებისმიერად ან მექანიკურად ავიღოთ). საჭიროა არა „თხრობა“, არა „დარწმუნება“, არამედ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა..., დავემყარებით რა უმარტივეს ძირითად კატეგორიებს (ყოფიერება, არარა, ქმნადობა... (სხვებს არ მივმართავთ) — აქ, ამათში „ამ ჩანასახშია მთელი განვითარება“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 85). ვ. ი. ლენინი აქ ეხება მხოლოდ ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებაში“ გატარებულ აზრს. ჰეგელის სისტემაში არის დასახელებული კატეგორიები უმარტივესი, ძირითადი, როგორც კატეგორიათა სისტემის ასაგები. საერთოდ ვ. ი. ლენინს არც ერთ ფილოსოფიურ კატეგორიაზე არ უთქვამს, რომ რომელიმე მათგანი უმარტივესია. შემდეგ, რაც მთავარია, დიალექტიკური მატერიალიზმი არა თუ ამოსავალ კატეგორიად ღებულობს „არარას“, არამედ იგი საერთოდ არ შემოჰყავს კატეგორიათა სისტემაში. მარქსიზმის არცერთი კლასიკოსი „არარას“, როგორც ფილოსოფიურ კატეგორიას, არსად ასახელებს; ამიტომ ყოვ-

ლად შეუძლებელია იგი ვ. ი. ლენინს მიეღო, როგორც დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიათა სისტემის აგებისათვის ერთ-ერთ საწყის, ამოსავალი კატეგორიად, ან „არარსი" დაესახელებინა სადმე, როგორც ძირითადი კატეგორია და იქიდან სხვა კატეგორიათა გამოყვანა დაეშვა (კატეგორიათა გამოყვანის საკითხი განხილულია ბოლო პარაგრაფში).

მეხუთე — არ არის მართებული, კატეგორიათა სისტემა განისაზღვროს დასაწყისი და დასასრული კატეგორიების ზღვარდებით (დასაწყისი კატეგორია არის სამყარო, დასასრული — თავისუფლება). ასეთი რამ მხოლოდ კატეგორიათა რაოდენობის განსაზღვრას ნიშნავს. დასაწყისი და დასასრული კატეგორიებით კატეგორიათა რაოდენობაც დადგენილია. კატეგორიათა რაოდენობის, რიცხვის დადგენა კი, ცნობილია, არცერთ ფილოსოფიურ სისტემას არ მიაჩნდა სასურველ შედეგად; მას ებრძოდნენ კანტი და ჰეგელი, თუმცა ვერცერთი ვერ ასცდა მას. კატეგორიათა რაოდენობის დადგენა სისტემის დახურულობაზე მიუთითებს, ნაცვლად ფილოსოფიურ კატეგორიათა ღია სისტემის აღიარებისა. ამიტომაც მტკიცება — ესა და ეს კატეგორია დასაწყისია, ესა და ეს დასასრული — უდავოდ მცდარია.

2. კატეგორიათა სისტემის აგების ცდა ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ ასვლის, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპების საფუძველზე. კატეგორიათა სისტემის აგებისათვის ა. ბ. შეპტულინი თავის შრომებში ამოსავალ საწყის კატეგორიად მიიჩნევს წინააღმდეგობის, მატერიის, ცნობიერებისა და პრაქტიკის კატეგორიებს. აქედან გამოჰყავს სხვა ფილოსოფიური კატეგორიები, ხოლო კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპებად მიჩნეულია ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობა, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლა, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა. ავტორის თქმით, დიალექტიკის კატეგორიათა ურთიერთკავშირის პრობლემის კვლევას მივყავართ კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალი საწყისებისა და კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპების განსაზღვრების აუცილებლობამდე.

აღნიშნული მოსაზრების ძირითადი აზრი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: დიალექტიკის კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალი საწყისი უნდა იყოს ისეთი მიმართება, რომელიც წარმოადგენს არა მარტო ყველა კატეგორიის გარკვეულ ჯგუფებად დაყოფის საფუძველს, არამედ ერთი ჯგუფის მეორესთან და ასევე ერთი ჯგუფის ჩარჩოებში კატეგორიათა შორის აუცილებელი კავშირის საფუძველს; ასეთი საფუძველი არის სრული საფუძველი. მიმართება, რომელიც საფუძველის როლში გამოდის, არის მთავარი განმსაზღვრე-

ლი ობიექტში, ამავე დროს არის უმარტივესი და ისტორიულად პირველი მთლიანის არსების წარმომქმნელი სხვა მხარეებისა და კავშირების მიმართ. მთლიანი ობიექტის კვლევის ამოსავალ საწყისად აუცილებელია ისეთი ცნებების აღება, რომლებიც ასახავენ საფუძველს — მთელის მთავარ, განმსაზღვრელ მიმართებას, რომელიც გავლენას ახდენს ყველა სხვა მხარესა და კავშირზე და გარკვეული მიმართულებით ცვლის მათ.

რამდენადაც კვლევის ობიექტია ყოფიერების უზოგადესი ფორმები, სინამდვილის უზოგადესი თვისებები და კავშირები და მათი შესაბამისი ფორმების ასახვა ცნობიერებაში, ამოსავალი საწყისის როლში უნდა გამოვიდნენ ისეთი კატეგორიები, რომლებიც ასახავენ მთავარ და ამავე დროს უმარტივეს მიმართებებს და განსაზღვრავენ ობიექტური სინამდვილისა და შემეცნების ყველა სხვა უზოგადეს მიმართებას.

ყოფიერების უზოგადესი ფორმების ამსახველ კატეგორიათა შორის არის კატეგორია „წინააღმდეგობა". იგი დაკავშირებულია დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონთან და ასე თუ ისე ვლინდება ყოფიერების ყველა უზოგადეს ფორმაში. მაგრამ წინააღმდეგობა თავისთავად არ იძლევა პრობლემის გადაჭრისა და დიალექტიკის კატეგორიათა სისტემის აგების ნებას. კატეგორიიდან „წინააღმდეგობა" შეიძლება ნებისმიერი წყვილადი კატეგორიების ურთიერთშორის მიმართების გამოყვანა, მაგრამ იგი შესაძლებლობას არ იძლევა კატეგორიათა ერთი წყვილიდან გადავიდეთ სხვა წყვილებზე, რის გამოც შეუძლებელია მკაცრად დადგინდეს თითოეული კატეგორიის აუცილებელი ადგილი კატეგორიათა სისტემაში, იგი საკმაოდ თვითნებური იქნება; თანაც თვითონ სისტემები შესაძლებელი იქნება იმდენი აიგოს, რამდენი განსხვავებული კომბინაციაც გამოვა კატეგორიათა გარკვეული რაოდენობის წყვილებიდან.

ამოსავალი საწყისი კატეგორიის როლის შემსრულებლად ვერ გამოდგებიან ვერც ობიექტური სინამდვილის უზოგადესი კავშირების, თვისებების ამსახველი სხვა კატეგორიებიც. იმისათვის, რომ ამა თუ იმ კატეგორიამ შესძლოს საფუძვლის როლის შესრულება, უზრუნველყოს საკვლევი მთელის არსების ერთი მხარის გადასვლა მეორეში, მის მიერ ასახული მიმართება (თვისება) უნდა იცვლებოდეს, ვითარდებოდეს. ყოფიერების უზოგადესი ფორმები კი ყოველთვის არსებობენ, ისინი არ წარმოშობილან და არც მოისპობიან. თუ ჩვენ არ შეგვიძლია დავადგინოთ ობიექტურ სინამდვილეში ყოფიერების უზოგადესი ფორმის წარმოშობის თანმიმდევრულობა იმისა გამო, რომ ისინი არასდროს არ წარმოშობილან, ყოველთვის ერთად არსებობდნენ, სამაგიეროდ შესაძლებელია განვსაზღვროთ ადამიანის მიერ ყოფიერების

ამ ფორმების გამოვლენისა და პრაქტიკულად შემეცნების თანმიმდევრობა და ამასთან ერთად თანმიმდევრობა ფილოსოფიური კატეგორიების ფორმირებისა, რომელშიც გამოიხატებოდა ეს შეცნობილი თვისებები და კავშირები. მოცემული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ამოსავალი საწყისი უნდა ვეძიოთ იმ მიმართებების (თვისებების) ამსახველ კატეგორიათა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ შემეცნებითი პროცესის ფუნქციონირებასა და განვითარებას. შემეცნების განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია ადამიანთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელიც განისაზღვრება კატეგორიით „პრაქტიკა". პრაქტიკის ამოსავალ საწყისად მიღებით შესაძლებელი ხდება შემეცნების განვითარების ისტორიული გზის გამოკვლევა. პრაქტიკის საფუძველზე ხდება სინამდვილის ამა თუ იმ უზოგადესი თვისებებისა და კავშირების აღმოჩენა და მათ გამოსახატავად ყალიბდება შესატყვისი ცნებები, კატეგორიები. პრაქტიკის საფუძველზე კატეგორიების იმ თანმიმდევრობით განლაგებით, როგორც ისინი ისტორიულად აღმოჩნდნენ, მათ გარკვეულ აუცილებელ კავშირში დავაყენებთ და მთლიან სისტემაში მოვიყვანთ, სადაც თითოეული კატეგორია მკაცრად განსაზღვრულ ადგილს დაიკავებს და აუცილებლობით შეეფარდება ამ სისტემაში შემავალ სხვა კატეგორიებს. კატეგორიათა ერთი წყვილის გადასვლა მეორეზე შეიძლება განხორციელდეს პრაქტიკის საფუძველზე. წინააღმდეგობას კი, როგორც კატეგორიას, შეუძლია ამოსავალი საწყისის როლის შესრულება მხოლოდ პრაქტიკასთან ერთიანობაში. პრაქტიკა უზრუნველყოფს სისტემაში ერთი კატეგორიის მეორეში ლოგიკურ გადასვლას და შემეცნებითი პროცესის ფუნქციონირებისა და განვითარების ასახვას, წინააღმდეგობა შველის შესატყვის კატეგორიაში ასახული ყოფიერების უზოგადესი ფორმების ურთიერთკავშირის ობიექტური დიალექტიკის გამოვლინებას.

სისტემის აგების ამოსავალ საწყისად კატეგორიების „პრაქტიკისა" და „წინააღმდეგობის" მიღების დროს არ უნდა იქნეს დავიწყებული ის, რომ კატეგორიათა ურთიერთკავშირის პრობლემის კვლევამდე საჭიროა გადაიჭრას ფილოსოფიის ძირითადი საკითხი; მისი გადაწყვეტა განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ყველა ფილოსოფიური პრობლემის გააზრებაზე. ამიტომ იმ კატეგორიათა შორის, რომლებიც ამოსავალი საწყისის როლში გამოდიან, უნდა იყვნენ ასევე კატეგორიები „მატერია" და „ცნობიერება". ამ კატეგორიათა ანალიზის დროს გადავდივართ კატეგორიაზე „პრაქტიკა" და მის საფუძველზე ვხსნით ფილოსოფიის ძირითადი საკითხის როგორც პირველ, ასევე მეორე მხარეს. ამასთან ნაჩვენებია ისიც, რომ ცნობიერება მეორადია არა მარტო იმიტომ, რომ იგი წარმოიშვა მატერიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, არამედ იმიტომაც, რომ მისი შინაარსი წარმოადგენს ობიექ-

ტური რეალობის გარკვეული თვისებებისა და კავშირების ასლს, სურათს, რომ ეს შინაარსი მიიღება პრაქტიკის საფუძველზე შემეცნების პროცესში.

დიალექტიკის კატეგორიათა სისტემის აგების საქმეში ამოსავალი საწყისის არჩევა მნიშვნელოვნად წარმართავს პრინციპებს. პრაქტიკის აღება ამოსავალ საწყისად და მის საფუძველზე ადამიანის მიერ ყოფიერების უზოგადესი ფორმის, სინამდვილის უზოგადესი თვისებებისა და კავშირების შემეცნების თანმიმდევრობის გარკვევა ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპით არის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პრინციპი. ამ პრინციპით შესაძლებელი ხდება კატეგორიების წარმოდგენა შემეცნების განვითარების საყრდენი პუნქტების, საფეხურების სახით.

ამოსავალ ცნებად აღებული კატეგორიები: „მატერია", „ცნობიერება", „პრაქტიკა", „წინააღმდეგობა" ნებას გვაძლევენ ავაგოთ კატეგორიათა სისტემა აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდით. ვიწყებთ მატერიის უმარტივესი აბსტრაქტული ცნებით, რომელიც კვლევის ამ საფეხურზე დაკავშირებულია მხოლოდ ერთ თვისებასთან — ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობასთან. ცნებიდან „მატერია" გადავდივართ ცნებაზე „ცნობიერება", რომელიც აქ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ იგი მეორადია და მატერიის განსაკუთრებული თვისებაა. ამ გადასვლის მსვლელობაში ჩართული კატეგორიაც „პრაქტიკა" საკმაოდ ღარიბია თავის შინაარსით: იგი აღნიშნავს მხოლოდ მოქმედებას, რომელიც მიმართულია ბუნების ამა თუ იმ ნივთიერებათა გარდასაქმნელად სასიცოცხლო კეთილდღეობისათვის. პრაქტიკის შემდგომ განვითარებასა და მის საფუძველზე ცნობიერების ფუნქციონირებას, მის ისეთ უმნიშვნელოვანეს ფორმას კატეგორიცაა შემეცნება, მივყევართ ერთიმეორეზე ყოფიერების უზოგადესი ფორმების აღმოჩენამდე, სულ ახალი და ახალი კატეგორიების გამოელინებამდე და კატეგორიების: „მატერია", „ცნობიერება", „პრაქტიკა" გამდიდრებამდე. ყოველ ახალ კატეგორიას ახალი ელემენტი შეაქვს ცნობიერების სტრუქტურაში და მას უფრო სრულყოფილსა და რთულს ხდის. კატეგორიათა სისტემის აგების დასრულებით ვღებულობთ მატერიის უზოგადესი თვისებებისა და კავშირების მთლიან ცოდნას შემეცნების განვითარების მოცემულ სტადიაზე. ეს უკვე არ არის აბსტრაქტული წარმოდგენა მატერიაზე, ცნობიერებაზე, პრაქტიკაზე, არამედ იგი არის სინამდვილის ყოველი მითითებული მოვლენის კონკრეტული ცოდნა, რომელიც მოიცავს არსებითობრივ დახასიათებებს.

ისეთი სისტემის აგება, რომელიც თავისში მოიცავს მატერიის უზოგადესი თვისებებისა და კავშირების, კანონების წარმოშობის, ფუნ-

ქციონირების, პრაქტიკისა და შემეცნების განვითარების კონკრეტულ ცოდნას, განმსაზღვრელ პრინციპად ვარაუდობს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპს. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს ისეთი სისტემის აგებას, რომელშიაც თითოეული კატეგორია შეასრულებდა მსოფლმხედველობით ფუნქციასაც, გნოსეოლოგიურსაც, მეთოდოლოგიურსაც (ლოგიკურს).

სისტემის აგების საწყისი კატეგორიები: მატერია, ცნობიერება, პრაქტიკა, წინააღმდეგობა იძლევა საშუალებას, მთელი კვლევის მანძილზე თანმიმდევრულად გატარდეს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპი. მაგალითად, რიგითი კატეგორიის ანალიზს იმ თვალსაზრისით, თუ ობიექტური სინამდვილის რომელ უზოგადეს თვისებებსა და კავშირებს ასახავს იგი, განვიხილავთ როგორც დიალექტიკის კატეგორიას. კატეგორიის გნოსეოლოგიურ ფუნქციას ვარკვევთ მაშინ, თუ განვიხილავთ მას, როგორც შემეცნების განვითარების საკვანძო პუნქტს, საფეხურს და ვუჩვენებთ მის კანონზომიერ კავშირს შემეცნების წინა და მომდევნო საფეხურების გამომხატველ კატეგორიებთან; მაგრამ თუ კატეგორიას ვღებულობთ, როგორც აზროვნების მოქმედების ფორმას და მის საფუძველზე ვაყალიბებთ შესატყვის ლოგიკურ პრინციპს, რომელიც მოიცავს გარკვეულ მოთხოვნას შემმეცნებელი და მოქმედი სუბიექტის მიმართ, განვიხილავთ მას (კატეგორიას), როგორც დიალექტიკური ლოგიკის კატეგორიას. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის საფუძველია ყოფიერების უზოგადესი ფორმები, სინამდვილის უზოგადესი თვისებები და კავშირები. განხილული სამი პრინციპი (ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობა, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლა, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა) საკმარისია, რომ აიგოს დიალექტიკის კატეგორიათა სისტემა.

ზემოთ განხილულ მოსაზრებას ასე ვრცლად იმიტომ შევეხეთ, რომ იგი ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში აღიარებულიც კი არის როგორც კატეგორიათა სისტემის აგების საუკეთესო და ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი. სახელდობრ, ნათქვამია ასე: ა. შეპტულინმა ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, დიალექტიკის, შემეცნების თეორიისა და ლოგიკის იგივეობისა და აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის პრინციპებით ააგო კატეგორიათა სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ყოველი კატეგორიის ადგილი და როლი შემეცნების პროცესში, დადგენილი იქნეს კატეგორიათა ურთიერთგადასვლა. მისი სისტემის უდიდესი ღირსებაა ონტოლოგიური და ლოგიკური მიდგომის მთლიანობა.

არის კი ასეთი დიალექტიკის კატეგორიათა სისტემის აგების ცდის განხილული ვარიანტი? ნამდვილად არა. იგი მრავალი ნაკლოვანების

მქონია, უპირველეს ყოვლისა ისეთისა, რომელიც არაფრის მთქმელია კატეგორიათა სისტემის აგებისათვის.

პირველი, მატერიისა და ცნობიერების, წინააღმდეგობის, პრაქტიკის კატეგორიები არის დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის ფუნდამენტური ცნებები. რაც შეეხება პრაქტიკის ცნების შემოტანას შემეცნების თეორიაში, როგორც ძირითადი კატეგორიისა მისი (პრაქტიკის) დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგებით, უდიდესი დამსახურებაა მარქსისტული ფილოსოფიის ფუძემდებლებისა. ყოველივე ამის გამო კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალ საწყისად აღნიშნული კატეგორიების დასახელებით არაფერი სპეციფიკური არ არის ნათქვამი მის განსასხვავებლად შემეცნების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორიის ძირითადი ცნებებისაგან. სახელდობრ, ის, რომ მატერია პირველადია და ცნობიერება მეორადი, ყველაფრის საფუძველია წინააღმდეგობა და შემეცნების განვითარების საფუძველია პრაქტიკა, ეს როგორც შემეცნების, ასევე კატეგორიათა განვითარებისათვის საერთოა; აქედან გამომდინარე, როგორც შემეცნების თეორიის, ასევე კატეგორიათა სისტემის აგების ძირითადი კატეგორიებია: მატერიის, ცნობიერების, პრაქტიკის, წინააღმდეგობის, რაც სადაო არ არის, მაგრამ საკითხის ასე დასმით არც ის არის სადავო, რომ კატეგორიათა სისტემის აგებისათვის ამოსავალი საწყისის შესახებ არავითარ სპეციფიკურზე არაა მითითებული; კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალ საწყისად მიჩნეულია ყველაფერი ის, რაც დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის ამოსავალი ცნებებია. გამოდის, რომ შემეცნების თეორიისა და კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალი საწყისი ერთი და იგივეა, მათ შორის არ არის განსხვავებულობა. მაშინ რატომ მხოლოდ კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალი საწყისია დასახელებული კატეგორიები და არა საერთოდ შემეცნების თეორიისა? აი, ასეთ ლოგიკურ შეცდომამდე მიდის განხილული თვალსაზრისი.

მეორე, კატეგორიათა სისტემის აგებისათვის საჭირო ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპები დიალექტიკური ლოგიკის დამცველთა თვალსაზრისით არა თუ მხოლოდ დიალექტიკის კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპებია, არამედ საერთოდ დიალექტიკური ლოგიკის პრინციპები. ხოლო ზოგიერთის აზრით კი, დიალექტიკური ლოგიკა, როგორც კატეგორიების ლოგიკა, არის ის მეცნიერება, სადაც გაიგივებულია დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია და ეს არის დიალექტიკური ლოგიკის აგების პრინციპი. აღნიშნულ შემთხვევაში „კატეგორიების ლოგიკის“ სრულიად განსხვავებული გაგება არსებობს და შინაარსიც გან-

სხვავებულადაა მოაზრებული. შემდეგ, რაც მთავარია, თვით დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის სრულიად განსხვავებული გაგება არსებობს. ზოგ მკვლევართა აზრით, იგი ნიშნავს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის, როგორც სამი განსხვავებული მეცნიერების ერთიანობას და არა იგივეობას. ზოგიერთის აზრით, იგი ერთი ისეთი მეცნიერების არსებობაა, რომელიც ერთსა და იმავე დროს დიალექტიკაცაა, ლოგიკაც და შემეცნების თეორიაც; არის სხვაგვარი მოსაზრებაც; ერთი სიტყვით, არსებობს განსხვავებული მოსაზრებანი. ამიტომაც დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია, არავის არ უჩვენებია გარკვევით, თუ რას ნიშნავს მათი იგივეობა. ამის გამოც ასეთი გაურკვეველი, ჯერჯერობით დაუდგენელი რაობის აღება კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპად პოზიტიური თვალსაზრისით არაფრის მთქმელია.

მესამე, მატერიის, ცნობიერების, წინააღმდეგობის, პრაქტიკის კატეგორიები არა მხოლოდ კატეგორიათა სისტემისა და შემეცნების თეორიის ძირითადი კატეგორიებია, არამედ დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც სისტემის საკვანძო კატეგორიებიც არის, მაგრამ დასახელებული კატეგორიების საფუძველზე იმის მტკიცება, რომ მათგან შეიძლება გამოვიყვანოთ ყველა ფილოსოფიური კატეგორია თუ არა, დიალექტიკის ძირითადი კატეგორიები მაინც, ნაკლებად დასაჯერებელი და მეტად საეჭვოა. ნუთუ ზემოთ დასახელებული ოთხი რომელიმე კატეგორიიდან შეიძლება გამოვიყვანოთ დიალექტიკის კატეგორიები? მაგალითად, ნუთუ მატერიის, ცნობიერების, მოძრაობის, პრაქტიკის კატეგორიებიდან შეიძლება გამოვიყვანოთ მოვლენის, არსების, შემთხვევითობის, აუცილებლობის, შესაძლებლობის და ა. შ. სხვა კატეგორიები? ნამდვილად არა. ასეთი მოსაზრება ჰგავს ნ. მარის თვალსაზრისს, რომელსაც უნდოდა დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვა აეხსნა ოთხი ელემენტის საფუძველზე. ეს თვალსაზრისი სამართლიანად გააკრიტიკეს როგორც მიუღებელი მეცნიერებისათვის, კერძოდ ენათმეცნიერებისათვის.

მეოთხე, უმართებულო ჩანს თვით საკითხის დასმა ამოსავალი საწყისი ფილოსოფიური კატეგორიების აღებისა კატეგორიათა სისტემის აგებისათვის. იგი მეტად უსაფუძვლოა და საკითხის პოზიტიური გადაწყვეტა კი აშკარად საეჭვო. მაგალითად, კატეგორიათა სისტემის ასაგებად ამოსავალი საწყისი ოთხი კატეგორიიდან ყველაზე ძირითადია პრაქტიკა, ვინაიდან ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობა არის შემეცნებისა და მისი განვითარების საფუძველი, მაგრამ აქედან სრულიად არ გამოდის ის, რომ პრაქტიკა არის კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალი საწყისი და ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემა-

ში კატეგორიათა იმ თანმიმდევრობით დალაგების საფუძველი, როგორი თანმიმდევრობითაც საზოგადოებრივი პრაქტიკის განვითარება მიმდინარეობდა, ე. ი. პრაქტიკის საფუძველზე კატეგორიები იმ თანმიმდევრობით დავალაგოთ, როგორც ისინი ისტორიულად აღმოჩნდნენ. ასეთი რამ შეუძლებელია პრაქტიკის საფუძველზე და ალბათ საერთოდაც. მართალია, პრაქტიკა შემეცნების საფუძველია და მისი განვითარების ძალაც, მაგრამ სრულიადაც არ არის თვით სინამდვილის განვითარების შემეცნება, ასახვა. პრაქტიკა თვითონ არ არის არც შემეცნება, არც ასახვა; იგი არ არის ცოდნა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკა თვითონ იქნებოდა ასახვა, ცოდნა, მაშინ, მართლაც, შესაძლებელი იქნებოდა მის საფუძველზე კატეგორიების იმ თანმიმდევრობით დალაგება, როგორც ისინი ისტორიულად აღმოჩნდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ თვითონ პრაქტიკა არ არის ასახვა და ცოდნა, ამიტომაც მის საფუძველზე კატეგორიათა თანმიმდევრობითი დალაგება ისტორიულად აღმოჩენის მიხედვით გამორიცხულია. უდავოა, პრაქტიკა არის შემეცნების, ცოდნის განვითარების საფუძველი და ამდენად ისინი მთლიანობაშიც არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ იგივეობას. რაც შეეხება კატეგორიას „პრაქტიკა", იგი არის ასახვა, მაგრამ არა კატეგორიათა ისტორიული თანმიმდევრობისა საზოგადოებრივი პრაქტიკის განვითარების შესაბამისად, არამედ პრაქტიკის იმ ძირითადი თავისებურებისა, ნიშნისა, რითაც იგი განსხვავდება ყველა სხვა კატეგორიისაგან.

მეხუთე, კატეგორიათა სისტემის აგების განხილული ვარიანტის მოთხოვნაა, რომ კატეგორიათა სისტემაში ყველა კატეგორია იყოს განსაზღვრული, რომ სისტემაში არ იყოს განუსაზღვრელი კატეგორიები. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს სამართლიანი მოთხოვნა განუხორციელებელია. მაგალითად, თვისებრიობა განსაზღვრულია როგორც თვისებათა ერთობლიობა, მაგრამ თვით თვისების ცნება კატეგორიათა სისტემაში განუსაზღვრელია. საერთოდ განუსაზღვრელია რაოდენობის კატეგორიაც. ეს კი სისტემის მოთხოვნის საწინააღმდეგო ფაქტზე მიუთითებს.

მეექვსე, არც იმის მტკიცებაა მართებული, რომ კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალი საწყისი კატეგორიები (მატერია, ცნობიერება, პრაქტიკა, წინააღმდეგობა) დასაწყისში უმარტივესი აბსტრაქტული ცნებებია, თავიანთი შინაარსით ღარიბი კატეგორიებია, ხოლო კატეგორიათა სისტემის აგების დასასრულს შინაარსით მდიდრდებიან, კონკრეტულ შინაარსს იძენენ, სინამდვილის ყოველი მითითებული მოვლენის კონკრეტულ ცოდნას მოიცავენ. საკითხის ასე დასმის მცდარობა ჩვენ აღვნიშნეთ და სპეციალურად შემდეგშიც გვექნება მსჯელობა. ახლა იმის შესახებ, რომ თურმე სისტემის აგების ამოსა-

ვალი საწყისი კატეგორიები, მაგალითად, მატერიის კატეგორია იმიტომ არის უმარტივესი აბსტრაქტული, შინაარსით ღარიბი, რომ იგი კვლევის დასაწყის საფეხურზე დაკავშირებულია მხოლოდ ერთ თვისებასთან — ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობასთან. თუ ეს ასეა, ე. ი. მატერიის კატეგორია სისტემის აგების საწყისში უმარტივეს-აბსტრაქტულია და შინაარსით ღარიბი, რომ იგი მხოლოდ ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობაზე მიუთითებს, მაშინ მატერიის კატეგორიის ლენინური განსაზღვრება, რომელიც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რაც ჩვენი ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობს, არ ყოფილა მატერიის კატეგორიის განსაზღვრება და, რაც მთავარია, იგი თურმე ყოფილა უმარტივეს-აბსტრაქტული, შინაარსით ღარიბი განსაზღვრება. კი მაგრამ, სხვა რა უნდა აჩვენოს მატერიის ცნების სრულყოფილმა, შინაარსით მდიდარმა განსაზღვრებამ, თუ არა ისევ ის, რომ მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. სწორედ ეს არის მატერიის კატეგორიის ლენინური განსაზღვრების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. ვ. ი. ლენინი ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ არაერთხელ აღნიშნავს, რომ „მატერიის ცნება გნოსეოლოგიურად ს ხ ვ ა ს ა რ ა ფ ე რ ს ნიშნავს, თუ არა ობიექტურ რეალობას, რომელიც ადამიანის ცნობიერების დამოუკიდებლად არსებობს და რომელსაც ეს ცნობიერება ასახავს“, ასევე „მატერიის ე რ თ ა დ ე რ თ ი „თვისება“, რომლის აღიარებასთან დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი, არის მისი თვისება ო ბ ი ე ქ ტ უ რ რ ე ა ლ ო ბ ა დ ყ ო ფ ნ ი ს ა, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობისა“. ამგვარად, თუ მატერიის კატეგორიის განსაზღვრებაში მისი არსებაა გადმოცემული იმაზე მითითებით, რომ იგი არის აღნიშვნა ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობისა, მაშინ ეს ნიშანი (თვისება) ყოფილა არა უმარტივეს-აბსტრაქტული, შინაარსით ღარიბი, არამედ „არსებითობრივი დახასიათება“. ზუსტად ასევე ითქმის ეს სხვა კატეგორიების შესახებაც. ამიტომაც საკითხის ზემოაღნიშნული დაყენება საფუძველშივე მცდარია და მიუღებელი კატეგორიათა სისტემის აგებისათვის. არცერთი კატეგორია არ არის მარტივი; ყველა კატეგორია ლოგიკურია; ლოგიკური კი არ არის მარტივი.

3. **კატეგორიათა სისტემის აგების ცდა დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის საფუძველზე.** მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, კატეგორიათა სისტემის აგება უნდა ემყარებოდეს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობას. ვ. კოპ-

ნინი წიგნში „ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური იდეები და ლოგიკა“ თვლის, რომ კატეგორიათა სისტემის აგებისათვის ამოსავალია ობიექტური სინამდვილის მოვლენათა ურთიერთკავშირი. ბუნების სისტემა განსაზღვრავს კატეგორიების სისტემას, კატეგორიათა სისტემა საჭიროა იმიტომ, რომ თვით სამყარო არის სისტემა, მოვლენათა კანონზომიერი ურთიერთკავშირი.

კატეგორიათა სისტემის აგებისათვის საჭიროა გარკვეული პრინციპებიდან ამოსვლა. ეს პრინციპებია: დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ კატეგორიათა შორის დამოკიდებულება არ შეიძლება განვიხილოთ ისე, რომ მხედველობაში მივიღოთ ან მხოლოდ ონტოლოგიური, ან მხოლოდ გნოსეოლოგიური მომენტები. აუცილებლად უნდა ავაგოთ ისეთი სისტემა, სადაც კატეგორიებში ონტოლოგიურისა და გნოსეოლოგიურის ერთიანობა იქნება მოცემული.

კატეგორიათა სისტემის აგებისათვის უმნიშვნელოვანესი მეთოდური პრინციპია ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობა, შემეცნების პროცესის ანალიზიდან ამოსვლა, მარტივიდან რთულისაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლა.

ვ. კოპნინი დასახელებული პრინციპების საფუძველზე იძლევა კატეგორიათა სისტემის აგების ცდას, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან. კატეგორიათა სისტემის პირველ ნაწილში დიალექტიკური მატერიალიზმის ის კატეგორიები შემოდიან, რომლებიც ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით წარმოიშობიან. ეს კატეგორიებია: ურთიერთკავშირი, ურთიერთზემოქმედება, მოძრაობა, განვითარება, სივრცე და დრო, ასახვა, აზროვნება.

მეორე ნაწილი შედგება კატეგორიებისაგან, რომლებიც გამოთქვამენ როგორც ბუნებას, ასევე საზოგადოებასაც, მაგრამ თავის მხრივ ასახავენ ბუნებისა და საზოგადოების უზოგადეს კანონებს როგორც ძირითადს, ასევე არა ძირითადს. ეს კატეგორიებია შემდეგი: მთელი და ნაწილი, ერთეული, განსაკუთრებული, ზოგადი, მიზანი და საშუალება, არსება და მოვლენა, ფორმა და შინაარსი, კანონი, აუცილებლობა და შემთხვევითობა, შესაძლებლობა და სიმნამდვილე, რაოდენობა და თვისებრიობა, ერთიანობა და წინააღმდეგობა, უარყოფა და უარყოფის უარყოფა.

მესამე ნაწილი მოიცავს დიალექტიკის იმ კატეგორიებს, რომლებიც უშუალოდ შემეცნების პროცესს ასახავენ. კატეგორიათა ეს ნაწილი არის წინა ორი ნაწილის ლოგიკური გაგრძელება, კონკრეტიზაცია და შემდგომი განვითარება. აქ შემოდის შემდეგი კატეგორიები: ჭეშმარიტება, პრაქტიკა, თავისუფლება და აუცილებლობა, სუბიექტი და ობიექტი, ემპირიული და თეორიული, ანალიზი და სინთეზი, ლოგი-

კური და ისტორიული, აბსტრაქტული და კონკრეტული, შეფარდებითი და აბსოლუტური, აზროვნების ფორმები (მსჯელობა, ცნება, დასკვნა, თეორია, ჰიპოთეზა, იდეა).

აქ წარმოდგენილი კატეგორიების სამივე ნაწილის, ჯგუფის შესახებ ავტორი აღნიშნავს, რომ არც ერთი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ან მხოლოდ ლოგიკურის, ან მხოლოდ ონტოლოგიურის კატეგორიები. ყველა ჯგუფის ყველა კატეგორიას აქვს ობიექტური შინაარსი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ასახავს ობიექტურ სამყაროს.

კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპის საკითხზე დაახლოებით ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებს ჟ. ტულენოვი შრომებში „ვ. ი. ლენინი დიალექტიკის კატეგორიების შესახებ“ და „დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების სისტემა“. ავტორის აზრით, ვ. ი. ლენინის ნაშრომში „ფილოსოფიური რვეულები“ მოცემულია მნიშვნელოვანი გამოთქმები, რომლებიც გვეხმარებიან კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპის საკითხის ცხად გადაწყვეტაში. ერთ-ერთ ასეთ გამოთქმად მიჩნეულია ვ. ი. ლენინის მიერ შემეცნების საკითხებთან კავშირში გამოთქმული შემდეგი აზრი: „აქ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ, ობიექტურად ს ა მ ი წევრია: 1) ბუნება; 2) ადამიანის შემეცნება, ადამიანის ტვინი (როგორც უმაღლესი ნაყოფი იმავე ბუნებისა) და 3) ფორმა ბუნების ასახვისა ადამიანის შემეცნებაში; ეს ფორმა არის სწორედ ცნებები, კანონები, კატეგორიები etc“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 179). მოტანილი ციტატის საფუძველზე გამოთქმულია აზრი — მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების მთელი რთული სისტემა შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად. 1) კატეგორიები, რომლებიც მატერიალურ სამყაროსა და მისი არსებობის ფორმებს ახასიათებენ, 2) კატეგორიები, რომლებიც საგანთა და მოვლენათა ურთიერთკავშირსა და განვითარებას გამოხატავენ, 3) კატეგორიები, რომლებიც შემეცნების პროცესის კანონზომიერებას გამოხატავენ.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან მატერიის, მოძრაობის, დროისა და სივრცის კატეგორიები. მატერია არის წანამძღვარი ყველა სხვა კატეგორიისათვის, ამიტომაც იგი უნდა იყოს კატეგორიათა სისტემის საფუძველში. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება დიალექტიკის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა მიზეზის და შედეგის, არსებისა და მოვლენის, შინაარსისა და ფორმის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის, აუცილებლობისა და თავისუფლების, შესაძლებლობისა და სინამდვილის, ე. ი. კატეგორიები, რომლებიც გამოხატავენ ობიექტურ კავშირებს, საგანთა და მოვლენათა მიმართებებს, მათ ცვლილებებსა და განვითარებას. მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან კატეგორიები, რომლებიც შემეცნების პროცესს ახასიათებენ, სახელდობრ, ცნობიერება და მისი

ფორმები (შეგრძნებები, აღქმა, წარმოდგენა, ცნება, მსჯელობა, დასკვნა), ისტორიული და ლოგიკური, ჭეშმარიტება და პრაქტიკა.

კატეგორიათა დაყოფა სხვაგვარად არის წარმოდგენილი ჟ. ტულენოვის ნაშრომში „დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების სისტემა". აქ ავტორი მიუთითებს შემდეგს: დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების სისტემა საჭიროა სრულად ემთხვეოდეს სამყაროს კანონების სისტემას. კატეგორიათა სისტემის აგების ძირითადი ამოცანა და მისი მეცნიერული ღირებულებაც იმაში მდგომარეობს, რომ კატეგორიები თავიანთ ერთობლიობაში უნდა პასუხობდნენ ფილოსოფიის როგორც მეცნიერების საგანს. როცა კატეგორიათა სისტემის აგების საკითხს მივუდგებით ამ თვალსაზრისით, მაშინ დიალექტიკის კატეგორიები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: პირველი, კატეგორიები, რომლებიც მატერიისა და ცნობიერების დამოკიდებულებას გამოხატავენ. ყოველი ფილოსოფიის ძირითადი და მათ შორის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საგანშიც მთავარია ცნობიერების მატერიასთან, სულის ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხი. ეს ჯგუფი შეიძლება გაიყოს კატეგორიებად, რომლებიც ფილოსოფიის ძირითადი საკითხის პირველ მხარეს გვიხსნიან და კატეგორიებად, რომლებიც ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარეს გვიხსნიან. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან მატერიალისტური დიალექტიკის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა მატერიის, მოძრაობის, სივრცისა და დროის. ეს კატეგორიები საკმაოდ სრულად გვიხსნიან და ასაბუთებენ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის პირველი მხარის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გადაწყვეტას. ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარე გახსნილია ცნობიერების, ჭეშმარიტების, პრაქტიკის და სხვა კატეგორიათა საშუალებით.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან კატეგორიები, რომლებშიც საგანთა და მოვლენათა განვითარებისა და ურთიერთკავშირის უზოგადესი კანონზომიერებაა გამოხატული: ერთეული, განსაკუთრებული და ზოგადი, მიზეზი და შედეგი, აუცილებლობა და შემთხვევითობა, შესაძლებლობა და სინამდვილე, შინაარსი და ფორმა, არსება და მოვლენა. ჟ. ტულენოვის ამ ნაშრომში კატეგორიათა სისტემის აგების საკითხთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი ვ. ი. ლენინის ზემოთ დასახელებული ციტატის შესახებ, მაშინ, როცა პირველი ნაშრომის მიხედვით თითქოსდა დასახელებულ ციტატში მოცემული იყო კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპი (ასე გააკეთა ეს პ. კოპნინმაც თავის ორ სხვადასხვა დროს დაწერილ ნაშრომში). ვ. ი. ლენინის „ფილოსოფიური რვეულებიდან" მოტანილ ციტატში არაფერია ნათქვამი მსგავსი იმისა, რომ მასში იყოს ან თუნდაც იგულისხმებოდეს კატეგორიათა სისტემის აგების რაიმე პრინციპი. მაგრამ აღნიშნული ციტატის ზემო და მომ-

დევნო ადგილები მთლიანობაში პრინციპულად მიუთითებენ იმაზე, რომ „შემეცნება არის ადამიანის მიერ ბუნების ასახვა. მაგრამ ეს არის არა მარტივი, არა უშუალო, არა მთლიანი ასახვა, არამედ ეს არის პროცესი რიგი აბსტრაქციებისა, ფორმირებისა, ცნებების, კანონების etc.... აქ ნამდვილად, ობიექტურად სამი წევრია: 1) ბუნება; 2) ადამიანის შემეცნება, ადამიანის **ტვინი** (როგორც უმაღლესი ნაყოფი იმავე ბუნებისა) და 3) ფორმა ბუნების ასახვისა ადამიანის შემეცნებაში; ეს ფორმა არის სწორედ ცნებები, კანონები, კატეგორიები etc. ადამიანს არ შეუძლია მოიცვას-ასახოს-გამოხატოს მთელი ბუნება, სრულად, მისი უშუალო „მთლიანობა", მას შეუძლია ᲛᲮᲝᲚᲝᲚᲓ ᲛᲣᲓᲐᲛ უახლოვდებოდეს მას, ᲕᲜᲘᲡ რა აბსტრაქციებს, ცნებებს, კანონებს, სამყაროს მეცნიერულ სურათს და სხვ. და სხვ." (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 179—180). მოტანილი ციტატი მთლიანობაში გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი შემეცნება, ცნებები, კატეგორიები სინამდვილეს ასახავენ, ისინი მუდამ უახლოვდებიან მას, მაგრამ არასდროს არ შეუძლიათ მთელი ბუნება გამოხატოს მთლიანად. აი, მითითებული ციტატის დედააზრი.

დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპზე კატეგორიათა სისტემის აგებას გვთავაზობს ა. მინასიანიც თავის სტატიაში „დიალექტიკის კატეგორიათა სუბორდინაციის შესახებ"- აქაც მოცემულია ცდა კატეგორიათა სისტემის აგებისა, რომელიც სამი ჯგუფის კატეგორიებისაგან შედგება. პირველი ჯგუფის კატეგორიები დიალექტიკის კანონებს გამოთქვამენ, მეორე ჯგუფისა შემეცნების პროცესს, ხოლო მესამე ჯგუფის კატეგორიებში გამოთქმულია დიალექტიკური ლოგიკის შინაარსი.

დიალექტიკის კანონის გამომთქმელი კატეგორიებია: მატერია და ცნობიერება, სამყაროს ერთიანობა და მისი მოვლენათა მრავალფეროვნება, მთელი და ნაწილი, მთელი და მისი თვისებები, სისტემა და ელემენტი, მოძრაობა და უძრაობა, სივრცე და დრო, მარადიული და წარმავალი, უსასრულო და სასრული, ერთიანობა და დაპირისპირებულობა, იგივეობა და განსხვავება, რაოდენობა და თვისებრიობა, ზომა და ნახტომი, უარყოფა და უარყოფის უარყოფა, მოვლენა და არსება, კანონი და მოვლენა, შინაგანი და გარეგანი, შინაარსი და ფორმა, აუცილებლობა და შემთხვევითობა, მიზეზი და შედეგი, შესაძლებლობა და სინამდვილე და ა. შ.

შემეცნების პროცესის გამომთქმელი კატეგორიებია: პრაქტიკა და სულიერი მოღვაწეობა, ემპირიული და რაციონალური, ანალოგია და ინფორმაცია, მოდელი და აზრი, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, აბსტრაქტული და კონკრეტული, ისტორიული და ლოგიკური, ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ და შეცდომა, ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ და ალბათობა, შეფარ-

დებითი და აბსოლუტური, თავისუფლება და აუცილებლობა, მეცნიერება და პრაქტიკა.

დიალექტიკური ლოგიკის შინაარსის გამომთქმელი კატეგორიებია: აზროვნება და ენა, განსჯა და გონება, ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკური ლოგიკა, ცნება და მსჯელობა, დასკვნა და ახალი ცოდნა, ჰიპოთეზა და თეორია, განხილვის ობიექტურობა, წმინდა სახით განხილვა, განხილვის ყოველმხრიობა და კონკრეტულობა, განხილვა განვითარებაში, პრაქტიკა და ჭეშმარიტება.

კატეგორიათა სისტემის აგების ცდის აღნიშნულ ვარიანტზე ძირითადად იგივე ითქმის, რაც გნოსეოლოგიური პრინციპის საფუძველზე კატეგორიათა სისტემის აგების წინა ვარიანტებზე ვთქვით. მაგრამ მათგან განსხვავებით დამატებით უნდა აღინიშნოს შემდეგიც: პირველი, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპზე კატეგორიათა კლასიფიკაცია, რომელიც გნოსეოლოგიურ პრინციპს ემყარება, არ არის თავისუფალი ონტოლოგიზმისაგან. მოთითება იმაზე, რომ ბუნების სისტემა განსაზღვრავს კატეგორიათა სისტემის აგებას და დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების სისტემა სრულად უნდა ემთხვეოდეს გარე სამყაროს კანონების სისტემას, უშუალო გამოვლინებაა ონტოლოგიზმისა კატეგორიათა სისტემის აგების საქმეში. ჯერ ერთი, საერთოდ შეუძლებელია კატეგორიათა სისტემა მთლიანად ემთხვეოდეს გარე სამყაროს კანონების სისტემას. ცნობილი ფაქტია, რომ შემეცნებას არასდროს არ შეუძლია გარე სამყაროს სრული შემეცნება და ამდენად არც ის შეუძლია, რომ მის შესახებ კანონებისა თუ კატეგორიების სისტემა სრულად დაამთხვიოს გარე სამყაროს, მატერიალური სინამდვილის კანონზომიერებას. კატეგორიათა სისტემას შეუძლია მოგვცეს მხოლოდ დაახლოებითი, ადექვატური, მაგრამ არა იგივეობრივი სურათი გარე სამყაროს სისტემური ხასიათისა. შემდეგ, კატეგორიათა სისტემა ლოგიკურია, ხოლო გარე სამყაროს სისტემა მატერიალური, ამიტომაც მოთხოვნა მათი სრული დამთხვევისა დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით გამორიცხულია; გამორიცხულია, ვინაიდან ლოგიკურის გაიგივება რეალურთან (მატერიალურთან) სრულიად მიუღებელია.

მეორე, ვ. კოპნინთან დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპის საფუძველზე მესამე ჯგუფის კატეგორიები წინა ორი ჯგუფის ლოგიკური გაგრძელებაა და კონკრეტიზაცია. თუ ეს ასეა, მაშინ მესამე ჯგუფში არ უნდა იყოს პრაქტიკის, სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიები. ასევე კატეგორიათა პირველ ჯგუფში არ უნდა იყოს აზროვნების კატეგორია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კატეგორიათა დაყოფა არაზუსტია, კატეგორიათა ჯგუფები ერთიმეორეს არ, გამორიცხავენ მთლიანად. იგივე ითქმის ა. მინასიანის შესა-

ხებაც. იგი ხელოვნურად აჯგუფებს კატეგორიებს — ამის შედეგია ის, რომ მეორე და მესამე ჯგუფის რამდენიმე კატეგორია (პრაქტიკის, ჭეშმარიტების) ერთიმეორის განმეორებაა. შემდეგ, თუ არსებობს დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ლოგიკის მეცნიერება, მაშინ დიალექტიკური ლოგიკის შინაარსის გამომთქმელ კატეგორიათა ჯგუფში რატომ უნდა იყოს ენის კატეგორია. ასევე კატეგორიათა ამ ჯგუფში ან დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპის მიხედვით საერთოდ კატეგორიათა სისტემაში რატომ უნდა იყოს განსჯის კატეგორია. ცნობილია, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი შემეცნების ლოგიკურ საფეხურს არ ჰყოფს განსჯისეულ და გონებისეულ კატეგორიებად. შემდეგ ინდუქცია და დედუქცია, ანალიზი და სინთეზი უნდა იყოს არა შემეცნების გამომთქმელ კატეგორიათა ჯგუფში, არამედ ლოგიკის შინაარსის გამომთქმელ კატეგორიათა ჯგუფში, იქნება ის დიალექტიკური თუ ფორმალური ლოგიკა.

4. კატეგორიათა სისტემის აგების ცდა მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების განვითარების პრინციპით. დ. ი. შიროკანოვი შრომაში „დიალექტიკის კატეგორიათა ურთიერთკავშირი" მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების მოძრაობის საფუძველზე აგებს კატეგორიათა სისტემას და ამისავე საფუძველზე აჩვენებს კატეგორიების, როგორც ობიექტური სამყაროს შემეცნების საფეხურებსა და მათ სუბორდინაციას. ავტორის აზრით, კატეგორიათა ურთიერთკავშირის კვლევისათვის საჭიროა ყოფიერების უზოგადესი კავშირების, თვისებების ასახვის ფორმების ანალიზი. შემეცნების ფორმების შინაარსისა და კატეგორიათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგადასვლის დიალექტიკური ბუნების გაგება, გახსნა აუცილებლობით მოითხოვს ობიექტური სინამდვილის კვლევასთან კავშირს. კატეგორიათა ურთიერთკავშირისა და სისტემის ძირითადი პრინციპებია: ობიექტურობა, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობა. ყოველივე ამის საფუძველია შემეცნების მოძრაობა მოვლენიდან არსებისაკენ. კატეგორიათა ურთიერთკავშირის სისტემაში მოვლენა — არსების მიმართების გამოყოფა, როგორც ძირითადი რგოლისა, ხაზისა, რომელიც ლოგიკაში გამოააშკარავებს კატეგორიალურ სისტემას, მიზანშეწონილია შემდეგი მიზეზისა გამო: პირველი, კატეგორიათა ურთიერთკავშირი მთლიანად მოიცავს შემეცნების პროცესს, ასეთია ადამიანური შემეცნების საერთო მსვლელობა; მეორე. არსება არის ცენტრალური კატეგორია იმ აზრით, რომ იგი არის შემეცნების მიზნის გამომხატველი; მესამე, კატეგორია „მოვლენა" ხასიათდება მრავალი ისეთი ნიშნით, რომლითაც აუცილებელია ხასიათდებოდეს სისტემის ამოსავალი საწყისი კატეგორია. მოვლენა საწყისში არის განუსაზღვრელი, არაკონკრეტული, იგი არის „რაღაც",

რომელიც თავის განსაზღვრულობას სხვა კატეგორიებთან მიმართებაში იძენს.

მოვლენიდან არსებისაკენ მოძრაობის საზღვრებში არის კატეგორიათა რამდენიმე ციკლი. მოვლენიდან არსებისაკენ აზრის მსვლელობის პირველ საფეხურზე მოძრაობას აქვს შემდეგი სახე: შემეცნების მოძრაობა მოვლენიდან სუბსტანციისაკენ (მატერიისაკენ), რომლის პირველ ნახევარ წრეს მიეკუთვნებიან კატეგორიები თვისებრიობა და რაოდენობა, ხოლო მეორე ნახევარ წრეს — ერთეულისა და ზოგადის კატეგორიები.

მოვლენიდან არსებისაკენ აზრის მსვლელობის მეორე საფეხურზე კატეგორიათა კავშირებისა და გადასვლის ციკლი ასეთი სახისაა: შემეცნების მოძრაობა სუბსტანციიდან (მატერიიდან) არსებისაკენ, სუბსტანციის (მატერიის) არსებაშია იგივეობა, განსხვავებულობა, დაპირისპირებულობა; არსება მატერიის (კანონები და მათი გამოვლენის ფორმები), შემეცნების მოძრაობა სუბსტანციიდან არსებისაკენ ხორციელდება, ერთი მხრივ, „მიზეზი — შედეგის, აუცილებლობა — შემთხვევითობის, შესაძლებლობა — სინამდვილის" კატეგორიებით, რომლებიც ქმნიან პირველ ნახევარ წრეს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე ნახევარ წრეს ქმნიან კატეგორიები „შინაარსი — ფორმა, ნაწილი — მთელი".

მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების პროცესში თითოეული კატეგორია არის შემეცნების საფეხური. თითოეული კატეგორია როგორც სხვა კატეგორიით ან კატეგორიებით ასახული შინაარსის საფუძველზე, როგორც მოვლენების არსების შემეცნების საფეხურები, ასახავს რა სინამდვილის გარკვეულ მხარეებს, მიმართებებს, ახალი კატეგორია წარმოიშობა ობიექტური სინამდვილის კავშირებისა და მიმართებების გამოვლინების საფუძველზე და თავისში მოიცავს ამ კავშირებს, გამოხატავს მათ ცნებათა, სუბკატეგორიათა სისტემის საშუალებით. ახალი კატეგორია, როგორც შემეცნების ახალი საფეხური, უფრო მაღლა სწევს შემეცნების შინაარსის გარკვეულ მხარეებს, ამდიდრებს კატეგორიებს. კატეგორიათა ურთიერთკავშირსა და გადასვლებში მჟღავნდება შინაარსის განვითარების ტენდენცია ცალკეული დაქსაქსული მომენტებიდან, მხარეებიდან მიმართული მთლიანობისაკენ. ეს ტენდენცია (ნიშანი) გამოხატავს შემეცნების განვითარების ზოგად მიმართულებას მოვლენიდან არსებისაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ და პოულობს თავის ასახვას მასში, რომ ყოველი მომდევნო კატეგორია ურთიერთკავშირის სისტემაში ინარჩუნებს წინარე კატეგორიებში ასახულ მომენტთა მრავალსახეობას.

თუ დიალექტიკური ლოგიკის კატეგორიათა ზემოგანხილულ ორ ციკლს დავიყვანთ ერთზე და კატეგორიებს ერთ ჯგუფში ერთიმეორის

ქვევით დავალაგებთ, მაშინ მიიღება კატეგორიათა მოძრაობისა და ურთიერთგამეშვეებულობის თავისებური რიგი, რომელიც ასახავს მოვლენის არსების შემეცნების განვითარებას. ამ რიგში თითოეული კატეგორია არის შემეცნების განვითარების საფეხური, დ. შიროკანოვის მიერ დიალექტიკის ძირითადი კატეგორიების ურთიერთკავშირი, სქემის სახით წარმოდგენილი, ასეთია:



ამ სქემას, ავტორის თქმით, აქვს რა საწყისად მოვლენა, ლოგიკური შემეცნება უბრუნდება მას, მოვლენათა შინაგანი საერთო საფუძვლის, მათი მიმართებების მრავალსახეობრიობის, შინაგანი კავშირების, წყაროსა და განვითარების საფუძველზე. ე. ი. შემეცნება უბრუნდება მოვლენას, როგორც განვითარებადი არსების გამომხატველ ფორმას. ამასთან მოვლენა წარმოგვიდგება როგორც გარეგანი შინაგანთან, არსებასთან მიმართებაში.

განსახილველად წარმოდგენილ დიალექტიკის კატეგორიათა სისტემის აგების ცდას აქვს რაციონალური მომენტები, მაგრამ მათ არ ვეხებით. ახლა კი რა შეიძლება ითქვას მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების მსვლელობის საფუძველზე კატეგორიათა სისტემის აგების ცდის შესახებ? პირველი, მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების მსვლელობა არაფრის მთქმელია მხოლოდ კატეგორიათა სისტემის ასაგებად. მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების მსვლელობის განვითარებას ექვემდებარება არა მხოლოდ დიალექტიკის, საერთოდ ფილოსოფიის კატეგორიები და მათი სისტემები, არამედ მთელი შემეცნების მსვლელობის განვითარება. მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების მსვლელობა მთელი შემეცნების თეორიის პრინციპია, ამიტომ არავითარ სპეციფიკურს არ წარმოადგენს იგი კატეგორიათა სისტემის ასაგებად;

ვინაიდან ასეთია მთელი შემეცნების პროცესი, ყოველი მეცნიერების ცნების, კატეგორიის, თეორიის ბუნება. შემეცნება საერთოდ მოვლენიდან არსებისაკენ წინ მიდის — პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებისაკენ და ა. შ. ვ. ი. ლენინის თქმით, „ცნება (შემეცნება) ყოფიერებაში (უშუალო მოვლენებში) აღმოაჩენს არსებას (მიზეზის კანონს, იგივეობას, სხვაობას etc). — ასეთია ზოგადი მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა ადამიანის მთელი შემეცნებისა (მთელი მეცნიერებისა) საერთოდ. ასეთია მსვლელობა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ა ც, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს ა ც [ისტორიისაც]“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 325).

ამიტომაც, მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების მსვლელობის საფუძველზე კატეგორიათა სისტემის აგების ცდა არავითარი სპეციფიკურის მაჩვენებელი არ არის დიალექტიკის კატეგორიათა თუ საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის ასაგებად. ვიმეორებთ, არავითარი სპეციფიკურის მაჩვენებელი არ არის, ვინაიდან დედამიწაზე არსებული ყოველი მეცნიერების ცნება, კატეგორია მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების მსვლელობით არის დადგენილი. ამიტომ იგი ყოველგვარი ადამიანური შემეცნების, კატეგორიის ზოგადი აუცილებელი ნიშანია.

მეორე, მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების მსვლელობის საფუძველზე კატეგორიათა ისეთი დაქვემდებარება, როგორც იგი წარმოდგენილია ზემომითითებულ სქემაში, ფაქტიური ვითარების გამომთქმელი არ არის. კატეგორიებს შორის არავითარი ისეთი დაქვემდებარება არ არის, რომ ზოგი კატეგორია უფრო არსებითი და ზოგი ნაკლებად არსებითი იყოს მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების განვითარების ერთ გარკვეულ დონეზე. შემეცნების განვითარების დღევანდელ დონეზე ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის არ არის ისეთი განსხვავება, რომ მიზეზისა და შედეგის კატეგორიების არსება უფრო მეტი არსებითობის იყოს, ვიდრე შინაარსისა და ფორმის კატეგორიების არსებითობა. ამიტომაც კატეგორიათა დალაგება მეტად არსებითობისა და ნაკლებად არსებითობის მიხედვით ფაქტიურ ვითარებას ვერ გამოთქვამს.

მესამე, კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალ საწყისად მოვლენის კატეგორიის აღება „რაღაც“ მნიშვნელობით, როგორც განუსაზღვრელისა, ხელოვნურია. მტკიცება — „მოვლენა როგორც ლოგიკური კატეგორია, საწყისში განუსაზღვრელი, არაკონკრეტული, წარმოგვიდგება როგორც „რაღაც“ — არ არის მართებული. თუ მოვლენა არის ლოგიკური კატეგორია, მაშინ იგი შეუძლებელია იყოს „რაღაც“. ლოგიკურში „მოვლენა“, როგორც კატეგორია არ არის „რაღაც“ არც საწყისში და არც ლოგიკურის არცერთ მონაკვეთზე. არც ის არის არ-

სად ნაჩვენები, მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების პროცესში თუ როგორ გახდება „რაღაც“ კატეგორიად „მოვლენა“. ასეთი რამ როგორც რეალურად, ასევე ლოგიკურად განუხორციელებელია, ფანტაზიით, რა თქმა უნდა, დასაშვები.

მეოთხე, კატეგორიათა აღნიშნული სისტემა გარეგნულად ჰგავს ჰეგელის კატეგორიათა სისტემის ერთ მონაკვეთს, ობიექტური ლოგიკის ნაწილს, რომელიც იწყება „რაღაცით“, შემდეგ კი არის თვისებრიობის, რაოდენობისა და ზომის კატეგორიები; მერე — ყველა ის კატეგორია, რომელიც დიალექტიკის კატეგორიებად არის წოდებული (მიზეზის, შედეგის, აუცილებლობის, შემთხვევითობის, შესაძლებლობის, სინამდვილის და ა. შ.). მაგრამ ეს არის გარეგნული მსგავსება. ფაქტიურად კი ჰეგელის კატეგორიათა სისტემას ვერ დაემსგავსება დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპზე გააზრებული ვერცერთი კატეგორიათა სისტემა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ობიექტურ-იდეალისტურ პრინციპზეა აგებული და კატეგორიები ონტოლოგიზებულია (ეს საკითხი უფრო ვრცლად, სპეციალურად იქნება წარმოდგენილი ჩვენს შრომაში „კატეგორიის პრობლემები არისტოტელეს, კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიაში“).

მეხუთე, კატეგორიათა სისტემის აგებისათვის მოვლენიდან არსებისაკენ შემეცნების მსვლელობა ხშირად მოხმარებულია აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ მსვლელობის მნიშვნელობით: სინამდვილეში ეს ორი რამ არ არის იგივეობრივი მნიშვნელობის, ისინი განსხვავებულია ერთიმეორისაგან. მათ შორის არსებითი განსხვავება ის არის, რომ ერთი გნოსეოლოგიურია, მეორე ლოგიკური. ამიტომაც მათი ერთი მნიშვნელობით მოხმარება შეცდომაა.

§ 15. კატეგორიათა სისტემის აგების ცდა ლოგიკური პრინციპის საფუძველზე

კატეგორიათა სისტემის აგება როგორც საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიების, ასევე ფილოსოფიურ კატეგორიათა გარკვეული ჯგუფისა, ლოგიკური პრინციპს უნდა ემყარებოდეს. კატეგორიები ლოგიკური პრინციპის საფუძველზე უნდა აიგოს. ლოგიკური პრინციპით კატეგორიათა აგების განსხვავებული ვარიანტი არსებობს. ეს ვარიანტები ძირითადად შემდეგია: კატეგორიათა სისტემის აგება აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის პრინციპით, კატეგორიათა სისტემის აგება განვითარების პრინციპით, კატეგორიათა სისტემის აგება სტრუქტურული წესით, კატეგორიათა გარკვეული ჯგუფის (ლოგიკურის კატეგორიების) სისტემის აგება ლოგიკური პრინციპის — უსასრულო დასკვნის საფუძველზე, უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატე-

გორიათა სისტემის აგება პოლარული დაპირისპირებულობის საფუძველზე, კატეგორიათა სისტემის აგება ტრიადის პრინციპით, კატეგორიათა სისტემის აგება აქსიომატური პრინციპის საფუძველზე.

კ ა ტ ე გ ო რ ი ა თ ა ს ი ს ტ ე მ ი ს ა გ ე ბ ა ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი დ ა ნ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ზ ე ა ს ვ ლ ი ს წ ე ს ი თ. დასახელებული წესით კატეგორიათა სისტემის აგების განსხვავებული ვარიანტები არსებობს, მაგრამ თავისი არსებით ყველა ვარიანტისათვის ერთნაირად მისაღებია, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის წესით აიგოს ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემა მსგავსად კ. მარქსის „კაპიტალში" პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა სისტემისა. აღნიშნული მოსაზრების მხოლოდ ორი ვარიანტი იქნება განხილული.

ერთ-ერთი ვარიანტის ძირითადი აზრი შემდეგია: აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი, როგორც მეცნიერული თეორიის აგების წესი პირველად მატერიალისტურ საფუძველზე კ. მარქსის მიერ იქნა გამოყენებული. მცდარია აზრი, რომ თითქოს ეს მეთოდი მარქსის მიერ დამუშავებული იყო ეკონომიური კატეგორიების კვლევის საჭიროებასთან დაკავშირებით; აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი საერთოდ ახასიათებს მარქსის, როგორც დიალექტიკოსის, მეცნიერულ აზროვნებას, ლოგიკას. „კაპიტალში" კი ამ მეთოდის გამოვლინების მხოლოდ კერძო შემთხვევაა მოცემული.

აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდის არსება მდგომარეობს იმაში, რომ რომელიღაც „ტოტალობის" ანალიზი იწყება მისი უმარტივესი განსაზღვრებებიდან, უკიდურესი აბსტრაქციიდან, „უჯრედიდან". ეს „უჯრედი" უნდა იყოს ყველაზე უფრო მასიური სახის, გარდა ამისა, იგი უნდა იყოს ისტორიულად პირველი მიმართება, ე. ი. განვითარებული მთელის საწყისი. და ბოლოს, იგი თავის თავში უნდა მოიცავდეს საკვლევი საგნის ყველა წინააღმდეგობის ჩანასახს. კ. მარქსის „კაპიტალში" ასეთ „უჯრედად" გამოდის საქონელი. აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლა საშუალებას იძლევა, ცნებათა მოძრაობაში გამოვხატოთ თვითგანვითარების ობიექტური პროცესი, კონკრეტული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რომლის საშუალებითაც წარმოიშობა, იქმნება და მრავალსახოვანდება თავის შიგნით ყოველი „ორგანული" მთელი. ყოველივე ამის საფუძველზე კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე ასვლის მეთოდი აუცილებლად უნდა განხილული იქნეს როგორც აზროვნების უნივერსალური წესი.

ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის გაშლა შეიძლება მხოლოდ უზოგადესი, აბსტრაქტული განსაზღვრებებიდან კონკრეტულზე, როგორც მრავალსახოვან განსაზღვრებათა ერთიანობაზე ასვლით. საიდან უნდა დაიწყოს აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლა? რომელი ფილოსოფიური კატეგორია უნდა იყოს კატეგორიათა მარქსისტული სის-

ტემის საწყისი? საწყისი უნდა იყოს უშუალო, ლოგიკურად გამოუყენებელი. ასეთად გამოდის ყოფიერების კატეგორია, იგი არის მატერიის უშუალო განსაზღვრულობა. იგი არავითარი სხვა კატეგორიით არ არის გაშუალებული და არის უკიდურესად ზოგადი აბსტრაქცია. ამიტომაც კატეგორიათა სისტემის გაშლის პროცესში მარტივიდან კონკრეტულზე ასვლა უნდა დავიწყოთ ყოფიერების კატეგორიით. ყველა დანარჩენი კატეგორიის გამოყვანა უნდა განხორციელდეს მატერიის ყოფიერების კატეგორიის კონკრეტიზაციის პროცესში. ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის საწყისი უნდა იყოს ყოფიერების კატეგორია. აღნიშნულის საფუძველზე კატეგორიები უნდა დალაგდეს შემდეგი თანმიმდევრობით: მატერია და ცნობიერება; ცალკეული — ურთიერთკავშირი — მოძრაობა; ერთეული — განსაკუთრებული — ზოგადი; თვისებრიობა და რაოდენობა; მიზეზი და შედეგი; აუცილებლობა და შემთხვევითობა; შინაარსი და ფორმა; არსება და მოვლენა; შესაძლებლობა და სინამდვილე.

მეორე ვარიანტის მიხედვით აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის საშუალებით დიალექტიკის კატეგორიები უნდა განვალაგოთ იმ თანმიმდევრობით, როგორითაც განლაგებულია ეკონომიური კატეგორიები აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლით კ. მარქსის „კაპიტალში“.

„კაპიტალის“ ლოგიკის — აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის საფუძველზე უნდა განისაზღვროს დიალექტიკის კატეგორიების თანმიმდევრობა. „კაპიტალის“ ამოსავალი „უჯრედია“ საქონელი. იგი ერთეულია, საქონელი არის სახმარი ღირებულებისა (ერთეულისა) და ღირებულების (ზოგადის) ერთიანობა. საქონელი, როგორც მთლიანობა, წარმოგვიდგება ერთეულისა და ზოგადის დაპირისპირებულთა ერთიანობით. ზოგადი გამოდის როგორც არსებობის საფუძველი და ერთეულის მრავალსახიანობის ერთიანობა. ზოგადი არ არის ერთეულის იგივეობრივი. იგი თანდათანობით გადადის ერთეულში, ავითარებს თავისში ერთეულის ყველა თვისებას.

შემდეგ კ. მარქსი აანალიზებს ზოგადს (მრავალსახოვანი ერთეულების ერთიანობის ზოგად საფუძველს) როგორც არსს. შრომა როგორც ღირებულების არსი (სუბსტანცია) იყოფა აბსტრაქტულ შრომად და კონკრეტულ შრომად. ნებისმიერი კონკრეტული შრომა განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში ატარებს დაქირავებული შრომის ხასიათს. ამით აიხსნება არსებასა და მოვლენას შორის იგივეობა შრომის ძირეულ არსებაში (როგორც სუბსტანციაში), ეს არის კონკრეტული შრომის გადასვლა აბსტრაქტულში და პირიქით. შემდგომი ანალიზის დროს კონკრეტული შრომა (მოვლენა) გამოდის როგორც წინააღმდეგობა კერძო და საზოგადო შრომისა.

სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობაში ორი ელემენტია გაერთიანებული: კაპიტალისტი და პროლეტარი — ორი ურთიერთდაპირისპირებული ძალა, რომელთაგან ერთი ცდილობს, შეინარჩუნოს მოცემული ფორმა, ხოლო მეორე — გაანადგუროს, მოსპოს იგი. აქ წინააღმდეგობა მეღავნდება მითვისების კერძო ფორმასა და კაპიტალისტური წარმოების საზოგადოებრივ შინაარსს შორის.

აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლისას ახალი ნაბიჯი კაპიტალიზმის არსს ყოფს მიზეზად (კაპიტალი) და შედეგად (მოგება). შემდეგში „კაპიტალის" ლოგიკას თეორიული აზრი მიჰყავს კაპიტალიზმის არსის შეცნობის აუცილებლობამდე; ასეთი ლოგიკური მსჯელობის შედეგია ზედმეტი ღირებულების კანონის აღმოჩენა, ამ ლოგიკურ საფეხურზე თეორიული ანალიზი აჩვენებს, რომ ზედმეტი ღირებულების კანონი (აუცილებლობა), რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა კონკრეტულ ვითარებაზე, კაპიტალის მფლობელს უზრუნველყოფს დიდი ან მცირე მოგებით (აუცილებლობის გამოვლენის შემთხვევითი ფორმა). მაქსიმალური მოგებისაკენ სწრაფვა ააქტიურებს შემთხვევითობის ნეგატიურ დამოკიდებულებას, იგი იწყებს მოქმედებას თავისი გამეფებული ტენდენციის წინააღმდეგ და ქმნის ეკონომიური კრიზისის განვითარების შესაძლებლობას. ეს ახალი ობიექტური წინააღმდეგობა თავისი თეორიული დამუშავებისათვის მოითხოვს კაპიტალიზმის არსის ანალიზზე გადასვლას, როგორც შესაძლებლობა — სინამდვილის დადგენისა და აქედან გამომდინარე „სინამდვილისა" და „შესაძლებლობის" კატეგორიების გამოყენებისა. კატეგორიათა დიალექტიკური გაგების შედეგად მიიღწევა კაპიტალიზმის ყველაზე ძირეული არსის შემეცნება, როგორც სოციალიზმის წარმოშობის შესაძლებლობა.

„კაპიტალის" ლოგიკა — აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლა — საფუძველს იძლევა დიალექტიკის კატეგორიები დალაგდეს შემდეგი თანმიმდევრობით: 1. ერთეული, როგორც ურთიერთკავშირი ერთეულისა და ზოგადის წინააღმდეგობისა, მათი ერთიანობა გაშუალებულია განსაკუთრებულის კატეგორიით; 2. არსება და მოვლენა (როგორც სუბსტანციური წინააღმდეგობრიობა); 3. არსება, როგორც ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობა; 4. არსება, როგორც აუცილებლობისა და შემთხვევითობის წინააღმდეგობა; 6. არსება, როგორც შესაძლებლობისა და სინამდვილის წინააღმდეგობა.

განხილული ორივე ვარიანტიდან აშკარად ჩანს შემდეგი: პირველი ის, რომ ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგება პირდაპირ ემყარება „კაპიტალში" ეკონომიურ კატეგორიათა სისტემას; მეორე, ორივე ვარიანტიდან ცხადად ჩანს ისიც, რომ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა შესაბამისი სინამდვილის რეალური მსჯელობა

და კატეგორიათა ლოგიკური მსვლელობა იგივეობრივად არის მიჩნეული, ან უფრო ზუსტად — პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა განვითარების მსვლელობა გაიგივებულია მათი შესაბამისი სინამდვილის მსვლელობის განვითარებასთან; მესამე, ორივე ვარიანტი ემყარება იმ აზრს, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლისას ფილოსოფიური კატეგორიები უფრო მრავალსახეობრიობით, კონკრეტულობით ხასიათდებიან.

განხილულ და მსგავს მოსაზრებათა შესახებ უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას შემდეგი: პირველი, ყველა მეცნიერებას აქვს თავისი საკუთარი კატეგორიები; თითოეული მათგანის სპეციფიკურობა იმაშია, რომ ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისაგან როგორც თავიანთი ფუნქციით, ასევე სინამდვილის იმ მხარეებით, რომლებსაც ისინი გამოთქვამენ; მეორე, ყოველი მეცნიერების კატეგორიათა სისტემები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. რაც შეეხება პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებს, ისინი განსხვავებული არიან ყველა სხვა მეცნიერების კატეგორიისაგან, როგორც თავიანთი ფუნქციით, სინამდვილის იმ მხარის გამოთქმით, რომელსაც ისინი გამოთქვამენ, და კატეგორიათა სისტემითაც. საქონლის, ღირებულების, ფულის, კაპიტალის, ზედმეტი ღირებულებისა თუ სხვა ეკონომიური კატეგორიები ასახავენ საზოგადოების მხოლოდ წარმოებითს ურთიერთობათა მხარეებს, ამ კატეგორიათა სისტემაც სინამდვილის მხოლოდ წარმოებითს ურთიერთობათა მხარით არის განპირობებული. სინამდვილის ეს მხარე და მათი ამსახველი ეკონომიური კატეგორიები სრულიად არ არის ისეთი, როგორც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა შესაბამისი მხარეები და მათი ამსახველი უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში ასახული სინამდვილის უზოგადესი მხარეები მუდმივი და მარადიულია; არცერთი უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის შესაბამისი სინამდვილის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული ხასიათისაა, გარკვეულ დროსაა წარმოშობილი და გარკვეული დროის შემდეგ მოისპობა. ამიტომაც აქ გამორიცხულია ისტორიულობის პრინციპი. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ამავე პრინციპით მივუდგეთ საერთოდ ეკონომიური კატეგორიების შესაბამის სინამდვილეს და მით უმეტეს კაპიტალისტური საზოგადოების ერთი პერიოდის — სამრეწველო კაპიტალიზმის ეკონომიურ კატეგორიათა შესაბამის სინამდვილეს და თვით მათ ამსახველ ეკონომიურ კატეგორიებსაც. ეკონომიური კატეგორიები და მათი შესაბამისი სინამდვილე არ არის მუდმივი: ისინი იცვლებიან ეკონომიურ ურთიერთობათა ცვალებადობის შესაბამისად. ამიტომაც ეკონომიური კატეგორიებისა და მათი შესაბამისი სინამდვილის მიმართ გამორიცხულია მტკიცება მუდმივობისა, მარადიუ-

ლობისა, ვინაიდან იგი ექვემდებარება ისტორიულობის პრინციპს. მაგალითად, ისტორიულად ჯერ იყო საქონელი, მერე ფული, შემდეგ კაპიტალი, ზედმეტი ღირებულება და ა. შ. კ. მარქსის თქმით, პოლიტიკური ეკონომიის „კატეგორიები ისევე ნაკლებად მარადიულია, როგორც ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი გამოსახავენ, ისინი ისტორიულ და გარდამავალ პროდუქტს წარმოადგენენ“, ყოველივე ამ არსებითი განსხვავებულობისა გამო პოლიტიკური ეკონომიის თუ სხვა კონკრეტულ მეცნიერებათა კატეგორიათა სისტემის აგების წესი სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპი.

აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის წესით კ. მარქსის მიერ მოცემული ეკონომიურ კატეგორიათა სისტემა არის კაპიტალისტური საზოგადოების ერთი პერიოდის — სამრეწველო კაპიტალიზმის — პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა სისტემა და არა საერთოდ ეკონომიურ კატეგორიათა სისტემა, ამიტომაც იგი მისაღებია არა საერთოდ ეკონომიურ კატეგორიათა სისტემის ასაგებად, არამედ იგი სრულყოფილია ეკონომიურ კატეგორიათა ერთი ნაწილის მიმართ. კ. მარქსის მიერ მოცემული ეკონომიურ კატეგორიათა სისტემა არ არის ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემა. ყოველივე ამისა გამო აღნიშნული ეკონომიურ კატეგორიათა სისტემა შეუძლებელია მიღებული იქნეს, როგორც თარგი ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის ასაგებად.

მეორე, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის წესით ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში მისი აგებისას გადაუწყვეტელია პრინციპული საკითხი, სახელდობრ, რომელი ფილოსოფიური კატეგორიაა ყველაზე აბსტრაქტული და რომელი ყველაზე კონკრეტული, მრავალსახიანობის მქონე. აღნიშნული პრინციპით კატეგორიათა სისტემის აგებამ უპირველეს ყოვლისა ის უნდა აჩვენოს, თუ რომელია ყველაზე აბსტრაქტული და რომელი ყველაზე კონკრეტული კატეგორია. კ. მარქსმა სწორედ ეს აჩვენა ეკონომიურ კატეგორიათა სისტემაში. მაგრამ აღნიშნული წესით ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგებისას პრინციპულად გამორიცხულია იმის ჩვენება, თუ რომელი კატეგორიაა ყველაზე აბსტრაქტული და რომელი ყველაზე მრავალსახიანი, კონკრეტული, ასეთი რამ პრინციპულად გამორიცხულია უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში, ვინაიდან არ არსებობს ყველაზე აბსტრაქტული და ყველაზე კონკრეტული ფილოსოფიური კატეგორიები. ყველა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია შემეცნების განვითარების გარკვეულ დონეზე ერთნაირად არის კონკრეტული.

სულ სხვაა ის ფაქტი, რომ ჰეგელმა კატეგორიები დაალაგა აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლით. აღნიშნული წესით ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგებას ჰეგელი ამართლებს ორი გარემოებით: ერთი, ფილოსოფიის ისტორიით; მისი თქმით, „მსგავსად იმისა, როგორც ლოგიკური იდეის განვითარება მჟღავნდება აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ წინსვლის სახით, ასევე ფილოსოფიის ისტორიაშიც ყველაზე უფრო ადრინდელი სისტემები ყველაზე უფრო აბსტრაქტული და ამიტომ ყველაზე უფრო ღარიბია. ხოლო ადრინდელი სისტემების დამოკიდებულება გვიანდელ ფილოსოფიურ სისტემებთან საერთოდ ისეთივეა როგორც ლოგიკური იდეის ადრინდელ საფეხურთა დამოკიდებულება გვიანდელ საფეხურებთან, სახელდობრ ის იმგვარია, რომ გვიანდელნი ადრინდელთ მოხსნილი სახით შეიცავენ... ლოგიკის დასაწყისი იგივეა, რაც ფილოსოფიის ისტორიის დასაწყისი ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით". მეორე, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლა გამართლებულია აბსოლუტური იდეის, ვონის თვითმოძრაობის საფუძველზე საკუთარი თავის შემეცნებით, რომელიც იწყება აბსტრაქტულით და ხანგრძლივი მსვლელობის შემდეგ აღწევს უმაღლეს კონკრეტულობას. ყველაზე კონკრეტულია არა რამდენიმე ფილოსოფიური კატეგორია, არამედ მხოლოდ გონი, „აბსოლუტურად ყველაზე კონკრეტული არის გონი". ყოველივე ასეთი რამ მიუღებელია დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიათა სისტემისათვის. მიუღებელია იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ლოგიკური და რეალური გაიგივებულია და მეორე, ლოგიკური განიცდის განვითარებას, რის გამოც საწყისი არის აბსტრაქტული, უშინაარსო, განსაზღვრულობას მოკლებული კატეგორია, ამიტომაც ყველა ის თვალსაზრისი, რომელიც ამტკიცებს — ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში საწყისი კატეგორია უნდა იყოს აბსტრაქტული, უშინაარსო — ჰეგელის კატეგორიათა სისტემის უარყოფითი მხარის გავლენის ქვეშ არის მოქცეული: წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია კატეგორიათა სისტემაში საწყისი კატეგორია იყოს აბსტრაქტული და უშინაარსო.

მესამე, მტკიცება იმისა, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის წესით კატეგორიათა სისტემის აგებისას ამოსავალი საწყისი ცნება უნდა იყოს უმარტივესი აბსტრაქტული, ყველაზე მასიური, ისტორიულად პირველი (ე. ი. განვითარებული მთელის საწყისი), რომელიც თავისში მოიცავს საკვლევი საგნის ყველა წინააღმდეგობათა ჩანასახს, ყოვლად შეუძლებელია იყოს ცნება, კატეგორია. საქმე ის არის, რომ კატეგორიათა სისტემის ამოსავალი საწყისი უნდა იყოს ცნება, კატეგორია და არა სხვა რაიმე. მაგრამ ნუთუ არის საძმე ისეთი ცნება, კატეგორია, რომელიც არა თუ ამოსავალი საწყისია, არა-

მედ შემეცნების ხანგრძლივი განვითარებით არის დადგენილი და ხასიათდება ზემოჩამოთვლილი ნიშნებით? არა, ნამდვილად არა! შეუძლებელია კატეგორია (ცნება) ისტორიულად პირველი განვითარებული მთელის საწყისი იყოს და იმავე დროს თავის თავში მოიცავდეს საკვლევი საგნის ყველა წინააღმდეგობათა ჩანასახს. ასეთი რამ შესაძლებელია და არის კიდევაც თვით რომელიმე ცნების, კატეგორიის შესაბამისი საგანი, მაგრამ არა თვით ამ საგნის შესახებ ცნება. მაგრამ კიდევ უფრო შეუძლებელია, თუ კატეგორიათა სისტემის აგების ამოსავალი საწყისი ცნების, კატეგორიის შესახებ ვიტყვით, რომ იგი ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე მიმართებაში არის უმარტივესი აბსტრაქტული, ისტორიულად პირველი, ე. ი. განვითარებული მთელის საწყისი და საკვლევი საგნის ყველა წინააღმდეგობის ჩანასახის მომცველი; ასეთი რამ იქნება წინააღმდეგობრივი ცნება. დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ არ არსებობს არცერთი ისეთი ცნება, კატეგორია, რომელიც ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართებაში ხასიათდებოდეს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებით. აღნიშნული ნიშნებისა და შეიძლება სხვისიც მქონეა რეალურად არსებული საგანი, ცნების, კატეგორიის შესაბამისი ობიექტი, მაგრამ შეიძლება კი კატეგორიათა, როგორც ცნებათა, სისტემის ამოსავალ საწყისად საგანი მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არა. კატეგორიათა სისტემის ამოსავალი საწყისი ცნება, კატეგორია უნდა იყოს და არა საგანი. მაშასადამე, ყველა ის ნიშანი, რომელიც კატეგორიაზე, როგორც ცნებაზეა, მიწერილი, სინამდვილეში მიეწერება არა ამოსავალ საწყის კატეგორიას, არამედ საგანს და ამიტომაც მთელი მტკიცება გამოდის აზრს მოკლებული.

თუ ყველაფერი ეს ნამდვილად ასეა, მაშინ სრულიად სამართლიანად შეიძლება დაისვას კითხვა: როგორ არის ყველაფერი ეს შესაძლებელი და გაკეთებული ჰეგელთან? ამაზე მოკლედ ვუპასუხებდით ასე: ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ კატეგორიათა სისტემის ამოსავალი საწყისი ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე მიმართებაში არის ყველაზე უფრო ღარიბი, ყველაზე უფრო აბსტრაქტული, ყველაზე მარტივი, ისტორიულად პირველი და ამავე დროს არა თუ ყველა წინააღმდეგობის ჩანასახის მომცველი, არამედ მთელი სინამდვილის ჩანასახის შემცველიც. მაგრამ ყოველივე ეს ობიექტური იდეალიზმის საფუძველზე ჰეგელთან შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ლოგიკური და რეალური აბსოლუტურად იგივეობრივია. ამიტომაც ამბობს ჰეგელი, რომ არსი არის ცნება თავისთავად: წმიხდა არსი საწყისია, რადგან იგი წმინდა აზრიც არის.

მეოთხე, „კაპიტალში“ მოცემული ეკონომიურ კატეგორიათა სისტემა, როგორც კერძო მეცნიერების კატეგორიათა სისტემა, ვერ გა-

მოდგება უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის ასაგებ სქემად. მრავალ გარემოებათა შორის უპირველესად იმისა გამო, რომ ეკონომიური კატეგორიები, რომლებიც ემყარებიან მათ შესაბამის სინამდვილეს, გარკვეულ დროში არიან წარმოშობილნი მაშინ, როცა იგივეს მტკიცება უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა შესაბამისი სინამდვილის მიმართ სრულიად გამორიცხულია. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების შესაბამისი სინამდვილე ისტორიულობის პრინციპს არ ექვემდებარება, ისინი არ არიან სხვადასხვა დროსა და ეპოქებში წარმოშობილნი. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა შესაბამისი სინამდვილე ისევე მარადიულია, როგორც მატერია და მისი არსებობის ფორმები (აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ცნობიერება). თუ იმას ვიტყვით, რომ ისტორიულობის პრინციპი შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ მიმართებით, როგორი თანმიმდევრულობითაც არიან სინამდვილის უზოგადესი მხარეები შეცნობილი და დადგენილი მათ შესაბამის ფილოსოფიურ კატეგორიებში, ეს მეტად სუბიექტური იქნება. ეს თანმიმდევრობა უპირველეს ყოვლისა უნდა გაირკვეს ფილოსოფიის ისტორიით, მაგრამ მასში არავითარი იმის მაჩვენებელი ნიშანი არ არის, რომ კატეგორიები აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის წესით დალაგდეს და მის შესაბამისად აიგოს ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემა.

ყოველივე ზემოთ თქმული იმაზე მიუთითებს, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების შესაბამისი უზოგადესი მხარეები სხვაგვარი ხასიათისაა, ვიდრე ეკონომიური კატეგორიების შესაბამისი სინამდვილე: საქონელი, ღირებულება, ფული, კაპიტალი, ზედმეტი ღირებულება და ა. შ., რომლებიც გარკვეულ ისტორიულ პირობებში არიან წარმოშობილი. ამიტომაც ისინი ექვემდებარებიან ისტორიულობის პრინციპს. კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიური კატეგორიები ისევე ნაკლებად მარადიულია, როგორც ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი გამოსახავენ. ისინი ისტორიული და გარდამავალი არიან. ყოველივე ამის გამო „კაპიტალში" გადმოცემული ეკონომიური კატეგორიების სისტემა ვერ იქნება თარგი უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემისათვის.

რაც შეეხება კ. მარქსის მიერ ეკონომიურ კატეგორიათა სისტემის გადმოცემას აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის წესით, იგი შეესაბამება საზოგადოებაში წარმოებით ურთიერთობათა განვითარებას უფრო მარტივიდან უფრო რთულისაკენ. ამასთან დაკავშირებით ფ. ენგელსი კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" დაწერილ რეცენზიაში წერდა, რომ ეკონომიური კატეგორიები შეიძლება გადმოცემული ყოფილიყო ორი წესით: ისტორიულით და ლოგიკურით. ისტორიაში განვითარება საერთოდ და მთლიანად ისე მიმ-

დინარეობს, რომ ადგილი აქვს უფრო მარტივიდან უფრო რთულ ურთიერთობაზე გადასვლას; ეკონომიური კატეგორიებიც ამასთან ერთად და მთლიანად ისეთივე თანმიმდევრობით ვლინდება, როგორც ლოგიკურ განვითარებაში. ისტორიულ წესს, ერთი შეხედვით, მეტი სიცხადის უპირატესობა აქვს, რადგან აქ მსჯელობა კვალდაკვალ მიჰყვება ნამდვილ განვითარებას; მაგრამ, აღნიშნავს ფ. ენგელსი, კ. მარქსი გაჰყვა ლოგიკურ წესს. განხილვის ლოგიკური წესი ერთადერთი მართებული იყო. მაგრამ არსებითად ეს წესი სხვა არაფერია, თუ არა იგივე ისტორიული წესი, მხოლოდ გადმოცემის სიმწყობრის დამრღვევი შემთხვევითობებისაგან განთავისუფლებული. ამიტომაც ლოგიკურმა იქიდან უნდა დაიწყოს, საიდანაც ისტორია იწყებს, და მისი (ლოგიკურის) შემდგომი განვითარება სხვა არაფერი იქნება, თუ არა ისტორიული პროცესის ასახვა აბსტრაქტული და თეორიულად თანმიმდევრული ფორმით. მაშასადამე, იმისა გამო, რომ ეკონომიური კატეგორიების შესაბამისი სინამდვილე და თვით ეკონომიური კატეგორიები ისტორიული ხასიათისაა, ხოლო ასეთი ბუნების არ არიან სინამდვილის უზოგადესი მხარეები, რომლებიც ასახული არიან უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში, ამიტომაც ამ უკანასკნელის კატეგორიათა სისტემის ასაგებად აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის წესიც გამოუსადეგარია.

მეხუთე. არც ის მტკიცებაა მართებული, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის წესით ვადგენთ ისეთ კონკრეტულ ცნებას, კატეგორიას, რომელიც თავისში მოიცავს მათი შესაბამისი სინამდვილის, საგნის ყველა მხარეს. ასეთი ცნება, კატეგორია ნამდვილად არ არსებობს. აღნიშნულ თვალსაზრისში იგივეობრივი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი სინამდვილის გარკვეული მხარის, საგნის შესახებ „ცნება" — „კატეგორია" და „ცოდნა". ისინი უდავოდ განსხვავებული შინაარსის ცნებებია. მათი გაიგივება ყოვლად შეუძლებელია და, თუ გავთვალისწინებთ, მაშინ შეცდომას დავუშვებთ. მცდარი იქნება დაშვება იმისა, რომ იგივეობრივია: ბუნების შესახებ ცოდნა და ბუნების შესახებ ცნება; საზოგადოების შესახებ ცოდნა და საზოგადოების შესახებ ცნება; ატომის შესახებ ცოდნა და ატომის შესახებ ცნება. არც ბუნების, არც საზოგადოების, არც ატომის ცნებაში არ შემოდის და არც შეიძლება შემოდიოდეს ყველა ამ ნიშნის ცოდნა, რომლებიც ბუნების, საზოგადოების, ატომის შესახებ არსებობს. აქედან დასკვნა — საგნის შესახებ ცოდნა და იმავე საგნის შესახებ ცნება არ არის იგივეობრივი არც შინაარსობრივად და არც მოცულობით. საგნის შესახებ ცოდნა უფრო მდიდარია, მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ საგნის ცნება. საგნის შესახებ არსებულ ცოდნას, როგორც სისტემას, მოეთხოვება საგნის ყოველმხრივი განხილვა, საგნის შესახებ სრულყო-

ფილი ცოდნა. ცოდნაში ასახული უნდა იყოს საგნის ყველა მხარე, კავშირი, მიმართება, თვისება, სადაც საგანი განხილული იქნება მის განვითარებაში, ცვლილებაში და ა. შ. ამას კი ვერ მოვთხოვთ ცნებას, კატეგორიას. საგნის შესახებ ცოდნამ მთლიანობაში ნამდვილად უნდა აჩვენოს საგნის შეცნობილი თვისებების, მხარეების, მიმართებების კავშირები, მათი ცვლილება და განვითარება. ამ ყოველმხრივობის ჩვენების გარეშე საგნის შესახებ ცოდნა არ იქნება სრულყოფილი. მაგრამ იმას, რასაც საგნის შესახებ ცოდნას მის მთლიანობაში, როგორც საგნის შესახებ ცოდნის გარკვეულ სისტემას, მოვიხოვდით, ვერ გადმოვიტანთ ამ საგნის ცნების მიმართ. ამიტომაც არ არის მართებული ის მოსაზრება, თითქოს ცნებამ, კატეგორიამ უნდა აჩვენოს საგნის, სინამდვილის გარკვეული მხარის ყველა თვისება, მიმართება, ცვლილება — განვითარება მის მთლიანობაში. საგნის, სინამდვილის გარკვეული მხარის ყველა თვისების, მიმართების მაჩვენებელი ცნება, კატეგორია ნამდვილად არ არსებობს. არცერთ ცნებას, კატეგორიას ცალკე აღებულს არასდროს არ შეუძლია მათი შესაბამისი საგნის, სინამდვილის ყველა თვისების, მიმართების ჩვენება. უფრო ზუსტად, ცნებას, კატეგორიას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, არასდროს არ შეუძლია საგნის, სინამდვილის გარკვეული მხარის ყველა თვისება, მიმართება, მისი მთელი განვითარება და ცვლილება ყოველმხრივ ასახოს. ამიტომაც მტკიცება: კონკრეტული ცნება — კატეგორია თავისში მოიცავს მათი შესაბამისი სინამდვილის, საგნის ყველა მხარეს, სინამდვილეს არ შეესაბამება.

§ 16. კატეგორიათა გარკვეული ჯგუფის სისტემის აგების საკითხი ლოგიკური პრინციპის — უსასრულო დასკვნის — საფუძველზე

ლოგიკური პრინციპის საფუძველზე კატეგორიათა გარკვეული ჯგუფის, კერძოდ ლოგიკურის კატეგორიების, აგების ცდა ყოველმხრივ დასაბუთებული სახით მოცემულია პროფ. ს. წერეთლის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში. მან საკაცობრიო აზროვნების დონეზე აიყვანა ლოგიკურის დიალექტიკური ბუნების კვლევა, რითაც უდიდესი წვლილი შეიტანა კატეგორიათა პრობლემატიკის დამუშავებაში. ჩვენ ავტორისეული მოსაზრება გასაანალიზებლად ავიღეთ, როგორც ერთ-ერთი სპეციალური თვალსაზრისი კატეგორიათა გარკვეული ჯგუფის ლოგიკურ პრინციპზე აგებისა, რომელიც პირველია საბჭოურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

ლოგიკაში უსასრულო დასკვნის ცნებას ადრეც ეხებოდნენ ფილოსოფოსი მეცნიერნი, მაგრამ ს. წერეთელმა იგი სპეციალური

კვლევის საგნად გაიხადა. მისი შრომებიდან უსასრულო დასკვნის პრობლემა ყველაზე სრულყოფილად წარმოდგენილია მონოგრაფიებში „დასაბუთების საწყისი“ (1963) და „დიალექტიკური ლოგიკა“ (1965). დასახელებული შრომებიდან უსასრულო დასკვნის საკითხს შევეხებით მხოლოდ ლოგიკური კატეგორიათა სისტემის აგების თვალსაზრისით და არა საერთოდ უსასრულო დასკვნის ბუნებას.

მკვლევარი თავის გამოკვლევებში ხშირად მიუთითებს ზოგადი დებულების სახით, რომ დიალექტიკური ლოგიკა პირველ რიგში არის კატეგორიების ლოგიკა. „დიალექტიკური ლოგიკა ლოგიკური კატეგორიების სისტემას წარმოადგენს. კატეგორიებს და მათ კავშირებს ლოგიკაში ყველაფერი ექვემდებარება... დიალექტიკური ლოგიკა არის გარკვეული კატეგორიების სისტემა, რომელიც ლოგიკის მთელ შინაარსს მოიცავს. დიალექტიკური ლოგიკა არის კატეგორიების და მასზე დაქვემდებარებულის შესახებ მეცნიერება. კატეგორიების და მათი ლოგიკური კავშირების შემოტანით ლოგიკა განვითარდა და გადაიქცა დიალექტიკურ ლოგიკად... დიალექტიკური ლოგიკა, როგორც კატეგორიების ლოგიკა, არის ისეთი ლოგიკა, რომელშიც ერთი და იგივეა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია (გნოსეოლოგია)“.

დიალექტიკური ლოგიკის ასეთი დახასიათება უპირველეს ყოვლისა იმას უსვამს ხაზს, რომ იგი არის მეცნიერება საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიებზეც. ამაზე მიუთითებს შემდეგი გამოთქმაც: „შეცდომას დაუშვებს ის, ვინც იტყვის, რომ ფილოსოფიური კატეგორიების დიალექტიკური სისტემა შესაძლებელია თითქოს მხოლოდ იდეალისტურ დიალექტიკაში. თუ კი იდეალისტურ, არამეცნიერულ და მისტიკურ საფუძველზე ოდნავ მაინც მოხერხდა კატეგორიების დიალექტიკური სისტემის გამართლება, მით უფრო შესაძლებელი იქნება ასეთი სისტემის შექმნა მეცნიერულ, მატერიალისტურ საფუძველზე... ფილოსოფიური ლოგიკური კატეგორიები არსებობენ, ისინი არ შეიძლება ერთიმეორეს ლოგიკურად არ უკავშირდებოდნენ... საჭიროა ამ კავშირ-სისტემის ჩვენება, რაც, ცხადია, მეცნიერულ, მატერიალისტურ საფუძველზე უფრო იქნება შესაძლებელი, ვიდრე იდეალისტურ საფუძველზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჰეგელის „ლოგიკაში“, სადაც კატეგორიების ლოგიკური კავშირი, ჩვენი აზრით, ფაქტიურად, სწორედ უსასრულო დასკვნის ფორმით იყო განხორციელებული, თუმცა ეს დასკვნები ჰეგელს თვითონ არ გამოუკვლევია და მხედველობის გარეშე დარჩა“. თითქმის ამასვე ამბობს ს. წერეთელი უსასრულო დასკვნის შესახებაც: „უსასრულო დასკვნის სფერო, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიების სფეროა. კატეგორიები კი ყოველ აზრში მოქმედებს და მასში ყველაფერს იქვემდებარებს, განსაზ-

ღვრავს". ეს აზრი უფრო სრულყოფილად გამოთქმულია ასეც: „უსასრულო დასკვნა სრულად კატეგორიებში, კატეგორიალურ სფეროში ხორციელდება. უსასრულო დასკვნა თვითონ არის უძირითადესი ლოგიკური კატეგორია. უსასრულო დასკვნები კატეგორიების სისტემაში უკავშირდებიან ერთიმეორეს და თვითონ კატეგორიათა კავშირი ამ დასკვნის სახით და საშუალებით სრულდება".

ყოველივე ზემოაღნიშნული ავტორს უფლებას აძლევს, თქვას, რომ „დიალექტიკური ლოგიკა არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა". ხოლო „უსასრულო დასკვნაში განხორციელებული წესები საფუძვლად უდევს ყოველგვარ ლოგიკურ კავშირს. კატეგორიები ლოგიკურად უკავშირდება ერთიმეორეს უსასრულო დასკვნის ფორმით ან მისი რომელიმე წესით". „უსასრულო დასკვნის სფერო, უპირველეს ყოვლისა, არის კატეგორიულის სფერო, კატეგორიებისა და მათი კავშირების სფერო. კატეგორიები კი ერთიმეორეს უკავშირდებიან სწორედ უსასრულო დასკვნის ფორმით, ამით იქმნება სისტემა". მკვლევრის მიერ დიალექტიკური ლოგიკისა და უსასრულო დასკვნის ასეთი დახასიათება თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ მისი „დიალექტიკური ლოგიკის" მიზანია საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიათა სისტემის აგება და ეს სისტემა უსასრულო დასკვნის საფუძველზე უნდა განხორციელდეს, მაგრამ სინამდვილეში, ეს არ არის ასე. ს. წერეთელი თავის არცერთ გამოკვლევაში მიზნად არ ისახავს საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიათა კვლევას და არც მათი სისტემის აგებას. მისი კვლევის ობიექტია მხოლოდ ლოგიკურის კატეგორიები და არა საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიები.

ს. წერეთლის გამოკვლევებში გარკვეულია, რომ უსასრულო დასკვნა საერთოდ ყველა ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის საფუძვლად კი არ გამოდგება, არამედ ზოგიერთისათვისაა აუცილებელი. ეს აზრი ცხადყოფილია მაშინ, როცა ავტორი ერთიმეორისაგან განასხვავებს ლოგიკურ და ლოგიკურის კატეგორიებს. ამ განსხვავებულობის ანალიზის დროს ს. წერეთელი იმ აზრს იცავს, რომ უსასრულო დასკვნა ლოგიკურის კატეგორიების სისტემის აგების საფუძველია. „ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ, — წერს ავტორი, — ლოგიკური და ლოგიკურის კატეგორია. ლოგიკური კატეგორიაა ისეთი კატეგორია, რომლის უარყოფა არის სხვა კატეგორია; უკეთ: რომლის უარყოფა გვაძლევს სხვას. სხვა კატეგორიის აუცილებლობას. მაგალითად, რაოდენობის კატეგორია არის ლოგიკური კატეგორია. რადგან რაოდენობის უარყოფა აღარაა რაოდენობა; შემთხვევითობის უარყოფა აღარაა შემთხვევითობა, არამედ — სხვა და სხვა. ლოგიკურის კატეგორია კი არის ისეთი კატეგორია, რომლის უარყოფა მასვე ადგენს. ლოგი-

კურის კატეგორიის უარყოფა შეუძლებელია იმ აზრით, რომ ლოგიკურის კატეგორიის უარყოფისას მასვე მოვიხმართ აუცილებლობით. მაგალითად, იგივეობის, უარყოფის, კერძოს, ზოგადის, მსჯელობის და სხვა კატეგორიები ლოგიკურის კატეგორიებია".

აქ გარკვევითაა ნაჩვენები აღნიშნულ კატეგორიათა განსხვავებული ბუნება, სახელდობრ, საერთოდ ფილოსოფიური კატეგორია არ არის ლოგიკურის კატეგორია. მართალია, საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიები ლოგიკურია და ამდენად ლოგიკურის კატეგორიებიც ლოგიკურია, მაგრამ არსებითი განსხვავება მათ შორის ის არის. რომ ლოგიკური კატეგორიის უარყოფა არის სხვა კატეგორია; ხოლო ლოგიკურის კატეგორია არის ისეთი კატეგორია, რომლის უარყოფა მასვე ადგენს (ს. წერეთლის მოძღვრებაში ეს პრინციპული განსხვავებულობა ლოგიკურ და ლოგიკურის კატეგორიებს შორის ზოგიერთი მკვლევარის მიერ იგნორირებულია, რაც გაუგებრობის საფუძველი ხდება; ამაზე ქვემოთ). ლოგიკურის კატეგორიების ძირითადი ნაწილი ერთსა და იმავე დროს არსის (ონტოლოგიის) კატეგორიებიცაა და ლოგიკურის კატეგორიებიც. ასეთია: იგივეობა და განსხვავება, წინააღმდეგობა, ერთიანობა, წინააღმდეგობა და ერთიანობა, არსი და არაარსი ლოგიკურში, კერძო და ზოგადი, არსება და მოვლენა ლოგიკურში, ფორმა და შინაარსი, აუცილებლობა, სასრული და უსასრულო. ეს კატეგორიები, როგორც აღვნიშნეთ. ავტორის აზრით, არიან როგორც ლოგიკური, ასევე ლოგიკურის კატეგორიებიც და მოქმედებენ როგორც ონტოლოგიის, ასევე გნოსეოლოგიის სფეროშიც. მაგრამ ეს მოქმედება ლოგიკურის სფეროში სპეციფიკური ბუნებისაა. გარდა აღნიშნულისა, არსებობს ისეთი კატეგორიებიც, რომლებიც მხოლოდ ლოგიკურში მოქმედებენ. მაგალითად, კატეგორია, ცნება, მსჯელობა, დასკვნა და სხვ. ესენიც ლოგიკურის კატეგორიებია. ზემოთ ჩამოთვლილი ლოგიკურის ყველა კატეგორია ლოგიკაში მხოლოდ კი არ მოიხმარება, არამედ ლოგიკა, პირველ რიგში, მათ შესახებ მოძღვრებას წარმოადგენს. ლოგიკაში უნდა გაირკვეს ლოგიკურის კატეგორიების ბუნება.

ლოგიკურის კატეგორიები სრული ლოგიკურის სახით წარმოდგება უსასრულო დასკვნაში, სადაც რაიმეს უარყოფა მისივე დადგენაა. ლოგიკურის კატეგორია არის ის კატეგორია, რომლის უარყოფა შეუძლებელია და რომლის უარყოფა მასვე მოიხმარს და ადგენს. ეს კი უსასრულო დასკვნაშია სრული სახით განხორციელებული. სწორედ უსასრულო დასკვნა უდევს საფუძვლად ლოგიკურის კატეგორიებს. იგი „არის მყარი კრიტერიუმი ლოგიკურის არსებობის ფორმების დასადგენად". უსასრულო დასკვნა არის ლოგიკურის კატეგორიათა სისტემის აგების საფუძველი.

საკითხის ასე დაყენებასთან დაკავშირებით საკითხავია — უსასრულო დასკვნა ამართლებს თუ არა იმას, რომ იგი იყოს ლოგიკურის კატეგორიათა სისტემის აგების საფუძველი და კრიტერიუმიც იმისა, თუ რომელი კატეგორია შეიძლება „მუშაობდეს“ აზრის არსებობის ფორმად. უსასრულო დასკვნამ აღნიშნული მოთხოვნები რომ გაამართლოს, ამისათვის პირველ რიგში თვითონ იგი უნდა იყოს თავისი თავის გამმართლებელი. სინამდვილეში კი უსასრულო დასკვნა თავის თავს ვერ ამართლებს და აქედან გამომდინარე იგი ვერც იმას აგვიხსნის, თუ რომელი კატეგორია შეიძლება „მუშაობდეს“ აზრის არსებობის ფორმად, და ვერც ლოგიკურის კატეგორიის სისტემის აგების საფუძვლად გამოდგება; უსასრულო დასკვნა ვერ ამართლებს თავისი თავის მოთხოვნას. იგი ლოგიკურის კატეგორიის სფეროში ნამდვილად არ არის ზოგადი ბუნების, ამიტომაც ლოგიკურის კატეგორიის სისტემის ასაგებად, ლოგიკურის ასახსნელად, მის კრიტერიუმად ვერ გამოდგება.

ყოველივე ეს რომ ნათელი გახდეს, საჭიროა უსასრულო დასკვნის ბუნების დახასიათება. არსებობს უსასრულო ლოგიკური, რომელშიც ხორციელდება ლოგიკურის კატეგორიის აზრი — სრული ლოგიკური გაშუალება. სრული გაშუალება, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა, ლოგიკურში არის „თუ — მაშინ“-ის გამართლება თვითდადგენაში. სრული ლოგიკური გაშუალება არის სრული სინთეზურობა, შინაარსეული ზოგადობის სრული განხორციელება, შინაგანი უარყოფით — შინაგანი წინააღმდეგობით თვითდადგენა. სრული გაშუალება გვაქვს მაშინ, როცა სრულდება რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. ასეთი გაშუალება შესაძლებელი და აუცილებელია. დადგენა და უარყოფა საპირისპირო მსჯელობებია; მათი ერთიანობა კი არის უსასრულო დასკვნა. ეს არის დადგენა — უარყოფის ერთიანობა, როცა რაიმეს უარყოფა მასვე ადგენს. ამას ადასტურებს ლოგიკურის კატეგორიის არსებობა. უსასრულო დასკვნა რეფლექსურია, მასში ადგილი აქვს შინაგანი უარყოფით ერთიანობას, როგორც ზოგადობის დადგენას. აქ ხორციელდება რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, რაც ლოგიკურ უსასრულობას წარმოადგენს. უსასრულო ლოგიკური არის უსასრულო დასკვნა. რაიმეს დადგენა მასში არსებული შინაგანი უარყოფით, ე. ი. რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით არის უსასრულო დასკვნა. უსასრულო დასკვნა არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის ლოგიკა, რომელიც ამხსნელია ყოველგვარი ლოგიკურის. უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური ფორმების ძირი. უსასრულო დასკვნა სრული რეფლექსურობაა, ის არის თვითდადგენა, თვითსაფუძველი და თვითშედეგი. უსასრულო დასკვნაში განხორციელებულია ლოგიკურის კატეგორიის აზრი. ლოგიკურის კატეგორია არის ის კატეგორია, რომ-

ლის უარყოფა შეუძლებელია და რომლის უარყოფა მასვე მოიხმარს და ადგენს.

რამდენი ლოგიკურის კატეგორიაც არსებობს, იმდენი უსასრულო დასკვნა ხორციელდება. ყველა უსასრულო დასკვნა არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, მაგრამ იგი (უსასრულო დასკვნა) ორი სახის მქონეა: 1. უსასრულო დასკვნა, რომელიც გამოხატავს დაპირისპირებულ მსჯელობათა სრულ ერთიანობას, ანუ უსასრულო დასკვნა, რომელიც ორი საპირისპირო მსჯელობის — ორი სრული სასრული ლოგიკურის ერთიანობა და ლოგიკური კავშირის რვამხრივობაა. 2. უსასრულო დასკვნა, რომელიც არ არის არც დაპირისპირებულ მსჯელობათა სრული ერთიანობა და არც ლოგიკურის კავშირის რვამხრივობა.

უსასრულო დასკვნა, რომელიც ლოგიკური კავშირის რვამხრივობის საფუძველია, შემდეგი სახისაა. რვა ერთმხრივობა შეადგენს ერთ დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობას, „დაპირისპირებულთა სრულ ერთიანობას". მაგალითად, კერძოსა და ზოგადის, სასრულისა და უსასრულოს კავშირები დაპირისპირებულთა სრული ერთიანობის ბუნების კავშირებია. თითოეული ასეთი კავშირის რვა მხარე რვა მსჯელობით, ანუ რვა პირობითი დებულებით გამოითქმება, სახელდობრ „თუ — მაშინ"-ით. მაგალითად, კერძოსა და ზოგადის ურთიერთობას სისრულით რვა დაპირისპირებული პირობითი მსჯელობა გამოთქვამს:

1. თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი
2. თუ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო
3. თუ არ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი
4. თუ არ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო
5. თუ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი
6. თუ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო
7. თუ არ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი
8. თუ არ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო

აქ, ავტორის აზრით, არის დაპირისპირებულთა აუცილებლობა. ერთისათვის აუცილებელია მეორე; თუ კერძო არის, მაშინ ის გამორიცხავს ზოგადს და თუ ზოგადია, მაშინ ის გამორიცხავს კერძოს; თუ ერთი არ არის, მაშინ არ არის მეორე, რადგან ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ. ამიტომ ეს დამოკიდებულებები დაპირისპირებულთა სრულ ერთიანობას შეადგენენ. აქ ადგილი აქვს შინაგანი უარყოფით ერთიანობის, როგორც ზოგადობის, დადგენას. აქ არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, რაც ლოგიკური უსასრულობაა. რვამხრივობის ერთიანობა ანუ ორ საპირისპიროთა ერთიანობა არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა და პირიქით. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის ლოგიკურის კატეგორიის აზრის ლოგიკური გამართლება.

ლოგიკური კავშირის რვამხრივობის საფუძვლად ძევს უსასრულო დასკვნა.

კერძოსა და ზოგადის ურთიერთობა, რომელიც რვა დაპირისპირებული პირობითი მსჯელობითაა გამოთქმული, ცალცალკე აღებული, ერთმხრიობა, ცალმხრივობაა. მხოლოდ მათი ერთიანობა ამოწურავს ლოგიკურს სისრულით და საგნის არსებას გამოხატავს.

უსასრულო დასკვნის იმ წესმა, რომელმაც ორი დაპირისპირებულთა სრული ერთიანობა და ლოგიკური კავშირის რვამხრივობა დაადგინა, უნდა დააკმაყოფილოს აღნიშნული სახის ყველა უსასრულო დასკვნის ბუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იქნება ვერც ზოგადი წესი და მით უმეტეს კანონი.

უნდა ითქვას, რომ აღმოჩნდა ლოგიკურის კატეგორიის ისეთი მაგალითი, რომელმაც დაარღვია ორი დაპირისპირებულთა სრული ერთიანობისა და ლოგიკურის კავშირის რვამხრივობის დამდგენი წესის ზოგადობა. ეს მაგალითი გაშლილი სახით წარმოადგინა პროფ. კ. ბაქრაძემ. მართალია, თვითონ პროფ. ს. წერეთელმაც მიუთითა ამ მაგალითზე, მაგრამ არასრული სახით: „...ასევე შეიძლება ითქვას ისეთი წინააღმდეგობის მხარეების დამოკიდებულებაზე, როგორიცაა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის დამოკიდებულება; თუ არ არის პროლეტარიატი, არ არის არც ბურჟუაზია და თუ არის ბურჟუაზია, მაშინ აუცილებლად არის პროლეტარიატი და სხვ.“

თუ წერეთელი ამ მაგალითს გაშლილი სახით წარმოადგენდა, მაგალითად, როგორც კერძოსა და ზოგადის მიმართება აჩვენა რვამხრივი მსჯელობის სახით, მაშინ მას უსასრულო დასკვნის ის წესი უნდა გაემართლებინა, რომელიც კერძოსა და ზოგადის, თუ სხვა შემთხვევის დროს იქნებოდა გამოყენებული. სინამდვილეში მითითებული მაგალითის გაშლილი სახით წარმოდგენა არღვევს უსასრულო დასკვნის პრინციპს. ეს მაგალითი, რომელიც გაშლილი სახით კ. ბაქრაძემ წარმოადგინა, ასეთია:

1. თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არის პროლეტარიატი
2. თუ არის პროლეტარიატი, მაშინ არის ბურჟუაზია
3. თუ არ არის ბურჟუაზია, მაშინ არ არის პროლეტარიატი
4. თუ არ არის პროლეტარიატი, მაშინ არ არის ბურჟუაზია
5. თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არ არის პროლეტარიატი
6. თუ არ არის ბურჟუაზია, მაშინ არის პროლეტარიატი
7. თუ არის პროლეტარიატი, მაშინ არ არის ბურჟუაზია
8. თუ არ არის პროლეტარიატი, მაშინ არის ბურჟუაზია.

აღნიშნული დასკვნა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის დამოკიდებულების შესახებ აგებულია იმ წესით, რომლის მიხედვით აგებულია კერძოსა და ზოგადის მიმართების უსასრულო დასკვნა. ს. წერეთ-

ლის თვალსაზრისით, კერძოსა და ზოგადის დამოკიდებულების სახის უსასრულო დასკვნა რვა პირობითი მსჯელობით გამოითქმება და ამავე დროს უსასრულო დასკვნის პრინციპით საპირისპირო მსჯელობებიდან ცალ-ცალკე ორივე ნაწილობრივ ჭეშმარიტი უნდა იყოს. მაგრამ ზემოაღნიშნულ მაგალითში მსჯელობა (5) — „თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არ არის პროლეტარიატი" — აბსოლუტურად მცდარია. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული სახის უსასრულო დასკვნის ასაგებად დადგენილი წესი, როგორც ზოგადი წესი, უსასრულო დასკვნისათვის გამოუსადეგარია. ს. წერეთელმა კ. ბაქრაძის ამ შენიშვნას პასუხი გასცა და შენიშნა, რომ მას კ. ბაქრაძემ უსაყვედურა უსასრულო დასკვნის პრინციპის არასისრულე, ნაკლოვანება. სწორედ ამიტომ მიმართა წერეთელმა კ. ბაქრაძის მიერ მოყვანილ მაგალითში მეხუთე მსჯელობის თავისებურ ინტერპრეტაციას; კერძოდ: რვა მსჯელობა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ერთიანობის შესახებ წინააღმდეგობათა ერთიანობის მხარეებს გამოთქვამს. ამ მხარეებიდან ერთი არის: „თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არის პროლეტარიატი", ე. ი. თუ არსებობს ბურჟუაზია, მაშინ არსებობს მისი საპირისპირო პროლეტარიატი. ამას კი უთავსდება მისი საპირისპირო მეორე მხარე: „თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არ არის პროლეტარიატი". ეს შეთავსება შესაძლებელია, რადგან დებულება: „თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არ არის პროლეტარიატი" სხვა დებულებასთან კავშირში ნიშნავს — „რამდენადაც არის ბურჟუაზია, იმდენად არის სწორედ ბურჟუაზია და არა პროლეტარიატი". აქ აღიარებულია ბურჟუაზიის თავის თავთან იგივეობა პროლეტარიატთან დაპირისპირებაში, რაც სწორია. ამიტომ რვამხრივობის კავშირი, წერს წერეთელი, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის დამოკიდებულების შესახებ კი არ არღვევს, არამედ ამართლებს ჩემს პრინციპსო.

სინამდვილეში, ჩვენი აზრით, ს. წერეთლის აღნიშნული ინტერპრეტაცია უსასრულო დასკვნის განხილული ფორმის აგების პრინციპისა საქმეს ვერ შველის. ავტორის აღნიშვნა, რომ დებულება — „თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არ არის პროლეტარიატი", სხვა დებულებასთან კავშირში იმას ნიშნავს, რომ „რამდენადაც არის ბურჟუაზია, იმდენად არის სწორედ ბურჟუაზია და არა პროლეტარიატი" — მივიღოთ, როგორც სინამდვილე, მაგრამ მისი დასკვნის ის პრინციპი, რომელშიც ყველა დებულება პირობითი მსჯელობის ფორმაშია გამოთქმული და ამავე დროს თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ჭეშმარიტების შემცველია, ამ პრინციპის შემცვლელად ვერ გამოდგება. ვერ გამოდგება უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რვა პირობით მსჯელობათა ერთობლიობა ერთ-ერთი სახის უსასრულო დასკვნას იძლევა, ერთი აბსოლუტურად მცდარია, და შემდეგ, რაც მთავარია, უსასრულო დას-

კვნა რვა პირობითი დებულების ერთობლიობის გარეშე არ არის უსასრულო დასკვნა. ამ რვა პირობითი დებულებიდან — ერთს „თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არ არის პროლეტარიატი“, როგორი ინტერპეტაციაც უნდა მივცეთ, უსასრულო დასკვნის აგებისათვის გამოუსადეგარია. უსასრულო დასკვნის აგებისათვის აღნიშნული დებულება წარმოდგენილია პირობითი მსჯელობის ფორმით და არა იმ პრინციპით, როგორითაც იგი უნდა იქნეს გაგებული. უსასრულო დასკვნის პრინციპი დარღვეული არ იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ დებულების — „თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არ არის პროლეტარიატი“, ნაცვლად მისი ინტერპრეტაცია — „რამდენადაც არის ბურჟუაზია, იმდენად არის სწორედ ბურჟუაზია და არა პროლეტარიატი“, ამართლებდეს აღნიშნული უსასრულო დასკვნის პრინციპს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დებულების — „თუ არის ბურჟუაზია, მაშინ არ არის პროლეტარიატი“, ამის ნაცვლად იმავე პირობითი მსჯელობის სახით შეიძლებოდეს ჩავსვათ ის, რაც ინტერპრეტირებულ მსჯელობაში იგულისხმება, სახელდობრ, „რამდენადაც არის ბურჟუაზია, იმდენად არის სწორედ ბურჟუაზია და არა პროლეტარიატი“. მაგრამ ეს უკანასკნელი მსჯელობა თ ა ვ ი ს ი ფ ო რ მ ი თ არა თუ ამართლებს, არამედ არღვევს უსასრულო დასკვნის პრინციპს. არღვევს იმიტომ, რომ განხილული უსასრულო დასკვნის ფორმას საფუძვლად უდევს ლოგიკური კავშირის რვამხრივობა მ ხ ო ლ ო დ პ ი რ ო ბ ი თ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ. ყოველივე ამით ცხადი ხდება, რომ უსასრულო დასკვნა თვითონ არ არის ზოგადი ბუნების, რის გამოც იგი ვერ გამოდგება ლ ო გ ი კ უ რ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს ზ ო გ ა დ ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ, ლ ო გ ი კ უ რ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს ს ი ს ტ ე მ ი ს ა ს ა გ ე ბ ა დ.

ს. წერეთლის უსასრულო დასკვნის პრინციპის მიხედვით კერძოს უარყოფა არის კერძო, კერძოს უარყოფა ადგენს კერძოს. კერძოს უარყოფა შეუძლებელია; კერძოს უარყოფით მიღებული უნდა იყოს ზოგადი, მაგრამ ასეთი ზოგადი არის კერძო; კერძოსაგან განცალკევებული ზოგადი კერძოა. კერძოს უარყოფით მიღებული ზოგადი თვითონ ადგენს კერძოს. ზოგადი მხოლოდ მაშინ არის ზოგადი, თუ ის არის კერძოს ზოგადი. კერძოს მოწყვეტილი ზოგადი არ არის ზოგადი, ის არის კერძო.

ზოგადის უარყოფა არის ზოგადი. ზოგადის უარყოფით მიიღება კერძო, მაგრამ მხოლოდ კერძო, რომელიც თვითონ არის ზოგადი. ზოგადის უარყოფას ზოგადობის თვისება აქვს. ასეთი უარყოფა თვითონ არის ზოგადობის ბუნების, ზოგადი. მაშასადამე, არა მარტო კერძოს უარყოფა ადგენს კერძოს, არამედ ზოგადის უარყოფაც ადგენს ზოგადს. კერძო და ზოგადი ერთიმეორის საპირისპირო კატეგორიებია, რომლებიც ერთიმეორის უარყოფით ერთიმეორეს ადგენენ. უარყო-

ფით დგინდება ორივეს ერთიანობა. შინაგანი უარყოფით დადგენილი ერთიანობა არის სრული გაშუალება — უსასრულო დასკვნა.

კერძოსა და ზოგადის ლოგიკურის კატეგორიის ს. წერეთლისეული გაგების საწინააღმდეგოდ წამოყენებულია სერიოზული არგუმენტები (იგი ეკუთვნის გ. შუშანაშვილს).

კერძოს უარყოფა ისევ კერძოს ვერ დაადგენს. თუ ამოვალთ კერძოსა და ზოგადის ერთიანობიდან, მაშინ ლოგიკურია შემდეგი მსჯელობა: თუ უარყოფილი იქნება კერძო, მაშინ ზოგადიც უარყოფილი იქნება, რადგან ზოგადი არ არის კერძოს გარეშე. ზოგადი არის კერძოსთან მიმართებაში და რაკი კერძო არ არის, არც ზოგადი იქნება. მაშასადამე, კერძოსა და ზოგადის ერთიანობის დასაბუთება შინაგანი უარყოფით კი არ ხდება, არამედ მათი ურთიერთმიმართების შესწავლით, რასაც იმ აზრამდე მივყავართ, რომ ზოგადი კერძოთა სიმრავლის ზოგადია და ამიტომ კერძო და ზოგადი განუყრელებია. თუ უარვყოფთ კერძოს, ზოგადიც უარყოფილი იქნება, რადგან ზოგადი კერძოში არის. თუ უარვყოფთ ზოგადს, კერძოც უარყოფილი იქნება. იმიტომ რომ ზოგადი ერთეულების (კერძოების) ზოგადია. ამიტომ ან უნდა მივიღოთ მათი ერთიანობა, ანდა ისინი სრულიად უნდა უარვყოთ.

ზოგადის უარყოფით ისევ ზოგადის დადგენაც ისეთივე ხასიათისაა, როგორც კერძოს უარყოფით ისევ კერძოს დადგენა. თუ ზოგადი იქნება უარყოფილი, ერთეულიც (კერძოც) უარყოფილი იქნება, რადგან ისინი განუყოფელ ერთიანობაში არიან. ზოგადის უარყოფით ერთეული კი არ იქცევა ზოგადად, არამედ ერთეულიდან (კერძოდან) ზოგადის გამოთიშვაა შეუძლებელი, რადგან მისგან ეს გამოთიშვა რომ მოხდეს, ერთეული უნდა დარჩეს, მაგრამ ერთეულებიც, რამდენადაც ისინი ერთეულებია, ზოგადობის მქონენი იქნებიან. იმით, რომ მათი საერთო ნიშანი მათი ერთეულობა იქნება, ე. ი. ერთეულებს ყოველთვის რჩებათ ის ნიშნები, რომლებიც მათთვის საერთოა, ამდენად ერთეულისაგან ზოგადი გამოუთიშავია. ამიტომ ერთეული (კერძო) და ზოგადი ერთიანობაშია. მაშასადამე, ერთეული კი არ იქნება ზოგადი მნიშვნელობით აღებული, არამედ ერთეულს ყოველთვის ექნება ზოგადი ნიშანი; რამდენადაც ის ერთეულია, ეს ზოგადი ნიშანი მისი ერთეულობა იქნება. ამის გამო ის მოცემული ერთეული კი არ იქნება ზოგადი, არამედ ამ ერთეულთა სიმრავლის საერთო ნიშანი, ერთეულობა იქნება ზოგადი ნიშანი. ეს უკვე აღარ არის ზოგადის უარყოფით მისივე (ზოგადის) დადგენა, არამედ იგი იქნება ზოგადის დადებითი გზით დადგენა, რამდენადაც ერთეულს ყოველთვის აქვს ზოგადი ნიშანი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ს. წერეთელი როცა კერძოს უარყოფაზე მსჯელობდა, იქ ზოგადი კერძოდ გადააქცია, ხოლო ზოგადის უარყოფისას კერძოს ზოგადი მნიშვნელობით იღებს. თუ კერძო შეიძლება ზოგადი მნიშვნელობით ავიღოთ, მაშინ უფრო მეტი ძალით ზოგადი ზოგადის მნიშვნელობით პირველ შემთხვევაში უნდა აგვეღო და მაშინ კერძოს უარყოფით ისევ კერძოს კი არ მივიღებდით, არამედ ზოგადს.

ყოველივე აღნიშნული იმას აჩვენებს, რომ რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა მიზანს ვერ აღწევს. ამ წესით მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ დადებით და უარყოფით მსჯელობაში მათივე საწინააღმდეგო, უარყოფითი ან დადებითი იქნებოდა, რაც შეუძლებელია. ყოველი მსჯელობა იმას შეიცავს, რასაც გამოთქვამს. ამიტომ უარყოფითი მსჯელობიდან დადებითი მსჯელობის გამოყვანა და დადებითიდან უარყოფითი მსჯელობისა შეუძლებელია. მაგალითად, ზოგადის უარყოფიდან ისევ ზოგადის დადგენა შეუძლებელია. რაკი მსჯელობა ზოგადს უარყოფს, ის არ შეიძლება ამავე დროს ზოგადის დადგენა იყოს. საქმე ისაა, რომ ზოგადის უარყოფა შეუძლებელია და ეს უარყოფა წინააღმდეგობაში გვაყენებს. ეს წინააღმდეგობა იმის შედეგია, რომ აქ უარმყოფელი და უარყოფილი ერთი და იგივეა. რაკი უარყოფა წინააღმდეგობაში გვაყენებს, ამიტომ უარყოფაზე ხელი უნდა ავიღოთ. აღნიშნულის საფუძველზე ორი რამ უნდა იქნეს ერთიმეორისაგან განსხვავებული: ერთი, უარყოფა წინააღმდეგობაში გვაქცევს და უარყოფაზე ხელი უნდა ავიღოთ; მეორე, უარყოფით რაიმესაგან რაიმეს ლოგიკური გამოყვანა შეუძლებელია. აღნიშნული შემთხვევა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ დადებით მსჯელობაში უარყოფითი და უარყოფითში დადებითი იქნებოდა, ეს კი შეუძლებელია.

ახლა განვიხილოთ უსასრულო დასკვნის მეორე სახე (ფორმა), რომელიც ორ დაპირისპირებულთა სრული ერთიანობაა და ლოგიკური კავშირის რვამხრივობით თუმც არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ლოგიკურის კატეგორიის სფეროში რაიმეს უარყოფით მისივეს დადგენის გამო არის უსასრულო დასკვნა.

როგორც აღვნიშნეთ, ს. წერეთლის აზრით, დიალექტიკური ლოგიკა არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა; ხოლო ლოგიკურის კატეგორია არის ის კატეგორია, რომლის უარყოფა შეუძლებელია და რომლის უარყოფა აუცილებლობით მასვე მოიხმარს და ადგენს. საილუსტრაციოდ ამისა ს. წერეთელს განხილული აქვს უსასრულო დასკვნის რამდენიმე მაგალითი, რომელთაგან არცერთი არ არის წარმოდგენილი ორ დაპირისპირებულთა სრული ერთიანობისა და ლოგიკური კავ-

შირის რვამხრივობის ფორმით. განვიხილოთ ასეთი უსასრულო დასკვნის რამდენიმე მაგალითი:

1. უარყოფის უარყოფა არის უარყოფის დადგენა. არ შეიძლება უარვყოთ უარყოფა, შეუძლებელია უარყოფის ლოგიკური უარყოფა; უარყოფის ლოგიკური უარყოფის დროს თვითონ უარყოფის აუცილებლობა, უკეთ, თვითონ უარყოფა დგინდება; უარყოფის უარყოფა ადგენს უარყოფას. როცა ვამტკიცებთ, რომ შეუძლებელია უარყოფის უარყოფა, ე. ი. შეუძლებელია ის, რომ უარყოფა უარვყოთ, ამით იმას ვამბობთ, რომ ლოგიკური უარყოფის უარყოფის დროს უარყოფას ვიყენებთ და მისსავე დადგენას ვახდენთ. უარყოფის უარყოფა ადგენს უარყოფას. იქ, სადაც რაიმეს უარყოფისას ეს რაიმე გამოიყენება როგორც აუცილებელი (ლოგიკურად აუცილებელი) საშუალება, და ამავე დროს ამ საშუალებით იგივე დგინდება, ასეთ შემთხვევაში — ყველგან ხორციელდება უსასრულო დასკვნა, რომელიც შინაგანი უარყოფით არის განხორციელებული. უარყოფის უარყოფით იგივე უარყოფის დადგენა არის უსასრულო დასკვნის ერთი ნათელი მაგალითი. უარყოფის უარყოფით უარყოფის დადგენა, როგორც რაიმეს უარყოფით იგივე რაიმეს დადგენა, არის სრული გაშუალება, უსასრულო დასკვნა.

2. უსასრულო დასკვნის მეორე მაგალითად ს. წერეთელი იღებს იგივეობის უარყოფით იგივეობის დადგენას. იგივეობა ლოგიკურის კატეგორიაა. იგივეობის უარყოფა არ შეიძლება, რამდენადაც იგივეობის უარყოფის დროს თვითონ იგივეობა მოიხმარება, როგორც აუცილებელი საშუალება. იგივეობის უარყოფა იგივეობას მოიხმარს და ამ აზრით მას აუცილებლობით ადგენს. იგივეობის უარყოფით იგივეობისვე დადგენა არის უსასრულო დასკვნა.

3. ჭეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ვინც უარყოფს ჭეშმარიტებას და ამბობს, რომ „ჭეშმარიტება არ არსებობს“, მას ეს დებულება ჭეშმარიტად მიაჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილიც არ ექნებოდა ასეთი დებულების წამოყენებას. თუ ვიტყვით, რომ „ჭეშმარიტება არ არსებობს“, მაშინ ეს დებულება მიგვაჩნია ჭეშმარიტად და მის უარყოფას ვერ ვახერხებთ. ჭეშმარიტება აუცილებელია ჭეშმარიტების უარყოფისას. როცა ვაღიარებთ ორი შემდეგი დებულების ჭეშმარიტებას: 1. „ჭეშმარიტება არსებობს“ და 2. „ჭეშმარიტება არ არსებობს“, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჭეშმარიტების უარმყოფელი დებულების ჭეშმარიტებასაც ვაღიარებდეთ; ეს იქნებოდა უაზრობა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ დებულება „ჭეშმარიტება არ არსებობს“ მცდარი დებულებაა, მაგრამ ეს შეცდომაც აუცილებლობით საჭიროებს იმას, რასაც ის უარყოფს — ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტების უარყოფა ჭეშმარიტებას მოიხმარს, როგორც მისთვის აუცილებელ სა-

შუალებას, და ამ აზრით მასვე ადგენს. ჭეშმარიტების უარყოფა შეუძ-ლებელია, მისი უარყოფა აუცილებლობით მოითხოვს მასვე — ჭეშმა-რიტებას, როგორც საშუალებას. ჭეშმარიტების უარყოფა ადგენს ჭეშ-მარიტებას, როგორც საშუალება — საფუძველს. ამდენად აქ ორი მო-მენტი გვაქვს: 1) ჭეშმარიტების აუცილებლობა და 2) ჭეშმარიტების გარკვეული დადგენა. მაშასადამე, ჭეშმარიტების უარყოფა მასვე ად-გენს. ჭეშმარიტების უარყოფაც გვაიძულებს მივიღოთ ჭეშმარიტების აბსოლუტურობა. მაშასადამე, დებულებისათვის — „არ არსებობს ჭეშ-მარიტება" აუცილებელია ჭეშმარიტება. ვინც ჭეშმარიტებას უარ-ყოფს, მან უარყოფა უნდა მიიღოს ჭეშმარიტებად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტების უარყოფა ადგენს ჭეშმარიტებას, როგორც საშუ-ალებას. ჭეშმარიტების უარყოფით ჭეშმარიტების აუცილებლობის ჩვენება, მისი დადგენა არის აუცილებელი შუალობითი, სრული შუა-ლობითი კავშირი, რომელსაც უსასრულო დასკვნას ვუწოდებთ.

მტკიცება იმისა, რომ ლოგიკურის კატეგორია არის ის კატეგო-რია, რომლის უარყოფა შეუძლებელია, რომლის უარყოფა აუცილებ-ლობით მასვე მოიხმარს და ადგენს, ჭეშმარიტების მიმართ, ს. წერეთ-ლის პრინციპით, არ არის მართებული მოსაზრება. მსჯელობის უარ-ყოფა რომ შეუძლებელია, ფაქტია, ვინაიდან მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობით უნდა შესრულდეს; სულ ერთია, მსჯელობა ჭეშმა-რიტია თუ მცდარი, იგი მაინც მსჯელობაა. ასევე ითქმის ეს აზრის მი-მართაც; „აზრის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარ-ყოფა თვითონ არის აზრი". უარყოფის უარყოფაც შეუძლებელია, ვი-ნაიდან უარყოფის უარყოფა ლოგიკური აუცილებლობით ადგენს უარყოფას. მაგრამ იგივეს თქმა ჭეშმარიტების მიმართ ლოგიკურის მნიშვნელობით შეუძლებელია. „ჭეშმარიტების ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა თვითონ არის ჭეშმარიტება" — „არ არის ლოგიკური აუცილებლობის მქონე აზრი. ს. წერეთელი ჭეშმარი-ტების უარყოფის შეუძლებლობის შესახებ თავის შეხედულებას ყველგან გამოთქვამს ასე: „ჭეშმარიტების უარყოფა თვითონ უნდა მ ი ვ ი ღ ო თ ჭეშმარიტებად", „ჭეშმარიტების უარყოფა თვითონ უნდა იქნეს მ ი ჩ ნ ე უ ლ ი ჭეშმარიტებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარყოფაც არ იარსებებდა", „ვინც უარყოფს ჭეშმარიტებას და ამ-ბობს, რომ „ჭეშმარიტება არ არსებობს", მას ეს დებულება ჭეშმარი-ტად მ ი ა ჩ ნ ი ა". დებულებას „ჭეშმარიტება არ არსებობს", მხო-ლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ იგი ჭეშმარიტებად იქნა მ ი ჩ ნ ე უ ლ ი. ჭეშმარიტების უარყოფის შეუძლებლობის ასეთი გაგება სუბიექტუ-რია, ფსიქოლოგიზმის ბუნებისაა. ჭეშმარიტების უარყოფის შეუძლებ-ლობის დროს ჭეშმარიტების უარმყოფელი დებულება ჭეშმარიტება-დაა მ ი ღ ებ უ ლ ი, მ ი ჩ ნ ე უ ლ ი. მაგრამ სინამდვილეში თვითონ

იგი არ არის ჭეშმარიტება. თვით მკვლევარიც გარკვევით მიუთითებს, იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტების უარმყოფელი დებულება „ჭეშმარიტება არ არსებობს“ მცდარი დებულებაა. მაშასადამე, ჭეშმარიტების უარმყოფელ დებულებას ჩ ვ ე ნ მ ი ვ ი ჩ ნ ე ვ.თ, ვ ღ ე ბ უ ლ ო ბ თ ჭეშმარიტებად. თუ ჭეშმარიტების უარმყოფელ დებულებას ჩვენ მივიჩნევთ, მივიღებთ ჭეშმარიტებად, მაშინ, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების უარყოფა უნდა მივიღოთ ჭეშმარიტების დადგენად. მაგრამ ჭეშმარიტების უარყოფის შეუძლებლობის ასეთი გაგება სუბიექტურია და არა ლოგიკური აუცილებლობის. იგი სრულიად არ არის ისეთი ხასიათის, როგორიცაა, მაგალითად, „მსჯელობის უარყოფა შეუძლებელია“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტურობა გამორიცხულია. ჩვენ მივიღებთ თუ არ მივიღებთ, მივიჩნევთ თუ არ მივიჩნევთ მსჯელობის უარმყოფელს მსჯელობად, მსჯელობის უარყოფა მაინც მსჯელობით სრულდება; სულ ერთია ჭეშმარიტია თუ მცდარი მსჯელობის უარმყოფელი მსჯელობა, იგი მაინც მსჯელობაა. სწორედ ასეთ შემთხვევაში გვაქვს მსჯელობის უარყოფის შეუძლებლობა, მკაცრი ლოგიკური აუცილებლობა. ჭეშმარიტების უარმყოფელი დებულებით ისევ ჭეშმარიტების დადგენის წერეთლისეული გაგების შემთხვევაში ლოგიკური აუცილებლობა გამორიცხულია, ვინაიდან დებულება „ჭეშმარიტება არსებობს“ უარყოფილია მცდარი დებულებით „ჭეშმარიტება არ არსებობს“. ის, რომ ამ უკანასკნელ დებულებას ვინც მოიხმარს ჭეშმარიტების არსებობის უარსაყოფად, მან იგი უ ნ დ ა მ ი ი ღ ო ს, მ ი ი ჩ ნ ი ო ს ჭეშმარიტებად, სუბიექტურობაა, ფსიქოლოგიზმია. ჭეშმარიტების უარყოფა ლოგიკური აუცილებლობით ჭეშმარიტების დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, რომ ჭეშმარიტების უარმყოფელი დებულებაც ჭეშმარიტება იყოს (თვით წერეთელი აღნიშნავს: „ჭეშმარიტება აუცილებელია ჭეშმარიტების უარყოფისას“) და იგი ჭეშმარიტებად მიღებაზე, მიჩნევაზე არ იყოს დამოკიდებული; ობიექტური უნდა იყოს სახელდობრ ისეთი, რომელიც სხვანაირად შეუძლებელია არა მ ხ ო ლ ო დ ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს, არამედ ლოგიკურად; ასეთ შემთხვევაში, მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა ჭეშმარიტების უარყოფა, იგი იქნებოდა ჭეშმარიტების უარყოფის ლოგიკურად შეუძლებლობის დასაბუთება. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. სინამდვილეში ჭეშმარიტების უარმყოფელი დებულება მხოლოდ მიჩნეულია ჭეშმარიტებად და მცდარი დებულების ჭეშმარიტებად მიჩნევის საფუძველზე ხდება შეუძლებელი ჭეშმარიტების უარყოფის შეუძლებლობა ანუ ჭეშმარიტების უარყოფით მისივე დადგენა. ეს კი ლოგიკური აუცილებლობის სუბიექტურით შეცვლაა; უარყოფა სუბიექტური მოქმედებაა და არა ლოგიკური. ლოგიკური აუცილებლობა შეცვლილია სუბიექტურით. თუ კითხვას დავსვამთ, ს. წერეთლის

თვალსაზრისით, რის საფუძველზე არის ჭეშმარიტების უარყოფა ჭეშმარიტების დადგენა, უნდა ვუპასუხოთ: მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტების უარმყოფელი მცდარი დებულების ჭეშმარიტებად მ ი ჩ ნ ე ვ ი ს საფუძველზე. ეს ნამდვილად არ არის ლოგიკური აუცილებლობა. აქ მხოლოდ სუბიექტურობა, ფსიქოლოგიზმი გვაქვს. ლოგიკური კი უნდა იყოს აუცილებელი. აუცილებელი კი იმას აჩვენებს, რომ რაიმე არის ასე და სხვანაირად შეუძლებელია. ავტორის შეხედულება — „ჭეშმარიტების უარყოფა ლოგიკურად შეუძლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს უარყოფა მაინც ჭეშმარიტებად უნდა მიიღო. ჭეშმარიტების უარყოფა გვაიძულებს როგორღაცნაირად მაინც ვაღიაროთ ჭეშმარიტება“, ასაბუთებს არა ჭეშმარიტების უარყოფის შეუძლებლობას ლოგიკურად, არამედ ჭეშმარიტების უარყოფა გ ვ ა ი ძ უ ლ ე ბ ს რაღაცნაირად მაინც ვაღიაროთ ჭეშმარიტება, ე. ი. სხვანაირად შეუძლებელია მხოლოდ ჩვენთვის, სუბიექტისათვის, და არა ლოგიკური აუცილებლობით. მაგრამ ჩვენთვის სხვანაირად შეუძლებელი შეიძლება იყოს რაიმეს განცდაც, რომელიც თავისი არსებით სუბიექტურია. თუ ლოგიკური აუცილებლობის ადგილს დაიკავებს „მიღება“, „მიჩნევა“, „გვაიძულებს“, მაშინ ლოგიკური აუცილებლობა შეცვლილია სუბიექტურით, რაც ფსიქოლოგიზმია ლოგიკაში. ეს კი ეწინააღმდეგება თვით ს. წერეთლის მოსაზრებას, რომლის მიხედვით, „უსასრულო დასკვნაში სისრულით არის განხორციელებული ლოგიკური აუცილებლობა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა გამო, ჩვენი აზრით, ჭეშმარიტების (როგორც კატეგორიის) უარყოფა ლოგიკური აუცილებლობით მისივე დასაბუთება, მისივე დადგენა არ არის, ვინაიდან ასეთი დადგენის დროს ლოგიკური აუცილებლობა გამორიცხულია. დებულებაში — ჭეშმარიტების უარყოფა თვითონ არის ჭეშმარიტების დადგენა, სუბიექტური სიცხადე (მცდარის ჭეშმარიტებად მიჩნევა) ლოგიკურ აუცილებლობად არის აღიარებული. უსასრულო დასკვნის წერეთლისეული პრინციპი — რაიმეს უარყოფა არის მისივე დადგენა, ჭეშმარიტების მაგალითზე, ჭეშმარიტების უარყოფა აუცილებლობით არის ჭეშმარიტების დადგენა— მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ლოგიკური აუცილებლობისა და ამდენად გამართლებული, რომ ჭეშმარიტების უარმყოფელი მსჯელობა (დებულება) თვითონ იყოს ჭეშმარიტება, მაგრამ ასეთი რამ ლოგიკური აუცილებლობით გამორიცხულია.

თუ შეიძლება ითქვას, ლოგიკურის უპირველესი კატეგორია არის ცნება; ცნება არის ლოგიკურის კატეგორია. მაგრამ ცნების, როგორც ლოგიკურის, კატეგორიის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი „არის ისეთი კატეგორია, რომლის უარყოფა მასვე ადგენს“? ან „ლოგიკუ-

რის კატეგორიის უარყოფა შეუძლებელია იმ აზრით, რომ ლოგიკურის კატეგორიის უარყოფისას მასვე მოვიხმართ აუცილებლობით“?, რა თქმა უნდა, არა. ცნების, როგორც ლოგიკურის, კატეგორიის უარყოფით ყოველთვის აუცილებლობით ნამდვილად არ დგინდება ცნება. ცნების უარყოფა აუცილებლობით ცნების დადგენა რომ იყოს, მაშინ მეცნიერებაში ბევრი რამ სადავო არ იქნებოდა, იგი მცირედი გამონაკლისის გარდა აბსოლუტური ჭეშმარიტების გზით ივლიდა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის მეცნიერებაში.

არც ისაა მართებული, რომ ცნების, როგორც ლოგიკურის, კატეგორიის უარყოფისას მასვე მოვიხმართ აუცილებლობით (წერეთლის უსასრულო დასკვნის პრინციპის მიხედვით, „ლოგიკურის კატეგორიის უარყოფისას მასვე მოვიხმართ აუცილებლობით“); ნაცვლად ცნებით უარყოფისა ხშირ შემთხვევაში წარმოდგენით ხდება ცნების უარყოფა. ამიტომაც ცნების უარყოფისას აუცილებლობით სრულიად არ ხდება ისევ ცნების მოხმარება. სრულიად სხვაა ის, რომ ცნების უარმყოფელს (ადამიანს) ჰგონია ცნებას მოიხმარს. ჩვენ რომ გვგონია, ცნების უარყოფისას ისევ ცნებას მოვიხმართ აუცილებლობით, ეს ჩვენი სუბიექტური დარწმუნებულობაა და არა ლოგიკური აუცილებლობა. ცნების უარყოფისას ლოგიკური აუცილებლობით ისევ ცნება რომ მოიხმარებოდეს ყოველთვის, მაშინ ცნების უარყოფა არასდროს მოხდებოდა წარმოდგენით. სინამდვილეში კი ცნება ხშირად უარყოფილია წარმოდგენით და უარსაყოფად ნაცვლად ცნებისა წარმოდგენაა მოხმარებული. ამის მრავალი შემთხვევა იცის ფილოსოფიისა და მეცნიერების ისტორიამ. დავასახელებდით მხოლოდ ერთ ფაქტს ფილოსოფიის ისტორიიდან. ცნობილია, რომ ბერკლი, როგორც ნომინალიზმის წარმომადგენელი, უარყოფდა ზოგადის არსებობას. მისთვის არც ზოგადობის ცნება არსებობდა და არც ცნება როგორც ზოგადი. ზოგადის წარმოდგენა არ შეგვიძლია, ამბობდა იგი და აქედან აკეთებდა დასკვნას — ზოგადის მოაზრებაც შეუძლებელიაო. ამ შემთხვევაში ბერკლი წარმოდგენის საფუძველზე უარყოფდა ზოგადის ცნების, ცნების ზოგადობის მოაზრების შესაძლებლობას. ზოგადის ცნება, თვით ცნება (ცნების ზოგადობა) ნამდვილად არ წარმოიდგინება. როდესაც ბერკლი წარმოდგენით უარყოფდა ზოგადის ცნების, ცნების ზოგადობის არსებობას, თვითონ სრულიად არ ფიქრობდა იმას, რომ ეს უარყოფა წარმოდგენით ხდებოდა, რომელიც თავისი ბუნებით სუბიექტურია და ლოგიკურ აუცილებლობას მოკლებული.

აღნიშნული ფაქტი იმაზეც მიუთითებს, რომ ს. წერეთელი, რომელიც ამტკიცებს — ზოგადის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ზოგადის უარყოფით ისევ ზოგადს ვადგენთო, მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტურ რწმენას ემყარება და არა ლოგიკურ აუცილებლობას. ამის

ნიმუშია ბერკლის ნომინალიზმი, რომელსაც ზოგადის უარყოფისას. არც ზოგადი მოუხმარია და არც ზოგადი დაუდგენია. უფრო ზოგადი დებულების სახით თუ ვიტყვით — ცნების ნომინალისტური თეორიის მიხედვით ზოგადის უარყოფით ლოგიკური აუცილებლობით ისევ ზოგადი რომ დგინდებოდეს, მაშინ ამ მიმართულებით ნომინალიზმთან სადავოც არაფერი იქნებოდა.

უსასრულო დასკვნის განხილულ სახეშიც რაიმეს უარყოფით მისივეს დადგენა ლოგიკურის კატეგორიის სფეროში სრულიადაც არ არის ზოგადი ბუნების. ლოგიკურის კატეგორიის მიმართ იგი ზოგადი მნიშვნელობით გამოუსადეგარია; ლოგიკურის კატეგორიის სფეროში ხშირად უსასრულო დასკვნის წესით აზროვნებას შეცდომამდე მივყევართ. ამიტომ უნდა გაკეთდეს დასკვნა: უსასრულო დასკვნის წესი ან უვარგისია, ან იგი მხოლოდ ლოგიკურის ზოგიერთი კატეგორიის მიმართ არის მოქმედი. ყოველივე ამის გამო უსასრულო დასკვნა — რაიმეს უარყოფით მისივეს დადგენა, გამოუსადეგარია ლოგიკურის კატეგორიის სისტემის ასაგებად. მით უმეტეს იგი გამოუსადეგარია საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის ასაგებად. ამას აღვნიშნავთ იმიტომ, რომ ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში გაჩნდა შემდეგი შეხედულება: 1) უსასრულო დასკვნა არის ლოგიკურის კატეგორიის კრიტერიუმი, ყველაზე უფრო მაღალი და სრული დიალექტიკურ-ლოგიკური ფორმა და 2) უსასრულო დასკვნა, რომელიც არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, შეიძლება გამოდგეს საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის ასაგებადაც. ამიტომაც საჭიროა ეს შეხედულებანიც განვიხილოთ მხოლოდ იმის საჩვენებლად, თუ რამდენადაა თითოეული მათგანი მართებული.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ უსასრულო დასკვნა გამოდგება საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის ასაგებად. უსასრულო დასკვნის პრინციპი „ვლინდება ყოველ კატეგორიალურ კავშირში". ერთი მხრივ, კატეგორიალური განსაზღვრულობა თავისი ბუნებით ლოგიკური უსასრულობის ხასიათისაა და კატეგორია, როგორც ცნება, უსასრულო დასკვნის ზოგად აზრს წარმოადგენს. მეორე მხრივ, კატეგორიალური კავშირიც, როგორც ლოგიკური განსაზღვრულობა, ლოგიკური უსასრულობის ხასიათისაა და მის ლოგიკურ ფორმასაც უსასრულო დასკვნა წარმოადგენს. კატეგორიალური კავშირი თავისი სტრუქტურით დიალექტიკური ხასიათისაა და მის ზოგადლოგიკურ ფორმას უსასრულო დასკვნა წარმოადგენს. უსასრულო დასკვნის ფორმით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ არა მხოლოდ გარკვეული კატეგორიათა ურთიერთკავშირი, არამედ თვით კატეგორიალური კავშირის სტრუქტურაც. ამის ჩვენება შეიძლება როგორც კატეგორიალური კავშირის ჰორიზონტალური და ვერტიკალური „განზომილების" ურთი-

ერთმიმართების ფორმის სახით, ასევე თითოეული „განზომილების“ სტრუქტურის ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულების სახითაც.

კატეგორიალური კოორდინაცია — კოჰერენციის სტრუქტურის დამოკიდებულება შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც გარკვეული ხასიათის უსასრულო დასკვნა:

1. თუ არის კატეგორიალური შინაარსის გამიჯვნა-შემოსაზღვრა, მაშინ არის კატეგორიალური შინაარსის იმპლიკაცია; 2. თუ არის კატეგორიალურ შინაარსთა იმპლიკაცია, მაშინ არის კატეგორიალურ შინაარსთა გამიჯვნა-შემოსაზღვრა; 3. თუ არ არის კატეგორიალურ შინაარსთა გამიჯვნა-შემოსაზღვრა, მაშინ არ არის კატეგორიალურ შინაარსთა იმპლიკაცია; 4. თუ არ არის კატეგორიალურ შინაარსთა იმპლიკაცია, მაშინ არ არის კატეგორიალურ შინაარსთა გამიჯვნა-შემოსაზღვრა; 5. თუ არის კატეგორიალურ შინაარსთა გამიჯვნა — შემოსაზღვრა, მაშინ არ არის კატეგორიალურ შინაარსთა იმპლიკაცია; 6. თუ არის კატეგორიალურ შინაარსთა იმპლიკაცია, მაშინ არ არის კატეგორიალურ შინაარსთა გამიჯვნა-შემოსაზღვრა; 7. თუ არ არის კატეგორიალურ შინაარსთა გამიჯვნა-შემოსაზღვრა, მაშინ არის კატეგორიალურ შინაარსთა იმპლიკაცია; 8. თუ არ არის კატეგორიალურ შინაარსთა იმპლიკაცია, მაშინ არის კატეგორიალურ შინაარსთა გამიჯვნა-შემოსაზღვრა.

თავისი ბუნებით ასეთსავე დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს კატეგორიათა განსაზღვრების წესის ე. წ. ვერტიკალური „განზომილებაც“, რომელიც ნათლად არის გამოხატული კატეგორიალური დაქვემდებარების ბუნებაში. კატეგორიალური დაქვემდებარება, როგორც კატეგორიათა გარკვეული სუბორდინაცია, გულისხმობს კატეგორიალურ შინაარსთა გარკვეულ პოლარიზაციას თავის სხვის ურთიერთგამორიცხვით დადგენას, როგორც საკუთარი უარყოფისა, მაგრამ ეს უარყოფითობა, როგორც უარყოფითი დიალექტიკის მომენტი, იხსნება დადებითი — დიალექტიკური — ურთიერთდადგენით. ურთიერთგამორიცხვით ურთიერთდადგენის დამოკიდებულება კატეგორიალურ შინაარსთა პოლარიზაციასა და სუბორდინაციას შორის კვლავ შეიძლება ჩამოყალიბდეს უსასრულო დასკვნის ფორმაში;

1. თუ არის კატეგორიალური პოლარიზაცია, მაშინ არის კატეგორიალური სუბორდინაცია; 2. თუ არის კატეგორიალური სუბორდინაცია, მაშინ არის კატეგორიალური პოლარიზაცია; 3. თუ არ არის კატეგორიალური პოლარიზაცია, მაშინ არ არის კატეგორიალური სუბორდინაცია; 4. თუ არ არის კატეგორიალური სუბორდინაცია, მაშინ არ არის კატეგორიალური პოლარიზაცია; 5. თუ არის კატეგორიალური პოლარიზაცია, მაშინ არ არის კატეგორიალური სუბორდინაცია; 6. თუ არის კატეგორიალური სუბორდინაცია, მაშინ არ არის კატეგორიალუ-

რი პოლარიზაცია; 7. თუ არ არის კატეგორიალური პოლარიზაცია, მაშინ არ არის კატეგორიალური სუბორდინაცია; 8. თუ არ არის კატეგორიალური სუბორდინაცია, მაშინ არის კატეგორიალური პოლარიზაცია.

. აღნიშნული შეხედულების დამცველის აზრით, კატეგორიალური განსაზღვრულობის ბუნებისა და კატეგორიალური კავშირის კანონზომიერების ანალიზი გვიჩვენებს იმას, რომ კატეგორიალური განსაზღვრების ფორმა და შინაარსი ემთხვევა ერთმანეთს. ერთსაც და მეორესაც აქვთ უსასრულო დასკვნის ხასიათი. კატეგორიალური განსაზღვრულობის როგორც უსასრულო დასკვნის, შინაარსია მისი ელემენტების — დადგენის და უარყოფის ერთიანობა, ფორმა კი არის ამ ურთიერთობის წესი. ეს წესი სწორედ ამ ერთიანობის გარკვეულობაა. დადგენისა და უარყოფის მხოლოდ გარკვეული ერთიანობა არის უსასრულო დასკვნა. კატეგორიალური განსაზღვრულობა, როგორც უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობა. იგი ასეთია როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით.

კატეგორიალური კავშირის სტრუქტურისა და ლოგიკური ფორმის ანალიზი უჩვენებს, რომ ლოგიკურის კატეგორიები უსასრულო დასკვნის ხასიათისაა, რამდენადაც მხოლოდ ისინი არიან სრული რეფლექსური ბუნების და არა ყველა ლოგიკური კატეგორია. თუმცა გარკვეული აზრით ყოველი კატეგორია ხასიათდება რეფლექსურობით, რამდენადაც ყოველ კატეგორიას აზროვნებაში გარკვეული ლოგიკური ფუნქცია აქვს. მაგრამ ამით არ აიხსნება ლოგიკურ და ლოგიკურის კატეგორიათა შორის განსხვავება. წარმოიშობა გარკვეული სიძნელე: თუ ყოველი ლოგიკური კატეგორია არ ხასიათდება სრული ლოგიკური რეფლექსურობით, მაშინ ზემოაღწერილი კატეგორიალური კავშირის სტრუქტურა რეფლექსურ კატეგორიათა კავშირის სტრუქტურას გამოხატავს და იგი არ უნდა იყოს ზოგადი კატეგორიალური მნიშვნელობის, რადგან არ მოიცავს კატეგორიალური განსაზღვრულობის მთელ სფეროს; ასეთ შემთხვევაში იგი მხოლოდ დიალექტიკური ლოგიკის კომპენტენციაში შედის და მისი კატეგორიოლოგიის სფეროში შემოტანა უმართებულოა; კატეგორიოლოგია არ არის მოძღვრება ლოგიკურის კატეგორიათა, როგორც აზრის გარკვეულ ფორმათა, კავშირის სპეციფიკური ხასიათის შესახებ; კატეგორიოლოგიის კომპენტენციაში საერთოდ კატეგორიალური კავშირის ზოგადი კანონზომიერების, ე. წ. კატეგორიალური კავშირების კვლევა უნდა შედიოდეს, ხოლო კატეგორიალური კავშირი აღნიშნული ვითარების გამო მხოლოდ სრული ლოგიკური რეფლექსურობის ბუნების კატეგორიათა კავშირის სტრუქტურით არ შეიძლება ამოიწუროს. თუ ეს ასეა, მაშინ არც უსას-

რულო დასკვნა შეიძლება ჩაითვალოს კატეგორიალური კავშირის ლოგიკურ ფორმად.

აღნიშნული სიძნელე უდავოდ რეალურია, ამ საკითხის გადაწყვეტისათვის რამდენიმე ზოგად მომენტზე უთითებენ:

1. ლოგიკურის კატეგორიათა კავშირის კანონზომიერებას ზოგადი ლოგიკური ხასიათი აქვს; იგი საერთოდ აზრის ფორმათა ლოგიკური კავშირის დიალექტიკურ ბუნებას შეესაბამება და ამდენად მას აქვს ინტერკატეგორიალური კავშირის ხასიათი. ამ აზრით მისი კავშირის სტრუქტურა შინაარსობრივად იქვემდებარებს კატეგორიალური კავშირის სტრუქტურას, როგორც შინაარსეული ზოგადი შინაარსეულ კერძოს. ამიტომაც მას ზოგადი კატეგორიალური მნიშვნელობა აქვს და შემოდის კატეგორიოლოგიის სფეროში. 2. მიუხედავად შინაარსეული სპეციფიკურობისა ლოგიკური კატეგორიები ლოგიკურის კატეგორიებისაგან ფუნქციონალურად გათიშული არ არიან. ყოველი ლოგიკური კატეგორია ასრულებს გარკვეულ ლოგიკურ ფუნქციას თავისი შინაარსობრივი განსაზღვრულობის სფეროში.

აღნიშნული შეხედულების მიხედვით, „კატეგორიალურში ერთმანეთს ემთხვევა დიალექტიკური, გნოსეოლოგიური და ლოგიკური. ამიტომ კატეგორიალური კავშირის დიალექტიკური სტრუქტურა ზოგადკატეგორიალური მნიშვნელობისაა, ე. ი. ინტერკატეგორიალურია. თუ დიალექტიკურის ასახვის ლოგიკური ფორმა არის უსასრულო დასკვნა, მაშინ იგი უნდა იყოს საერთოდ კატეგორიალური კავშირების ზოგადლოგიკური ფორმაც“. აღნიშნულიდან გარკვევით ჩანს, რომ კატეგორიათა სისტემის ასაგებად უსასრულო დასკვნა არის ზოგადლოგიკური.

თუ ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ უსასრულო დასკვნა არის საერთოდ ლოგიკურისათვის ზოგადი პრინციპი და ამიტომ ამოსავალია არა მხოლოდ ლოგიკურის კატეგორიებისათვის, არამედ საერთოდ კატეგორიოლოგიისათვის, ფილოსოფიური კატეგორიებისათვის, მაშინ გაცილებით უფრო უარეს შედეგამდე მივდივართ, ვიდრე ეს ლოგიკურის კატეგორიის ზოგიერთმა მაგალითმა გვიჩვენა.

1. თუ არის შედეგი, მაშინ არის მიზეზი
2. თუ არის მიზეზი, მაშინ არის შედეგი
3. თუ არ არის შედეგი, მაშინ არ არის მიზეზი
4. თუ არ არის მიზეზი, მაშინ არ არის შედეგი
5. თუ არის შედეგი, მაშინ არ არის მიზეზი
6. თუ არის მიზეზი, მაშინ არ არის შედეგი
7. თუ არ არის შედეგი, მაშინ არის მიზეზი
8. თუ არ არის მიზეზი, მაშინ არის შედეგი.

აქ ცხადად ჩანს, რომ ერთი კი არა, ორი მსჯელობაა აბსოლუტურად მცდარი; სახელდობრ, მეხუთე და მერვე. ასეთივეა თითქმის უსასრულო დასკვნის პრინციპზე აგებული ყველა ფილოსოფიური კატეგორიის მეხუთე და მერვე მსჯელობა. 5. თუ არის ცნობიერება, მაშინ არ არის მატერია; 8. თუ არ არის მატერია, მაშინ არის ცნობიერება; უსასრულო დასკვნის პრინციპზე ასეთივეა ბაზისის, ზედნაშენის და სხვა კატეგორიათა მიმართებაც. მაგალითად, 5. თუ არის ზედნაშენი, მაშინ არ არის ბაზისი; 8. თუ არ არის ბაზისი, მაშინ არის ზედნაშენი.

აღნიშნული ვითარება იმას აჩვენებს, რომ უსასრულო დასკვნის პრინციპით ვერ აიგება კატეგორიათა სისტემა, იგი ვერ გამოდგება ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგების ზოგად პრინციპად.

რაც შეეხება მოსაზრებას — უსასრულო დასკვნა არის ლოგიკურის კატეგორიის კრიტერიუმი, ყველაზე უფრო მაღალი და სრული დიალექტიკური ლოგიკური ფორმა, წარმოდგენილია ასე: დამდგენი უარყოფა ანუ უარმყოფელი დადგენა არის დიალექტიკურ-ლოგიკურის ზოგადი ფორმა, მისი უმაღლესი პრინციპი. დამდგენი უარყოფა ანუ უარმყოფელი დადგენა ამავე დროს არის დიალექტიკურ-ლოგიკური დეფინიცია. უსასრულო დასკვნა ხორციელდება რაიმეს უარყოფით მისივე მტკიცების გზით. მაგალითად, ზოგადის უარმყოფელი აზრი თვითონ არის ზოგადი, რაც ამ უკანასკნელის აუცილებლობაზე მიუთითებს. უსასრულო დასკვნა ზოგადად ხორციელდება როგორც დამდგენი უარყოფა. უსასრულო დასკვნას აქვს თავისი სპეციფიკაც; იგი არის ერთცნებიანი ფორმა. მასში ორი კატეგორია კი არ უკავშირდება ერთმანეთს, არამედ ხდება ერთი კატეგორიის აუცილებლობის დასაბუთება. უსასრულო დასკვნის პროცესში აუცილებელ მომენტებად მონაწილეობს უარყოფა და მტკიცება. მისი უპირველესი ნიშანია სწორედ ის, რომ უარყოფა არის მტკიცება. უსასრულო დასკვნა არის თვითდამდგენი თვითუარყოფა. თვითდამდგენი თვითუარყოფის საშუალებით ხორციელდება ლოგიკურის კატეგორიის აპოდიქტურობის დასაბუთება. ლოგიკურის კატეგორია არის ის, რომლის უარყოფაც მასვე ადგენს. ამდენად უსასრულო დასკვნა არის ლოგიკურის კატეგორიის კრიტერიუმი. უსასრულო დასკვნა წარმოადგენს ყველაზე უფრო მაღალ და სრულყოფილ დიალექტიკურ-ლოგიკურ ფორმას.

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ უსასრულო დასკვნა არ არის დიალექტიკურ-ლოგიკურის ზოგადი ფორმა, ე. ი. იგი არ გამოადგება ზოგად ფორმად ლოგიკურის კატეგორიებს. უსასრულო დასკვნის პრინციპი გამოსადეგია მხოლოდ ლოგიკურის კატეგორიათა ერთ ნაწილში, მაგრამ ლოგიკურის არა ყველა კატეგორიაში. ამიტომ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება ლოგიკურის კაატეგორიების ვერც საფუძვლად და ვერც ზოგად ფორმად. რაც მთავარია, უსასრულო დას-

კვნა ვერ იქნება ლოგიკურის კატეგორიის კრიტერიუმი. უსასრულო დასკვნა რომ ლოგიკურის კატეგორიებს კრიტერიუმად გამოადგეს, მაშინ იგი ამ დასკვნებისათვის უნდა იყოს ზოგადი ფორმის. მაგრამ იგი არ არის ლოგიკურის კატეგორიებში ზოგადი ფორმის, რადგან ამ ჯგუფის კატეგორიათა დიდ ნაწილში თვითუარყოფით სრულად არ ხდება მისივე დადგენა ლოგიკური აუცილებლობით.

შემდეგ, რაც მთავარია, თვით უსასრულო დასკვნის თეორიის ავტორს იგი სრულიად არ მიაჩნია საერთოდ ლოგიკურისათვის ისეთი ზოგადი დებულების მქონედ, როგორც ამას მისი ინტერპრეტატორები მიმართავენ. ინტერპრეტაციაში, როგორც ვთქვით, უსასრულო დასკვნა, რომელიც თავის უარყოფით ადგენს თავის თავს, რომელიც არის დამდგენი უარყოფა ანუ უარმყოფელი დადგენა, მიჩნეულია როგორც დიალექტიკურ-ლოგიკურის ზოგადი ფორმა. კიდევ მეტი, როგორც ვაჩვენეთ, აღიარებული იყო ისიც, რომ უარყოფა-დადგენა ვამოსადეგია საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიებისათვის. დადგენა-უარყოფის ბუნება ასე მხოლოდ ჰეგელს ჰქონდა გაგებული. ჰეგელი დადგენა-უარყოფას ყველა კატეგორიის მიმართ იყენებს, სახელდობრ. არსის, არსებისა და ცნების სფეროში. უსასრულო დასკვნის ავტორი კი სინამდვილეში არსად ამბობს იმას, რომ დადგენა-უარყოფა გამოსადეგია საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიებისათვის. მისი აზრით, დადგენა-უარყოფა მხოლოდ ლოგიკურის კატეგორიების სფეროშია გამოსადეგი. ს. წერეთლის აზრით, „უნდა არსებობდეს და არსებობს დადგენის საშუალებით უარყოფის კანონი — დადგენით უარყოფის კანონი, რომელიც მოქმედებს მსჯელობებში, დასკვნებში, დასაბუთებაში, როგორც ამ ფორმებისათვის ზოგადი კანონი". მაგრამ, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, არც აქ გამოდგა იგი ზოგადი კანონი.

§ 17. კატეგორიათა ურთიერთში გადასვლისა და გამოყვანის საკითხის შესახებ

კატეგორიის თეორიის პრობლემატიკაში ერთ-ერთ აუცილებელ გასარკვევ პრობლემათა რიგს ეკუთვნის კატეგორიათა ურთიერთში გადასვლისა და გამოყვანის (დედუქციის) საკითხი. კატეგორიის თეორიაში საბჭოთა ფილოსოფიური ლიტერატურის მიერ აღიარებულად ითვლება კატეგორიათა ურთიერთში გადასვლა და გამოყვანა.

კატეგორიათა ურთიერთგადასვლის საკითხზე ზოგადი დებულების სახით მოცემულია მტკიცება: ცნებათა დიალექტიკა ყველა ცნების, კატეგორიის, გამონაკლისის გარეშე, ურთიერთგადასვლაში მდგომარეობს. კატეგორიათა ერთიმეორეში გადასვლა მიეწერება მთელ ადამიანურ შემეცნებას. კატეგორიათა სისტემაში კატეგორიათა ურთიერთ-

გადასვლა წარმოადგენს არსებით მომენტს, ვინაიდან ამ ურთიერთ-გადასვლის გარეშე არ ექნება ადგილი მათს არც ურთიერთკავშირსა და არც ურთიერთზემოქმედებას.

კატეგორიათა გამოყვანის შესახებ კი ზოგადი დებულების სახით მოცემულია მტკიცება: დიალექტიკის თვალსაზრისით კატეგორიათა გამოყვანა აუცილებელია, „კატეგორიათა გამოყვანა ერთიმეორისაგან დიალექტიკური ლოგიკის ძირითადი კანონია". კატეგორიათა გამოყვანა (ზოგიერთი მკვლევარის აზრით) არის კატეგორიათა სისტემის აგების აუცილებელი საფუძველი. დავიწყოთ პირველი საკითხის განხილვით.

კატეგორიათა ურთიერთში გადასვლა, ან საერთოდ კატეგორიის კატეგორიაში გადასვლა გაგებულია იმ აზრით, რომ წყვილად კატეგორიებს შორის განსხვავებულობის აბსოლუტური ზღვარი არ არსებობს. ის, რაც ერთ კავშირში და ერთ მიმართებაში წარმოადგენს მიზეზს, სხვა კავშირებში შეიძლება იყოს შედეგი, აუცილებლობა იყოს შემთხვევითობა და ა. შ. კატეგორიათა ურთიერთგადასვლის წყაროა წყვილად კატეგორიათა შორის წინააღმდეგობანი, თითოეული მათგანი თავისში შეიცავს საწინააღმდეგოს, მეორე კატეგორიის ჩანასახს. ლოგიკური კატეგორიების თითოეული წყვილი თავისში აფიქსირებს რეალურ სინამდვილეში არსებულ წინააღმდეგობრივ თვისებებს, მხარეებს როგორც მოძრავს, განვითარებადს, გარდამავალს ერთისა მეორეში. ეს კი გამოიხატება კატეგორიათა ურთიერთგადასვლაში. ეს გადასვლა იმგვარად ხორციელდება, რომ ერთი კატეგორია გარკვეულ პირობებში გადავა მეორეში: ერთეულის კატეგორია გადადის ზოგადის კატეგორიაში, ზოგადის კატეგორია — ერთეულის კატეგორიაში; შემთხვევითობის კატეგორია გადადის აუცილებლობის კატეგორიაში, აუცილებლობის კატეგორია — შემთხვევითობის კატეგორიაში; მიზეზის კატეგორია გადადის შედეგის კატეგორიაში, შედეგისა — მიზეზის კატეგორიაში და ა. შ.

კატეგორიათა ურთიერთში გადასვლის ზემოაღნიშნული გაგება ემყარება ვ. ი. ლენინის „ფილოსოფიურ რვეულებში" ჰეგელის წიგნის „ლოგიკის მეცნიერების" კონსპექტიდან მითითებულ კატეგორიის შესახებ ცალკეულ გამოთქმებს, რომელთა ინტერპრეტაციები ძირითადად არ შეესაბამება კატეგორიათა გადასვლის ბუნების ლენინურ, დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას.

საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვ. ი. ლენინი ახასიათებს რა კატეგორიათა ურთიერთგადასვლას, ან წყვილად კატეგორიებს შორის გადასვლას, ამას ხსნის ჰეგელის მიერ მიზეზისა და შედეგის კატეგორიების ურთიერთში გადასვლის განხილვით. მაგალითად, „ერთი და იგივე საგანი ერთ შემთხვევაში აღ-

მოჩნდება მიზეზი, მეორეში — მოქმედება, იქ როგორც თავისებური მდგრადობა, აქ როგორც დადგენება ან განსაზღვრა რაიმე სხვაში". „მ ი ზ ე ზ ო ბ რ ი ო ბ ი ს გარკვეული მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მეშვეობით მივიღეთ ახლა ის, რომ მიზეზი არა მარტო ქრება მოქმედებაში, და ამით ქრება მოქმედებაც, — როგორც ფორმალურ მიზეზობრიობაში, — არამედ მიზეზი თავის გაქრობაში, მოქმედებაში, კვლავ წარმოიშობა .და რომ მოქმედება, ქრება რა მიზეზში, ასევე კვლავ. წარმოიშობა მასში. თითოეული ამ განსაზღვრათაგანი მოხსნის თავის-თავს თავის დადგენაში და დაადგენს თავის-თავს თავის მოხსნაში; ეს არ არის მიზეზობრიობის გარეგანი გადასვლა ერთი სუბსტრატიდან რაღაც მეორეში, არამედ ეს მათი სხვადქმნადობა არის ამასთანავე მათი საკუთარი დადგენა. მაშასადამე, მიზეზობრიობა თვით გულისხმობს და განაპირობებს თავისთავს" (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 154—155). ამ ციტატის საფუძველზე, რომელიც მთლიანად ჰეგელს ეკუთვნის, მკვლევართა დიდი ნაწილი აკეთებს დასკვნას: ვ. ი. ლენინი კატეგორიათა ურთიერთგადასვლას გულისხმობს იმ გაგებით, რომ წყვილად კატეგორიებს შორის განსხვავებულობის აბსოლუტური ზღვარი, განსხვავებულობა არ არსებობს. ის, რაც ერთ პირობაში, კავშირში, მიმართებაში არის მიზეზი, სხვა პირობაში, კავშირში, მიმართებაში შეიძლება იყოს შედეგი; ის, რაც ერთ პირობაში კავშირში, მიმართებაში არის აუცილებლობა, სხვაში შეიძლება იყოს შემთხვევითობა. ამდენად კატეგორიები ურთიერთში გადადიან.

საგანი, მოვლენა, რომელიც ადრე ხასიათდებოდა შემთხვევითობით, შემდეგში შეიძლება დახასიათდეს აუცილებლობით და პირიქითაც. ეს ასეა რეალურ სინამდვილეში. მაგრამ კითხვა ისმის: მოვლენა, რომელიც ადრე ხასიათდებოდა შემთხვევითობით, მის შესახებ გამოთქმული შემთხვევითობის კატეგორია შემდეგში შეიძლება თუ არ დახასიათდეს აუცილებლობის კატეგორიით? რა თქმა უნდა, არა. შემთხვევითობის კატეგორია შემთხვევითობის გამომთქმელი დარჩება ადრე არსებული შემთხვევითი მოვლენის შესაბამისად; იგი არასდროს გადავა აუცილებლობის კატეგორიაში. შემთხვევითი მოვლენის, რომელიც აუცილებელი გახდა, შესახებ აუცილებლობის კატეგორია არასოდეს გადავა შემთხვევითობის კატეგორიაში. აუცილებლობის გამომთქმელი კატეგორია აუცილებლობა იქნება. აუცილებლობა გადადის შემთხვევითობაში, მაგრამ აუცილებლობის კატეგორია, რომელიც არსებულ აუცილებლობაზე იყო გამოთქმული, შემთხვევითობის კატეგორია არ გახდება. ამიტომაც აღნიშნული გაგებით კატეგორიათა ურთიერთგადასვლის მტკიცება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მართებული, რომ თვით შემთხვევითობის კატეგორია გადადიოდეს აუცილებლობის კატეგორიაში, ან პირიქით, აუცილებლობის კატეგო-

რია შემთხვევითობის კატეგორიაში, მაგრამ კატეგორიის, როგორც ცნების სფეროში, ასეთი რამ არასდროს ხდება. აღნიშნული სახის გადასვლები ხდება არა კატეგორიის, როგორც ცნების სფეროში, არამედ რეალურ სინამდვილეში, როცა შემთხვევითი ხდება აუცილებელი და აუცილებელი შემთხვევითიც. მაგრამ ნუთუ რეალურ სინამდვილეში არსებული შემთხვევითობა და აუცილებლობა კატეგორიებია? რეალური სინამდვილის განვითარების პროცესში შემთხვევითობა რომ გადადის აუცილებლობაში და პირიქით, ნუთუ ამის გამო შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვითარების პროცესში აუცილებლობის კატეგორია გადადის შემთხვევითობის კატეგორიაში და პირიქით? ასეთ შემთხვევებში კატეგორიები კი არ გადადიან ურთიერთში, არამედ მათ შესაბამის რეალურ სინამდვილეში ხდება ურთიერთში გადასვლა. მაგალითად, შემთხვევითობა გადადის აუცილებლობაში, აუცილებლობა შემთხვევითობაში, მიზეზი შედეგში, შედეგი მიზეზში და ა. შ.

ზემოაღნიშნული გაგებით კატეგორიის კატეგორიაში გადასვლის მტკიცება მხოლოდ მაშინ იქნებოდა დასაშვები, რომ ადრე არსებული შემთხვევითობის კატეგორია აუცილებლობის კატეგორია გამხდარიყო და აუცილებლობის კატეგორია — შემთხვევითობის კატეგორია. მაგრამ სინამდვილეში შემთხვევითობის კატეგორია ყველა მიმართებაში შემთხვევითობის კატეგორიად რჩება და აუცილებლობისა — აუცილებლობის კატეგორიად. კატეგორიათა გადასვლის აღნიშნული გაგება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ერთი კატეგორია გადაადგილდება მეორეში, მსგავსად იმისა, როგორც, მაგალითად, რკინის ნაჭერი გადავა ნამგალში, კვერცხი წიწილში. მაგრამ კატეგორიის, ცნების სფეროში ასეთ გადაადგილებას, გადასვლას არასდროს არ აქვს ადგილი. გადაადგილება რეალურ სინამდვილეში ხდება, მაგალითად, რეალური მიზეზი გადადის რეალურ შედეგში და რეალური შედეგი გადადის რეალურ მიზეზში, მაგრამ ცნების, კატეგორიის სფეროში ამგვარი არაფერი ხდება.

დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით კატეგორიის კატეგორიაში გადასვლის აღნიშნული გაგებით მტკიცება არ არის მისაღები. მართალია, რეალურ სინამდვილეში მიზეზი გადადის შედეგში, მაგრამ კატეგორიები, ამ შემთხვევაში კი მიზეზისა და შედეგის კატეგორიები, როგორც ცნებები, კი არ გადადიან ერთიმეორეში. მიზეზის ცნება მიზეზია და ის შედეგის ცნებად არასოდეს იქცევა, ასევე შედეგის ცნება შედეგია და ის მიზეზის ცნებაში არასოდეს გადავა. რეალურ სინამდვილეში ის, რაც ერთ დროს მიზეზი იყო, შეიძლება შემდეგ შედეგი გახდეს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ის, რაც ერთ დროს მიზეზის კატეგორია იყო, შემდეგ შედეგის კატეგორია გახდება. მიზეზის კატეგორია მიზეზის კატეგორიად დარჩება და

შედეგის კატეგორია — შედეგის კატეგორიად. თუ იმას ვიტყვით, რომ როგორც რეალურ სინამდვილეში მიზეზი გადადის შედეგში, ასევე შეიძლება ვთქვათ — მიზეზის კატეგორია გადადის შედეგის კატეგორიაში, მაშინ ამავე უფლებით უნდა ვთქვათ, რომ როგორც შედეგი გადადის მიზეზში, ასევე შედეგის კატეგორია გადადის მიზეზის კატეგორიაში და ის, რაც ერთ დროს შედეგის კატეგორია იყო, შეიძლება გარკვეული ვითარების შემდეგ გახდეს მიზეზის კატეგორია; ამგვარი რაიმე კი არ ხდება კატეგორიათა სფეროში. შედეგის კატეგორია არასდროს გახდება მიზეზის კატეგორია. მიზეზის კატეგორია მიზეზის კატეგორიაა ყოველგვარ ვითარებაში და შედეგის კატეგორია — შედეგის კატეგორია. რეალურ სინამდვილეში მიზეზის გადასვლა შედეგში და შედეგისა მიზეზში კატეგორიის სფეროში ასეთ გადასვლას გამორიცხავს, მსგავსად იმისა როგორც რეალურ სინამდვილეში მიზეზი და შედეგი ერთიმეორის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია წმინდა მიზეზისა და წმინდა შედეგის არსებობა; ცნების სფეროში კატეგორიის მნიშვნელობით სწორედ წმინდა მიზეზი და წმინდა შედეგი გვაქვს. ასევე ითქმის ეს ყველა კატეგორიის მიმართ. კატეგორიის კატეგორიაში გადასვლის ზემოაღნიშნული გაგება უპირველეს ყოვლისა მცდარია და მიუღებელი მეცნიერული ფილოსოფიისათვის, ვინაიდან იგი ემყარება ლოგიკურის რეალურთან გაიგივებას. ლოგიკური და რეალური განსხვავებული კანონზომიერების არიან და ამიტომ მათი გაიგივება დაუშვებელია; ხოლო თუ გავაიგივებთ, მაშინ ლოგიკურის მნიშვნელობა რეალურის მნიშვნელობით არის მოხმარებული, რაც შეცდომაა. ეს შეცდომა ორგვარია: ობიექტურ-იდეალისტური ან ვულგარულ-მატერიალისტური.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თუ ვიტყვით, როგორია კატეგორიის კატეგორიაში გადასვლის საკითხის გაგება ჰეგელის ფილოსოფიაში, კერძოდ „ლოგიკის მეცნიერებაში", უნდა ვუპასუხოთ, რომ კატეგორიის კატეგორიაში გადასვლა იქ დასაშვებია. ჰეგელის ობიექტური იდეალიზმისათვის დამახასიათებელია ცნებების, კატეგორიების განხილვა საკუთარი, თვითმოძრავი ბუნებით. მისთვის ცნება თვითონ არის საგანი და ამდენად იგი, როგორც ასეთი, მოძრავია; უკეთ: თვითმოძრაკი. კიდევ მეტი, ჰეგელმა ცნებათა მოძრაობით ახსნა მთელი სინამდვილე, ცნებათა დიალექტიკაში მხოლოდ საგანთა დიალექტიკა შეამჩნია. ჰეგელმა ცნებები, კატეგორიები დიალექტიკური თვალსაზრისით რომ განიხილა, ფაქტია და ეს იდეა მისაღებია ცნებათა განვითარების მატერიალისტური გაგებით. მაგრამ ცნებათა, კატეგორიათა მოძრაობის, ურთიერთში გადასვლის ჰეგელისეული გაგება აბსოლუტურად მიუღებელია დიალექტიკური მატერიალიზმისათვის. ჰეგელის

მოძღვრების თანახმად, ცნების ცნებაში, კატეგორიის კატეგორიაში გადასვლა გამართლებულია, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ჰეგელთან ცნებები, კატეგორიები თვითმოძრავი ბუნებისაა; თუმცა თვითონ ჰეგელი, გარდა ერთი ადგილისა, არსად ამბობს იმას, რომ კატეგორია გადადის კატეგორიაში. იგი ყველგან წერს მხოლოდ იმაზე, რომ მიზეზი გადადის შედეგში, აუცილებლობა გადადის შემთხვევითობაში და ა. შ., მაგრამ „ლოგიკის მეცნიერებაში" არსად ამბობს იმას, რომ მიზეზის კატეგორია გადადის შედეგის კატეგორიაში, აუცილებლობის კატეგორია შემთხვევითობის კატეგორიაში და ა. შ. ეს კი განსხვავებულია ერთმანეთისაგან. მართალია, ჰეგელის მოძღვრების თანახმად, გამართლებულია კატეგორიის კატეგორიაში გადასვლაზე საუბარი, ვინაიდან მისთვის კატეგორიები ობიექტურად, რეალურად არსებულია, რომლებიც მოძრაობენ. ლოგიკური გაიგივებულია რეალურთან, ლოგიკური ონტოლოგიზებულია. ამიტომაც კატეგორიის კატეგორიაში გადასვლაზე საუბარი ჰეგელის მოძღვრებაში დასაშვებია. თუმცა, როგორც ვთქვით, თვითონ ჰეგელი „ლოგიკის მეცნიერებაში" ამას აღარსად ამბობს. შეიძლება ეს იმიტომაც, რომ კატეგორია და მისი შესაბამისი ობიექტი ჰეგელისათვის იგივეობრივია, მაგალითად, მიზეზის კატეგორია, როგორც ცნება, და მიზეზი იგივეობრივია. ვინაიდან მიზეზის კატეგორია, როგორც ცნება, არის თვითონ საგანი, ამდენად მიზეზის კატეგორია და მიზეზი იგივეობრივია, მიზეზის კატეგორია ონტოლოგიზებულია.

ამ მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ უშუალოდ საკითხს. რეალურ სინამდვილეში წყალი გარკვეული ტემპერატურის შემდეგ გადადის ორთქლის ან ყინულის მდგომარეობაში, მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ წყლის ცნება გადადის ორთქლის ან ყინულის ცნებაში? რა თქმა უნდა, არა. ოდნავ თუ დავფიქრდებით, ასეთივე მდგომარეობაა კატეგორიათა სფეროშიც. კატეგორიები კი არ გადადიან ერთიმეორეში, არამედ მათ შესაბამის რეალურ სინამდვილეში ხდება გადასვლები. კატეგორია რეალურად არ არსებობს, იგი ცნებაა და ამდენად სინამდვილის ასახვა, ამიტომაც ლოგიკურის კუთვნილებაა. ლოგიკური განსხვავებულია რეალურისაგან. ლოგიკური მიმართება და რეალური მიმართება ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული სინამდვილეა; მართალია, ორივე სინამდვილეა, მაგრამ განსხვავებული. რეალურ სინამდვილეში ხდება შემთხვევითობის გადასვლა აუცილებლობაში და აუცილებლობისა შემთხვევითობაში და ის, რაც ერთ შემთხვევაში იყო შემთხვევითობა, სხვა შემთხვევაში გადასულია აუცილებლობაში, ხოლო ის, რაც იყო აუცილებლობა, გადასულია შემთხვევითობაში. მაგრამ ამ სინამდვილის ამსახველი კატეგორიებიც არ გადადიან ერთიმეორეში. რეალურ სინამდვილეში ოქრო გარდაიქ-

შნება, ე. ი. გადადის ფულში (ოქროს ფული), მაგრამ ოქროს ცნება კი არ გადადის ფულის ცნებაში. რეალურ სინამდვილეში ოქრო ყვითელია, მძიმეა, მაგრამ ოქროს ცნება კი არ არის ყვითელი ან მძიმე თუ კიდევ სხვა. რეალურ სინამდვილეში ომი გადადის მშვიდობაში, ხოლო მშვიდობა — ომში, მაგრამ ომის ცნება კი არ გადადის მშვიდობის ცნებაში და მშვიდობის ცნება — ომის ცნებაში. რეალურ სინამდვილეში არსებული ომი, მიწისძვრა არ არის იგივეობრივი ომისა და მიწისძვრის ცნებისა.

უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში, როგორც ცნებებში, მართალია, ასახული და გამოთქმულია სინამდვილის უზოგადესი მხარეები, მაგრამ ეს სრულიად არ იძლევა იმის საფუძველს, რომ კატეგორიებს, როგორც ცნებებს, მასში გამოთქმული სინამდვილის ბუნება მივაწეროთ. კატეგორიათა შესაბამისი სინამდვილის ერთიმეორეში გადასვლების ასახვისათვის თვითონ კატეგორიებისათვის ამავე ნიშნის (გადასვლის) მიწერა ისევე არაა აუცილებელი, როგორც ელექტროგამტარიანობის ამსახველი ცნებისათვის ელექტროგამტარობის თვისების მიწერა, ანდა მაგნიტის თვისების ამსახველი ცნებისათვის მაგნიტურობა. ამიტომ ზოგადი დებულების სახით უნდა ითქვას, რომ ცნების, კატეგორიის, საერთოდ ლოგიკურის, აზრის არცერთი ნიშანი არ არის იმგვარივე, როგორიც თვითონ სინამდვილის. პირველი ლოგიკურია, მეორე რეალური.

მართალია, მაგალითად, არსებობის ნიშანი ახასიათებს როგორც რეალურ სინამდვილეს, ასევე ლოგიკურს (ცნებებს, კატეგორიებს), მაგრამ არსებობის ეს ნიშნები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან. არსებობის ნიშნით ხასიათდება ობიექტურად არსებული საგნები და ცნებები, კატეგორიებიც, მაგრამ პირველის არსებობის ნიშნის გადატანა მეორეზე ცნების, კატეგორიის როგორც ასახვის უარყოფაა. ასევე ითქმის ეს კატეგორიათა გადასვლების შესახებაც.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას კითხვა: ნუთუ ლოგიკურის, ცნების, კატეგორიის ბუნება არ ემორჩილება დიალექტიკის კანონებს? რა თქმა უნდა, ემორჩილება. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სინამდვილის კანონზომიერება და ამ სინამდვილის ამსახველის ბუნება იგივეობრივია. როცა ვამტკიცებთ ცნების, კატეგორიის განვითარებასა და გადასვლას, მხედველობაში გვაქვს მათი შინაარსის განვითარება ცოდნის განვითარების თვალსაზრისით.

შემდეგ, რეალურ სინამდვილეში, „ობიექტურად განვითარებად სისტემაში" მოვლენები ერთსა და იმავე დროს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიმართებაში, ხასიათდებიან უამრავი ნიშნით, საწინააღმდეგო მხარეებით. რეალურ სინამდვილეში საგნები და მოვლენები ერთსა და იმავე დროს ხასიათდებიან როგორც შემთხვევითობით, ასევე აუცი-

ლებლობით, მიზეზითა და შედეგით, შინაარსითა და ფორმით და ა. შ. ამდენად ისინი ურთიერთში არიან შეჭრილნი და ერთად არსებობენ და არა ცალ-ცალკე. მაგრამ კატეგორიის სფეროში ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ შემთხვევითობის კატეგორია, რომელიც შემთხვევითობას ასახავს, იმავე დროს ხასიათდებოდეს აუცილებლობის, მიზეზისა და შედეგის, შინაარსისა და ფორმის და სხვა კატეგორიათა ნიშნებით. შემთხვევითობის კატეგორია მხოლოდ შემთხვევითობის ასახვაა და არა სინამდვილის რომელიმე სხვა მხარისა, მაგალითად, აუცილებლობის, მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმის. ამიტომაც კატეგორიის სფეროში კატეგორიები კი არ არიან ურთიერთშეჭრილი, როგორც ეს დამახასიათებელია მათი შესაბამისი სინამდვილისათვის. რეალურ სინამდვილეში, ბუნებაში, საზოგადოებაში არ არსებობს წმინდა შემთხვევითობა და წმინდა აუცილებლობა და ა. შ. ამაზე გარკვევით არის მითითებული ფილოსოფიის ისტორიაში. ვ. ი. ლენინი კი ამაზე წერს: „წმინდა“ მოვლენები არც ბუნებაში, არც საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს — სწორედ ამას გვასწავლის მარქსის დიალექტიკა, რომელიც გვიჩვენებს, რომ თვითონ სიწმინდის ცნება არის ერთგვარი შეზღუდულობა, ცალმხრივობა ადამიანის შემეცნებისა, რომელიც ვერ მოიცავს საგანს ბოლომდე მთელი მისი სისრულით“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 21, გვ. 278).

თუ რეალურ სინამდვილეში შეუძლებელია აუცილებლობა და შემთხვევითობა ცალ-ცალკე არსებობდეს, თუ რეალურ სინამდვილეში არ არსებობს წმინდა აუცილებლობა და წმინდა შემთხვევითობა, აზრის, ცნების სფეროში, ლოგიკური მნიშვნელობით სწორედ წმინდა აუცილებლობა და წმინდა შემთხვევითობა გვაქვს. აუცილებლობა მხოლოდ აუცილებლობაა და შემთხვევითობა მხოლოდ შემთხვევითობა. ამიტომაც ისინი თავისი თავიდან გამორიცხავენ ერთიმეორეს. აუცილებლობის კატეგორია მხოლოდ აუცილებლობას გამოთქვამს და მთლიანად გამორიცხავს შემთხვევითობის კატეგორიას. შემთხვევითობის კატეგორიაც მხოლოდ შემთხვევითობას გამოთქვამს და მთლიანად გამორიცხავს აუცილებლობას. სწორედ ასეთი გზით შეიძლება აუცილებლობისა და შემთხვევითობის და საერთოდ კატეგორიების, როგორც ცნებების, შინაარსის დადგენა.

ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ თუ რეალურ სინამდვილეში აუცილებლობა და შემთხვევითობა, მიზეზი და შედეგი და ა. შ. ერთად არსებობენ და ურთიერთში გადადიან, კატეგორიის სფეროში ისინი არც ერთად არიან და არც ურთიერთში გადადიან. კატეგორიებშიც რომ ისე ხდებოდეს ურთიერთში გადასვლა, როგორც იგი მათ შესაბამის რეალურ სინამდვილეშია, მაშინ ის, რაც ერთ დროს იყო შემთხვევითობის გამომთქმელი შემთხვევითობის კატეგორია, იგი შემ-

თხვევითობის აუცილებლობად გარდაქმნის შემთხვევაშიც შემთხვევითობის კატეგორიად კი არ უნდა დარჩეს, არამედ უნდა გახდეს აუცილებლობის კატეგორია. მაგრამ ასე არასდროს არ ხდება, ვინაიდან შემთხვევითობის კატეგორია ყოველთვის მხოლოდ შემთხვევითობას გამოთქვამს და არა აუცილებლობას.

სხვაგვარად — შემთხვევითი მოვლენა, რომელიც ერთ დროს შემთხვევითობის კატეგორიით აისახა, შემდეგში, როცა იგივე მოვლენა აუცილებლობაში გადავიდა, იქ შემთხვევითობის კატეგორია სრულიად გამოუყენებელია, ვინაიდან შემთხვევითი მოვლენა აუცილებლობადაა გამხდარი და ამიტომ მას აუცილებლობის კატეგორია ასახავს. ხოლო აუცილებელი მოვლენა, რომელიც გარკვეულ პირობებში შემთხვევითი გახდა, იქ აუცილებლობის კატეგორია სრულიად გამოუყენებელია, ვინაიდან აუცილებელი მოვლენა შემთხვევითადაა გადაქცეული და იგი გამოითქმება არა აუცილებლობის, არამედ შემთხვევითობის კატეგორიით.

კატეგორიათა ურთიერთგადასვლის შესახებ გამოთქმულია კიდევ შემდეგი სახის მოსაზრება: დიალექტიკურ მატერიალიზმში ცნობილია, რომ შემთხვევითობა გადადის აუცილებლობაში და პირიქით, არა მარტო სინამდვილეში, არამედ ცნებებშიც — შემთხვევითობის ცნება და აუცილებლობის ცნება ერთიმეორეს აუცილებლობით საჭიროებენ: შემთხვევითობა აუცილებლობის არსებობის ფორმაა და არა აუცილებლობის გაუქმება. ასე ითქმის თავისუფლების და აუცილებლობის ცნებების შესახებაც. თავისუფლება არის შეგნებული შინაგანი აუცილებლობა და არა მისი უარყოფა-გაუქმება. რაოდენობის ცნება გადადის თვისებრიობის ცნებაში, რადგან რაოდენობის ცნების განსაზღვრება არის რაოდენობის თვისებრიობის ცნების დადგენა.

ასევე, მაგალითად, უსასრულო გადადის სასრულში, რადგან: 1) უსასრულო არის ყველა სასრული, 2) უსასრულოს ცნებაში არის სასრულის ნიშანიც; უსასრულოში არის სასრული, რადგან დადებითი უსასრულობა სისრულეა; პირველი უსასრულო, ე. ი. უსასრულო, როგორც ყველა სასრული, არის უარყოფითი უსასრულო, რადგან „ყველა“ არის დაუსრულებელი. ცნებაში უსასრულო არის სასრული, როგორც სრული, ე. ი. თუ ვიცით, რა არის უსასრულო, ე. ი. თუ გვაქვს მისი ცნების განსაზღვრება, მაშინ, ცხადია, ცნების — ლოგიკური თვალსაზრისით, უსასრულო სასრულად — სრულად არის წარმოდგენილი, ე. ი. საქმე გვაქვს სასრულისა და უსასრულოს დიალექტიკურ ერთიანობასთან; 3) თუ ვიცით, რა არის განვითარება, მაშინ დაუსრულებელი განვითარება დასრულებულად არის გამოთქმული. თვითონ განვითარების ბუნება დაუსრულებელ განვითარებაში ერთი და იგივეა. 4) უსასრულო არის სასრული, თუ ის სასრულის გარეშეა

წარმოდგენილი; მხოლოდ უსასრულო, სასრულის მიღმა არსებული უსასრულო თვითონ არის სასრული. მხოლოდ სასრული კი აბსოლუტურია, უსასრულოა; აქ განხილული ოთხივე შემთხვევის შესახებ ნათქვამია, რომ ნათლად ჩანს უსასრულობისათვის სასრულის აუცილებლობა და სასრულისათვის უსასრულოს აუცილებლობა.

კატეგორიათა ურთიერთში გადასვლის ასეთი გაგების შესახებ პირველ რიგში უნდა ითქვას შემდეგი: აქ კატეგორიათა გადასვლა ერთიმეორეში სრულიად არ არის გაგებული ისე, როგორც მითითებულია, რომ „შემთხვევითობა გადადის აუცილებლობაში და პირიქით, არა მარტო სინამდვილეში, არამედ ცნებაშიც". სინამდვილეში შემთხვევითობა რომ გადადის აუცილებლობაში და პირიქით, ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ ცნების, კატეგორიის სფეროში მათი გადასვლად იმის მიჩნევა, რომ შემთხვევითობის ცნება და აუცილებლობის ცნება ერთიმეორეს აუცილებლობით საჭიროებენ, უსასრულოსათვის სასრულის აუცილებლობა და სასრულისათვის უსასრულოს აუცილებლობაა საჭირო, ეს სრულიად არ არის მათი ურთიერთში გადასვლა. იგი სრულიად არ შეესაბამება იმ ურთიერთგადასვლას, რომელსაც ადგილი აქვს მათ შესაბამის რეალურ სინამდვილეში. ის, რომ კატეგორიები აუცილებლობით საჭიროებენ მათ საპირისპირო კატეგორიებს, ეს კატეგორიათა გადასვლას კი არ ამტკიცებს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წყვილადი კატეგორიები ურთიერთკავშირსა და ურთიერთდაპირისპირებულობაში არიან ერთიმეორესთან. ასეთ ურთიერთდაპირისპირებულობასა და ერთმანეთისათვის აუცილებელ საჭიროებას კატეგორიის როგორც ცნების სფეროში რატომ უნდა ვუწოდოთ კატეგორიათა გადასვლები? ნუთუ არიან ეს გადასვლები ისეთი, როგორც მათ შესაბამის რეალურ სინამდვილეშია გადასვლები? რეალურ სინამდვილეში რეალური შემთხვევითობის რეალურ აუცილებლობაში და პირიქით გადასვლასთან გვქვს საქმე: კატეგორიის, როგორც ცნების, სფეროში კი აღნიშნული შეხედულების მიხედვით საქმე გვაქვს საპირისპირო კატეგორიების ერთიმეორისათვის აუცილებელ საჭიროებასთან და არა გ ა დ ა ს ვ ლ ა ს თ ა ნ.

შემდეგ, თუ კატეგორიები საერთოდ ერთიმეორეში გადადიან, ისე როგორც რეალურ სინამდვილეში მათი შესაბამისი სინამდვილე გადადის ურთიერთში, მაგალითად, შემთხვევითობა გადადის აუცილებლობაში და აუცილებლობა შემთხვევითობაში, მაშინ ზემოთ მითითებულ მოსაზრებაში იმავე პრინციპით რატომ არ არის აზრი გამოთქმული სრული სახით. სახელდობრ: უსასრულო გადადის სასრულში და სასრული გადადის უსასრულოში? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ არავითარ ასეთ გადასვლას არა აქვს ადგილი. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ უსასრულოსა და სასრულის ცნებები აუცილებლობით მოითხოვენ, სა-

ჭიროებენ ერთიმეორეს, ეს, როგორც ვთქვით, არ არის მათი ურთიერთში გადასვლა.

რაც შეეხება აზრს: რაოდენობის ცნება გადადის თვისებრიობის ცნებაში, რადგან რაოდენობის ცნების განსაზღვრება არის რაოდენობის თვისებრიობის ცნების დადგენა, ნამდვილად არ ამტკიცებს იმას, რომ რაოდენობის ცნება გადადის თვისებრიობის ცნებაში და პირიქით, მსგავსად მათი შესაბამისი სინამდვილისა. ის, რომ რაოდენობის ცნების განსაზღვრება არის რაოდენობის თვისებრიობის ცნების დადგენა, რაოდენობის ცნების თვისებრიობაში გადასვლა კი არ არის, არამედ მხოლოდ რაოდენობის შინაარსის ანუ რაოდენობის თვისებრიობის დადგენა, სადაც მხოლოდ ისაა ნაჩვენები, რომ რაოდენობა არის ესა და ეს და არა ისაა დადგენილი, რომ თვისებრიობა არის ესა და ეს. რაოდენობის თვისებრიობის ანუ მისი შინაარსის დადგენა რაოდენობის ცნების თვისებრიობის ცნებაში გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, რომ რაოდენობის ცნების განსაზღვრებით მისი შინაარსი კი არ დადგენილიყო, როგორც თვისებრიობა, არამედ თვისებრიობის ცნების შინაარსი, ანუ თვისებრიობის ცნების თვისებრიობა.

აღნიშნული თვალსაზრისით თუ რაოდენობის ცნების განსაზღვრება არის რაოდენობის თვისებრიობის ცნების დადგენა და ეს არის რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლა, მაშინ პირიქითაც უნდა იყოს ასე: თვისებრიობის ცნების განსაზღვრება უნდა იყოს თვისებრიობის თვისებრიობის ცნების დადგენა და ეს უნდა იყოს თვისებრიობის რაოდენობაში გადასვლა. მაგრამ ასეთი „გადასვლით" ერთი რამ ხდება ცხადი, რომ თვისებრიობის ცნების განსაზღვრით დგინდება მხოლოდ თვისებრიობის თვისებრიობა ანუ შინაარსი და არა რაოდენობის ცნების თვისებრიობა ანუ შინაარსი და ამდენად არც არავითარ გადასვლას აქვს ადგილი.

ზოგიერთს ცნებათა, კატეგორიათა ურთიერთში გადასვლის ზემოაღნიშნულ ვარიანტის პრინციპის გასამართლებელ არგუმენტად ის მოჰყავს, რომ თუ იდეალისტური დიალექტიკის (კერძოდ ჰეგელის დიალექტიკის) საფუძველზე შესაძლებელია ცნებათა, კატეგორიათა ურთიერთგადასვლის, მათი ურთიერთში შეჭრის დასაბუთება, მით უმეტეს ეს შესაძლებელი უნდა იყოს მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზეო. ამ მოსაზრებას ვუპასუხებდით ასე: სწორედ ასეთი ურთიერთში გადასვლა მით უმეტეს შეუძლებელია მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა სისტემის საფუძველზე. იდეალისტურ დიალექტიკაში ცნების, კატეგორიის ამოსავალი პრინციპია მცდარად გაგებული. სახელდობრ. არსი და აზრი გაიგივებულია, აზრი ონტოლოგიზებულია. ცნება, კატეგორია თვითონ საგნებადაა აღიარებული

და ამის გამო ხდება ზემოაღნიშნული გაგებით ცნებათა ურთიერთში გადასვლა. დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით ცნება, კატეგორია არის სინამდვილის ასახვა, სინამდვილე ონტოლოგიურია, ცნება, კატეგორია ლოგიკური (გნოსეოლოგიური). ამიტომ ისინი ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული სინამდვილეა. ის, რაც მიეწერება ონტოლოგიურს, არ შეიძლება მიეწეროს ლოგიკურს და პირიქით. ხოლო იდეალისტური დიალექტიკის, კერძოდ, ჰეგელის დიალექტიკის მიხედვით კი, რამდენადაც ცნება ონტოლოგიზებულია, ის, რაც მიეწერება ონტოლოგიურს, მიეწერება ცნებას, კატეგორიას. სწორედ აქ გამოჩნდა ჰეგელის უკიდურესი იდეალიზმი.

შემდეგ, ზოგიერთი ფილოსოფოსი როცა მიუთითებს კატეგორიათა ურთიერთში გადასვლასა და მოძრაობაზე, იმოწმებს ასევე ვ. ი. ლენინის შემდეგ გამოთქმას: „თვალში გეცემათ, რომ ზოგჯერ ჰეგელი მიდის აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ... ზოგჯერ პირიქით... ხომ არ არის ეს იდეალისტის არათანმიმდევრულობა... თუ არის უფრო ღრმა საბუთები? (მაგალითად, ყ ო ფ ი ერ ე ბ ა-ა რ ა ა — ქმნადობის, განვითარების იდეა). ჯერ გამოკრთებიან შთაბეჭდილებანი, შემდეგ გამოიყოფა რაღაც, — შემდეგ ვითარდება ცნებები თვისობრიობისა... და რაოდენობისა. შემდეგ შესწავლა და გააზრება წარმართავენ აზრს იქითკენ, რომ შეიცნოს იგივეობა-სხვაობა-საფუძველი-არსება Versus მოვლენისა, მიზეზობრიობა etc“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 325—326). აქედან ის დასკვნაც კი არის გაკეთებული, რომ არა მხოლოდ უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები გადადიან ურთიერთში, არამედ ყველა კატეგორია ურთიერთში გადადის. ვ. ი. ლენინს სინამდვილეში აღნიშნულ ციტატში არსად არაფერი აქვს ნათქვამი კატეგორიების ურთიერთგადასვლაზე. მოტანილ ციტატში მხოლოდ იმაზეა მითითებული, თუ როგორაა წარმოდგენილი ჰეგელის მიერ ობიექტურ ლოგიკაში კატეგორიათა დალაგება. ვ. ი. ლენინი გარკვევით ამბობს, თუ როგორ ვითარდება ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებაში“ ცნებები თვისებრიობისა, რაოდენობისა; შემდეგ, თუ როგორ არის აზრი წარმართული იქითკენ, რომ შეიცნოს იგივეობა-სხვაობა-საფუძველი-არსება-მოვლენა-მიზეზობრიობა.

თუ დასახელებულ ციტატს მივიჩნევთ, როგორც კატეგორიათა ურთიერთში გადასვლის დამსაბუთებელს, მაშინ იგი ეხება მხოლოდ ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებაში“ კატეგორიათა გადასვლას. ეს გარკვევით ჩანს იმ სტატიის სახელწოდებიდან, რომელშიც მითითებული ციტატია დამოწმებული. მისი სათაურია „ჰეგელის დიალექტიკის (ლოგიკის) გეგმა“. ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ მიხედვით ეს ნამდვილად შესაძლებელია, ვინაიდან მისი ფილოსოფიის ძირითადი პრინციპია აზრისა და არსის იგივეობა. აზრის განვითარების საფეხურები

იგივეა, რაც არსის განვითარების საფეხურები, შემეცნების პროცესი სინამდვილის განვითარების პროცესის იგივეობრივია. რაც შეეხება ცნებას, იგი ობიექტურად არსებულია, ცნება თვითონ არის საგანი. ყოველივე ამის გამო ლოგიკა იმავე დროს თვითონ არის ონტოლოგიაც. ამიტომაც, როცა ჰეგელი კატეგორიათა ურთიერთგადასვლაზე მსჯელობს, მას ეს გადასვლა გაიგივებული აქვს ობიექტურად არსებული ცნების, კატეგორიის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლასთან. ჰეგელს ასე მსჯელობის სრული უფლება აქვს, ვინაიდან მისთვის არსი და აზრი იგივეობრივია და ლოგიკა იმავე დროს არის ონტოლოგიაც. ჰეგელი ონტოლოგიზებულ აზრს, როგორც განსაზღვრულობასა და ამ განსაზღვრულობის გამომთქმელ კატეგორიას აიგივებს, ახასიათებს კატეგორიას ისე, როგორც უნდა დახასიათდეს ონტოლოგიზებული აზრი, როგორც განსაზღვრულობა, როგორც გარკვეული სინამდვილე. სწორედ იმის გამო, რომ ჰეგელთან ლოგიკური გაიგივებულია ონტოლოგიზებულ აზრთან, როგორც რეალურთან, მის სისტემაში სრულიად დასაშვებია კატეგორიის კატეგორიაში გადასვლის მტკიცება.

მართალია, თვითონ ჰეგელი, როგორც ვთქვით, გარდა ერთი ადგილისა, სახელდობრ ნაშრომში „ფილოსოფიური პროპედევტიკა", სხვაგან არსად არ ამბობს, რომ ცნებები, კატეგორიები ერთიმეორეში გადადის და გარდაიქმნებაო. მაგრამ ფაქტიურად ამას მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან თვით ცნებები, კატეგორიები მისი ფილოსოფიის მიხედვით ისევე რეალურად არსებულია, ე. ი. ონტოლოგიზებულია, როგორც კატეგორიათა შესაბამისი ობიექტები. ამიტომაც ჰეგელისათვის კატეგორიათა ურთიერთში გადასვლის მტკიცება, ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, დასაშვებია.

ცნობილია, რომ ჰეგელი „ლოგიკის მეცნიერების" იმ ნაწილს, რომლის სახელწოდებაა „მოძღვრება არსის შესახებ", უწოდებს გ ა დ ა ს ვ ლ ე ბ ი ს სფეროს, სადაც მრავალი კატეგორიაა განხილული და მათ შორის რაოდენობისა და თვისებრიობის კატეგორიაც და ყველგან მათ ურთიერთში გადასვლაზე მსჯელობს, მაგრამ ერთხელაც არ არის ნათქვამი, რომ რაოდენობის კატეგორია გადადის თვისებრიობის კატეგორიაში და პირიქით. რაც შეეხება „მოძღვრებას არსების შესახებ", სადაც დიალექტიკის ძირითადი კატეგორიებია განხილული, მათზე პირდაპირ მიუთითებს, რომ „არსებაში გადასვლა კი აღარაა, არამედ მხოლოდ მიმართება".

არც ჰეგელი და არც მარქსიზმის კლასიკოსები ერთხელაც არ ამბობენ იმას, რომ რაოდენობის კატეგორია გადადის თვისებრიობის კატეგორიაში და თვისებრიობისა — რაოდენობის კატეგორიაშიო. თუმცა როგორც ჰეგელის, ასევე მარქსიზმის კლასიკოსების შრომების შე-

სახებ კომენტირებულ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მტკიცებას: რაოდენობის კატეგორია გადადის თვისებრიობის კატეგორიაში და თვისებრიობის კატეგორია რაოდენობის კატეგორიაში. სინამდვილეში, რაოდენობა გადადის თვისებრიობაში და თვისებრიობა რაოდენობაში — სრულიად არ არის იმ მნიშვნელობისა, რომ რაოდენობის კატეგორია გადადის თვისებრიობის კატეგორიაში და თვისებრიობის კატეგორია — რაოდენობის კატეგორიაში; კატეგორიის, როგორც ცნების, სფეროში ასეთ გადასვლებს არა აქვთ ადგილი.

კატეგორიათა ურთიერთში გადასვლის აღიარებისას აგრეთვე ემყარებიან ვ. ი. ლენინის შემდეგ გამოთქმას: „ცნებები უძრავი არაა, არამედ — თავისთავად, თავიანთი ბუნებით-გადასვლა". „დიალექტიკა საერთოდ არის „აზრის წმინდა მოძრაობა ცნებებში" (ვ. ი. თუ იდეალიზმის მისტიკის გარეშე ვიტყვით: ადამიანის ცნებები უმოძრაონი კი არ არიან, არამედ მარად მოძრაობენ, გადადიან ერთმანეთში; გადაასხამენ ერთს მეორეში, უაშისოდ ისინი ვერ ასახავენ ცოცხალ ცხოვრებას. ცნებათა ანალიზი, მათი შესწავლა „მათი გამოყენების ხელოვნება" (ენგელსი) მოითხოვს ყოველთვის ცნებათა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს, მათი კავშირის, მათი ურთიერთგადასვლების შესწავლას" (ი. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 225 და 257). მოტანილ ციტატში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ცნებები მარად მოძრაობენ, გადადიან, რომლის გარეშე ისინი არ იქნებიან სინამდვილის, ცოცხალი ცხოვრების ასახვა. მაგრამ ცნებათა ეს მოძრაობა, გადასვლა გაგებული უნდა იქნეს არა ისე, როგორც იგი ზემოთ მითითებულ შემთხვევაში იყო აღაზრებული, არამედ იგი ნიშნავს ან მხოლოდ ცნების შინაარსის განვითარებას პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებისაკენ და ა. შ. ან მხოლოდ იმას, რომ სინამდვილის უზოგადესი მხარეების გადასვლებს მათი შესაბამისი კატეგორიები გამოთქვამენ. მაგალითად, იმას, რომ რეალური მიზეზი გადადის რეალურ შედეგში და რეალური შედეგი რეალურ მიზეზში, რეალური აუცილებლობა — რეალურ შემთხვევითობაში და რეალური შემთხვევითობა — რეალურ აუცილებლობაში და ყოველივე ამას რომ მათი შესაბამისი კატეგორიები გამოთქვამენ. ამ მნიშვნელობით არის გადასვლა მიზეზის კატეგორიისა შედეგის კატეგორიაში და შედეგის კატეგორიისა მიზეზის კატეგორიაში და ა. შ.

ცნების შინაარსი რომ ვითარდება, ეს უტყუარი ფაქტია, წინააღმდეგ შემთხვევაში ცნებები, მართლაც, არ იქნებოდა სინამდვილის, ცოცხალი ცხოვრების ასახვა. ამაზე ვ. ი. ლენინი ზემოთ მოტანილი მეორე ციტატის გაგრძელებაში გარკვევით წერს: „ადამიანის აზრი უსასრულოდ ღრმავდება მოვლენიდან არსებისაკენ, ასე ვთქვათ, პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებისაკენ და ა. შ. დ ა უ ს-

რ უ ლ ე ბ ლ ა დ“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 257). ფაქტია, რომ ცნების შინაარსი ღრმავდება და გადადის პირველი რიგის არსებიდან მეორე, უფრო მაღალი რიგის არსებისაკენ. ეს გადასვლა უფრო ღრმაა. თუ შემეცნების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ცნება გამოთქვამს პირველი რიგის არსებას, შემდგომ განვითარებაში იგი შეიცვლება მეორე რიგის არსებით, რაც არსებული ცნების შინაარსის არასაკმარისობაზე მიუთითებს. სხვაგვარად, შემეცნების განვითარების შესაბამისად არსებული ცნების შინაარსი შეიცვლება სხვა უფრო მაღალი რიგის არსების შინაარსით. ცნების შინაარსის შეცვლით თვით ცნების მნიშვნელობაც იცვლება. ამის დადასტურებაა შემეცნების განვითარების შესაბამისად ცნების შინაარსის სულ უფრო და უფრო უარსებითესი, პირველი რიგის არსებიდან უფრო მაღალი რიგის არსებისაკენ მსვლელობა. ამას ადასტურებს ატომის, ადამიანის თუ სხვა ცნებათა შინაარსის განვითარება. ის, რაც ითქმის საერთოდ ცნებათა შინაარსის განვითარებაზე, იგივე ითქმის კატეგორიების, როგორც გარკვეული სახის ცნებების, შინაარსის შესახებაც. კატეგორიათა შინაარსიც ცვალებადია. ამის დასტურია მატერიის, დროის, სივრცის, მოძრაობის, არსების, შინაარსის, მიზეზის კატეგორიების შინაარსის ცვლილება. სხვაგვარია მათი შინაარსის გაგება თანამედროვე ეპოქაში, ვიდრე იგი იყო ანტიკური თუ ახალი დროის ფილოსოფიაში. ცნობილია, რომ ფილოსოფიისა და კონკრეტულ მეცნიერებათა განვითარების შესაბამისად ახალ შინაარსს ღებულობს უკვე აღიარებული ფილოსოფიური კატეგორიები.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, კატეგორიათა ურთიერთში გადასვლა მიეწერება მთელ ადამიანურ შემეცნებას; არა მხოლოდ წყვილადი კატეგორიები, არამედ ყველა ცნება, კატეგორია ურთიერთში გადადის. ამ შემთხვევაში აღნიშნული მკვლევარნი ემყარებიან ვ. ი. ლენინის სტატიაში „დიალექტიკის საკითხისათვის“ გამოთქმულ შემდეგ მოსაზრებას: „ყ ო ვ ე ლ წინადადებაში, როგორც „უჯრედში“ („უჯრულაში“) შეიძლება (და უნდა) გამოვაშკარავნოთ დიალექტიკის ყ ვ ე ლ ა ელემენტის ჩანასახები და ამრიგად ცხადვყოთ, რომ ადამიანის მთელ შემეცნებას საერთოდ დიალექტიკა ახასიათებს. ბუნებისმეტყველება კი გვიჩვენებს... ობიექტურ ბუნებას მის იმავე თვისებებში, გარდაქმნას ცალკეულისას ზოგადად, შემთხვევითისას აუცილებლად, დაპირისპირებულობათა გადასვლებს, გადადინებას, ურთიერთკავშირს“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 374). მოტანილი ციტატის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ მასში კატეგორიათა ურთიერთგადასვლაზე არ არის მსჯელობა. ვ. ი. ლენინი არსად ამბობს, რომ ცალკეულის კატეგორია გადადის ზოგადის კატეგორიაში. იგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ რეალური ცალკეული გარდაიქმნება ზოგადად, რეალური შემთხვევი-

თობა გარდაიქმნება აუცილებლობად. მაგრამ ნუთუ რეალურად არსებული ცალკეული, აუცილებელი და ა. შ. კატეგორიებია? რა თქმა უნდა, არა.

შემდეგ, ზოგადი დებულების სახით მტკიცება იმისა, რომ არა მხოლოდ წყვილადი ცნებები, კატეგორიები, არამედ ყველა ცნება, კატეგორია გამონაკლისის გარეშე ურთიერთში გადადის, ფაქტობრივ ვითარებას მოკლებულია. ასეთი მოსაზრება არა თუ ყველა ცნების, არამედ პირველ რიგში წყვილადი ცნებების ურთიერთში გადასვლას ვერ ამართლებს. მაგალითად, დავუშვათ, რომ სიცოცხლის ცნება გადადის სიკვდილის ცნებაში, მაგრამ სიკვდილის ცნება გადადის სიცოცხლის ცნებაში? დავუშვათ, რომ ფეოდალიზმის ცნება გადადის კაპიტალიზმის ცნებაში, მაგრამ კაპიტალიზმის ცნებაც გადადის ფეოდალიზმის ცნებაში? ნუთუ დროის კატეგორია გადადის სივრცის კატეგორიაში და სივრცის კატეგორია გადადის დროის კატეგორიაში? აი ასეთ მდგომარეობამდე მივყევართ დებულება: „ცნებათა დიალექტიკა გამონაკლისის გარეშე ყველა ცნების ურთიერთგადასვლაში მდგომარეობს“. ასეთი მოსაზრების დამცველები, მართალია, არ ასახელებენ, მაგრამ უდავოდ ემყარებიან „ლოგიკის მეცნიერებაში“ ჰეგელის მიერ ცნებათა და კატეგორიათა გადასვლის საკითხზე გამოთქმულ მოსაზრების შესახებ ვ. ი. ლენინის შემდეგ აზრს:

„რაში მდგომარეობს დიალექტიკა?	——————————— ცნებათა ! ურთიერთდამოკიდებულება „ყველასი“ უკლებლივ ცნებათა ! გადასვლები ერთიდან მეორეში „ყველასი“ უკლებლივ ცნებათა შორის დაპირისპირებულობის ფარდობითობა... ცნებათა შორის დაპირისპირებულობათა იგივეობა“ (ვ. ი. ლენინი. ტ. 38, გვ. 194).	= N B თითოეული ცნება იმყოფება გარკვეულ მიმართებაში, გარკვეულ კავშირში ყველა დანარჩენთან.

ყველაფერი ეს, ე. ი. ცნებათა გადასვლები ერთიდან მეორეში „ყველასი“ უკლებლივ დასაშვებია მხოლოდ ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებაში“, რომელიც არა მხოლოდ ლოგიკაა, არამედ ონტოლოგიაც.

როცა ვ. ი. ლენინი გამოთქვამს აზრს, რომ ჰეგელის ლოგიკის მიხედვით ყველა ცნება გადადის ერთმანეთშიო, ამით მხოლოდ იმას ამბობს, რომ ასეთია ჰეგელის დიალექტიკის არსება და სრულიად არ ამბობს იმას, რომ ასევე უნდა გავიგოთ ცნებათა ურთიერთგადასვლა დიალექტიკურ მატერიალიზმშიც. ეს გარკვევით ჩანს მაშინ, როცა ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ ჰეგელი გვიჩვენებს „ყველა და ყოველგვარი ცნების ერთმანეთთან კავშირს და ერთმანეთში გადასვლას" (ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 197). და ასევე „აქაც (ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის შესახებ, ბ. უ.) ჰეგელისათვის მთავარია მოხაზოს გ ა დ ა ს ვ ლ ე ბ ი" (იქვე, გვ. 193). შემდეგ, რაც მთავარია, როცა ვ. ი. ლენინი თავის აზრს გამოთქვამს ცნებათა დიალექტიკის შესახებ ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებაში", იქ კითხვაზე: „რაში მდგომარეობს დიალექტიკა? გარკვევით პასუხობს, „თითოეული ცნება იმყოფება გარკვეულ მ ი მ ა რ თ უ ბ ა შ ი, გარკვეულ კავშირში ყ ვ ე ლ ა დანარჩენთან". აი, ეს არის აღნიშნულ შემთხვევაში ცნებათა დიალექტიკის ლენინური გაგება და არა ის, რომ ყველა ცნება გადადის ყოველივეში, რაც ფაქტიურ სინამდვილეს არ შეესაბამება.

ჰეგელის დიალექტიკის იდეალისტური ბუნება ყველაზე აშკარად გამოჩნდა სწორედ ცნების, კატეგორიის სფეროში. აქ ხაზგასასმელია ის, რომ ურთიერთგადასვლები ხდება ონტოლოგიზებული ცნებებისა, კატეგორიებისა. ჰეგელმა მოგვცა ონტოლოგიზებულ ცნებათა და კატეგორიათა გადასვლები. ჰეგელისათვის ხომ კატეგორიები ონტოლოგიზებული აზრის ფორმებია. ამიტომაც კატეგორიების ერთმანეთში გადასვლის ჰეგელისეული პრინციპი ობიექტურ-იდეალისტურია და პრინციპულად მიუღებელი მეცნიერული ფილოსოფიისათვის. ჰეგელის მოძღვრების მიხედვით ფაქტიურად კატეგორიათა სფეროში მათი შესაბამისი, მაგალითად, რეალურ მიზეზის რეალურ შედეგში, რეალური აუცილებლობის რეალურ შემთხვევითობაში და ა. შ, გადასვლები კი არ არის ნაჩვენები, არამედ მათ ნაცვლად მოცემულია ონტოლოგიზებულ კატეგორიათა გადასვლები. ამიტომ მცდარად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება, რომ თითქოს კატეგორიათა გადასვლა ჰეგელს ბუნების მოვლენების ერთმანეთში გადასვლის იდენტურად ჰქონდა წარმოდგენილი. იგი ყველგან მსჯელობს იდეაზე, რომლის განვითარების კანონზომიერება ძირითადად ობიექტური სინამდვილის მოვლენათა განვითარების კანონზომიერებას ემთხვევა. ასე რომ ჰქონდეს ჰეგელს კატეგორიათა მსვლელობა გაგებული, მაშინ იგი ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენელი კი არა, მატერიალისტი იქნებოდა. უფრო ზუსტად, ვულგარული მატერიალისტი, რომელიც ლოგიკურს აიგივებს რეალურთან — „კატეგორიათა გადასვლა — ბუ-

ნების მოვლენების ერთმანეთში გადასვლის იდენტურადაა... წარმოდგენილი".

კატეგორიათა ურთიერთგადასვლის შესახებ არსებობს შემდეგი სახის მტკიცებაც: კატეგორიათა ურთიერთგადასვლა მდგომარეობს იმაში, რომ წყვილადი კატეგორიებიდან რომელიმე ერთის ანალიზს უშუალოდ მივყავართ მეორის ანალიზისაკენ; წყვილადი კატეგორიებიდან ერთ-ერთის ანალიზი იმპლიციტურად ამჟღავნებს მეორის შინაარსს. მაგალითად, ფორმის კატეგორიის ანალიზს მივყევართ მტკიცებამდე, რომ ფორმა არის შინაარსის მომენტი, საიდანაც მივდივართ შინაარსის კატეგორიის ანალიზამდე; თვისებრიობის კატეგორიის ანალიზი იმპლიციტურად ამჟღავნებს მასში მოცემული რაოდენობის ცნების ანალიზს და ა. შ. წყვილადი კატეგორიების ურთიერთგადასვლის შესახებ აღნიშნული მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება.

მართალია, წყვილადი კატეგორიებიდან რომელიმე ერთის ანალიზი მეორე, მასთან დაპირისპირებული კატეგორიის ანალიზს მოითხოვს, მაგრამ წყვილადი კატეგორიებიდან აქ სრულიად არ არის რომელიმე ერთის გადასვლა მეორეში. გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, რომ ფორმის კატეგორიის ანალიზი გადადიოდეს შინაარსის კატეგორიის ანალიზზე; სინამდვილეში ფორმის კატეგორიის ანალიზი შინაარსის კატეგორიის ანალიზზე კი არ გადადის, არამედ ფორმის კატეგორიის ანალიზი უპირისპირდება შინაარსის კატეგორიას. სხვაგვარად, ფორმის კატეგორიის ანალიზის შინაარსის კატეგორიაზე გადასვლა მაშინ იქნებოდა, რომ ფორმის კატეგორიის ანალიზით დგინდებოდეს შინაარსის კატეგორია. სინამდვილეში კატეგორიათა შინაარსის ანალიზის დროს ამის მსგავსი არაფერი ხდება. მაგალითად, შინაარსის კატეგორიის ანალიზი სრულიად არ ადგენს ფორმის კატეგორიას. ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ შინაარსის კატეგორიის ანალიზი შეიძლება მართებულად დადგინდეს, მაგრამ ამაში სრულიად არ არის მოცემული იმის პირობა, რომ ამით ფორმის კატეგორიის ანალიზიც მართებულად იქნება დადგენილი. ასევე ითქმის ფორმის კატეგორიის მიმართაც, მისი მართებული ანალიზი იმპლიციტურად არ მოიცავს შინაარსის კატეგორიის ანალიზს. სულ სხვაა, რომ შინაარსის ან ფორმის კატეგორიის ანალიზი ურთიერთდაპირისპირებით სრულდება, ამას მათი პოლარული ბუნება განაპირობებს, მაგრამ ამით რომელიმე ერთი მათგანის მეორეში გადასვლა არ ხდება იმ გაგებით, რომ რომელიმე ერთი კატეგორიის ანალიზს მეორის ანალიზამდე მივყავდეთ. ფორმის კატეგორიის ანალიზის დროს მხოლოდ ფორმის კატეგორია დგინდება, ამით იგი უპირისპირდება შინაარსის კატეგორიას, მაგრამ იგი შინაარსის კატეგორიის დადგენა არ არის და ამდენად არც მასში გადასვლა.

რაც შეეხება საკითხს კატეგორიათა გამოყვანის შესახებ, უნდა ითქვას შემდეგი: ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემის აგებისათვის ზოგიერთის მოსაზრებით აუცილებელია ამოსავალ დებულებად მივიღოთ კატეგორიათა გამოყვანა. „კატეგორიები უნდა გამოვიყვანოთ". „კატეგორიათა გამოყვანა ერთიმეორისაგან დიალექტიკური ლოგიკის ძირითადი კანონია". კატეგორიათა გამოყვანა არის კატეგორიათა სისტემის აგების აუცილებელი საფუძველი. ეს მოსაზრება ემყარება ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების" წაკითხვისას ვ. ი. ლენინის შემდეგ შენიშვნას: „საჭიროა კატეგორიების გამოყვანა (და არა თვითნებურად ან მექანიკურად აღება)", მიუთითებენ, რომ ვ. ი. ლენინი აქ ლაპარაკობს კატეგორიათა არა ფორმალურ ლოგიკურ გამოყვანაზე, არამედ დიალექტიკურ გამოყვანაზე.

დიალექტიკური მატერიალიზმის სისტემაში თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული კატეგორიათა გამოყვანა, ამაზე ძირითადად აღნიშნულია, რომ უფრო მარტივი კატეგორიიდან უფრო რთული კატეგორიები უნდა გამოვიყვანოთ თანმიმდევრულობით და ასე უნდა ავაგოთ კატეგორიათა სისტემაო. ჩვენი აზრით, კატეგორიათა არავითარი ასეთი გამოყვანა არ არის დასაშვები დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიისათვის. როცა კატეგორიათა გამოყვანაზეა საუბარი, თუ ეს გამოყვანა დასაშვებია, მაშინ მარტივი კატეგორიიდან რთული კატეგორიები კი არ გამოიყვანებიან, თუ არის ასეთი კატეგორიები, არამედ რთულიდან — მარტივი. რაც მთავარია, არ არის უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში, თუნდაც საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიებში „მარტივი" და „რთული" კატეგორიები. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა შინაარსის ასეთი დაყოფა სინამდვილეს არ შეესაბამება. ვერავინ იტყვის, რომ ესა და ეს უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია მარტივი, ხოლო ესა და ეს — რთული. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში მარტივსა და რთულს შორის დამოკიდებულება არ არსებობს.

მაშ, რას ნიშნავს, საჭიროა კატეგორიების გამოყვანა და არა თვითნებურად ან მექანიკურად აღება? ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კატეგორიები მათი შემეცნების ისტორიული განვითარების საფეხურების შესაბამისად იქნეს წარმოდგენილი, ვინაიდან თვით კატეგორიები შემეცნების საკვანძო მომენტებია, საფეხურებია. ეს იქნება თვით კატეგორიათა სისტემის აგებაც, მაგრამ თუ როგორ უნდა გაკეთდეს იგი დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებით, ჯერჯერობით გაურკვეველია. გარკვეული კი ის არის, რომ ასეთი პრინციპით წარმოდგენილ კატეგორიათა სისტემაში უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის ერთიმეორესთან მიმართებაში არ იქნება არავითარი მსვლელობა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, სა-

დაც უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები თითქოსდა შინაარსის სიმდიდრით ერთიმეორეს ექვემდებარებიან. რაც შეეხება აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის ისეთ გაგებას, სადაც კატეგორიის კონკრეტულობა ნიშნავს კატეგორიის შინაარსის გამდიდრებას, ასეთი გაგების წინაალმდეგი არავინ არის, იგი, რა თქმა უნდა, მისაღებია. მაგალითად, მიზეზის, აუცილებლობის, არსების, დროის, სივრცის თუ სხვა კატეგორიათა შინაარსი უფრო ღრმაა და შინაარსიანი თანამედროვე მეცნიერულ ფილოსოფიაში, ვიდრე ანტიკურ ფილოსოფიაში და თუნდაც XVIII—XIX საუკუნეების ფილოსოფიაშიც. მაგრამ კითხვა ისმება: თუ ასე გავიგეთ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების შინაარსის კონკრეტულობა, რომელიც მეცნიერული შემეცნების თეორიისათვის უდავოდ მისაღებია, მაშინ ასევე უდავოდ მიუღებელი იქნება უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა შინაარსის დაქვემდებარების ის გაგება, რომლის მიხედვით მიზეზის კატეგორია ნაკლებად კონკრეტულია, ვიდრე აუცილებლობის კატეგორია, აუცილებლობის კატეგორია კი ნაკლებად კონკრეტულია, ვიდრე არსების კატეგორია და ა. შ.

რაც შეეხება კატეგორიათა გამოყვანის საკითხს ჰეგელთან, ცნობილია, რომ მასთან კატეგორიათა გამოყვანა არის კატეგორიათა ისტორია. კატეგორიები გამოხატავენ აბსოლუტური გონის თვითშემეცნების პროცესის საფეხურებს. ისინი შემეცნების ისტორიული განვითარების საფეხურებს წარმოადგენენ. ჰეგელი კატეგორიების ერთიმეორისაგან გამოყვანას ამართლებს შემეცნების ისტორიით, რომელიც ფილოსოფიის ისტორიაშია განხილული. ეს გამართლება მეტად ხელოვნურია ისევე, როგორც თვით „ლოგიკის მეცნიერებაში" კატეგორიათა გამოყვანაა ხელოვნური. რაც შეეხება კატეგორიათა სისტემისათვის ამოსავალ კატეგორიად წმინდა არსის მიჩნევას, რომელიც ყოველგვარი შინაარსისა და განსაზღვრულობის გარეშეა, კატეგორიათა სისტემის აგებისათვის პრინციპულად მიუღებელია, და, რაც მთავარია, თვით ჰეგელისავე მოთხოვნას ეწინააღმდეგება კატეგორიათა შინაარსიანობის საკითხზე. თუმცა, როგორც § 2-შიც აღვნიშნეთ, წმინდა არსით, უშინაარსო კატეგორიის დაწყებით კატეგორიათა სისტემის აგება ფაქტიურად შეუძლებელია, ამიტომაც ჰეგელი მაშინვე მიმართავს დიალექტიკის გამოყენებას, რომელიც წმინდა ხელოვნურია. ეს დიალექტიკა ასეთია: წმინდა არსი, როგორც დასაწყისი, ჯერჯერობით არარაა, არც მეტი, არც ნაკლები. მაგრამ ის, რომ მისგან უნდა შეიქმნას რაიმე, ამიტომ იგი არის რაღაც, სწორედ არარა და რაღაც არის ის განსაზღვრულობანი, რომლებიც წმინდა არსს აძლევენ შინაარსს. ასევე ხდება ეს შემდეგშიც, როცა ჰეგელი იწყებს წმინდა რაოდენობით, როცა ჯერ არის რაოდენობა და შემდეგ თვისებრიობა და ა. შ.

სხვა კატეგორიები. უნდა ითქვას ისიც, რომ ჰეგელისათვის თითოეული კატეგორია არის აბსოლუტურის პრედიკატი და მისი თვითშემეცნების საფეხური. ამიტომაც ხდება კატეგორიათა მსვლელობა ნაკლებ შინაარსიანობიდან მეტად შინაარსიანობისაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ და საბოლოოდ — განვითარების დამთავრებაც.

დასასრულს კატეგორიათა გამოყვანის შესახებ განხილულ თვალსაზრისებთან კავშირში უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კატეგორიათა გამოყვანის მტკიცება ზოგჯერ პირდაპირ ემყარება ლოგიკურის რეალურთან გაიგივებას, ამის კლასიკური ნიმუშია მსჯელობა: მატერიის კატეგორია არის ამოსავალი „უჯრედი", მისგან გამოიყვანება დიალექტიკის ყველა კატეგორია, მატერიის კატეგორია ბადებს თავის საპირისპიროს — ცნობიერებას; „მატერიის კატეგორია ბადებს ცნობიერებას". ასეთი მოსაზრება სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკურის რეალურთან გაიგივება. ნუთუ მატერიის კატეგორიიდან, როგორც ცნებიდან, წარმოიშობა, იბადება ცნობიერება? რა თქმა უნდა, ვერცერთი კატეგორია ვერაფერს წარმოშობს და დაბადებს, ისე როგორც დედის ცნებიდან ვერ დაიბადება ბავშვი.

ПРОБЛЕМЫ ТЕОРИИ КАТЕГОРИИ

Резюме

Проблем теории категории множество, среди них нерешенными на сегодняшний день являются проблемы понятия наиобщей философской категории, его правила определения и построения системы категории.

Общим родом понятия и категории является понятие. Всякая категория есть понятие, но только некоторые понятия есть категории, из них только некоторые понятия являются философскими категориями, среди них наиобщими являются только некоторые.

Наиобщность в абсолютном значении отличает наиобщие философские категории от всех категорий. Наиобщая философская категория — это такое понятие, в котором отражена наиобщая сторона действительности.

Определение понятия наиобщей философской категории как отражения существенных связей действительности (материального мира) основано на логической ошибке, ибо в данном случае вместо определения понятия наиобщей философской категории имеем определение понятия связей философских категорий. Это же два различных понятия.

Что же касается утверждения, что категория (категории) диалектики отражает существенные отношения действительности, то это не относится к понятию категории диалектики, отдельным категориям. Это можно отнести лишь к связям парных категорий диалектики. В указанном определении также допущена логическая ошибка, а именно, вместо попытки определения наиобщей философской категории дана попытка определения связи (отношения) наиобщих философских категорий. Определение — категория является таким понятием, в котором отражены законы наиобщих связей материального мира (действительности) — не относится к общим парным философским категориям как понятиям. Ни одна отдельно взятая парная категория не представляет собой закона связей. Законы отражены не в категории как понятии, а в связях категорий, выраженных в суждениях. Что же касается категорий закона, меры, причинности, то они отражают связи, но не являются парными философскими кате-

гориями. Поэтому относительно наиобщих парных философских категорий в силе остается положение, согласно которому они не отражают ни связей, ни законов. Это ясно видно в категориях случайности, явлений, которые отражают наиобщую сторону действительности, но сами не являются ни отражением закона и ни законом.

Характерным логическим признаком наиобщих парных философских категорий, что должно лечь в основу их определения, является полярность (противоположность) этих категорий, полярная противоположность парных категорий. Полярной противоположностью характеризуются две парные категории, а не вообще всякие две категории.

Существует мнение, согласно которому определение категории — это установление ее места в системе категории. Это считается правилом определения категории, которое, однако, имеет много недостатков. Первый недостаток в том, что оно оправдано только в законченных, замкнутых системах, где даны начальные и конечные категории. Поэтому содержание каждой категории определяется тем местом, которое она занимает между начальными и конечными категориями системы категорий. Второй, утверждение — определение категории установление ее места в системе категорий — основано на логической ошибке. Определение категории происходит не установлением места категории в системе категорий, а наоборот, определением категории по какому-либо правилу устанавливается ее содержание; это в то же время и есть установление места определенной категории в системе категорий. Третий, указанное правило определения категории не дает определения содержания ни одной философской категории. Правда, правило определения категории не обязано устанавливать содержание категории, оно указывает лишь на то, как надо определять категорию, однако означенное правило определения само требует установления места каждой категории в системе категорий и этим — определения ее содержания, хотя это свое требование оно не удовлетворяет, в результате чего оно несостоятельно и в этом логическом аспекте.

Если правилом определения всякой философской категории считать отношение, тогда надо будет отвергнуть отношение как самостоятельную категорию, так как само отношение берется за правило определения философских категорий. Если же допустить, что отношение — самостоятельная категория и в то же время правило определения всякой философской категории, тогда определение категории самого отношения будет определяться самим отношением, это же чистая тавтология.

Философские категории не могут быть определены взятыми из другой системы категориями, которые не определены в философской системе, ибо: первое, философские кате-

гории абсолютно наиобщие, поэтому они не могут опираться на имеющие меньшую общность категории, которые взяты из другой системы. Второе, философия для определения категорий, имеющихся в ее системе, не может взять из другой системы таких категорий, которые не будут определены в самой философской системе. Всякая категория философии требует определения внутри самой философской системы, где для определения существующих категорий философия не берет категории другой научной системы, но даже содержание категорий используемых в одной философской теории, системе, несовместимо с содержанием категорий, используемых в другой философской системе.

Что же касается утверждения о тавтологии определения философских категорий под тем аргументом, что для определения всякой философской категории необходимо всегда использование какой-либо другой философской категории, не обосновывает тавтологии определения философских категорий. Тавтологию имели бы в том случае, если бы в определении содержание двух противоположных философских категорий было бы тождественно. Но в определении всякой парной философской категории противопоставлены категории с различным содержанием, ввиду чего тавтология исключается.

Что же касается мысли, высказанной относительно определения понятия вообще и философских категорий в частности, согласно которой в определении определитель менее общий, чем определяемое, или определитель обязательно подразумевается в определяемом и поэтому всякое определение тавтологическое, аналитическое, не является правильным объяснением фактического положения. Правда, всякое определяемое подразумевает определитель, но отсюда не вытекает тавтология определения. Объем признаков определителя и определяемого различный. В определении определитель никогда не выражает всех признаков определяемого понятия, поэтому тавтология исключается.

По сегодняшний день не создано совершенной системы философских категорий; построение системы категории в завершенном виде в принципе невозможно. Существует множество отличных друг от друга систем категорий — это факт, и допустимый. Системы должны быть логическими, а не противоречивыми самим себе.

Различие в системах категорий обусловлено различием в средствах их построения, в частности онтологических, гносеологических, логических. Исходным принципом построения системы категорий должен быть только логический. Построение системы категорий по онтологическому принципу неоправдано, ибо доходит до онтологизации категорий. Категории — это понятия, поэтому отношение между ними означает отношение

категорий как понятий. Онтологические связи — это реальные связи, а связи категорий — это логические связи, поэтому их закономерности различны.

Логическим принципом наиобщих парных философских категорий является их полярность, взаимопротивоположные отношения. Построение системы категорий этой группы должно быть основано на означенном принципе.

Не соответствует истине утверждение о том, что та или иная категория в самой себе потенциально, в зачаточном состоянии охватывает множество категорий. Ни одна категория потенциально не охватывает другую категорию и не находится в ней в зачаточном состоянии. В потенциальном и зачаточном состоянии по отношению друг к другу находится соответствующая действительность той или иной категории. Например, в реально существующей необходимости скрывается потенциальное и зачаточное состояние случайности, а в реально существующей случайности — состояние перехода в необходимость. В сфере понятия, категорий — это лишено смысла. Категория необходимости как понятие — только отражение необходимости и охватывает в себе только необходимость; так и все другие категории.

Неправильна и точка зрения, утверждающая якобы категории входят друг в друга и характеризуются признаками других категорий. Ни одна категория не входит в другую. Таким признаком характеризуются не категории, а соответствующая им действительность. В реальной действительности предметы, явления в одно и то же время в различных отношениях характеризуются случайностью, необходимостью, причинностью, следствием, содержанием, формой и т. д. Постольку они входят друг в друга и вместе сосуществуют. Но в сфере категории это вовсе не означает того, что категория случайности, отражающая случайность, в то же время характеризуется необходимостью, причинностью, следствием, содержанием, формой и признаками других категорий и что эти категории входят друг в друга. В сфере понятия, категории категория случайности выражает только случайность и полностью исключает необходимость. Категория необходимости также выражает только необходимость и полностью исключает категорию случайности, поэтому в сфере категории они, т. е. категории не входят друг в друга.

Переход категории в категорию — признанная точка зрения движения (диалектика понятия состоит в движении, взаимопереходе без исключения всех понятий, категорий) — не может быть принят научной философией, ибо основывается на отождествлении логического с реальным.

Не состоятельно утверждение, что в отношениях друг к другу категории находятся в строгой причинно-следственной

связи. Категории как понятия в отношениях друг к другу никогда не находятся в причинно-следственной связи; в сфере понятия, категории это исключено. В сфере понятия есть только логическая связь, основа — следственная связь; причинно-следственная связь существует лишь в реальной действительности. Не говоря ничего о других категориях, уже сами категории причинности и следствия не находятся в отношениях друг к другу в причинно-следственной связи, так как сфера логического исключает такую связь. Попыткой обоснования существования строгой причинно-следственной связи между категориями является отождествление логической связи с реальной, что лежит в основе многих ошибочных суждений и принципиально неприемлемо для научной философии.

Переход категории друг в друга и их выведение считается признанным в советской философской литературе, где по вопросу взаимоперехода категорий в виде общего положения дано утверждение: диалектика понятий состоит во взаимопереходе без исключения всех понятий, категорий. В системе категорий их взаимопереход является основным, существенным. Относительно выведения категорий в виде общего положения дано утверждение: с точки зрения диалектики категорий необходимо вывести — это основной закон диалектической логики.

Переход категории в категорию понимается в том смысле, что одна категория в определенных условиях, связях, отношениях переходит в другую; то, что в одних условиях, связях, отношениях является необходимостью, в других предстает случайностью и т. д. В сфере категории как понятии это действительно никогда не происходит. Переходы означенного вида происходят не в сфере категории как понятии, а в реальной действительности, когда случайность переходит в необходимость и необходимость в случайность. В таком понимании утверждение о переходе категории в категорию только тогда было бы правомерным, если бы ранесуществующая категория случайности стала бы категорией необходимости и категория необходимости — категорией случайности. Но в действительности категория случайности во всех отношениях остается категорией случайности и категория необходимости — категорией необходимости.

Иными словами, то, что в одно время было категорией случайности, не может перейти в категорию необходимости. Категория необходимости относительно случайного явления, которое стало необходимотью, никогда не перейдет в категорию случайности.

В реальной действительности необходимость переходит в случайность, но категория необходимости, высказанная о существующей необходимости, не станет категорией случайности. Понятие необходимости выражает необходимость и оно

никогда не перейдет в понятие случайности, так же и понятие случайности выражает случайность и оно никогда не станет понятием необходимости. Когда случайное явление, которое выражено категорией случайности, перешло в необходимость, категория случайности осталась там не пригодной, так как случайное явление стало необходимостью и поэтому оно выражается категорией необходимости. Но когда необходимое явление в определенных условиях, отношениях стало случайным, там категория необходимости уже непригодна, так как необходимое явление перешло в случайность и оно выражается не категорией необходимости, а категорией случайности. Таким образом, согласно означенному пониманию между категориями нет никакого перехода. В реальной действительности вода в определенных условиях, например, температуры, переходит в состояние пара или льда, но это вовсе не означает того, что понятие воды переходит в понятие пара или льда. Такое же положение и в сфере категорий.

Еще большую неясность представляет утверждение — все понятия, категории, без исключения, переходят друг в друга. Допустим, что понятие жизни переходит в понятие смерти, но переходит ли понятие смерти в понятие жизни? Разве категория времени переходит в понятие пространства, а категория пространства — в категорию времени? Не категории переходят друг в друга, но в соответствующей им реальной действительности происходят переходы. Категория не существует реально, она — понятие и постольку отражение действительности, и поэтому является принадлежностью логического. Логическое отлично от реального. Правда, оба являются действительностью, но различной. Реальное отношение одно, а логическое отношение другое. Поэтому, по нашему мнению, для диалектического материализма не приемлемо вышеуказанное понимание перехода категории в категорию, так как оно основано на отождествлении логического с реальным.

В связи с этим вопросом отметим, что означенное понимание перехода категории в категорию допустимо в гегелевской философии. Для Гегеля понятие, категория онтологизированы, она сама является предметом и постольку движением и более того, самодвижением. Логическое отождествлено с реальным по принципу онтологизированной мысли.

Переход понятий, категорий друг в друга означает либо только развитие их содержания от существа первого ряда к существу второго ряда и т. д., либо только то, что переходы наиобщих сторон действительности выражают соответствующие им категории.

Существует взгляд, согласно которому диалектико-логическое правило определения отличается от всех правил определения. Такое суждение не соответствует действительности.

Определение есть логическая операция, логическое одно; не существует двоякого логического, это не оправдано и логически. Не существуют также формальные и диалектические логические понятия, категории. Подобно этому нет формально-логических и диалектико-логических правил определения. Подобно тому, как неправильно деление объекта понятия, категории на формально- и диалектико-логические сферы определения, двоякое логическое, понятия, категории формальной и диалектической логики, так же неправильно деление правил определения на правила формального и диалектического логического определения.

Для научной философии неприемлимо деление категории на онтологические и гносеологические. Нет онтологических категорий, существуют категории онтологического.

PROBLEME DER THEORIE DER KATEGORIE

Zusammenfassung

Es existieren viele Probleme zur Theorie der Kategorien, ungelöst bis auf den heutigen Tag sind darunter die Probleme des Begriffes der allgemeinsten philosophischen Kategorie, dessen Regeln zur Bestimmung und zum Aaufbau des Kategoriensystems.

Eine allgemeine Begriffs--und Kategoriengattung ist der Begriff. Jede Kategorie ist ein Begriff, jedoch nur einige Begriffe sind Kategorien und von diesen letzteren sind nur einige Begriffe philosophische Kategorien. Nur einige davon sind die allgemeinsten.

Durch die Allgemeinheit in ihrer absoluten Bedeutung werden die allgemeinsten philosophischen Kategorien von allen anderen Kategorien unterschieden. Die allgemeinste philosophische Kategorie ist ein Begriff, in dem die allgemeinsten Seiten der Wirklichkeit wiederspiegelt werden.

Die Definition des Begriffes der allgemeinsten philosophischen Kategorie als Widerspiegelung wesentlicher Zusammenhänge der Wirklichkeit (der materiellen Welt) beruht auf einem logischen Fehler, denn gegebenenfalls haben wir statt der Definition des Begriffes der allgemeinsten philosophischen Kategorie die Definition des Begriffes der Zusammenhänge philosophischer Kategorien. Das sind jedoch zwei verschiedene Begriffe.

Was nun die Behauptung betrifft, daß die Kategorie (Kategorien) der Dialektik wesentliche Beziehungen der Wirklichkeit widerspiegeln, so bezieht sich das nicht auf den Begriff der Kategorie der Dialektik, auf einzelne Kategorien. Das kann sich nur auf die Zusammenhänge paarweiser Kategorien der Dialektik beziehen. Die erwähnte Bestimmung enthält ebenfalls einen logischen Fehler und zwar anstatt zu versuchen, die allgemeinste philosophische Kategorie zu definieren, wird der Versuch unternommen, den Zusammenhang (die Beziehung) der allgemeinsten philosophischen Kate-

gorie zu bestimmen. Die Definition, daß die Kategorie ein Begriff sei, in dem die Gesetze der allgemeinsten Zusammenhänge der materiallen Welt (der Wirklichkeit) widerspiegelt sind, bezieht sich nicht auf die paarweisen philosophischen Kategorien als Begriffe. Keine der einzelnen paarweisen Kategorien stellt ein Gesetz der Zusammenhänge dar. Die Gesetze werden nicht in der Kategotrie als Begriff widerspiegelt, sondern in den in Urteilen geäußeren Zusammenhängen der Kategorien. Was nun die Kategorien des Gesetzes, des Maßes, der Kausalität betrifft, so widerspiegeln diese Zusammenhänge, sind jedoch keine paarweisen philosophischen Kategorien. Hinsichtlich der allgemeinsten paarweisen philosophischen Kategorien bleibt deshalb der Leitsatz gültig, demzufolge diese Kategorien weder die Zusammenhänge noch die Gesetze wiederspiegeln. Das tritt deutlich in den Zufälligkeitskategorien zutage— Erscheinungen, die die allgemeinste Seite der Wirklichkeit widerspiegeln, selbst jedoch weder Widerspiegelung des Gesetzes noch Gesetz sind.

Ein charakteristisches logisches Merkmal der allgemeinsten paarweisen philosophischen Kategorien, das ihrer Definition zugrunde liegen muß, besteht in der Polarität (Gegensätzlichkeit) dieser Kategorien, die polare Gegensätzlichkeit paarweiser Karegorien. Durch die polare Gegensätzlichkeit werden zwei paarweise Kategorien gekennzeichnet, nicht aber jede beliebige zwei Kategorien überhaupt.

Es herrscht die Meinung, derzufolge die kategoriale Bestimmung die Festlegung ihrer Einordnung in das System der Kategorie bedeutet. Das gilt als Regel zur Bestimmung der Kategorie, jedoch ist diese Regel recht mangelhaft. Erstens ist sie nur in vollkommenen, geschlossenen Systemen gerechtfertigt. Deshalb wird der Inhalt jeder Kategorie durch den Platz bestimmt, den sie unter den Anfangs—und Endkategorien des Kategorialen Systems einnimmt. Zweiter Mangel: die Behauptung, die Bestimmung der Kategorie bestehe in der Festlegung ihres Platzes im kategorialen System, beruht auf einem logischen Fehler. Die Bestimmung der Kategorie wird nicht durch den Platz der Kategorie im Kategoriaen System festgelegt, sondern umgekehrt, die Bestimmung der Kategorie nach einer beliebigen Regel wird durch ihren Inhalt definiert; zugleich ist das die Festlegung des Platzes einer bestimmten Kategorie im System der Kategorien. Dritter Mangel: die erwähnte Regel zur Bestimmung der Kategorie ergibt keine Definition des Inhalts für keine der philosophischen

Kategorien. Zwar ist die Regel zur Bestimmung der Kategorie nicht „verpflichtet", den Inhalt der Kategorie festzustellen. sie weist nur darauf hin, wie die Kategorie zu bestimmen ist, jedoch fordert die erwähnte Bestimmungsregel selbst die Festlegung der Einordnung jeder Kategorie in das kategoriale System und damit— die Definition ihres Inhalts, obwohl sie dieser Forderung nicht gerecht wird; infolgedessen ist sie auch in diesem logischen Aspeks nicht stichhaltig.

Wenn als Regel zur Bestimmun jeglicher philosophischen Kategorie die Beziehung gilt, dann ist die Beziehung als selbständige Kategorie abzulehnen, da die Beziehung selbst als Regel zur Definition philosophischer Kategorien herangezogen wird. Läßt man jedoch zu, daß die Beziehung eine selbständige Kategorie und zugleich eine Regel zur Bestimmung jeglicher philosophischen Kategorie ist, so wird die kategoriale Bestimmung der Beziehung selbst durch die Beziehung selbst definiert, was jedoch die reinste Tautologie wäre.

Die philosophischen Kategorien können nicht durch aus einem anderen System entlehnte und im philosophischen System nicht definierte Karegorien bestimmt werden, denn erstens sind die philosophischen Kategorien die absolut allgemeinsten und können sich deswegen nicht auf Kategorien von kleinerer Allgemeinheit stützen, die aus einem anderen System entlehnt worden sind. Zum anderen ist die Philosophie nicht imstande, zur Definition der im System nicht enthaltenen Kategorien aus einem anderen System Kategorien zu entlehnen, die im philosophischen System selbst nicht bestimmt werden. Jede philosophische Kategorie fordert eine Definition innerhalb des philosophischen Systems selbst, wo die Philosophie zur Bestimmung vorhandener Kategorien nicht nur keine Kategorien eines anderen wissenschaftlichen Systems gebraucht; sogar der in einer philosophischen Theorie (System) enthaltene Inhalt der Kategorien kann nicht mit den in einem anderen philosophischen System benutzten Theorien vereinbart werden.

Die Behauptung hinsichtlich einer Tautologie der Bestimmung philosophischer Kategorien unter der Beweisführung, daß zur Bestimmung jeglicher philosophischen Kategorie immer eine andere philosophische Kategorie herangezogen werden muß, begründet nicht die Tautologie zur Bestimmung philosophischer Kategorien. Eine Tautologie wäre vorhanden, falls der Inhalt zweier gegensätzlicher philosophischer Kategorien in der Definition identisch wären. In

der Bestimmung jeglicher paarweisen Kategorie sind jedoch die Kategorien mit verschiedenem Inhalt einander gegenübergestellt, was eine Tautologie ausschließt.

Die hinsichtlich der Begriffsbestimmung im allgemeinen und der philosophischen Kategorien insbesondere ausgesprochene Ansicht, derzufolge das Definiens in der Bestimmung weniger allgemein ist als das Definiendum oder das Definiens im Definedum unbedingt vorausgesetzt wird und deshalb jede Definition tautologisch, analytisch ist, gibt keine richtige Erklärung für den tatsächlichen Zustand ab. Zwar setzt jedes Definiendum ein Definiens voraus, jedoch folgt hieraus keine Bestimmungstautologie. Der Umfang der Merkmale des Definiens und des Definiendums ist unterschiedlich. In der Definition weist das Definiens niemals Merkmale des zu bestimmenden Begriffes auf, wodurcs eine Tautologie ausgeschlossen wird.

Bisher ist noch kein vollkommenes System philosophischer Kategorien geschaffen worden; der Aufbau eines kategorialen Systems ist grundsätzlich unmöglich. Es existieren viele unterschidliche Kategorien —Systeme—das ist eine durchaus zulässige Tatsache. Die Systeme müssen logisch sein und sich selbst nicht widersprechen.

Der Unterschied in den kategorialen Systemen ist durch die unterschidlichen Mittel ihres Aufbaus bedingt, insbesondere ontologische, gnosseologische, logische. Als Ausgansprinzip für den Aufbau eines kategorialen Systems gilt nur das logische. Der Aufbau des kategorialen Systems nach ontolcgischen Prinzip ist nicht gerechtfertigt, dann es führt zu ciner Ontologisation der Kategorien. Die K. tegorien sind Begriffe und die Beziehung zwischen ihnen bedeutet die Bezichung der Kategorien als Begriffe. Ontologische Zusammenhänge sind reele Zusammenhänge, kategoriale Beziehungen jedoch—logische Zusammenhänge, infogedessen sind ihre Gesetzmäßigkeiten verschieden.

Das logische Prinzip der allgemeinsten philosophischen Kategorien ist ihre Polarität, eineander entgegengesetzte Beziehungen. Der Aufbau des kategorialen Systems dieser Gruppe muß auf dem erwähnten Prinzip begründet sein.

Die Behauptung, daß die eine oder andere Kategorie in sich selbst potentiell sei und in ihrem rudimentären Zusatand viele Kategorien erfaßt, entspricht nicht der wahren Sachlage. Keine der Kategorien umfaßt eine andere Kategorie potentiell und befindet

sich in ihr nicht im rudimentären Zustand. Im potentiellen und rudimentären Zustand bezüglich einander befindet sich die entsprechende Wirklichkeit der jeweiligen Kategorie. So z. B. verbirgt sich in der reel existierenden Notwendigkeit der potentielle und rudimentäre Zustand die Zufälligkeit, in der reel existierenden Zufälligkeit aber—der Übergangszustand in die Notwendigkeit. In der Begriffssphäre, der kategorialen Sphäre ist dieses sinnlos. Die Kategorie der Notwendigkeit als Begriff ist nur die Widerspiegelung der Notwendigkeit und erfaßt in sich nur die Notwendigkeit, dasselbe gilt auch für die anderen Kategorien.

Falsch ist auch der Standpunkt, der behauptet, daß eine Kategorie in eine andere übergeht und durch Merkmale anderer Kategorien gekennzeichnet wird. Keine einzige Kategorie geht in eine andere über Durch solche Merkmale werden nicht Kategorien, sondern die ihnen entsprechende Wirklichkeit charakterisiert. In der reelen Wirklichkeit werden Gegenstände, Erscheinungen gleichzeitig in verschiedenen Beziehungen durch Zufälligkeit, Notwendigkeit, Kausalität, Folge, Inhalt, Form u. s. w. gekennzeichnet, denn sie gehen ineinander über und koexistieren. In der kategorialen Sphäre jedoch bedeutet das keinesfalls, daß die Zufälligkeit widerspiegelt und gleichzeitig-gekennzeichnet wird durch die Notwendikeit, Folge, Inhalt, Form und durch Merkmale anderer Kategorien und daß diese Kategorien inanander übergehen. In der Sphäre des Begriffes, der Kategorie drückt die Kategorie der Zufälligkeit nur die Zufälligkeit aus, die Notwendigkeit ist ganz und gar ausgeschlossen. Die Kategorie der Notwendigkeit drückt ebefalls nur die Notwendigkeit aus und schließt die Kategorie der Zufälligkeit vollkommen aus. Deshalb gehen die Kategorien in der Sphäre der Kategorie nicht ineinander über.

Der Übergang einer Kategorie in eine andere—ein anerkannter Standtpunkt der Bewegung (die Dialektik des Begriffs besteht aus Bewegung, gegenseitigem Übergang aller Begriffe, Kategorien ohne Ausnahme)—kann von der wissenschaftlichen Philosophie nicht akzeptiert werden, denn dieser beruht auf der Identifizierung des Logischen mit dem Reelen.

Der Übergang einer Kategorie in eine andere ist in dem Sinne zu verstehen, daß eine Kategorie unter bestimmten Bedingungen, Zusammenhängen, Beziehungen in eine andere Übergeht, was unter der einen Bedingung. Zusammenhängen, Beziehungen eine

Notwendigkeit darstellt, ist unter anderen Bedingungen Zufälligkeit u. s. w. In der kategorialen Sphäre als Begriff findet dieser Umstand tatsächlich niemals statt. Solche Übergänge kommen nicht in der Sphäre der Kategorie alls Begriff vor, sondern in der reelen Wirklichkeit—wenn die Zufälligkeit in die Notwendigkeit übergeht, und die Notwendigkeit in die Zufälligkeit. So aufgefaßt, wäre die Behauptung hinsichtlich des Übergangs einer Kategorie in einadere nur dann gerechtfertigt, wenn die vorher existierende Zufälligkeitskategorie zur Notwendigkeitskategorie würde und die Kategorie der Notwendigketi zur Kategorie der Zufälligkeit. In Wirklichkeit bleibt jedoch die Zufälligkeitskategorie in jeder Beziehung eine Kategorie der Zufälligkeit und die der Notwendigkeit—eine Kategorie der Notwendigkeit.

Eine noch größere Unklarheit enthält die Behauptung, daß alle Begriffe, Kategorien ausnahmslos ineinender übergehen. Nehmen wir an, daß der Begriff Leben in den Begriff Tod übergeht; geht aber der Begriff Tod über in den Begriff Leben? Geht denn der Zeitbegriff über in den Raumbegriff? Nicht die Kategorien gehen ineinander über, jedoch in der ihnen entsprechenden Wirklichkeit ereignen sich Übergänge. Die Kategorie existiert nicht reel, sie ist ein Begriff und folglich—die Widerspiegelung der Wirklichkeit, deshalb gehört sie zum Logischen. Das Logische unterscheidet sich vom Reelen. Zwar sind beide Wirklichkeit. Die Reele Beziehung hat eine Bedeutung, die logische Beziehung—eine andere. Deshalb ist u. E. für den dialektischen Materialismus die obenerwähnte Auffassung des Überganges einer Kategorie in eine andere nicht annehmbar, da sie auf einer Identität des Logischen mit dem Reelen beruht.

Im Zusammenhang mit dieser Frage sei bemerkt, daß die erwähnte Auffassung des Übergangs einer Kategorie in eine andere in der Hegelschen Philosophie zulässig ist. Für Hegel ist der Begriff, din Kategorie ontologisiert, sie selbst ist Gegenstand und deshalb Bewegung und—mehr noch als dies—Selbstbewegung. Das Logische ist identich mit dem Reelen nach dem Prinzip des ontologisierten Gedankens.

Der Übergang von Begriffen, Kategorien ineinander bedetet entweder nur die Entwicklung ihres Inhalts vom Wesen der ersten Reihe zum Wesen der zweiten Reihe u. s. w. oder es bedeutet nur, daß die Übergänge der allgemeinsten Seiten der Wirklichkeit die ihnen entsprechenden Kategorien zum Ausdruck bringen.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 2, 3 (1954, 1957, 1959)
კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953
კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, 1938
ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952
ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954
ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, 5. 14, 27. 38 (მეოთხე გამოცემა)
არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1964
კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, 1979
ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, 1962
მ. ბაკურია, ვ. ი. ლენინი მარქსისტული კატეგორიოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, 1969
მ. ბაკურია, მარქსისტული კატეგორიოლოგიის საკითხები, 1977
გ. ბაქრაძე, კატეგორიის განსაზღვრების პრობლემისათვის, „მაცნე“ „ფილოსოფიის... სერია“, № 2, 1971
კ. ბაქრაძე. რჩეული ფილოსოფიური თხზ., ტ. 2, 4, 5
გ. ბაჩულაშვილი, კატეგორიების დიალექტიკა როგორც გნოსეოლოგიური ლოგიკა, 1979
გ. მაჩიტაძე, კატეგორიის ცნება ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობის შუქზე, წიგნში, ვ. ი. ლენინი და დიალექტიკური მატერიალიზმის პრობლემები, 1969
ბ. ურიდია, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების ხერხი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 24, 1962
ბ. ურიდია, უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების ცნების განსაზღვრა, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 25, 1963
ბ. ურიდია, მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები, 1977
ბ. ურიდია, განსაზღვრების თეორიის პრობლემები, 1979
გ. შუშანაშვილი, კატეგორიების განსაზღვრებისათვის, „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, № 2, 1979
გ. შუშანაშვილი, კატეგორიების ბუნების შესახებ, წიგნში, დიალექტიკური მატერიალიზმის ზოგიერთი საკითხი, 1964.
ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, 1965
ს. წერეთელი, დასაბუთების საწყისი, 1963
К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 2, 4, 1955
Аристотель, Категорий, 1939
Аристотель, Категорий, Соч., т. 2, 1978
П. В. Алексеев, Предмет, Структура и Функции диалектического материализма, 1978
М. И. Баканидзе, Проблема субординации логических форм, 1968
Ф. Бекон, Новый органон, 1938

В. С. Библер, О системе категории диалектической логики, 1958
Т. В. Богомолова, В. И. Кириллов, Проблема взаимосвязи категории диалектики (обзор литературы), Философские науки, № 2, 1982
М. А. Булатов, Логические категории и понятия, 1981
В. Виндельбанд, Прелюдии, 1904.
Л. Г. Воронин, О некоторых формах логической взаимосвязи категорий материалистической диалектики, Шахтинский Гос. пед. инст., Ученые записки, т. III, Вып. I, 1979
Г. Ф. Гегель ,Наука Логики, т. V, VI, 1937, 1939
Г. Ф. Гегель, Философская пропедевтика, — В кн: Работы разных лет, т. 2, 1971
О. С. Зелькина, Системно-структурный анализ основных категорий диалектики, Саратов, 1970
В. В. Ильин, Онтологические и гносеологические аспекты философских категории, В кн.: Проблемы диалектики, Вып. 6, 1976
И. Кант, Соч., т. 2, 1964
Г. М. Каландаришвили, Проблема отражения движения в логике понятий, 1966
Б. М. Кедров, Оперирование научными понятиями в диалектической и формальной логике, В кн.: Диалектика и логика, формы мышления, 1961
М. И. Конкин, Проблема формирования и развития философских категорий, 1980
П. В. Копнин, Философские идеи В. И. Ленина и логика, 1969
П. В. Копнин, Развитие познания как изменение содержания категорий и их системы. — В кн.: Диалектика как логика и теория познания, 1973
С. Б. Крымский, Системы знания и проблема их категориальной определенности, — В кн., Логико-философский анализ понятийного аппарата, 1977
Е. С. Кузьмин, Система онтологических категорий, 1958
Категории диалектики как ступень познания, 1971
Категории диалектики, их развитие и функции, 1980
Категории материалистической диалектики, 1956
Г. Д. Левин, Понятие «категория диалектики», «Философские науки», № 3, 1974
Д. Локк, Избранные философские произведения, т. I, М., 1960
В. Г. Макаров, О субординации категорий диалектического материализма, Труды по философии (Тартус. ун-т, т. 6, вып. 24) 1962
В. И. Мальцев, Место и роль категории в диалектическом материализме, 1960
В. И. Мальцев, Очерк по диалектической логике, 1964
Л. А. Манковский, Логическая структура системы категорий, В кн.: История марксистской диалектики, 1971
А. М. Минасян, О субординации категории диалектики, В кн.: «Диалектика и логика научного познания» 1969
В. Ф. Музыченко, Проблема принципов систематизации категории диалектики, 1972.

А. Ф. Назаренко, О логической природе философских категорий, В кн.: Логика и философские категории, 1982
В. Л. Обухов, О структуре категорий материалистической диалектики, В кн.: Порблемы научного познания, 1978
С. М. Оруджев, Диалектика как система, 1973
Ю. А. Петров, Логическая функция категорий диалектики, 1972
Платон, Сочинения ,т. 2, 1970
А. М. Плотников, А. Ф. Назаренко, Логико-гносеологический анализ понятий и категорий, Вестник Ленинградского университета, № 23, 1976
Принципы систематизации категории материалистической диалектики (Сборник научных трудов), 1980
Е. Г. Причепий, Категории как форма сознания и теоретического мышления. — В кн.: Диалектический и исторический материализм — философская основа коммунистического мировоззрения, 1972
М. М. Прохоров, О систематизации категории, В кн.: Вопросы философии и социологии, ЛГУ, Вып. 3, 1971
Проблемы развития системы категорий марксистской философии, Межвузовский сборник научных трудов, 1980
В. П. Родионов, О природе категории, В кн.: — Методологические проблемы исторического материализма
М. М. Розенталь, Принципы диалектической логики, 1960
В. Н. Сагатовский, Основы систематизации всеобщих категории, 1973
Г. Н. Садовский, Об эмпирическом и теоретическом условиях систематизации категорий диалектики, философия и научный коммунизм, Минск, Вып. 3, 1976
П. Д. Сеитов, Об объективной основе систематизации категории, Философские науки, № 1, 1967,
Е. П. Ситковский, Принципы научной систематики категорий диалектической логики, 1964
Е. Ф. Солопов, Предмет и логика материалистической диалектики, 1973
Б. Спиноза, Избр. произв. т. 1, 2, 1957
И. П. Стогий, А. А. Помазан, О принципе построения системы философских категорий, Проблемы философии, КГУ, № 2, 1981
И. К. Тавадзе, О категориях материалистической диалектики, Труды ин-та философии АН Груз. ССР. Т. VII, 1957.
П. С. Тодуа, Актуальные проблемы диалектической взаимосвязи экономических категорий, 1979
А. Тренделенбург, Логические исследования, 1868
В. П. Тугаринов, Соотношение категории диалектического материализма, 1956
Ж. Т. Туленов, О принципах построения системы категории диалектики, Философские науки, № 5, 1978
Ж. Т. Туленов, Система законов и категорий диалектики, 1974
Ж. Т. Туленов, В. И. Ленин о категориях диалектики, 1968
В. И. Чернов, Анализ философских понятий, 1966
Е. К. Чечельницкая, Об определении категории и их систематизации, «Вопросы философии и социологии», Вып. V, 1973

Е. К. Чечельницкая, О двух подходах к объективному основанию систематизации категорий, «Вопросы философии и социологии». Вып. III, 1971
А. П. Шептулин, Система категорий диалектики, 1967
А. П. Шептулин, Категории диалектики, 1971
А. П. Шептулин, Исходные начала и принципы построения системы категорий диалектики, «Философские науки», № 2, 1979
В. И. Шинкарук, Категории как формы мышления и их методологическая функция. — В кн.: Социально-исторические и мировоззренческие аспекты философских категорий, 1978
Д. И. Широканов, Взаимосвязь категорий диалектики, 1969
Э. Л. Щербаков, Об определении категорий диалектики, В кн.: Труды Краснодарского политехнич. ин-та, Вып. 64, 1975
Э. Л. Щербаков, Об определении философских категорий в античной философии, В кн.: Труды краснодарского политехнического ин-та, Вып. 64, 1975
E. Lysinski, Die kategoriensysteme der Philosophie... 1913
W. Windelband, Vom system der kategorien, 1924
M. Klein, Die Genesis der kategorien... 1881
O. Spann, Kategorienlehre, 1939
Ed. Hartmann, Kategorienlehre, 1923
N. Hartmann, Grundriz der alegemeinen kategorienlehre, 1940
O. Fechner, Das system der ontischen kategorien, 1961
A. Trendelenburg, Geschichte der kategorienlehre, 1863

შინაარსი

წინასიტყვაობა . 3
შესავალი 5
თავი პირველი. ცნებისა და კატეგორიის ცნების შესახებ . 16
§ 1. ცნების ცნების შესახებ 17
§ 2. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნება 26
§ 3. დიალექტიკის კატეგორიების ცნების, როგორც სინამდვილის უზოგადესი კავშირების ასახვად განსაზღვრების შესახებ . . . 45
§ 4. დიალექტიკის კატეგორიების ცნების, როგორც სინამდვილის უზოგადესი მიმართების ასახვად განსაზღვრების შესახებ . . . 47
§ 5. დიალექტიკის კატეგორიების ცნების, როგორც უზოგადესი კავშირების კანონების ასახვად განსაზღვრების შესახებ 52
თავი მეორე. უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესის შესახებ 57
§ 6. პოლარული დაპირისპირებულობა (ურთიერთდაპირისპირებულობა), როგორც უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესი 57
§ 7. უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესად პოლარული დაპირისპირებულობის საწინააღმდეგოდ წამოყენებული რამდენიმე არგუმენტის შესახებ 67
§ 8. წესის — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში — შესახებ 75
§ 9. მიმართების როგორც კატეგორიის განსაზღვრების წესის შესახებ . 85
§ 10. ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში სხვა სისტემიდან ცნებათა შემოყვანის წესით განსაზღვრების შესახებ . . . 89
§ 11. განსაზღვრების ე. წ. დიალექტიკურ-ლოგიკური წესის შესახებ 97
თავი მესამე. . კატეგორიათა სისტემის აგების პრობლემა . 105
§ 12. კატეგორიათა სისტემის აგების აუცილებლობა 105
§ 13. კატეგორიათა სისტემის აგების ცდა ონტოლოგიური პრინციპის საფუძველზე 109
§ 14. კატეგორიათა სისტემის აგების ცდა გნოსეოლოგიური პრინციპის საფუძველზე 122
§ 15. კატეგორიათა სისტემის აგების ცდა ლოგიკური პრინციპის საფუძველზე 146
§ 16. კატეგორიათა გარკვეული ჯგუფის სისტემის აგების საკითხი ლოგიკური პრინციპის — უსასრულო დასკვნის — საფუძველზე . . 156
§ 17. კატეგორიათა ურთიერთში გადასვლისა და გამოყვანის საკითხის შესახებ 177
Проблемы теории категории (резюме) 198
Probleme der Theorie der Kategorie (რეზიუმე გერმანულ ენაზე) 205
გამოყენებული ლიტერატურა . 211

Уридиа Борис Юлонович

ПРОБЛЕМЫ ТЕОРИИ КАТЕГОРИИ

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1986

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

სბ 3174

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი,
მხატვარი გ. ლომიძე,
მხატვრული რედაქტორი მ. ხურცილავა,
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე,
კორექტორი ლ. აბჟანდაძე

გადაეცა წარმოებას 18.6.1986; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.9.1986;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 13.5; პირ. საღ. გატ. 13,9,
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.7;

უე 01272; ტირაჟი 1000, შეკვეთა № 1975;

ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19